



# ჩვენს მხედრობა


გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

12 ივლისი 2013

№14 (196)

მოპასანის ნოველა  
გამოსვლები უეკრანოდ  
აკაკის ლანდის მეფური ძილი  
მარინა ივანიშვილის მოთხრობა  
ინტერვიუ თამარ სხირტლაძესთან  
ზურაბ ხასაია მარტინ ჰაიდეგერზე  
თამამ ექსპერიმენტთა სეზონი  
ნუკრი ბერეთელის ლექსები  
გია კობახიძის ლირიკა  
ზეიმები ესპანურად



# შინაარსი

განთიადიდან განთიადამდე	2	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრაინოდ
აქსარან-ინტერვიუ	6	თამარ სხირტლაძე „აკეთე სიკეთე“ (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
ჩვენი ყოფა, წუთისოფალი	7	ფრანსისკო უმბრალი ზეიმები
პროზა	8	მარინა ივანიშვილი სინძრონული ფრენა
პოეზია	23	გია კობახიძე *** შენი სიტბო მივსებას ხელბს და სხვა ლექსები
	25	ნუკრი ბერეთელი ქირომანტი და სხვა ლექსები
უსხოეთის ცხოვრებიდან	28	ზურაბ ხასაია მარტინ ჰაიდეგარი ხელოვნების შესახებ
ლილოგი	35	პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული მათემატიკოსი (მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება ივანე კილურაძე)
ომოგნებათა სივირი	38	ამირან არაბული ბოღარძი, ლაშარის ჯვარი და ტუტარიკის ხევი
რეპორტაჟი	40	ეკა ბუჯიაშვილი ...სძინავს მეფურ ძილით (წარდგინება ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანისა „აკაკის ლანდი“)
თეატრი	44	გიორგი ყაჯრიშვილი თამამ ქსეპარიმენტთა სეზონი (თეატრალური ცხოვრება თვალის გადავლებით)
ახალი წიგნები	48	ნინო დოლიძე არაბული მუსიკის ნიგნი (ნინო ანთიძე-კახიანის „ალ-ურმავის ნიგნი მუსიკისა „ქითაბ ალ-ადვარ“)
ფიქრი და განსჯა	49	გურამ ბათიაშვილი სახეები და სიტუაციები
გამოსეაუარება	57	ელგუჯა თავბერიძე ამაზონის თუთიყუში (დიმიტრი უჩანეიშვილის პიესა „არჩი და ქეთ“)
ახალგაზრდებო, ან კი თქვენი	58	თეონა ფანჩულიძე, თინათინ ჯიქურაშვილი სემინარი ბრძალდება... ამჟერად — „ღირსება“
იხარდა, მხანა ჯევილო	60	გურამ პეტრიაშვილი ირინეს ბავშვობა
უსხოური ნოველა	68	გი დე მოპასანი ჩემი ცოლი
მოზაიკა	71	ხელოვნარული კაცი



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 26 ივლისს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
ომაგა თეკი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: დრონი  
ირაკლი შუბაშვილის კომპიუტერული გრაფიკა

# როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უიკრანოდ

## შეხვედრებზე ჩვენს მარადიულ სახსოვართან (ნანატრი მონოგრაფია ვაჟკაცობის კულტზე)

— ვინც ვაჟკაცია, გამოკვლევა დასწეროს ამ ტემაზე: ვაჟკაცობის კულტი ქართულ მწერლობაში და ხალხურ პოეზიაში. ეს დედალერიძი უნდა აღზდგეს, თორემ სულ დავიღუპებით.

მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკის“ ჩანაწერი.

დათარიღებული 1924 წლის დამდეგით. ქაქუცა ჩოლოყაშვილი უკვე თავგანწირვით ტრიალებს ლიხს აქეთ თავისი შეფიცულთა რაზმით აჯანყების ცეცხლისა და სულისკვეთების გასაღვივებლად, ლიხს იქითაც გადაუწვდენია სახელი და კავკასიის ქედს მიღმაც და ელოდება იმ გადამწყვეტ ჟამს, როდესაც საქართველოსთან ერთად მთელი კავკასიაც ააფრიალებს თავისუფლების ბაირალს.

ამ მოლოდინს შეუპყრია და შეუფრიალებია მთელი ქვეყანა.

მაგრამ თუკი ვაჟკაცობისა და ბრძოლის ჟინი მინავლებულა, შეძლებს კი შეფიცულთა რაზმი იმ სახალხო ექსტაზის ანთებას, ურომლისოდაც ნანატრი წუთი ჰაერში გამოეკიდება?!

და მიხეილ ჯავახიშვილი თავის მხრივაც შეეცდებოდა ამ სულისკვეთებისათვის კიდევ ერთი-ორი ნაკვერცხლის მიმატებას.

ერთ-ერთ ნაკვერცხლად მოთხრობას ან ეგებ სულაც რომანს ჩაიფიქრებდა, თემად ვაჟკაცი, ვაჟკაცობა, ვაჟკაცური იდეოლოგია რომ უნდა დასდებოდა — რელიგიამდე აყვანილი.

— აქ უნდა გამოჩნდეს ქართული სული და ხასიათი. სინთეზი დასავლურ-აღმოსავლური კულტურისა (სპარსულ-არაბულ-ევროპული).

და კიდევ გამოიკვებებოდა სულ ორიოდ წელიწადში რელიგიამდე აყვანილი ვაჟკაცობის კულტი რომანში „არსენა მარაბდელი“, რომელშიც თვალსაჩინოდ ცნაურდებოდა ქართული სულიც და ხასიათიც და მთავარ გმირში კი ქაქუცა ჩოლოყაშვილი იგულისხმებოდა, როგორც შემანარჩუნებელი რაინდული სულისა ჩვენს დაკნინებულ, დაჩაივებულ ახალ დროში.

ერთ-ერთ ნაკვერცხლად კი მეცნიერულ ნაშრომსაც იგულისხმებდა მწერალი: ვაჟკაცობის კულტი ქართულ მწერლობასა და ხალხურ პოეზიაში, — ნაშრომს, რომელსაც მეცნიერულ დანიშნულებაზე არანაკლებ — და ეგებ უფრო მეტადაც — პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭებოდა.

დაე საფუძვლიანად ჩაჯდომოდა ვინმე ამ საშურ თემას და მოეძიებინა ის მასალა, რაც შეაძლებინებდა ვაჟკაცობის კულტის გააზრებასა და სრულყოფილ მონოგრაფიად ჩამოქნას; თანაც არა კმაროდა მარტოდენ ლიტერატურასა თუ მარტოდენ ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით მისი შესწავლანარმოჩენა, უთუოდ ერთობლივად უნდა წარმოსახულიყო და

ეროვნული ხასიათის თვისებად გამოკვეთილიყო — საბოლოოდ სწორედ აქამდე მისულიყო კვლევა-ძიება, რათა ჩხირკედელაობის ფარგლებს გასცილებოდა, თორემ საჩხირკედელაოდ არც შესაფერისი დრო გახლდათ და არც ვითარება.

სადამდეც ხმა მიუწვდებოდა, ყველგან იტყოდა: ახ, ერთი კარგი მონოგრაფია ვაჟკაცობის კულტზე, იმ დედაძარღვზე, რომლის აღდგენის გარეშეც დაღუპულნი ვართ და ეგააო, — და მეტი დამაჯერებლობისა და პიროვნული თუ ეროვნული თავმოყვარეობის შესაჯანჯღარებლად აუცილებლად დასძენდა: ვინც ვაჟკაციაო!..

ეს აუცილებელი პირობაა.

არამარტო აგულიანებდა და შეჯიბრების ჟინით აღანთებდა, ვისაც საამისო მომზადებას შეატყობდა, მართლაც ვაჟკაცობას ითხოვდა ამ ყაიდის თხზულების შემქმნელისაგან, რადგანაც ამ თვისების გარეშე მკვლევარი მარტოდენ მასალას თუ შეაგროვებდა, ისიც არა სრულყოფილად, თორემ შესაფერისი გააზრება როგორმაც რომ მოეხერხებინა, ჰეროიკული სულით ვერაფრისდიდებით ვერ განმსჭვალავდა თხრობას, და წიგნი მეცნიერულად რალაც ღირებულებას თუ მაინც მოიპოვებდა, პოლიტიკური თვალსაზრისით სრულიად უქმი და უშინაარსო იქნებოდა.

სადამდეც ხმა მიუწვდებოდაო...

და უბის წიგნაკშიც ჩაინიშნავდა, როგორც იმ წუთას მისთვის ყველაზე მღელვარე და სულისშემძვრელ ფიქრს.

და თავისთვის გუნებაში რომ მიმოიხედავდა გარშემო, ნეტა ვინაა ამ თემისათვის ხელის მომკიდებელიო, ერთ უპირველესს უსათუოდ ვახტანგ

კოტეტიშვილს მოინიშნავდა — ლიტერატურაც იმან იცოდა თუ იცოდა, ზეპირსიტყვიერებაც არანაკლებად, ღრმად მოზაროვნეც გახლდათ და „წვრილმანების“ ჩხრეკასაც არა თაკილობდა, და რაც მთავარია, ჰეროიკული სული მომადლებოდა, ამ ურთულესი თემის ამზიდავი.

მაგრამ ისე წაენყობოდა მოვლენები, ეს თემა სადღაც მიიკარგებოდა — სექტემბერ-ოქტომბრის ტრაგედია და შეფიცულთა რაზმის განდევნა უცხოეთში სრულ სასონარკვეთილებას გაამეფებდა გარშემო და ვაჟკაცური სულიც ისე მიინავლებოდა, კიდევ თუ შევიძლებდით სულიერი მხნეობის დაბრუნებას, ბევრს აღარც კი სჯეროდა, და მიხეილ ჯავახიშვილი განგამის ზარს რომ რეკავდა: დაღუპვა გველოდებოა, — სულ მალე გრიგოლ რობაქიძეს მგლოვიაერედ უნდა განეცხადებინა: უკვე დავიღუპეთ და აღარაფერი გვეშველებაო.

და თუმცა ქვეყანა როგორღაც ინარჩუნებდა თვითმყოფადობასაც და სულიერ მხნეობასაც, რაც მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის 1926-27 წლების ჩანაწერთა ერთ პასაჟში ასე აირეკლებოდა:

— ტემა: გახშირდა კულტი რაინდობის. დაუპირისპირდეს დღევანდელი რაინდი დღევანდელ საქმიან კაცს.

**შემაჯავებელი ჯგუფ „ზღვარის“ შექმნის — სერგი ლომაძის — განცხადება-განმარტება:**

უკვე არაერთხელ მიხვოვს, რომ დამეზუსტებინა ჯგუფ „ზღვარის“ შექმნის თარიღი. თხოვნა ლოგიკურია, რამეთუ ადგილისა და წელიწადის გარდა (თბილისი, 1999 წელი) ამ საკითხში სხვა რამ ზუსტად არაა გარკვეული.

მე ასე ვიტყვოდი:

„ზღვარი“ შეიქმნა ჩემს მიერ ჩატარებული ოთხკაციანი შეკრებების შედეგად, რომელნიც გაიმართა ოთხმოცდაცხრამეტი წლის გაზაფხულის დღეებში — სამი მაისიდან შვიდი მაისის ჩათვლით.

რადგანაც შვიდი მაისი ერთ დროს აღიარებული იყო პოეზიისა და, ზოგადად, ხელოვნების დღედ (პაოლოს, ტიცინანის, კოტე მაცაშვილის, ასევე სხვათა მიერაც), ამიტომ, საბოლოოდ, სწორედ ეს დღე ავირჩიე ჯგუფის შექმნის თარიღად.

მაშ ასე: ვაზუსტებ, რომ შემოქმედებითი ჯგუფი „ზღვარი“ შეიქმნა 1999 წლის შვიდ მაისს.

ეს განცხადება თან დაერთვება „ზღვარის“ წიგნის — „ბრემნული დღიურის“ — განახლებულ გამოცემას.

მაგრამ, ცხადია, თავზარდამცემი გახლდათ თავქვეზე ისე შეუჩერებელი სრბოლა, 1930-31 წლების ჩანაწერებში მწერალს ამ მწარე რეალობასაც რომ გააშიშვლებინებდა:

— სადღეისო ლექსიკიდან ფესვიანად ამოვარდა სიტყვები: „სინდისი“, „სიყვარული“, „პატიოსნება“, „ვაჟკაცი“ და მისთანანი. ამოვარდა ლექსიკონიდანაც და ცხოვრებიდანაც, ამოვარდა სიტყვა და საქმეც.

ვინც ვაჟკაციაო...

რა — უკვე აღარც უნდა გენატრა?!

ვაჟკაცობის კულტის აღსადგენად თვითონ კი გაირჯებოდა ორი რომანის — „თეთრი საყელო“ და „არსენა მარაბდელი“ — შექმნითა და 1935 წელს კი ქართული რაინდობის თემაზე ახალი თხზულების მონიშვნითაც (გულდასაწყვეტია, რომ მარტოდენ ზოგად აღნიშნას კმარობს ჩანაწერებში: თემა — ქართული რაინდობა).

მაგრამ სამეცნიერო-პოლიტიკური ნაშრომი კვლავაც დაუნერვლი რჩებოდა და მიხეილი თავისთვისა ინატრებდა გუნებაში: ახ, ერთი კარგი მონოგრაფია ვაჟკაცობის კულტზეო.

თუ სიტყვაც ამოვარდნილიყო და საქმეც, ეგებ გარდასულ სახეთა და სურათთა გახსენებას შემოებრუნებინა სასიკეთოდ ჰეროიკის მინავლებული გრძნობა; და ეროვნული მხნეობა სანთლით საძებნელი აღარ ყოფილიყო.

ახ, ერთი კარგი მონოგრაფიაო...

თუ არა იმჟამად, ოდესმე მაინც — ყოველთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა მისი მოვლინება — მეცნიერულადაც და პოლიტიკურადაც: თავისუფლების ძიებასაც ისევე წაადგებოდა, როგორც ხელახლა ამოგებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს. და ჩვენს დროებასაც არანაკლებ, ვიდრე მიხეილ ჯავახიშვილისა.

და თუ ვახტანგ კოტეტიშვილს არ დასცალდებოდა მისი შექმნა, იდუმალი აუცილებლობით მის სულიერ მემკვიდრეს უნდა ედო თავს, ვახტანგის სახელობისა და მეცნიერული დანატოვარის დიდ მოამაგეს ამირან არაბულს, ვისი მეცნიერული ნაშრომიც „ვაჟკაცობისას ამბობენ“ სწორედ იმ ნატვრის შესაფერისია, მიხეილ ჯავახიშვილი რომ ესწრაფოდა, ნეტავი მალე გადამაშლევინა ამ შინაარსისა და სულისკვეთების ნიგნი და მაკითხა და მაკითხაო.


ნიგნი მიძღვნიებოდა ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს, და ეს სახელი შეკრებდა და გაასიმბოლოებდა ჩვენს ჰეროიკულ სულს, სახელმწიფო რომ უკვე დაგვაბრუნებინა და ახლა საკაცობრიო მდინარებაშიც რომ უნდა დაგვამკვიდროს ჩვენი ისტორიისა და კულტურის შესაფერისად.

მისალსაც გულდასმით მოუყრიდა თავს ამირან არაბული ჩვენი ლიტერატურიდანაც და ფოლკლორიდანაც, მარჯვედაც განალაგებდა და განაზოგადებდა, ეროვნული ხასიათის კვლევის დონემდე რომ აიტანდა და ამ სწრაფვას კიდევ ერთ მიძღვნაში მიანიშნებდა:

— დაგვიანებული შეხმიანება გურამ ასათიანის, აკაკი ბაქრაძისა და ზვიად გამსახურდიას „მართალთა შინა“ დავანებული სულების სანუხართან, სახსოვართან, სატკივართან...

ეს პიროვნებანი იმ ნიშნით არიან გაერთიანებულნი, სამივე ჩვენი ეროვნული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების თავისებურებას რომ იკვლევდა და ერთმანეთს ავსებდა მათი ძიებანი, მიუხედავად იმისა, რომ პაექრობაც მოსვლიათ ურთიერთთან და საკმაოდ მძაფრიც.

მათი სანუხარიც ეს გახლდათ, სახსოვარიც და სატკივარიც — ამ იდუმალუბაში ბორიალი და რალაც-რალაცების გარკვევა თუ დაზუსტება, ყოველ შემთხვევაში სააზროვნო სივრცის მონიშვნაც და სულ უფრო გაფართოებაც, რათა ახალ თაობებს სიძნელე გზისა გაადვილებოდათ.



„ვაჟკაცობისას ამბობენ“ ამ ძიებათა სრულფასოვან გაგრძელებად და ნატეხად იგულისხმება.

ნატეხად — პოეტური ექსპრესიითაც რომ გაჟღერებულა და მეცნიერული ჩაკირკიტებითაც, და გარდა ანალიტიკური განსჯისა, სტრიქონებიდან იღვრება ის ჰეროიკული სული, ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას რაინდული სამყაროდან მოსულ კაცს რომ შეჰფერის, ვისთვისაც ვაჟკაცობის არსი და ბუნება მარტოდენ თეორიული საფანელი კი არ არის, არამედ შინაგანდაც განცდილი.

ამიტომაც გაიაზრებს ქართული რაინდობის სურათებს ორმაგი მზერით — გარეგანი-თაც და შინაგანი-თაც, მეცნიერისაც, პოეტისაც და იმ გმირთა შთამომავლისაც.

ახ, ერთი კარგი მონოგრაფია ქართულ

ვაჟკაცობაზეო...

მიხეილ ჯავახიშვილი უფრო ვრცელ ნაშრომს ვარაუდობდა, უფრო ამომწურავს — შედარებით, თორემ ამ თემას რა ამონწერავს, თუ ამოიწურა, ეს ხომ ჩვენი ისტორიის და სასრულსაც ნიშნავს, შემერებივითა რომ უნდა იკვლიონ ჩვენი არსებობა... და თუმცა ის უფრო ვრცელი მონოგრაფია ჯერაც შესაქმნელია, „ვაჟკაცობისას ამბობენ“ მკვიდრი საფუძველია შემდგომ ძიებათათვის, საგულისხმო ნაკადთა და საკითხთა მიმანიშნებელიც და გაგრძელებისათვის შემგულისანებელიც, ამ რანგის შენარჩუნებასაც რომ გავალებს.

თუმცა ჯერ თვითონ ამირან არაბულს აქვს შესავსები ეს ნიგნი — ან უფრო მოზრდილ ხელახალ გამოცემად და ამ ვაჟკაცობის თემატიკის მთელი ციკლის მოსამზადებლად — თან დამოუკიდებელი ნაშრომები რომ იქნება და თან ერთი-მეორის გაგრძელება.

და ეს ყოველივე — დედაძარღვის აღსადგენად, არანაკლებ რომ გვჭირდება მისი სიმართლე და გაუზზარაობა ლიბერალური ფუნდამენტალიზმის პირობებში, ვიდრე სოციალისტური ფუნდამენტალიზმისა, მისგან თავდასაცავად მიხეილ ჯავახიშვილი ყველაფერს რომ ებლაუჭებოდა, რათა თავი დაეღწია სასონარკვეთილებისა და თვითმკვლელობაზე ფიქრისაგან.

ახ, ერთი კარგი მონოგრაფია ვაჟკაცობის კულტზეო...

სანატრელი რამდენი რამ ჰქონდა, უპირველესად კი მაინც ის: მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი, ნაადრევია ჩემი სიკვდილიო, — მაგრამ თუ უამრავი ოცნება გაუცამტვერდებოდა, რალაც-რალაცებს ხომ მაინც მოებმოდა თავი — ზოგს მისივე ხელით, ზოგს მისი უშუალო ზეგავლენითა და ზოგსაც იმ იდუმალი კარნახით, ავერ ამ ნიგნსაც რომ ამოატივტივებდა — ამირან არაბულის „ვაჟკაცობისას ამბობენ“, კიდევ ერთ შეხსენებას, რათა ჰეროიკული სული არც ლექსიკაში დაგვეკარგოს და არც საქმიანობაში; და ის, რაც ძველ, გარდასულ საქართველოში ხშირად ხდებოდა და ჩვენთვის კი უჩვეულო, საანდრეზო ამბებად გადაქცეულა, დაე კვლავაც სადაგი ყოველდღიურობის თანმდევ, ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდეს.

ესეც ხომ ვაჟკაცობის ერთი უმთავრესი ნიშანია — მისი ძალდაუტანებელი შეზავება, შენივთება ადამიანურ არსებობასთან, რალაც უჩვეულოსა და განსაკუთრებულთან შეხვედრა კი არა!.. განსაკუთრებული შეიძლება იყოს მისი ცალკეული გამოვლინებანი და არა ის სული, რომელიც შინაგანი მხნეობითა და თვითმყოფადობის შენარჩუნების სწრაფვით ისედაც უნდა მსჭვალავდეს სახელმწიფოებრივ აზროვნებას, რაც უამისოდ სახელმწიფოებრივ აზროვნებად არც ითქმის.

...ვინც ვაჟკაცია, გამოკვლევა დანეროს ვაჟკაცობის კულტზეო, — თავისებურ განხეთქილების ვაშლად გამოეგორებინა მიხეილ ჯავახიშვილს.

**დედაშვილობაში**  
**(ეთერ თათარაიძისა და მარიამ არაბულის**  
**ლირიკულ-გრაფიკული ჰარმონია)**

ორასი ჩიტი.

ყველა სხვადასხვანაირი — ერთიც არ გამეორდებოდა. ასე შეიმკობოდა ეთერ თათარაიძის ახალი პოეტური კრებული „ჩიტ რო იძახს, წიავ“, რომლის გამოცემითაც „საუნჯე“ მომხიბლავ სხივს შემატებდა და გაამდიდრებდა ქართული პოლიგრაფიის ისტორიას, ახალ ბილიკზე შეგვადგმევინებდა ფეხს.

ჯერ მარტო იმითაა ეს წიგნი ორიგინალური და შთამბეჭდავი, რომ თავიდან ბოლომდე პოეტის ხელნაწერებზეა აგებული — საგანგებოდ გადაწერილი ლექსები კალიგრაფიის ისეთ ხელოვნებას წარმოგვიდგენენ, ამ კუთხითაც გვიდასტურებენ ეთერ თათარაიძის ლექსთა ფერწერულობას, უფრო ზუსტად, ხედვის ფერწერას ხელის ეს იგივენაირი უნარიც შეზავებულია და, გამომცემლობის ბედნიერი მიგნების წყალობით, ეს დიდებული კრებულიც გვგვრძობს მკითხველთა იმ წრეს, რომელიც თვალსადახელებზე ბევრდება და რახანია ველარაფინ ნასდავებია პოეტს თუშურ დიალექტზე წერის გამო: გაუგებარიაო.

თუ მართლაც რაიმეა გაუგებარი, თუ ამ პოეტური წარმოსახვების მადლი და სილამაზე მიუწვდომელი დარჩენილა, ეს ამდენი მკითხველი საიდან?!

იყო დრო, როდესაც კონსტანტინე გამსახურდია ლექსიკონს ურთავდა თავის რომანებს და იმ სიტყვებს განმარტავდა, რაც, მისი თვალსაზრისით, გაუგებარი გახლდათ თანადროული მკითხველისათვის. და ვინც დღესდღეობით ამ ლექსიკონებს გადაიკითხავს, აღმოაჩენს, რომ ერთი სიტყვაც არაა გაუგებარი, ისე მივჩვეულვართ და შეგვითვისებია.

და ეთერ თათარაიძის ამ კრებულისთვის დართული ლექსიკონიც უკვე ზედმეტია მისი მხატვრული ენობრივი ქსოვილის აღსაქმელად, რადგანაც ერთი რაა, ერთი სიტყვაც აღარაა გაუგებარი, ისე მივჩვეულვართ და შეგვითვისებია. და თუ მაინც ჩავაგვლებთ თვალს, მხოლოდ იმიტომ, თავისთავად პოეტურ ქმნილებად აღვიქვათ, თავისებურ მელოდიად რომ გვეღვრება, იმ მელოდიად, რომელიც ეთერ თათარაიძემ იპოვნა და ჩვენც გვაპოვნინა.

ორასი ჩიტი.

და ყველა თავთავისებურად შემძვრელი და კარის შემღებნი ამ პოეტურ ხვეულებში, მისი მადლის შეცნობისთანავე თავის წიაღში რომ ჩაგკარგავს, ნამდვილ პოეზიას რაც სჩვევია.

ამჯერად ნახატებს წიგნი არამარტო გაულამაზებიათ, არამედ ალბომის დანიშნულებაც შეუმატებიათ და იმ ჰარმონიად მოგვლენია ეს კრებული, ისეთ ლირიკულ და გრაფიკულ ნაზავად, ღრმა სულიერი ძაფების არსებობა რომ იწვევს ორ შემოქმედს შორის, სულიერი და არამარტო სისხლისმიერი, რადგანაც ეს ერთობლივი ნობათი დედაშვილურ ერთიერთობის წყალობაა.


დედაშვილობაში კი შენჩემობა სადა თქმულა!..

მარიამ არაბულის დებიუტი წიგნის ილუსტრაციამში.

ასერივად ორიგინალური და ეფექტური.

ორასი ჩიტი.

მას მერე, რაც ხელში ფანქრის დაჭერას ისწავლიდა, მხოლოდ ჩიტებს ხატავდა, დაუღლეოდ, მოუწყინრად, მის ფიქრსა და სიზმრებში ჩიტები ტრიალებდნენ და მასაც ეს ხილვები გადმოჰქონდა ფურცელზე, ყოფითობას შეზავებული ზღაპრისეული წარმოსახვანი, მათი თავთავისებური გალო-



ბაც რომ ჩაესმოდა და ამიტომაცაა, რომ ყველა ჩიტი განსხვავებული გახლდათ, ერთმანეთს არცერთი არ იმეორებდა, საამისოდ კი თუ ყოფითი სინამდვილე უხვ მასალას ვერ განვიდიდა, მერე რა, მხატვრული ფანტაზია ხომ შენს ხელთ იყო.

ამ გატაცებას თვალს მიადევნებდა თენგიზ მირზაშვილი და აღტაცებას ვერ დაფარავდა: მე არ შემძლია ჩიტის დახატვა და ეს პატარა გოგო კი რა უჩვეულო გალერეას ქმნისო. მე არ შემძლიაო...

დიდ ხელოვანთა ჩვეული თავმდაბლობა. გასაკვირი ეგებ მართლაც გახლდათ ასეთი ჩაჟინება მაინცდამაინც ჩიტებზე...

მაგრამ უჩვეულო გალერეა რომ იქმნებოდა?!

მხატვრის ფანტაზია რომ ამოუნურავი რჩებოდა და გატაცებაც გაუნელებელი?!

იქ რჩებოდა ეს ყოველივე, მარიამ არაბულის მაგიდასა და უჯრებში, შინაურ გარემოში იკეტებოდა და მეტს არც ფიქრობდა, ვიდრე ეს ბედნიერი იდეა არ გადააქცევდა მის გატაცებას ჩინებული გამოცემის განუყრელ ნაწილად, ჰარმონიის სრულყოფილი სვეტად.

ასეთი ჩაჟინება... ისეთივე, როგორც ეთერ თათარაიძე „ჩაჟინებია“ თუშურ ენობრივ მიმოხვრას და ახალ-ახალ პლასტთა და ნიუანსთა ძიება არა წყინდება.

ჩიტებსაც არ დაეღვეათ ახალ-ახალი პლასტები და ნიუანსები.

და ვინც თავს იდო ამ სამყაროს გადმოშლა, კიდევ აგრძელებს მის შეცნობასაც და შესაფერის ამეცყველებსაც მხატვრის ფუნჯით.

წიგნის ჩარჩოდაც ჩიტები უნდა დამსხდარიყვნენ აქეთიქიდან.

ლიტერატურული ჩარჩო კი გიორგი ლობჯანიძისა და მიხომოსულიშვილის წერილებს უნდა შემოერკალათ — ერთს („ერთხელ და სამუდამოდ“) სილუეტად ჩაფიქრებულს ჟურნალში პირველი პუბლიკაციისთანავე, მეორეს კი („საგანგებო ორნითოლოგიური კვლევა“) უშუალოდ ამ გამოცემისათვის დაწერილსა და აგებულს ზოგიერთ გადახვევასა („ბალავარიანისა“ თუ პირადი გამოცდილებისაკენ) და აღფრედ ჰიჩკოკის „ჩიტების“ გახსენებაზე, და ჩაჰყვებოდა ამ მზერით ამ ლექსებს, ნეტა რა და რა ფრინველები აღმოჩნდებამ ლირიკულ წარმოსახვებშიო.

აქამდე ამაზე არავინ დავფიქრებულყავით, ახლა კი: ეს არნივო, ეს ყორანიო, ეს ოფოფო, ეს კოდალაო, ეს სვავიო, ეს ქორიო, ეს ყვავიო, ეს გედიო, ეს შოშიაო, ეს ჭკა-ძერაო, ეს ხოხობიო, ეს მაძახურაო, ეს წეროო, ეს ჭოტიო, ეს ორბიო, ეს მერცხალიო, ეს შაშვიო, ეს ცასწავალაო, ეს თავნითელაო, ეს მტრედიო, ეს წყლის ძირაო, ეს ჭიოტაო, ეს მეყორნაო, ეს ჩიტბატონაო, ეს ურნატაო...

ფრთავანკურნებული ქედნებიც უნდა შემოგვფეთებოდნენ, თენგიზ მირზაშვილის მიერ დახატულნი, რომლითაც სამარის ქვის შემკობას ინატრებდა პოეტი... და ნატვრის ბუმბულსაც რომ იპოვნოდა ამ ძებნა-ძებნაში: ეს ალბათ რალაც ყოვლად უცნაურ, ზღაპრულ ფრინველს დარჩენია, მთლად ფასკუნჯს თუ არა, ფასკუნჯისნაირთა მოდემისასო, — ივარაუდებდა, ეს მონაკვეთი კი ისეთი პოეტური გამოუვიდოდა ესეის ავტორს, თითქოს თავისთავადი ლირიკული ნიმუშია ეთერ თათარაიძის სტრიქონთა ვარიაციებად განსაზღვრულიო.

უცნაური, ზღაპრული ფრინველიო...

გიორგი ლობჯანიძე კი მითოსის სამანს გადააბიჯებდა ამ პოეტურ წარმოსახვებს მიდევნებული და სხვათაც აგულია-

ნება გადასაბიჯებლად: მითოსის გარეშე ვერაფრით მივხვდებით ამ პოეზიის თავისებურებას. აქ სიტყვებში, როგორც ნაცარში, ისე შეუნახავს პოეტს თავისი გრძობების, თავისი მითიური ნუხილის ნაღვერდალიო.

მარიამ არაბულსაც გადაებიჯებინა ამ სამანისათვის, გადაებიჯებინა კიდევ და თავისი ფიქრიც და გულისთქმაც მიედევნებინა, და გადაეცა ცაც და მინაც ფრინველთა გუნდებით, ზოგი რომ ამოგვეცნო და ზოგიც ასე ერთბაშად ვერა, თუ არ ჩაუკვირდებოდი, რომ შორეული სამყაროდან მოფრენილიყვნენ, ზღაპრული და მითოსური შრეებიდან.

...მე ვერ დამიხატავს ფრინველი ასეო, — ალტაცებული ატრიალებდა ხელში ნახატთა ამ დაუთვლელ წყებას თენგიზ მირზაშვილი ჯერ კიდევ როდის.

**ერთი კიდიდან მეორემდე: მნიგნობარი და ნიგნის მოყვარული**

ასეთი დიალოგები ყოველთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუნდაც სულ რამდენიმე ფურცელიც იტყვდეს.

ორი პროფესიონალისა, ლიტერატურული „წვრილმანების“ ჩხრეკა და გამომწეურება უჩვეულო სიამოვნებას რომ ანიჭებთ და საერთოსაც ისე იოლად პოულობენ, თითქოს სიყრმიდანვე ერთად გაზრდილანო.

ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის ყოველწლიური კრებულის — „მნიგნობარი“ — 2012 წლის გამოცემაში სწორედ ამგვარი საუბარია ჩართული: იოსებ ჭუმბურიძესა და ლევან ბრეგაძეს შორის („თუ ვინმეს მნიგნობარი ჰქვია...“), ყველაზე შთამბეჭდავად მაინც მნიგნობარისა და ნიგნის მოყვარულის შეპირისპირებითი დახასიათება რომ წარმოგვიდგება.

ეს ორი ცნება განა ერთსა და იმავეს არა გულისხმობს?

ყოველ შემთხვევაში არასოდეს დაკვირვებვიართ, მათ შორის ნიუანსობრივი განსხვავებანი გვეძებნა, არადა, რა ნიუანსობრივზეა ლაპარაკი, როდესაც ეს ორი გამოთქმა, ჩაკვირების შემდეგ, საპირისპირო პოლუსზეც კი აღმოჩნდება.

და ეს იმიტომ, რომ: — შეიძლება მნიგნობარი ნიგნის სიყვარულით არ გამოირჩეოდეს, და პირიქით — ნიგნის მოყვარული არ იყოს მნიგნობარი.

პარადოქსულად გაისმის? თუმც მიყვებით.

თვალსაჩინოებისათვის გაიხსენებდა შტიფან ცვაიგის ნოველას „ბუკინისტი მენდელი“, რომლის მთავარი პერსონაჟიც ნიგნის ნამდვილი ფანატიკოსია, ზეპირად იცის ლამის ყველა ნიგნის ავტორი, სათაური, გამოცემის წელი და ადგილი, თავდაპირველი და იმჟამინდელი ფასი, მაგრამ... შიგ თუ რა წერია, არ აინტერესებს. ამიტომაც მენდელი ნიგნის მოყვარულია, მაგრამ მნიგნობარი — არაფრისდიდებით.

მნიგნობარს ნიგნის მოყვარულისაგან იმით განასხვავებს ლევან ბრეგაძე, რომ:

მნიგნობარი ნიგნს არ უფრთხილდება — ფურცელსაც ჩაკეცავს, მეღნითა თუ „პასტიოაც“ მიაწერს რაღაცებს მის

ფურცლებზე (იქვე დასძენს: ფანქრით მინანერების კეთება ან საჭირო ადგილების მონიშვნა ძალიანაც კარგი ჩვევაა, მაგრამ „პასტიო“?!), შეიძლება ამოხიოს კიდევ მისთვის საჭირო გვერდები და თვითონ ნიგნი კი სადღაც მოისროლოს (ჩაიდინოს ის, რისი წარმოდგენაც კი ნიგნის მოყვარულს შეზარავს), თუ ძველი გამოცემა ჩაუვარდება ხელთ, არ დაინტერესდება, ნეტა სულ რამდენი ეგზემპლარია შემორჩენილი და სად ინახებაო.

ყურადღებას მიგვაქცევინებს, რომ ნიგნის მოყვარულის გამოცნობა იმითაც კი შეიძლება, თუ როგორ ფურცლავს ნიგნს — ზედა კიდიდან და ძალზე ფაქიზად, თითქოს თითსაც არ აკარებდეს.

და რამდენიმე ლიტერატურული ფორმულაც: — მნიგნობარი ცოდნას იმდიდრებს, რათა მერე ის სათანადოდ გამოიყენოს.

— ნიგნის მოყვარული ბიბლიოთეკას იმდიდრებს და ნიგნების თავგადასავალი იტაცებს.

— მნიგნობრის აზრით, ნიგნები იმიტომ არსებობენ, რომ მას მოეძახსურონ.

— ნიგნის მოყვარული თვითონ ემსახურება ნიგნებს.

მსჯელობისას, ცხადია, ძალდაუტანებლად გაჩნდებოდა ნიგნების კოლექციონერთა სახეც, რათა კრიტიკოსს ჩვენთვის დაეზუსტებინა: ეს არაჩვეულებრივი ადამიანები, როგორც წესი, მნიგნობრები არ არიანო.

გაგვიმუდავნებდა იმასაც, რომ არაერთხელ შეეძინა ნიგნები, რომელთაც არასოდეს წაიკითხავდა. მაშ რატომღა შეეძინა? მოსწონებოდა, როგორც მხატვრის ნამუშევარი, პოლიგრაფიული ხელოვნების ნიმუში. ანდა მინიატურული გამოცემები გაგვეხსენებინა, რომელთაც ლუპის გარეშე ვერ წაიკითხავ — განკუთვნილი არა მნიგნობართათვის, არამედ ნიგნის მოყვარულთათვის.

ხომ ორი პოლუსი გათვალსაჩინოვდა, მაგრამ თურმე შეიძლება ისიც, რომ ორივე ეს ხასიათი ერთ პიროვნებაშიც შეერწყმულიყო, ეს ერთობ იშვიათად ხდებოდა, მაგრამ მაინც ხომ მომხდარა.

ამგვარი შერწყმის ჩინებული მაგალითის გახსენებას მოვიწოდებდით?

აგერ იოსებ გრიშაშვილი — მნიგნობრადაც სანიმუშო და ნიგნის მოყვარულადაც.

და თავისთავად წამოგაგონდება მისი მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილება „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, სადაც დეტალურად შეუპირისპირდებოდა ერთმანეთს კინტო და ყარაჩოლელი, მათი განსხვავება მკითხველის ცნობიერებაში პირწმინდად რომ წაშლილიყო და ასეც დარჩებოდა, ეს ნიუანსობრივი ანალიზი რომ არა, ამ ორ ცნებას ორ საპირისპირო პოლუსზე რომ მოაქცევდა.

მნიგნობრისა და ნიგნის მოყვარულის შედარებითი განსჯის უშუალოდ ის ნამოწყება გრძელდება, თანაც იოსებ გრიშაშვილის სახელმა რა მოხდენილად დააგვირგვინა ეს ორიგინალური მსჯელობა.

...არა, ნიგნის გადაფურცვლის დროსაც კი რაოდენ ხელშესახებად იკვეთება მნიგნობრისა და ნიგნის მოყვარულის თვისებანი.



იოსებ ჭუმბურიძე და ლევან ბრეგაძე

თამარ სხირტლაძე

# „აკეთე სიკეთე!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როცა სულიერად გიჭირს; სულიერ ტკივილს თავისი სიმძიმით ვერაფერი შეედრება...

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— საქართველოს გარდა — არსად. ისე ძალიან მინდა სადმე სოფელში რომ ვცხოვრობდე, ქალაქის აყალ-მაცალს მოშორებული...

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ბედნიერებაა, როცა კარგი ოჯახი გყავს: შვილები, შვილიშვილები და ყველანი ჯანმრთელნი და ბედნიერნი არიან.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ძალიან მიყვარს დავით კლდიაშვილის პერსონაჟები.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ბევრი საყვარელი მხატვარი მყავს, მაგრამ ამ ბოლო დროს, ფიროსმანი ყველაზე მეტად მომწონს და მიყვარს. ძალიან ტრაგიკული პიროვნება იყო...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ჩაიკოვსკი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— რა თქმა უნდა, მამაკაცურობას. ასეთია ჩემი მეუღლე...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— კდემამოსილებასა და პატიოსნებას...

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— მართალი ადამიანები მიყვარს, ვერ ვიტან, როცა ადამიანი ნიღაბი უკეთია...

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— რეპეტიცია... თეატრში ყოფნა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ყოველთვის ჩემი ადგილი მინდობდა მქონოდა, არასდროს არავისთვის მიმიბაძავს. მერჩია, ვყოფილიყავი ისეთი როგორც ვარ...

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ძალიან მომთმენი ვარ... ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, ხომ თქმულა...

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას...

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— რომელი ერთი ჩამოვთვალო, ბევრი ნაკლი მაქვს...

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— იხ.პასუხი მესამე კითხვაზე...

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— რაც დამემართა — ერთადერთი შვილი დავკარგე... ამაზე მეტი უბედურება რაღა გინდა?



— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ცოტათი უფრო აქტიური.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ცისფერი და თეთრი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ყველა ყვავილი მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებით — მინდვრის პანანინა ყვავილები...

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მერცხალი, ბელურა, მტრედი... ყოველ დილით რომ მიკაკუნებენ ფანჯრის რაფაზე და პურის ნამცეცებს რომ ვუყვრით მე და ჩემი მეუღლე...

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— დავით კლდიაშვილი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ანა კალანდაძე. გალაკტიონი, ის იმდენად დიდია, რომ მისი ხმამაღლა კითხვაც კი მაშინებს...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ასეთი ბევრია, ახლა კონკრეტულად არ მაგონდება რომელიმე... ალბათ, ყველაზე მეტად, მაინც, ემილ ზოლას ტერეზა რაკენი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— თუკი მართლაც ისეთი იყვნენ, როგორც ისტორიამ შემოინახა, მაშინ — მაია წყნეთელი და თინა ვაშლოვანი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მარგარეტ ტეტჩერი — რკინის ლედი.

— საყვარელი სახელები?

— ელენე და გიული...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიცრუეს და ორპირობას... სიცრუე და ორპირობა, ავნებს სულსა, მერმე ხორცსა!

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ყველა მოლაღატე მეზიზღება.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— ალბათ ბევრი საომარი მოქმედებაა ალტაცების ღირსი...

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია...

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ეჰ, ძალიან ბევრი რამის ნიჭი მინდა მქონდეს, მაგრამ...

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მძინარე, ლოგინში...

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მხნედ ვარ...

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ....

— თქვენი დევიზი?

— აკეთე სიკეთე!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ძალიან კარგად იცხოვრე!!!

ფრანსისკო უმბრალი

ზეიმები

იტყვიან ხოლმე, ესპანეთი ბრწყინვალე, მდიდრული და კრძალვების ქვეყანააო, მე კი დავძენდი, ბრწყინვალე და მდიდრული ნათლობებისა და ქორწილების მოყვარული ხალხის ქვეყანაცაა-მეთქი. ერთი სიტყვით, ესპანეთი არის კიდევ ზეიმებისა და დღესასწაულთა ქვეყანა, ოღონდ ზეიმების ქვეყანა რაღაც სხვასაც უნდა გულისხმობდეს, ვიდრე განვითარებულ ქვეყანას.

სანტიაგოს — სახელოვან ფილოსოფოსს — უთქვამს: „ამ ქვეყნად მთელი ჩვენი ცხოვრება ვთამაშობთ თეატრში, რომელიც სულაც არა ჰგავს თეატრსო“, — ისე მომწონს მისი ეს სიტყვები, რომ სულ ვიმეორებ ჩემთვის, გულში. მართალი ითქვას, ჩვენ, ესპანელები ვცხოვრობთ კიდევ ზეიმებითა და დღესასწაულებით ქვეყანაში, რომელსაც სინამდვილეში საზეიმოდ არც მიზეზი აქვს და არც საბაბი. მაგრამ ესპანელი ხომ ბავშვობიდანვე სიკვდილსაც კი ზეიმად აღიქვამს, ოღონდ ძაძებით შემოსილ ზეიმად; ხოლო ნათლობა, ქორწილი, წლისთავები, დაბადების დღეები და საერთოდ მთელი ჩვენი ცხოვრება ერთი დაუსრულებელი დღესასწაულია, თანაც ეს ჩვენი წუთისოფელი ისეა გაჯერებული ათასგვარი რიტუალითა და ცერემონიით, რომ ბოლოს და ბოლოს ვრწმუნდებით, თითქოს მართლა ზეიმებით ვსულდგმულვართ; მაშინ კვირა დღეებიც ჩვეულებრივად, საზეიმოდ უნდა აღინიშნებოდეს, რაღა გვეთქმის რელიგიურ დღესასწაულებსა და ჩვენ კალენდარში წმინდანთა სახელების თარიღებზე; ისე გამოდის, რომ მთელი ჩვენი წუთისოფელი დღესასწაულებში უნდა გავლიყო. ახლა გერმანელებისაც ვთქვათ, ისინი ხომ სულ ორშაბათიდან ორშაბათამდე ცხოვრობენ, მათი ნამდვილი ცხოვრებაც, ანუ შრომა-გარჯაც ორშაბათიდან იწყება და ერთი სული აქვთ, ვიდრე ეს დღე დადგებოდეს. ესპანელები კი ამ დროს უქმი დღეების მოლოდინითა და უკვე ჩავლილ დღესასწაულთა ნატვრითა და მოგონებებით საზრდოობენ.

კვირა დღე ხომ ნამდვილი ესპანური დღეა. მერედა რარიგ გვიყვარს ჩვენი ბავშვების მორთვა-მოკაზმვა და საერთოდ ცხოვრების გალამაზება, ყველაფრის აღნიშვნა თუ რამ აღსანიშნავია, ვთქვათ, თუნდაც ოჯახური პურ-მარილის გაშლა და მეგობრებისა თუ მეზობლების მოპატიუება-გამასპინძლება, ესეც ხომ პატარა დღესასწაულია.

ჩვენი ხალხისთვის ასეთი დღეებიც გულისამაჩუყებელია და ამას ხელისუფალნიც კარგად ხვდებიან, ამიტომაც არის, რომ ქვეყანასაც ზეიმების ყიფნაზე მართავენ. ახლა ისიც გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ ხალხს დემოკრატიაც თავისებურად ესმის და დასკვნებიც თავისებურად, განსხვავებულად გამოაქვს; ვთქვათ, თუნდაც ის, რომ დემოკრატის ყველაზე თავგამოდებული თუ გონებაშეზღუდული მოწინააღმდეგენი ჯერაც ვერ მიმხვდარან, რა სარგებელი შეიძლება ნახონ, ან რას გამორჩენენ ამ ყბადაღებულ დემოკრატიათ. კაცმა რომ თქვას, ეს დემოკრატია დიდი პროზაული რამაა და არც საზეიმო-სადღესასწაულო აქვს რამე, ესპანელები კი სულ დღესასწაულთა ნატვრითა და მოლოდინით არსებობენ. რესპუბლიკის პრეზიდენტები ის სენიორები ბრძანდებიან, სულ პიჯაკებში გამონწყობილი რომ დასეირნობენ. აბა ახლა ჩვენ გვკითხონ, რას ნიშნავს ჩვენთვის პიჯაკი! არაფერს! ჩვენ მარტო ერთი საზომით ვზომავთ ყველაფერს და ეს საზომია ზეიმი! ჩვენ, ესპანელებს ვერავინ შეგვაგონებს, ვითომ ერი არც „გემია“, არც „ბასრი შუბი“, არც „სინათლის სხივი“ და არც ხომალდი, ტალღებს რომ მიაპობს, არამედ ეს სულ უბრალო რამაა, დიახ, ერთი დიდი მეურნეობაა და მისი პრეზიდენტიც შესაბამისად ის ადამიანია, ვისაც ამ მეურ-

ნეობაზე პასუხისმგებლობა აკისრია. ეს კი ჩვენთვის მართლაც გონებაში უნდა დომელია.

ესპანეთში ცხოვრება ერთიანად საზეიმოდაა მორთულ-მოკაზმული; ისევე, როგორც ინგლისელთათვის დამახასიათებელია დემოკრატის გრძობა, ფრანგებისთვის — ლიტერატურისა, ჩვენ, ესპანელები კი გამოვიჩვევით საზეიმო-სადღესასწაულო გრძობით.



ვთქვათ, თუნდაც პირველი ზიარება, თუ სხვა

ქვეყნებში ეს ბავშვის შინაგან სამყაროს ეხება და ამდენად ოჯახურ, ინტიმურ გარემოშიც აღინიშნება, ჩვენ, ესპანელები ამასაც საზეიმოდ დღედ გადავაცქევთ ხოლმე; წინათ, როცა ხალხს სხვას ვერაფერს სთავაზობდნენ, ათასგვარი ზეიმითა და დღესასწაულით ართობდნენ და ასაზრდოებდნენ; ჩვენი ხელისუფალნი და საერთოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავიანთი ძალაუფლებითა და მთელი ავლადიდებით პირდაპირ ხალხის საჩვენებლად გამოეფინებოდნენ ხოლმე, სწორედ ეს იყო ნამდვილი ესპანური დემოკრატის თავისებური საზღაური. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხალხი სახელმწიფო ცხოვრებაშიც მონაწილეობდა იმ დროს, როცა მაღალი წრეების კეთილდღეობასა და ფუფუნებას საკუთარი თვალთ ხედავდა, სულ არაფერს ესეც ერჩივნა. ზოგიერთ ქვეყანაში მდიდრები თავიანთ ქონებას მაღავენ ცნობისმოყვარეთა თვალთაგან; მაგალითად, ლონდონის სოჰოს ღარიბებს იმის შესაძლებლობაც არა აქვთ, შორიდან მაინც დაინახონ, როგორ მიირთმევენ ლედი ჩაის, ჩვენში კი არისტოკრატია ქალბატონები უბრალოზე უბრალო კაფეებსა თუ სასაზუმეებში პირდაპირ ხალხის თვალწინ სვამენ და ჭამენ. ასეა თუ ისე, ეგებ ჩვენ არცთუ ისე დემოკრატულად ვცხოვრობდეთ, მაგრამ ჩვენ ნებასა და სურვილზე ხომ მაინც ვცხოვრობთ. ესპანურ ელიტას ყოველთვის უყვარდა ხალხთან ახლოს ყოფნა. ისიც უთქვამთ, ისაბელ კათოლიკემ ხალხის წინაშე დაიფიცა, გრანადაში ფეხს არ შეეცდამა და არც საცვალს გამოვიცვლი, ვიდრე ანდალუსიის მიწაზე ერთი არაბი მაინც დარჩებაო. განა ამ სიტყვებში მთელი ფილოსოფია არ იგულისხმება? ანდა ის, რომ ჭერცოვინია ალბა მადრიდში კორიდას სწორედ ისე გახსნის ხოლმე (ცხენზე ამხედრებულს, როგორც ფრანსისკო ელიას ესტამპებზეა გამოსახული. ესპანელი მდიდრები ყველაზე სანიმუშო მდიდრები არიან მთელ დუნიაზე; ისინი არასდროს ემალებიან ხალხს თავიანთ ევროპულ თანამოძმეთაგან განსხვავებით, რომლებიც მალულ-ფარულად მოგზაურობენ საკუთარი იახტებით, ხან საბერძნეთში, ხან საკუთარ კუნძულებზე იმალებიან, ხან ვინ იცის, კიდევ სად ამოყოფენ თავს, თანაც მუქმუშებიანი სათვალთაც რომ ინიღბებიან! ჩვენმა მდიდრებმა კი დააგროვეს დიდძალი ქონება, მაგრამ ხალხის დასახად ხომ მაინც ხარჯავენ; მათ კარგად მოესხენებათ ჩვენი ცნობისმოყვარეობის ამბავი და კიდევ ცდილობენ დააკმაყოფილონ ჩვენი ცნობისნადილი, ჩვენთვის კი ესეც საკმარისია. ესპანეთში რომელიმე ბობოლას ჩუმჩუმად რომ დაეწყო თავისი მონაგარის ფლანგვა, ამას არავინ მოუწონებდა. ყველას კარგად მოესხენება, როგორ გვძულს წუნურაქები, ისეთები ოქროს მონეტებს წინდებში რომ ჩურთავენ. მაგრამ ისეთი მემამულეებიც ხომ არიან, ყველას დასახად რომ აწივებენ თავიანთ დოვლათს, თა-



ნაც ისე, რომ არაბული ბედაურიდანაც არ ჩამოხდებიან; ეს მითუმეტეს ანდალუსიელებს ეფონებათ გულზე და მდაბიორებსაც ეამაყებათ. ჩვენ ხალხს, რაკი სათანადო პოლიტიკური ცოდნა არ მიუღია, ასეთი სანახაობა მეტისმეტად ამებს და კიდევ აკვირვებს ფუფუნებისა და სისადავის ესოდენ უცნაური შერწყმა.

„მთავარია მონანილეობა!“ — ასე განაცხადა ბარონმა დე კუბერტენმა, ოლიმპიური თამაშების მესვეურმა, და ჩვენი ხალხიც მონანილეობს, ოღონდ თვალი მაინც რჩება, მაღალი წრის ქორნილებსა თუ დაკრძალვებს რომ შეესწრება ხოლმე. მაგრამ დრო და დრო, როცა პოლიტიკური დონე ცოტა მაინც ამაღლდება, ანდა თუ ცხოვრება მართლა გაუსაძლისი ხდება, ხალხსაც ბეზრდება შორიდან მაყურებლად დარჩენა და უკვე ნამდვილად მონანილეობის სურვილიც უჩნდება. როცა წლობით ხალხს მდიდრული სანახაობებით, ზეიმებითა და ცერემონიებით ასაზრდოებდნენ, მაშინ ის მაინც შეეძლოთ, რომ შორიდან შეეფასებინათ რომელიმე მარკიზას ყელსაბამი, ან წმინდა ქალწული მაკარენას ძვირფასი სამკაულები და ამითაც კმაყოფილები ყოფილიყვნენ.

ესპანეთში ქონება არც არასდროს გაუნანილებით სამართლიანად, მაგრამ ამის საზღაური თუ სამაგიერო ის იყო, რომ მათთვის არასოდეს არაფერი ყოფილა დაფარული. დოვლათის სამართლიანად თუ უსამართლოდ განანილებას ან სიმდიდრის საქვეყნოდ გამოშვებებს შორის არჩევანისა თუ შეფასების უფლება ხალხს ჰქონდა და მაინც სულ მეორეს ირჩევდა. მაგრამ ამავე დროს იმის სურვილიც ჰქონდა, სცოდნოდა ზუსტად რამდენი ჯიშინი ცხენი ჰყავდა სენიორა მარკიზას, მარამ როცა სენიორ მარკიზი მთელი თავისი ჯვალაბით ხალხის დასანახად სეირნობდა, მაშინ შეეძლო დაეთვალა მისი ბედაურებიცა და შვილიშვილებიც, ხოლო რაკი საქმის ვითარებაში გაერკვეოდა, ზუსტი ციფრები აღარ ანუხებდა და: ესეც საკმარისიაო, ფიქრობდა. დასამშვიდებლად მისთვის ესეც კმაროდა.

სწორედ ესპანურ ტრადიციას შეესაბამებოდა ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება — გამოექვეყნებინა ცნობები მდიდარი ოჯახებიდან აღებული გადასახადის ჯამი. ახლა გაზეთს რომ გავშლით, უკვე ვიცით, რა ხელგამლილობა გამოიჩინა ესპანეთის მატადორმა კორდობესმა, ან დონ პირამიდონმა რამდენი შესძინა ქვეყნის ხაზინას; სწორედ ეს უშუალო მონანილეობა იგულისხმებოდა, ხალხი რომ მოითხოვდა და გაახალისებდა კიდევ. ზეიმებისა თუ დღესასწაულთა ასეთი სიჭარბე ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაში თითქოს ერთგვარი დათმობაც იყო მათი მხრიდან, ვინც მაღლა იდგა იმათ მიმართ, ვინც დაბლა რჩებოდა, და თავისებურ სპექტაკლს კი ემსგავსებოდა, რომელშიც მონანილეობდნენ მდიდრები და ძლიერნი ამა ქვეყნისანიც, წვრილი მემამულეებითა და მოსამსახურეებით გააჭაფედილი ქანდარის წინაშე. თუ სპექტაკლი კარგად დადგმული იქნებოდა და თან ტექსტიც ჰქონდათ დაზუპირებული მაღალი წრის „მსახიობებს“, ქანდარას ეს სანახაობა კიდევ მოეწონებოდა.

**ესპანურიდან თარგმნა  
სოფო ფიქაროვიძემ**

მარინა ივანიშვილი

# სინქრონული ზრენა

ვუძღვნი დედაჩემს ო. კონიაშვილს

იჯდა. ხელები — საჭეზე. ღუმელი — ჩართული. სხვა ტაქსებისგან მოშორებით. მგზავრის მოლოდინში.

გიორგი — როგორც ყოველი მეოთხე საქართველოში. სკოლაში შატალოზე, კინოთეატრში. ფილმი გარი კუპერის მონანილეობით. გამოსვლისას ვილაცამ — ბიჭო, კუპეს როგორ გავხარო!

იმ დღიდან — გარი. მორღანიძე — მეკობრე მორღანების შთამომავალი ვარო — შაყი-რობდა.

უფრო ის აინტერესებდათ, მილიონერი მორღანები შენი ვინ არიან? პასუხობდა — ნათესავები. ბაბუაჩემს მიმონერა ჰქონდა. ეპატიუებოდნენ. წასვლაც კი გადაეწყვიტა. მერე, რევოლუციის შემდეგ, შეშინდა — დამიჭერენო და ურთიერთობა შეწყვიტა.

ინტერესი ქრებოდა. გარი მორღანიძე. პროფესია — კინოოპერატორი. ამჯერად — ტაქსისტი.

იმათ, იქით, კაპოტსმიყუდებულებს, სალაპარაკო არ ელეოდათ. ღვინო. ქალები. კარბიურატორები.

ეგონათ — თვლემდა. ის კი...

მძიმედ დაშვებულ ქუთუთოებზე... ფილმებს უყურებდა. მისი ოპერატორობით, მისივე სცენარებით ნიჭიერ რეჟისორებთან, მხატვრებთან, მსახიობებთან, კომპოზიტორებთან ერთად გადაღებულ ფილმებს, რომლებსაც უკვე აღარავინ გადაიღებდა.

უყურებდა მარტო, ცარიელ დარბაზში.

ბევრ რეჟისორთან უმუშავია. სად არ უთრევია მძიმე კინოკამერა. მერე ვიდეო შემოვიდა. ათვისა. დროს ნაბიჯი მაინც ვერ აუნყო. ვერ შეეგუა. ფირი უყვარდა. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც დაანება თავი ოპერატორობას, ეს იყო.

როცა ჩეჩნეთის ამბები დაიწყო, პირველები გავარდნენ მეგობარ რეჟისორთან ერთად.

რეპორტაჟი მოვლენათა ეპიცენტრიდან. ტყვიანარღვნაში, ნანვიმარზე, მოსრიალდა. კამერა ჩაიხუტა, გადაეფარა, გადაარჩინა.

ტანკმა ტერფზე გადაუარა. რეჟისორმა გამოათრია. ტერფი მოკვეთეს. მერე ამბობდნენ, ამპუტაცია აუცილებელი არ იყოო. საველე ჰოსპიტალში ვის ეცალა ფეხის გადასარჩენად.

სენსაციური რეპორტაჟი ცეცხლნაკიდებულ მანქანაში დარჩა. სიკვდილს გამოასწრეს.

საავადმყოფო, ყავარჯენები... იქამდე იხტიბარს არ იტეხდა. ბიჭობდა, ჩოგბურთს თამაშობდა. აუზი. იპოდრომი.

ჩეჩნეთის მერე მოეშვა. ღიპი არ დადებია. პრესი მოუდუნდა. შინაგანად მოტყდა. მძაფრად იგრძნო — მალე ორმოცდაათი უსრულდებოდა. ცოლიც გრძნობდა.

უტერფოდ... პროტეზს მოხერხებულად ხმარობდა. ვერ ამჩნევდნენ. მაგრამ... მანქანაში, საჭესთან... სრულფასოვანი, დაცული იყო. პირველი მიზეზი.

სიტყვა „მამაკაცობაზე“. ტვინი არასოდეს უწყელტია. თავისთვად გაპირობებული ფუნქცია იყო.

ერთხელ... ფოტოგამოფენაზე. ჩეჩნეთი.

გვამების სიმრავლე საშინელების აღქმას აჩლუნგებდა. დაბლაგვებული მზერა გულგრილად მიჰყვებოდა კედლებს.

\* ფრაგმენტები რომანიდან

დავიბადე 1952 წელს და ვცხოვრობ თბილისში. ვსწავლობდი სკოლაში, აკადემიაში, ოჯახში. მფარველობენ გველემშაპი და კურო... წარმოვადგენ ხანგრძლივი სელექციის შედეგს, გენების არცთუ ტიპურ კომბინაციას ან რეინკარნაციას — ნებით უფლისა. ინსტალირებული ვარ ძნელად კენჭადი მოდელის სახით... ერთი ჩემი წინაპარი ამბობდა: აზროვნება — ჩემი პროფესიაა... ასევე — ჩემი ც. ალბათ. მიყვარს ძაღლები, კატები, ცხენები, საერთოდ — ცხოველები და ზოგიერთი ადამიანი... რეალობასთან დამოკიდებულება — დადებითი. რეალობასთან ურთიერთობა — ლადაობითი. აქედან — ილადავთ ჩემთან ერთად!

ვიბეჭდებოდი — „სპექტრში“, „ომეგაში“, „ახალ ეპოქაში“, „დილის გაზეთში“, „მერიდიანში“. პერსონალური გამოფენები, როგორც მოქანდაკის: **Frauenkulturherbst**. ჰამბურგი, 1991; საჯარო ბიბლიოთეკა, თბილისი, 1997; „ორიენტი“, თბილისი, 1999; 1978 წლიდან მიღებული მამაკაც მონანილეობა ასორმოცდაათ გამოფენაში. შეგიძლიათ მიხილოთ ინტერნეტში: **www.art.ge**, **Google**-ში, **Facebook**-ში კულტურის სამინისტროს საიტზე, **Art Caucasus-2005**, „ინფორმაცია გაცნობიერებისათვის“ 2011, გალერეა „კოპალა“.



კუთხეში, მარჯვნივ — შემლილი, ცხოველურ შიშად ქცეული თვალები. თვალი ვერ გაუსწორა.

მარცხნივ — თითებგაპარჭყული ტერფები. სიღრმეში — აშვერილი ნიკაპი, ტალახშემხმარი წვერით.

შავ ჩარჩოში მოქცეული სივრცე — გამჭვირვალე ყუთი.

დიაგონალი — გახევებული, შიშველი გვამი. მაგიდაზე.

ცენტრში — ასო.

დაკრუნჩხული ხელის ცერს ჰგავდა.

გვამთა სიმრავლეზე უფრო მკვდარი. მკვდარი მამაკაცობა.

როცა ოჯახში განაცხადა, ტაქსაობას ვაპირებო, ყველანი აღშფოთდნენ.

სამაგისო არაფერი უჭირდათ.

ცოლი, ინგლისურის სპეციალისტი, თარჯიმანი, გვერდით სადარბაზოში ამერიკელებს სახლს ულაგებდა.

ბიჭები — თეატრალურში სწავლობდნენ, ფულსაც შოულობდნენ. საზიარო „აუდი“ ჰყავდათ, ინგლისურიც იცოდნენ და სეზონურად უცხოელებს დაჰყვებოდნენ რეგიონებში.

ხშირად უფიქრია — ბიჭები ქუჩამ, ცოლის ინტელექტმა და ძველი წიგნებით სავსე სამმა კარადამ გაზარდა.

ისინიც აცხადებდნენ — ჩვენ ზომიერი WOLF-ები ვართო და ორ ხმაში აყოლებდნენ ხოლმე — აგერაც დავიზარდებით მტკვარზე ლეკვები მგლისანი.

საქციელი არ ეშლებოდათ. არავისთან. არც სახლში, არც ქუჩაში... არც უცხოელებთან.

აღშფოთების საპასუხოდ, ოჯახში ახლობელთა წრეში მომხდარი ამბავი მოჰყვა, აცინა.

ნაცნობს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, როცა გაუჭირდა, ცოლი შეუწინა, უცხოურ ფირმაში მძღოლის ადგილი უშოვა. კაცი უარზე იდგა, შოფრებში რა მინდაო. მაინც წავიდა.

სალამოს ბედნიერი დაბრუნდა — ინტელექტუალურ ელიტაში მოვხვდიო. კანდიდატი მარტო მე ვარ, დანარჩენები — დოქტორებიო.

გარემ თავისი გაიტანა. ნაცნობიც ნახეს. ტაქსო-ამქარში განვერიანდა.

იცოდა, რაც ქნა — პიროვნების დეგრადაცია იყო.

ერთხელ, ბაზრობაზე... ნაცნობი არქიტექტორი თურქულ მწვადს მარჯვედ თლიდა. ერთმანეთს თვალი აარიდეს.

რაც ტაქსაობა დაიწყო, ქალაქი შეისწავლა.

ბევრი ქუჩა არც კი სმენია. უბანიც კი.

მგზავრების საუბრები... რას არ გაიგებდა. გაზეთში რომ ვერ წაიკითხავ, ეკრანზე ვერ ნახავ, რადიოთი ვერ მოისმენ!

გაზეთებს არ კითხულობდა, ტელევიზორს შემთხვევით თუ შერჩებოდა ბიჭების ოთახში.

გასული შემოდგომის მძვინვარე ამბებიდან ერთი ეპიზოდი დაამახსოვრდა.

ეკრანზე — ჟურნალისტი გოგონა. მხარზე ჩანთით, ხელში — მიკროფონით. რეპორტაჟი ცხელი წერტილიდან. ბიჭბუჭობა კადრში ეტენება, ეკრანზე გამოჩენა რომ ჩაეთვალთ. ჩნდებიან, ქრებიან.

უცებ — პატარა ბიჭი. დიდყურა. ნაწვეტებული ცხვირი და მზერა გოგონას ჩანთაში, მიზანდასახულად. არც იცის, რომ კადრშია.

უზილავმა ხელმა ბიჭი კადრიდან გაათრია.

მთელი მოვლენა ერთ კადრში, მონტაჟის გარეშე. პროფესიონალის თვალთ — ტრიუმფი.

შემჩნეული ჰქონდა, ნასვამები, არყის ბოთლებით ხელში, ძირითადად „ტრიუმფით“ აგრძელებდნენ და აგვირგვინებდნენ. ტრიუმფის შეგრძნება...

ერთხელ კინდლში... დილით შეცურა. ლასტებით. ზურგზე ცურავდა.

ჯერ პლიაჟი მიეფარა ჰორიზონტს. მერე — ევკალიპტები. დრო გაქრა.

მზე ჩადიოდა. მიხვდა, ნაპირი საით უნდა ყოფილიყო.

დინებას სოხუმისაკენ მიჰყავდა, მანძილს აკარგვინებდა. ჩამავალ მზესთან — დასწრებაზე. თუ ვერ დაასწრებდა. რალაცას დაეჯახა... ამხანაგი ლეიბით.

შენ აქ რა გინდა? — ააყრავა, ცურვა განაგრძო.

ზღვასთან პირისპირ — ამპარტავნად.

ტალღამ ნაპირის ქვებზე აასრიალა. წამოჯდა. ლასტებს იძრობდა.

ზურგსუკან — ტაში. არც მიუხედავს.

მზემ ჩაყვინთა.

მხრებზე — პირსახოცის შეხება.

ამხანაგი ბიჭი თავს ადგა...

— დებილო, ტაშს შენ გიკრავენ, მიიხედე მაინც, ხელი დაუქნიე. მთელი პლაჟი შენ გგულშემატკივრობდა — ცხრა საათი წყალში, ჰორიზონტის იქით. შენ რა, თურქეთში ითესებოდი?

ადგა, ხელი ასწია. დაუქნია... არც არავის, უმისამართოდ. ბილიკს შეუყვინენ. ჩამონოლილ სიბნელეში შემხვედრი ადამიანები გზას უთმობდნენ.

ნეკნების შიგნით რალაც გაჩნდა, გაიბერა, ბეჭებს მიაწვა, მხრებში გაშალა...

ტრიუმფის შეგრძნება.

ტრიუმფატორი იყო.

სახლში — ღვინო „ჰერეთი“ და დაფნის გვირგვინი.

ბიჭები დილით წავიდნენ.

შუადღეზე... მიყრუებული ნაპირი. ცარიელი. კამკამა წყალი. ნილბით, მარტო. ფსკერზე წყალმცენარეები, თევზები.

სხეულით იგრძნო — თავს გაგივიდა, ნულარ მეთამაშები, ბევრი გითმინე თავხედობა. დაახვიე! — ეუბნებოდა ზღვა გონიერი.

დაემორჩილა.

სველი პირსახოცი — ჩანთაში.

ბინის გასაღები — ბოძის ლურსმანზე.

დიასახლისს არც დაემშვიდობა, მატარებელს აახტა.  
შავ ზღვაზე მეთი აღარ ყოფილა.  
მერე ჩერნობილი... რამდენიმე წლის შემდეგ კი — სოხუმი.  
აფხაზეთი ენგურს გაღმა.  
ეს უკვე მერე.

ინსტიტუტი რომ დაამთავრა, წლისთავზე, ცოლი მოიყვანა.  
ქორწილი არ გადაუხდიათ. პირდაპირ — სამოგზაუროდ.  
იქამდე... მერე კურსიდან... ქალი. კინოს მხატვარი. იმ  
ქალთან ცხოვრობდა. მის სახლში. დიპლომი რომ დაიცვა, და-  
შორდნენ.  
გარი მიხვდა, რომ ის თავის დამოუკიდებლობას არ დათ-  
მოებდა. დაშორება დაასწრო.  
მოხერხებულად „ჩაჯდა“ მოსახვევში. ცოლად მოიყვანა  
გოგო, რომელიც მოსწონდა... იმასაც.  
სიყვარული კი მოსახვევს იქით დარჩა. უნდა შელეოდა. შე-  
ელა კიდევ. წყნარი, ჩვეულებრივი ცხოვრება აირჩია. დალა-  
გებულა.  
ერთმანეთს კარგად ეწყობოდნენ. უკონფლიქტოდ.  
იზრდებოდნენ ბიჭები.  
ოჯახი, გადაღებები.  
ოთხმოციანების ბოლოს სამუშაოდ კენიაში. ოჯახით.

პერესტროიკა. გადაშენება — სიტყვა-სიტყვით.  
მონსტრმა რყევა დაიწყო. გაირღვა კიდევ.  
ისტორიული ტელე-ხიდი ამერიკასთან.  
თურმე, საბჭოეთში — **Сексу нету!**  
საკონტინენტთაშორისო ხარხარი.  
სულ ორი სიტყვით ისტორიაში ადგილი დაიმკვიდრა!  
ტელეხიდის ათი წლისთავზე ის ქალი მოუძებნიათ ჟურნა-  
ლისტებს.  
— ეს რა მიყავითო, გამაუბედურეთო, სამსახური დამაკარ-  
გვინეთო, სხვა ქალაქში გადავსახლდითო, იქაც არ მომასვენესო.  
აღმოჩნდა — საბჭოთა კავშირში სექსი ტელევიზიაში არ  
არისო — უნდა ეთქვა.  
ვინ აცალა!  
ოთხმოცდაათიანების დასაწყისში გადასაღები ბევრი იყო  
— სოფელ-ქალაქში.  
ცენტრმორყეული, დაცენტრილი ტყვიების წუილი. სმენა  
— სროლას შეჩვეული.  
ახალი წლის ღამეს, ქალაქის თავზე წითელ-მწვანე „ტრა-  
სირების“ ბადე.  
რომელიღაც სოფლის საბჭოს ბრძნული გადაწყვეტილება  
— ტრაქტორის მაგივრად — **БТР**-ი. თავისდასაცვად და... მინ-  
დვრის სახნავად.  
**BMW** და **БТР** — ყველაზე პოპულარული ტრანსპორტი.  
ლტოლვილები და პურის რიგები.  
ეზოში, კოცონთან — ბავშვები.  
რატომღაც მივიდა... პარკით **AKC**-ის ტყვიები. კოცონში  
ყრიდნენ.  
ცეცხლი მიფანტ-მოფანტა ფეხით.  
პარკი ტყვიებით — შერჩა.

გარშემო ზოგი ფულს შოულობდა, ზოგი — სხვის ნაშრომს  
ითვლიდა.  
პურის მაღაზიაში, ვიღაც ქალი ხალხს მიმართავდა — ის, ჩემი  
მეზობელი, თავის ძაღლებს რა ფულით აჭმევს თუ პატიოსანიაო?!  
ხელში რვეული ეჭირა. შიგნით ნაცნობ-უცნობის ქონება  
ჰქონდა აღნუსხული.  
ზოგი პატიოსნების ბაირაღებს აფრიალებდა, ზოგიც  
მშოვნელებს წველიდა, შეძლებისდაგვარად.  
ერთი ნაცნობი შეხვდა გარის. ბავშვობაში ჩაგრავენდნენ. მე-  
რე ბევრი იშოვა.

სიმთვრალეში გამოუტყდა გარის: ბევრი მოდის, ბევრსაც  
ვაძლევ. ზოგს კეთილი ვგონივარ, ზოგს — იდიოტი. მე კი გა-  
მოუსწორებელი მიზანთრობი ვარ, მიხარია, თავმოყვარეობას  
ვუღახავო.  
ცდებოდა. ვინც მიდიოდა, თავმოყვარეობა არ გააჩნდათ,  
უხაროდ, ვანერეთო.  
**O, money, money!**

ჩეჩნეთის მერე, იმ რეჟისორთან გააგრძელა მუშაობა, რო-  
მელმაც ბრძოლიდან დაჭრილი გამოიყვანა.  
სტუდენტობიდან მეგობრობდნენ... ტრადიციული ოჯახი-  
დან იყო. „ძლიერი“ სანათესაო კლანით. ბევრიც — ვაჭრობაში.  
დედა, დიპლომით ეკონომისტი, საქმიანობით — მზარეუ-  
ლი რესტორანში, მონოდებით — მახვში.  
არც შვილის პროფესია მოსწონდა, არც მისი უფულო, ინ-  
ტელიგენტი მეგობრები. გარი განსაკუთრებით.  
გადაღებებზე გაუგებრობა მოხდა. გარი მეგობართან გა-  
სარკვევად მივიდა.  
სანათესაო საქეიფოდ ეწყობოდა — სანტექნიკი რომ მო-  
სულიყო, იმასაც რომ პატიუბენ ხოლმე.  
მეგობარმა ნაილულულა — დარჩი, კარგი თოხლები იქ-  
ნებაო.  
გარი არ დარჩა. იმის თქმაც არ დასჭირვებია — უკაცრა-  
ვად, მეჩქარებაო.  
სუფრას ისე ჩაუარა, ხმა არავის ამოუღია.  
მეგობრის დედამ გამარჯვებული მზერა გამოაყოლა.  
მერე დღეს, კინოსტუდიაში. ვერ მოითმინა. ჩეჩნეთში კა-  
ცი იყავი, ამათ როგორ დაგაჩმორეს. შენგან ვიცი, გუშინ ვინც  
იყო, ყველას სათითაოდ შენთან ნაჭამი აქვთ, გითქვამს —  
სახლში შემოსაშვები არ არიანო!  
პასუხად — როცა ამათგან ხუთის ვალი გაქვს — ათ-ათი  
ათასი დოლარი...  
აქ უკვე გარემო აიწყვიტა — ათას-ათასებთან ვერ მოვა,  
მაგრამ ჩემი ვალიც გაქვს. იცი, რომ არ მოგთხოვ. მთავარი  
სხვაა — მახვში-მზარეული არ მღებულობს. კლასობრივ  
ბრძოლაში გამარჯვება მიულოცე, ჩემს მაგივრად. გზააბნეუ-  
ლი ბიჭი დაგაბრუნა კლანში.  
წესით უნდა დაერტყა. დუმილი იყო პასუხად და... დაკარგვა.  
კიდევ ერთი მიზეზი.

ერთმა... ბავშვობაში ეზოში ფეხბურთს თამაშობდნენ  
ხოლმე. ჟურნალში ფლორიდის დელფინარიუმი ნახა. გააფრი-  
ნა — მინდაო.  
იქ ვერ წავიდოდა. სააბაზანოში — ვერ მოაწყობდა.  
შუშაბანდში, გალიაში თეთრი თავგები მოამრავლა. „წრუ-  
წუნარიუმი“ დაარქვა.  
გზადაგზა — ყიდდა.  
მერე ცოლი მოიყვანა, ცოლს კატა ჰყავდა... თან წამოიყვა-  
ნა.

ნაცნობის ბავშვებს ტილები გაუჩნდათ... საჩქაროდ ფუ-  
ლის შეგროვება დაიწყეს... მიკროსკოპის საყიდლად... თვა-  
ლებში უნდა ჩაეხედოთ ტილებსო.  
ომი რომ დაიწყო გარის უფროსი ბიჭი ავად გახდა. იწვა.  
კითხულობდა. ორი კვირის განმავლობაში მისთვის არავის  
დაურეკავს. ერთ საღამოს...  
— მამა, რა ცუდია არა, არავის რომ არ სჭირდება, სანამ არ  
დასჭირდება?  
უარესი — ამას თერთმეტი წლის ბავშვი ამბობდა...  
ისე კი... მოდიან, როცა სჭირდება, როცა გჭირდებათ —  
მიდიან.  
მარტოს გტოვებენ... შენი მარტო ყოფნის სურვილი კი  
ალამფოთებთ.

ცოტა ხნის წინ გაიგო, ჯინსების თაობას ეკუთვნოდა. სამოციანების ბოლო. ჯინსები — ეკრანზე. „შესანიშნავი შვიდეული“. ვილაცხების საჯდომებზე. უცხოელი ტურისტები. უცხოპლანეტელები. სხვა ცივილიზაციას ნაზიარებნი. ჯინსები — ოცნება!

იქამდე — გვახარეს, რომ კომუნიზმი 80 წელს უნდა მოვლენილიყო... ვადაზე ადრე, როგორც ყველაფერი ტოტალური ენთუზიაზმის სამყაროში.

მეზობლად სოციალიზმი შენდებოდა.

კომუნიზმის მშენებლები კი შავ აგურებს ხრავდნენ.

კულტურის სფეროში, „ვეფხისტყაოსანი“, დაიჯესტი — ჯიბის ფორმატის. შ. რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის აღსანიშნავად. საიუბილეოდ.

უფრო ადრე — ზოობარკის ბინადარი ბეჰემოთი. ჯერ აუზში. წყალდიდობისას — სახინკლეში. მერე — ხინკალში. რკინის ფარდა კი ფართხალბედა. ალაგ-ალაგ ირღვეოდა კიდევ.

ხვრელებში მუსიკა ჟონავდა. დისკები, კასეტები, შმოტკები. „მუქთახორა“ პოეტები და მხატვრები სასჯელს იხდიდნენ. მომავალი ნობელის პრემიის ლაურეატები ქუჩებს ხვეტდნენ!

დისიდენტები დისიდენტობდნენ. სადღაც **БАН**-ში შენდებოდა. პრესაში ლივერპულელ ხულიგნებს ლანძღავდნენ. ტრიბუნიდან — **Гниет проклятый капитализм!** **А аромат какой!** — დარბაზიდან.

ბარიგებს დასავლური ცივილიზაცია შემოჰქონდათ. მოდიოდნენ ჯინსები. პარტიებად და ცალობით. ჩეკებზე და ბარტერიით... ზოგი ყიდულობდა. ზოგი სხვას ხდიდა.

ლრეობა... გეიდარ ფალავანდიშვილი — ალავერდის გუმბათზე. ჯვარცმა. გამოფიცილ მარმარილოზე — წმინდა გიორგი. გურამ რჩეულიშვილის საფლავი — ვაკის სასაფლაოზე... მყუდროება. ეკრანებზე — „სერენადა“, „ქვევრი“, „ქორწილი“.

ცხოვრებაში ვინ — ეგუებოდა, ვინ — გარბოდა. ვინ — ერგებოდა.

უკვე სამოცდაათიანებში, ერთი ამერიკელი აღფრთოვანებული იყო — რა ჰუმანური ქვეყანააო, ოპერაში, პრემიერაზე, პატიმრები მოყავთო.

ჩაჯინსული პარტიერი. ბომონდი. გარის ბავშვობის მეგობარს ემიგრანტმა ბებია ორი „ჯენერალ მოტორსი“ გამოუგზავნა. უცებ გახდა პოპულარული. ერთი გაუხდელად ეცვა. მეორეს არენდით აძლევდა იმათ, ვისაც ენდობოდა.

ბოლოს მაინც დაანერეს.

ჯინსებს ჰიპობა მოჰყვებოდა. სულიერი ვაკუუმი აღმოსავლური მოძღვრებებით ივსებოდა, ნაბეჭდები ე.წ. **Самиздат**-ი ხელიდან ხელში. დილეთანტური მედიტაციები. თვითმარქვია გურუები.

ბზობაზე — რეიდები. ნათლობის ჯვრების კისრიდან ჩამოგლეჯა. სინდისის თავისუფლების პანორამა.

მოსკოვის ბულდოზერული გამოფენა — ამერიკის ხმაზე. იქ, სადღაც — ვუდსტოკი. **Hear** და **Super Star, Let it be** და „ველური ცხენები“.

აქ — „ბერმუხას“ კონცერტი, გარეუბნის კულტურის სახლში, ლობის პალოებით დარბეული.

„ელფების“ სეზონური ტურნე — შავიზღვისპირეთში. კლუბების ადმინისტრაცია შორტებიან მუსიკოსებს ეჭვით უბღვერდა და რეპერტუარს მკაცრად აკონტროლებდა. ბიჭები „ბითლებს“ უბერავდნენ. დამსვენებლები კი „**От зари, до зари**“-ს ითხოვდნენ. ვისოცკი და მარინა ვლადი. ლეგენდა.

ზაფხულობით, ყირიმში. პრივილეგირებული ინტერნატებიდან გამოქცეული ახალგაზრდობა.

შშ-ში უცხოეთში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობდნენ და უპატრონო შვილებს ხარკს უხდიდნენ მყარ ვალუტაში და... ჯინსებით.

თვალთმაქცობიდან, სიყალბიდან ნარკომანიაში გაქცეულებს!

რომის კატაკომბები — გაუქმებული საქვაბეები.

80 წელს, როცა კომუნიზმის ეპოქის დადგომა მოსკოვის ოლიმპიადით შეიცვალა, ამ ახალგაზრდებს ოლიმპიურმა დათვმა ბაჯბაჯით გადაუარა. ქალაქი განმინდეს... ჰიპებისაგან.

კომკავშირული ლიდერები მუხლებზე გამოწეული შარვალ-კოსტუმებით დადიოდნენ, გემიურ კრებებს, „ლონისძიებებს“ და ყრილობებს ატარებდნენ. პარტიული ლიდერების უნიფორმაზე — ოქროს ლილეებიან კოსტუმებზე, ყვითელ პერანგებსა და წითელ შალსტუხებზე ოცნებობდნენ, სვამდნენ ჩაკეტულ კარებს მიღმა „ადგილკომებში“ და სექს-მოშიებულ მზერებს აყოლებდნენ მორალურად არამდგრადი გოგო-ბიჭების ტაკოებს... ჯინსებშემოტკეცილს.

რექტორატში დადგენილებები ცხვებოდა. მკაცრი. ჯინსების ან იდეოლოგიური დივერსიის აღსაკვეთად.

მსცოვანი პედაგოგები ზოგადად შარვლიან გოგონებს ეომებოდნენ — ლექციებზე არ უშვებდნენ.

კდემამოსილი ქართველი მანდილოსანი არ უნდა... ზნეობადამცავი აკრძალვების უმკაცრესი ნუსხა. ადგილობრივი მოდიფიკაცია.

მთელი უძღვევლი საბჭოთა კავშირი გრძელთმიან, ჯინსიან წვეროსნებს ებრძოდა. განკიცხვით, დრინებითა და იძულებითი გაკრეჩით.

თმა-წვერი მაღიმალ ეზრდებოდათ. მკვდრებით აღმსდგარ მარქს-ენგელსსაც გაკრეჭდნენ, ალბათ...

გალაკტიონსაც მიაყოლებდნენ. გოდება სასონარკვეთილი — ეს რა თაობა მოდის!

ის იდეოლოგია მ...ნ, ჯინსებს, ანუ საჯდომ-სამოსელს, ომს რომ გამოუცხადებს და ნააგებს კიდევაც — ამბობდა გარი.

ბოთლ კონიაკში გაცვლილი **Lee**-თი დადიოდა, სხვენში ნაპოვნი ვეჟილის სერთუკი ეცვა, შავი მაუდის. კისერზე — ქრელი აბრეშუმის შარფი.

რამდენიმეჯერ განყოფილებაში ცემეს — სანამ დაუმტკიცებდა, ფილმში მიღებენო.

იხებებოდა აგურით ძვირად ნაყიდი ჯინსები. იდგებოდა პაროდიული სპექტაკლი... ტრიუკებით. კასკადიორების გარეშე. შეიქმნა ანდერგრაუნდი.

დაირქვა — კონტრკულტურა.

გარის ნათესავი ყვებოდა — ოცდაჩვიდმეტში ოჯახი ამოუნყვეტიათ — კონტრიძეები. „კონტრაზე“ **4K**-ისტებს რეფლექსები ჰქონდათ გამომუშავებული. ერთადერთი ქალი გადარჩენილა. ქმარს კოლექტივაძედ გადაუკეთებინებია გვარი. მოუსწრია.

რამდენიმე წლის წინ, შემოდგომაზე, გარი, უნივერსიტეტის ბაღში ერთ კაცს ელოდებოდა. ის აგვიანებდა. როგორც მერე გაირკვა, ელექტროენერგია გაითიშა და ის კაცი ორი საათი ბნელ მეტროში იჯდა.

იჯდა გარიც... ივანე ჯავახიშვილის ძეგლის ძირში, კვარცხ-  
ლობის საფეხურზე, ნერვიულობდა და აქეთ-იქით იყურებოდა.  
თბილისური შემდგომის დღე იყო. მზიანი და თბილი.

მანქანა გაჩერდა. ძალიან დიდი, ძალიან მზინვარე და ძა-  
ლიან უცხოური. ბიჭები გადმოვიდნენ შორტებით, „შლიოპან-  
ცებით“. მზემოკიდებულები, თან ლუდს და კოკა-კოლას სვამ-  
დნენ ბოთლებიდან.

გარშემო გოგო-ბიჭები დასეირნობდნენ. ასევე — ჯინსები,  
შორტები, ბრიჯები, ქვედაკაბები, მოკლე და გრძელი. წარწე-  
რიანი მაისურები. ზოგი ეწეოდა. მალვით კი არა, უბრალოდ.

გარი უცებ კარგ გუნებაზე დადგა. შინაგანად განათდა  
თითქოს. მერე გააცნობიერა — რა თავისუფლები არიან, რა  
უშუალოები! ესიაშოვნა.

თავის ახალგაზრდობას გადაავლო თვალი.

ფორმები. უნიფორმები. სისტემა პატარაობიდან ტენიდა  
ადამიანს უსახურ ტომრებში. უსახურს ხდიდა, რომ სხვანაირ-  
ად არ ეფიქრათ, სხვანაირად არ მოქცეულიყვნენ, სხვანაირ-  
ად არ ეცხოვრათ.

ბევრი რამე არ მომწონს, შეიძლება, მაგრამ... ჩაცმაში ქა-  
ლაქი „გამოსწორდა“ — მხიარულად აღნიშნა გარში.

გაახსენდა... მაშინ, ძეგლის ძირში...

გერმანიაში ჩასული, დილით — ჰამბურგის ქუჩაში. მაშინ-  
ნაც სექტემბერი იყო.

უცხო ქალაქში — შებოჭილი, ლუდი უხერხულად იყიდა.  
ლითონის ქილით. მოიყუდა. შემდეგ ცარიელი ქილა უკან მო-  
ისროლა და... უცებ იგრძნო — განთავისუფლდა.

კაცი კი, არა და არ მოვიდა. გარი ადგა და წავიდა. გაღიმე-  
ბული და თავისუფალი.

გერმანია. 1991 წელი. ბერლინის ცენტრი. ბაზრობა. რაღა-  
ცას ზეიმობდნენ.

შემწვარი ლორისა და ნახევარმეტრიანი სოსისის სურნე-  
ლი.

ხრწნის პროცესში მყოფი საბჭოეთიდან საშოვარზე ჩამო-  
სული სტუდენტები მსურველთა პორტრეტებს ხატავდნენ,  
ოც მარკად. ლუდზე ჰყოფნიდათ.

მოშორებით მათი თანამემამულეები „კატიუმას“ ბლად-  
ნენ გარმონის თანხლებით და უაღრესად ტაქტიანად გერმა-  
ნელების მიმართ.

გარი ჯგუფს ჩამორჩა და ჩაფიქრებული მრავალსართუ-  
ლიან ნაყინს ჭამდა.

მის გვერდით ვიღაცამ რაღაც ჩაილაპარაკა. რუსულად.

გარში მიიხედა.

ასაკოვანი კაცი. რუსი ტურისტი. კლასიკური ტიპაჟი.

უთასმეორე კედები. მუხლგამონელილი კალსონების მაგვა-  
რი ლურჯი რეიტუზი და რეცხვაში სულამოხდილი მაიკა.  
ხელში — თევზისკუდებამოშვერილი „სეტკა“.

თავზე — უფორმო პანამა. თავის დროზე თეთრი.

შეშუპებულ, სქესდაკარგულ სახეზე გამორეცხილი შუშა  
თვალები.

— ვეძ ეტოგო ნე ბილო... ვეძ ეტოგო ნე ბილო... ვეძ ეტოგო  
ნე ბილო... ვეძ ეტოგო...

იმეორებდა და იმეორებდა და იმეორებდა...

ზოგჯერ ხდება ხოლმე, ვიღაცის ერთი სიტყვა ან ფესტი და  
უცებ ხვდები...

რუსეთის პერიფერიიდან ჩამოვიდა პენსიონერი, ტრაქ-  
ტორისტი და ომისა და შრომის ვეტერანი.

მშობლიურ სოფელში მთელი ცხოვრება ფული აკონინა ან  
სულაც პენსიაში გასვლისას პროფკავშირმა საგზურით დაა-  
ჯილდოვა.

ორმოცი წელი გულში ნადები ოცნება აისრულა. კვლავ  
აღმოჩნდა ქალაქში, რომელსაც 45-ში გამარჯვების მარშით  
გადაუარა. იმ დროიდან მესხიერებაში ჩარჩენილია — გამჭ-  
ვარტლული ნანგრევები, გადაბუგული გერმანია.

ჩამოვიდა, რომ მაშინდელი ტრიუმფი კვლავ განეცადა...  
დაჩანჩაკებული გამარჯვებული — აღმდგარ „დამარცხე-  
ბულ“ ქალაქში.

გარი კატაკლიზმს ესწრებოდა. სულიერ კატასტროფას.  
სათუთად შენახული ილუზია დაიმსხვრა. უფალმა, გენია-  
ლურმა შემოქმედმა გარი მისტერიას დაასწრო.

გარის თაობის ახალგაზრდებზე გარდატეხის ეპოქის ბევ-  
რი ჯოხი გადატყდა.

შარვლები, განსაკუთრებით ჯინსები, კაბის სიგრძე, მაკი-  
აჟის ყოფნა-არყოფნა. სქესთა შორის ურთიერთობა.

ინტენსიური სასოფელქალაქო მიგრაციის პირობებში  
ქცევის ახალი, გასაშუალებული მოდელი იქმნებოდა. გენდე-  
რულ-ფემინისტური საკითხები წყდებოდა, რა ერქვათ ამ  
პრობლემებს, არც კი იცოდნენ, ისე.

სწორედ ამ ბატალიებში მოწვევისადმი დამოკიდებულებამ  
მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. რეკოლუციურიც კი...

სიგარეტმა ზნეობრივი დატვირთვა მიიღო.

სადემარკაციო ხაზი ე.წ. „გომებსა“ და „გამოსულებს“  
შორის სიგარეტზე გადიოდა.

„გომის“ ალტერნატივად სიტყვა „სვეტიც“ კი შემოვიდა.

ბევრი, ვინც ამ კატეგორიას თავს მიაკუთვნებდა, ან გარე-  
მოებათა გამო, „იმ სვეტებს“ ლანძღავდა, ისიც არ იცოდა,  
რომ Светский დარბაისელს ნიშნავდა.

სადემარკაციო ხაზის გაღმა-გამოღმა ტერმინოლოგია  
დროთა განმავლობაში სახეცვლას განიცდიდა.

„შრილა“, „მყუდრო“, „ქაჯი“, „რქიანი“, „გაჩითული“...  
სიგარეტს სხვა „მოსანევიც“ თან სდევდა.

გარის ბავშვობიდან მეტყველების დეფექტი ჰქონდა და,  
როგორც ბევრ მოზარდს, საკუთარი ხელ-ფეხი უშლიდა.

სიგარეტმა ყველაფერი სათანადოდ დააღაგა.

გამოუვალი პაუზა საუბარში ნაფაზით შეივსო. ხელებიც  
დასაქმდა. ფეხებიც უფრო მყარად იდგა.

დებიუტი „დაისით“ შედგა. ე.წ. „ტორმუზიანი“ სიგარეტით.  
ინსტიტუტში უკვე სერიოზული მწვეელი იყო.

უცებ კადრი წარმოუდგა. ქალის ხელი მუნდშტუკით. ის  
ქალი, მაშინ უკვე „ჟიტანს“ ეწეოდა.

მეზობელი გარდაეცვალა გარის. ბიჭი დარჩა. გარის ბი-  
ჭებზე უფროსი. ნათესავებმა გარდაცვლილს პატივი მიაგეს  
და შეეცადნენ, ბინას და ქონებას დაპატრონებოდნენ. გარში  
არ დაანება, გვერდში დაუდგა, გადაღებებზე დაჰყავდა. უნ-  
დოდა გადაეცა, რაც იცოდა, მემკვიდრედ ეგულებოდა.

ნათესაობისგან კი გადაარჩინა, მაგრამ ცარიელი ბინა მა-  
ინც ბუნაგად იქცა.

გარი რას არ ეცადა. ბოლოს გამწარდა — ხელოვნება ლო-  
რი არაა, ბოლში რომ გამოიყვანო. გადანყვიტე, რა გინდაო!

ბიჭმა შეუქეთა, მოუკიდა, ხარბად ჩაისუნთქა — მისი არ-  
ჩევანი ეს იყო.

უყვარდა. დიდი ამაგი ჰქონდა. სული ჩადო. წყალში ჩაეყარა.

ისიც აღმოჩნდა — გარის სახლიდან ფასეული ნივთები გა-  
უტანია. ამაზე გარის მხოლოდ მწარედ ელიმებოდა.

ზოგჯერ სადარბაზოში ხვდებოდა. დაბოლილი, არც  
ესალმებოდა.

მერე ბიჭმა ბინა გაყიდა.

კიდევ ერთი დაკარგვა... და მიზეზი.

დაკარგვა... კარგავდა იმით, ვინც უყვარდა. მტკივნეულად.  
გარი დედამისის დროზე ადრე გაუჩენია.

ეზოში საზარელი კივილი ატეხილა — დაიკარგა, დაიკარ-  
გაო. ქალს შემინებია და მშობიარობა დაწყებია. თურმე მე-  
ზობლის ბავშვი დაკარგულა და მოსამსახურე კიოდა.

გარის დაკარგვა დაებედა თითქოს.

გარის დაბადებიდან ათი დღის შემდეგ... მონსტრი დაობლდა. გარდაიცვალა სტალინი.

ინსტიტუტამდე კინოსტუდიაში. მსახიობი გაიცნო. ეპიზოდებში იღებდნენ ზოგჯერ...

ერთხელ გამოელაპარაკა, მეორედ. რალაც ფილმზე, რალაც წიგნზე. არც იცოდა, სად ცხოვრობდა. ის კი რეკავდა, მოდიოდა.

გარი გრძნობდა... იქით ბნელი სამყარო იყო. ის არაფერს ამბობდა, არც გარი ეკითხებოდა. მეგობრობდნენ.

გარი თავის სცენარებს აკითხებდა, ის ბევრ საინტერესოს უამბობდა კინოსა და თეატრის სამყაროდან.

ერთ საღამოს დარეკა. სალაპარაკო მაქვსო.

მოვიდა. იგრძნობოდა, რა-

ლაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა.

ვიღაცები მოლაგდნენ.

კარგი, სხვა დროს იყოსო...

წავიდა.

ქალაქში რალაც მკვლელობაზე ალაპარაკდნენ.

გარიმ ორი კვირის მერე გაიგო. ის მოუკლავთ.

მერე... ერთი წელი გარი გრძნობდა, უთვალთვალდნენ.

ალბათ ეგონათ — გარიმ რალაც იცოდა. მაშინ ვიღაცების მოლაგება რომ არა, შეიძლება მართლაც სცოდნოდა. ის ხომ რალაცის სათქმელად იყო მოსული?

მთელი წელი ეგონა, სახლიდან გასული ცოცხალი არ დაბრუნდებოდა.

ცხოვრება რუსული რულეტკის თამაშს ჰგავდა.

გარის ცხოვრებაში მკვლელობა შემოვიდა.

დიდი ხნის მერე მიხვდა, ვინ მოაკვლევინა. მკვლელი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ისიც მოკლეს.

ჩემი გასაკეთებელი სხვამ გააკეთაო. მწარედ ფიქრობდა... თუმცა, იცოდა, ვერ გააკეთებდა.

დაუსრულებელი დიალოგი წარსულთან. ფიქრში.

გადაღებებზე, კამერასთან, გრძნობდა, თითქოს ზურგს უკან ვიღაც ედგა.

უხილავი მფარველები.

მოკლული მეგობარი და მოსახვევს იქით დარჩენილი ქალი.

დღით, როცა გარი სადარბაზოს კიბეზე ჩადიოდა, იმ ბინის კარი გაიღო, სადაც ადრე ნარკომანი ბიჭი ცხოვრობდა.

გაახსენდა — მეგობრის მკვლელობიდან რამდენიმე თვე იყო გასული.

მეზობლთან მოუწია შესვლა. ის ბიჭი, რომელმაც მერე შემოქმედებას ნარკომანია არჩია, ოთხი წლის იქნებოდა. იატაკზე იჯდა და ახალ კონსტრუქტორს აწყობდა. გარი თამაშში ჩაერთო. პირისპირ ისხდნენ.

— იცი, მე ალბათ მალე მომკლავენ! — რატომღაც უთხრა ბავშვს.

ბიჭმა თამაშში შეწყვიტა, თავი დახარა, მოიკუნტა, მხრები აწია. მერე წარბების ქვემოდან წელა ამოხედა — ძალიან მენწყინება! — ძლივს გასაგონად.

გარის გაახსენდა, უცებ როგორ გათბა და თვალზე ცრემლები როგორ მოადგა... მაშინ.

მეოთხე კლასში... ინგლისურის მასწავლებელი გარისთან სახლში მოდიოდა ხოლმე. ძალიან სქელი. ძალიან წითური, ძალიან ჭრელი და ძალიან დეკოლტირებული... როცა ნაწერს უსწორებდა, ორ ფუთბურსს მხრებზე ულაგებდა. მძიმეს და ცხელს. გარის ყურები უხურდებოდა და ვერაფერს იგებდა. ინგლისური დიდი ხნის მერე ისწავლა. კენიაში.

„ასაკობრივი“ პრობლემების გადასაწყვეტად ნათესავმა ბიჭებმა წაიყვანეს. გზაში მუხლები უკანკალდებდა. სიტყვა „ბოზი“ სხვა სამყაროს კარიბჭეს ნიშნავდა. მონაყოლს, თვალმოკრულს. უცხოს. იდუმალს.

იმ დღიდან მარტო ის დაამახსოვრდა, როგორ ანობდა პურის პატარა ნატეხებს ბაჭეში და უაზროდ შთანთქავდა... ხაოიან ხალათში შეფუთული... ნასუფრალთან... მარტო.

ბიჭები მოვიდნენ... არაფერი კითხეს... ჩააცვეს და წაიყვანეს. პრობლემები კი მერე გაჩნდა.

გარისთან ინსტიტუტში, ერთმა, ზედმეტ სახელად „კარდამამ“...

ფროიდიზმი — ყოველგვარი გათახსირებულობისა და მამა-ძალლობის გამართლებააო — აუხსნა გარის.

მანქანების გარდა, ფროიდის ცვლილება, თურმე...

ქალაქში ტაქსით რომ დადის...

როცა საღამოვდება, ქუჩებში, სადგურზე, ხიდებზე, ბაღებში, ცირკთან. ქალები, გოგობიჭები, ბავშვები. ეგრეთწოდებული „სხეულით“ მოვაჭრენი.

მომსახურება მრავალფეროვანი. ნებისმიერი შეძლების კლიენტისათვის.

სახიფათო, კომმარული პროფესია. დაუნდობელი გარენრის ხელში. დაუცველი.

მეძავი ხომ ადამიანი არაა! ქენი რაც გინდა. პროსტიტუციას კი სქესი არა აქვს.

გარი ავად იყო. ვერც ადგა. ქუჩაში კივილი და გინება — სამი კაცი ქალს მანქანაში ტენიდა. თან სცემდნენ. კორპუსიდან კაცი არ ჩასულა. ქალი წაიყვანეს.

დღით მეზობლის ცოლი შემოვიდა. რა მოხდა, ის ხომ ბოზი იყო...

კაცი ქალს რომ ცემს, კაცი არ ჩაერევა — ალბათ მათ შორის... ანუ, თუ მათ შორის... ქალის ცემა — მოსულა! მენტალიტეტი!

პატიოსანი მოქალაქეები ბოზების „არაშრომით“ შემოსავლებს ითვლიან... პუტანკების ნიხრებით... მწვანეებში... შფოთავენ.

სიამოვნება... თან ფული... თან — ამდენი!

აქ კი... ვაჭრობა მიდის გაქანებული — ორმოცდაათი თეთრის დაკლებაზე.

სხეული — პურის ფასად...

ჯინსების თაობაზე ლაპარაკობდნენ... ერთი ყვებოდა — სამოცდაათიანების გარიყრაყზე, ვიღაც კაცმა, შუა რუსთაველზე... შარვლიანი გოგო გააჩერა — წადი ახლა, მამაშენს უთხარი, კაბა გიყიდოს... თორემ ამ ჯინსს შემოგახვევ და... უთხრა, ჯოგის აზრი გამოხატა... დამსწრეთა თანაგრძნობა, აღფრთოვანებაც კი იგულისხმებოდა მონაყოლში.



მხატვარი თამარ მინაშვილი

გარი მიხვდა, საკუთარ საქმესა საგმიროსა ყვებოდა. გინე-ბის რამდენიმე სართული აუშენა იმ „ჯიგიტს“.

„მთხრობელს“ ნირი წაუხდა. არ შეიმჩნია. მეორე ამბავი გაიხსენა, თავმომწონედ... თავისი მოსწავლის უცხოური ფანქარი, „ცანგი“ ჯიბეში როგორ ჩაიდო, ანუ შეანერა.

მოსწავლემ — პატ. მასწ., ეს ფანქარი ჩემიაო.

ამან კი — შენი იყო, ახლა — ჩემიაო.

მასწავლებელმა ბავშვი დააყაჩაღა. ამით ამაყობდა.

გარის ამ კაცისადმი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა და... „ჩვენი“ ზნეობრივი მოთხოვნები ნელს ქვემოთაა კონცენტრირებული, სამწუხაროდ — გაიფიქრა.

ერთი... რომელიღაც ახალაღმოცენებულ უნივერსიტეტში რაღაცას ასწავლიდა. პროფესორი ვარო, დამაჯერებლად დაბოხებული ხმით აცხადებდა. მთელი ცხოვრება ცოლის კალთაზე იყო ჩამოკიდებული. მატერიალურად.

მისთვის მთავარი სალაპარაკო თემა ზნეობა იყო... თქვენ, თბილისელები უზნეოები ხართო, ინტელიგენცია — გამყიდველები. ჩემი ნება რომ იყოს, ყველას კედელთან ჩაგამწკრივებდით, დაგხვრეტდით!

მართალია ორმოცდაათი წელი თბილისში ცხოვრობდა, ის მაინც ვერ მოუწვდებია, რომ თავის დროზე მიყრუებული სოფლიდან ჩამოვიდა. სოფელსაც ვერ იტანდა, სინამდვილეში.

გარის კი, სოფელი, თავის ადგილზე მყოფი, უპრეტენზიო, მშრომელები ძალიან უყვარდა. პატივს სცემდა.

ერთხელ, საღვინე სტუმრად, გარი ამ კაცის ნასტუდენტტარს გადაეყარა.

პროფესორი იმით იყო ცნობილი, სესიებზე ლამაზ გოგოებს ბოლოსათვის იტოვებდა. მათ ბარძაყებზე, ვითომ შემთხვევით ხელი უხვდებოდა, რატომღაც.

გამოცდის შემდეგ გოგო-ბიჭები სიცილით სკდებოდნენ.

ხოდა, იჯდა გარეუბნის პოლიკლინიკაში გარის ნაცნობი ფსიქონალიტიკოსი. შეთავსებით მასაჟისტი.

მთვლემარესთან, ჰაბიტუს-შემოღობა დისასხლისმა შეაჭრა.

საიდანღაც სცოდნია — ამ კაბინეტში გახდა კი არა, მოყოლა თურმე საჭირო.

ჰყვებოდა და ჰყვებოდა... მეზობელს ეჩხუბა, მეტროში ფეხზე დააბიჯეს... ქმარს მისი მზარეულობა არ მოსწონს, ფულს არ აძლევს. უფულოდ რა სადილი დაგახვედროო.

ფსიქონალიტიკოსიც უსმენდა — მომსახურება ფასიანი იყო. საათობრივი.

მეოთხე დღეს...

— აბა, ქალო, ქმართან საქმეები როგორა გაქვს... ლოგინში? აქ კი... ცრემლები — ლაპაღუპით.

— სამსახურის შემდეგ... მოდის, სადილობს, კარებში მომაცხებს — „შე ძროხაო“ და იმ „გათახსირებულთან“ გარბის.

არც უნდა დარჩესო, — ქალო, რას გეცხარ, სარკეში ჩაიხედო!.. აჯახა ფსიქონალიტიკოსმა. ღრმა შოკში ჩააგდო.

და დაისადგურა ნდობამ და გულახდილობამ...

ფსიქონალიტიკოსის რეკომენდაციით... იმავე დღეს... ბაზრისათვის განკუთვნილი ფული... ბაზრობაზე დაიხარჯა. თეთრეულსა და პარფიუმერიაში.

ფერგახუნებული ფოხანე ბიკინიმ შეცვალა.

მანდილოსანმა საპარაკმახეროშიც შეიარა. თმა შეიღება. აღმგზნებ-ქერად.

ქმარს „ფორმაში“ დახვდა.

ქმარი ისე გავიდა სახლიდან, ძროხა არ უწოდებია.

ისევე რეკომენდაციით... ქმარს სადილი ლამაზად გაუწყო, გვერდით მიუჯდა... ერთად დალიეს თითო ჭიქა. ქმარი „იმათთან“ აღარ წასულა... მაგრამ...

მერე... გადაბრუნდა და დაიძინაო.

ფსიქონალიტიკოსი-პიგმალიონი ქალს ძერწავდა. სხვას უქანდაკებდა.

— ქალო, ტელევიზორში თვალი რომ მოგიკრავს, რამე ისეთი შესთავაზეო!..

ქალი ერთი კვირაა აღარ გამოჩენილა.

კვირისთავზე მოვიდა „ფინგალით“. მოყვა. ქმარი შეთავაზებულთ გალაღებულა, მერე კი — „ამნაირები“ ვინ გასწავლა? მიუფინგალეზია.

ფსიქონალიზისათვის ჯერ არ მომნიფებულან ჩვენში.

გარის თაობაში ერთმა ცეკვის ანსამბლში მხრებისა და ჩოხის კალთის მოქნევით სახელი გაითქვა. განთქმული ავტორიტეტის ქალიშვილზე იქორწინა.

მერე კი ქალაქში ხმა გავრცელდა ტაქსის მძღოლებსა და გოგოებს ცემსო.

ანსამბლზე ფილმს რომ იღებდნენ, ბათუმში... სასტუმროს ნომერში მოადგა გარის, კონიაკის ბოთლებით.

გულახდილი საუბარი მოუწვდა, რატომღაც.

— შოფრებს ვცემო, არაკაცურად იქცევიან, იმიტომო!

გარიმ სხვათაშორის ჰკითხა, ფულს იქამდე უხდი თუ მერეო? — რაო, რა ფულიო?

სიყვარულის თემაზე გადაინაცვლა.

— რა ვქნა, მოსიყვარულე კაცი ვარო, ყვავილების ზღვაში ვაცურავებ, ხელში ატაცებულს ვატარებ, ვეველებო — სიყვარულს არ მიფასებენ, „სტოიკებს“ მიჭერენ, ეს კახპებო. ამისთვის ვსჯიო. მკაცრი ვარ და სამართლიანიო!

აღსარების გაგრძელება გარიმ რატომღაც აირიდა...

სმენია, გოგოების მშობლები, როგორც წესი, მომხდარს არ ახმაურებდნენ...

ერთხელაც, ერთ-ერთ „დასჯილ“ გოგონას ნახევარძმა აღმოაჩნდა. ტაქსისტი. თან კარატისტი. „მკაცრი და სამართლიანი“ დასაჯა.

ხელ-ფეხი დაუმტვრია.

ცეკვა — გამოირიცხა.

სხვა რამეც დაუზიანა, როგორც ჩანს.

ყვავილებით ხელში, სიყვარულით მთვრალი, აღარ უნახავთ. ეგზეუციები აღარ ჩატარებულა.

რესტორნებში, ყანით ხელში, სამღლებული, პლატონური სიყვარულის სადღეგრძელოებს ვამბად, ექს-მოცეკვავე.

ორ ქალიშვილს ზრდიდა. სამაგალითოდ.

მკაცრი და სამართლიანი მშობელი. ხალხის თვალში აღმაფრთოვანებელი.

რამდენი... ასეთი მშობლის შვილი, სისასტიკის გზას დასდგომია.

სისასტიკე და სენტიმენტალობა... ყოველთვის ერთად.

მაშინ, სასტუმროში... ის მოცეკვავე გარის ეუბნებოდა — ეკლესიურად ვცხოვრობო. ღრმად იყო დარწმუნებული, როგორც ყველა სექს-ჯალათი.

ერთხელ, ვილაციის ნიგნის პრეზენტაციიდან მოდიოდნენ... ბევრნი. ერთი ბებერი ისტორიკოსიც ერია. უზომოდ მთვრალი.

ენას ძლივს ატრიალებდა. მთელი გზა ხან მსტოვრობის ინსტიტუტს მისტიროდა, ხანაც იძულების წესით აღსარებას...

როგორც გაირკვა, ორივე დავით აღმაშენებლის დროში ეგულებოდა და ერთმანეთში ერეოდა.

სშირად უფიქრია... აღსარებას ამბობენ... უფლის წინაშე.

სშირად გვესმის — ჩავაბარე ან ვუთხარი.

არც გამოცდაა, არც მეგობართან გულახდილი საუბარი.

აღსარება საიდუმლოა.

არც კი ესმით. სამღვედელოებასაც.

შურზე უარესი არაფერი ეგონა.

შურია, როცა გინდა გქონდეს ის, რაც სხვას აქვს.

უარესია, როცა გინდა სხვას არ ჰქონდეს.

მონსტრი ხომ ასე იშვა — ადამიანს კერძო საკუთრების ცნება ცნობიერებაშივე შეურყიეს — პროლეტარიატს დაეყრდნენ.

შარშან ზაფხულში კლასელმა წყნეთში დაპატიჟა. სახლთან გამოსამშვიდობებლად — უთხრა.

მთელი ბავშვობა ამ სახლში ჰქონდათ გატარებული. აგურის სახლი, ორსართულიანი, უგემოვნო კოლონადითა და ბალუსტრადით ოცდაათიან ნაბეჭდოში აშენდა. ტიპური იდიოტური პროექტი. ისეთი, აკადემიკოსს რომ შეეფერებოდა, მაშინდელი ოფიციალური თვალსაზრისით.

კლასელის ბაბუა აკადემიკოსი დიდი ხანია რაც აღარ იყო. სახლი სართულებად დანაწილდა მემკვიდრეებზე და ნელ-ნელა პარტახდებოდა, ბალიანად. ვერ უვლიდნენ. ამიტომ გაყიდვა გადაწყვიტეს.

ნეო-ქართველი მყიდველი გამოჩნდა. უნდა დაენგრია და ახალი აეშენებინა. მანსარდიან-აუზიანი. გეგმა უკვე ჰქონდა. მთელი ღამე სვამდნენ გარი და მისი კლასელი. ბავშვობას იხსენებდნენ.

ნამოსვლისას გარემ გარეთა კედელს ხელისგულები დაადო. თითქოს თან უნდა წაეღო გამოფიტული აგურის სიგრილე...

ნუვორიში... სულიერი ნუვორიშიც არსებობს. თავისი ეთიკითა და ესთეტიკით.

ჭკვიანიც რომ იყოს, გემოვნებაში მაინც წაიბორძიკებს... სტილის გრძნობა კულტურას გულისხმობს, კულტურა კი კოლექვის მინიმუმ სამ თაობას! — ამას ხომ გოლზუორთი ამბობდა, — გაახსენდა გარის.

ნუვორიშის გემოვნების დასაკმაყოფილებლად ავეჯის მაღაზიები და არქიტექტურული ფირმები ფართო ასორტიმენტს გვთავაზობენ.

მეზობლად ცხოვრობდნენ. პროფესორს საკუთარი ნახტუდენტარი ჰყავდა ცოლად. დასავლეთ საქართველოს ღრმა წიაღიდან ახალგაზრდობაში იყო ჩამოსული. ნიჭით არცთუ დაჯილდოებულს ჯერ ერთი, მერე მეორე დისერტაცია თავაუღებელი შრომის ფასად დაუჯდა. პროფესორობაში დამკვიდრდა. საკუთარი ინტელექტის სიმძლავრეში დარწმუნებულს თავი სამყაროს ათვლის წერტილი ეგონა.

საკუთარ ცოლს საზოგადოებაში „ჩემს სულელ დედაკაცად“ მოიხსენიებდა. ისიც, ანუ ცოლი, მის „უშუალო“ ხამობას ნაზი ღიმილით აქეზებდა.

გარშემომყოფთა უხერხულობა მხედველობაში არ მიიღებოდა.

ამბობდნენ, ქალს ქმრის გულისკენ მიმავალი და კუჭზე გამავალი გზა ბრწყინვალედ ჰქონდა ათვისებული და აფხაზურ-მეგრული სამზარეულოს მარგალიტებით მოკირწყლული.

ოჯახში ყველა სამეურნეო პრობლემა ჰორიზონტალურ პოზიციაში წყდებოდა, ცოლის ინტერესების გათვალისწინებით.

მეორე აქსიომა, რომელსაც ამ ოჯახში ფენი ჰქონდა მოკიდებული — ქუჩაზე იქ გადადი, სადაც ქმარს სურს, მაგრამ წაიღი იქ, სადაც შენ გინდა.

პროფესორი, საკუთარ ლიდერობასა და ყოველმხრივ უპირატესობაში, ცოლის მორჩილებასა და სისუსტეში სრულიად დარწმუნებული და დაკმაყოფილებული, ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობდა.

ქმრის ავადმყოფობის გაუარესებით შემფოთებულმა ცოლმა გერს ბრწყინვალე დაბადების დღე გადაუხადა და დანჯღრეული „ჟიგულიც“ დემონსტრაციულად გადაუფორმა. ძალიან მალე კი ქმარს ბინა გაუყიდა.

მკითხაობა... აინტერესებდა... თან ეშინოდა. როგორც, ყველა კაცს.

უმკითხავიათ. ზოგჯერ. მოკლევადიანი პროგნოზები. რაღაც ახდენია. რაღაც — არა.

ცოლის მოყვანამდე... თანაკურსელ გოგოებს ნაჰყვავა ცალთვალა, განწილი, ბებერ მკითხავ ქალთან.

ჭიქაში არც იხედებოდა, ისე ლაპარაკობდა.

— შეგეშინდა... ვილაცის კი არა, რალაცის... ცხოვრებას გვერდით მიჰყვები... ყველაფერი ძლიან კარგად... ცოლი... ბიჭები... ორი. დრაკონი... არც ადამიანი, არც ცხოველი... ძალას გაძლევს... საჭესთან გხედავ... მიფრინავ ჰაერში... როცა კენიაში მიფრინავდნენ — ეს მკითხაობა გაახსენდა.

იმ ღამეს, წყნეთში... გარის კლასელს რატომღაც მოუწინადა მოეყოლა.

ზაფხულის არდადეგებზე მამინაცვალმა მოსკოვში წაიყვანა „დასაკაცებლად“. მამინაცვალს ძმაკაცებიც გაყვინ. „Россия“-ში, ნომერში, სუფრაზე... ვილაც ახალგაზრდა ქალი. კაცების დიდი ხნის ნაცნობი. შეზარხოშებული კაცების ტლანქი ხუმრობა.

ახლა ჩვენი რესტორანში ჩასვლის დროაო — გამოაცხადეს და გაიკრიფნენ.

დარჩნენ TET A TET ბიჭი და ქალი. შუაში — მაგიდა. ბიჭი უხერხულობისაგან სავარძელში ჩაიზარდა. წუთი... ორი წუთი... ათი წუთი.

ქალმა — სააბაზანოში ხომ არ გინდაო? ბიჭი ამ იდეას ჩააფრინდა, როგორც შევლას, სააბაზანოში ისე შევარდა, კარიც კი არ ჩაუკეტავს.

თბილი შხაპის კონუსში იდგა. დიდხანს. საათზე მეტი გავიდა.

ქალმა ჯერ შემოიხედა... მერე კი... — აბა, ჩქარა გაიმშრალეო! — პირსახოცი ესროლა.

ბიჭი დაემორჩილა. საჩქაროდ გაიმშრალა და ისიც სავარძელში დამკვიდრდა. მყარად. ისხდნენ. ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ, გაბუტულებივით.

უკითხავად, ნიხლით, გაიღო ნომრის კარები და შემოლაგდნენ გულშემატკივრები. შამპანურებით.

მამინაცვალმა — აბა, როგორი იყო ჩემი ბიჭიო? ბიჭი ქალის პასუხის მოლოდინში დაპატარავებულიყო.

**Ну и мужик, мужик что надо!** შამპანურის საცობი კარადას მოხვდა...

ჭიქების მოჭახუნება და მილოცვები. ქონიანი მზერები და ნაძალადევად მზიარული ხმები.

ბიჭი საკუთარ სხეულს ვერც კი გრძნობდა. ქალი მალე დაემშვიდობა და წავიდა. მისი სახელი არავის ახსოვდა.

— იცი, პირველად... ჩვენს კლასში რომ იყო, ნანწავებიანი... მეათე კლასშიც ხან დედა რომ აკითხავდა, ხან მამა. გასახდელში, ფიზკულტურის დარბაზში. გაკვეთილების მერე... თვითონ მონიდომა... გავჟიმე... ცოტა გატეხა!..

იმ ქალისადმი, „Россия“-ში რომ... მადლიერების გრძნობა ახლაც მაქვს. ნამუსი შემიწახა. სალაპარაკო არ გამხადა.

ბევრი ჰქონდათ გასახსენებელი იმ ღამეს.

გარი მონადირეებს ვერ იტანდა. შემოდგომაზე, რამდენჯერმე ჩაულაგდნენ მანქანაში. ხახვისა და არყის სუნი, ბოხი „კაცური“ ხმები. თოფები. საბარგულში — მწყერების ასხმები.

არა დათვზე — სატყვერი. კაცურად — მწყერზე! ყოველივე — ბუნების სიყვარულით, თურმე!

გარი, პატარა რომ იყო, ვილაცამ ოჯახში ნანადირევი მითართა, გარეული იხვი. სამზარეულოში, მაგიდაზე... უმწეოდ თავჩამოგდებული, ზურმუხტისყელიანი, ბუმბულებგაბურძღნული, საცოდაობა, სიმახინჯე.

ცოცხალი კი... რა ლამაზი იქნებოდა! ბუნების სიყვარულით შეფუთული მკვლევლობის სურვილი. სისხლის წყურვილი. მკვლევლობა — გასართობი.

ერთხელ მონკავშირი თავის წევრებს ქუჩის ძაღლებზე სადიროდ ინვევდა. საფარზე.



იმ დროს, სწორედ გარის მეგობარმა მონკავშირის წიგნაკი აიღო, თოფზე უფლება რომ გაეფორმებინა. ეკითხებოდნენ, თოფი რად გინდაო? მონადირეებზე სანადიროდო! — პასუხობდა.

საამაყო, ჯიშისანი ძაღლის ერთგული მზერა. ერთგულება, საჭირო იქამდე, სანამ ყნოსვა აქვს. მერე — ტყვია ან ქალაქ-გარეთ დაგდება.

ეზოში კაცს სეტერი ჰყავდა. არაერთგზის, გამოფენების პრიზიორი. ლეკვების გაყიდვით ცხოვრობდნენ.

კაცი ინფარქტით გარდაიცვალა, მოულოდნელად. ცოლმა ძაღლი ეზოში გააგდო... ცოლმა ხანს სახინკლესთან ცხოვრობდა. მერე — გაქრა. ცხადია — ბეკერის ორმოში.

ძაღლი აცხოვრებდათ... ლუკმა არ გაიმეტეს მისთვის „სა-პენსიოდ“.

რა იდიოტური გამოთქმაა „ძაღლის ბედი“. ფიქრობდა გარი.

ჯერ კიდევ „პერესტროიკამდე“... ერთ არქიტექტორზე ფილმს იღებდნენ... მზემოკიდებული კანი თავის ქალაზე მჭიდროდ ჰქონდა გადატყეცილი. ცალი თვალი ახვეული რომ ჰქონდა, „ზღვის მგელს“, მეკობრეს დაემსგავსებოდა. ასაკის მიუხედავად მტაცებელივით მოქნილი და ჯანისანი იყო.

ერთ საღამოს მის სახელოსნოში ისხდნენ. ჰყვებოდა.

ომამდე ვლადივოსტოკში უცხოვრია. ქალაქის გარეუბანში. გვერდით, ბარაკში სამი კორეელი სახლობდა. ერთ მშენებლობაზე მუშაობდნენ. დაახლოვდნენ.

არქიტექტორს ერთი უპატრონო ძაღლი ჰყავდა შემოჩვეული. დილით სამუშაოზე აცილებდა, უკანა გზაზე ხვდებოდა. ერთ დღეს კორეელებმა ეროვნულ კერძებზე დაპატიჟეს, საღამოსკენ.

კვირა დღე იყო, და ვერც კი შეამჩნია, რომ ძაღლი დილიდან არსად ჩანდა. დათქმულ დროს მეზობლებთან გადავიდა.

სუფრას მიუსხდნენ. რაღაც ხორციანი კერძი მიართვეს და როცა გემო გაუსინჯა, გარშემო ყეფა და ხარხარი ატყდა. მასპინძლები დახტოდნენ, კბილებს კრეჭდნენ და იღრინებოდნენ. მიხვდა. ამდგარა. ხმის ამოუღებლად გასულა.

სახელოსნოში კვამლის ღრუბელი ეკიდა.

ჩუმად ისხდნენ.

— ცოტა ხნის მერე ერთი კორეელი სანაგვეზე უპოვიათ გაფატრული. მერე, ყელგამოღადრული, მეორე.

მესამეს გულა-ნაბადი აუკრეფია და სადღაც გადაკარგულა, რატომღაც.

არქიტექტორის ხმაში გარემო გაუცხოება იგრძნო...

ამბობენ, ქუჩის ძაღლი ნაგავია, გადასაყრელიო. ეშინიათ, უშლით, დახოცვას ითხოვენ...

გარიმ და მისმა ორმა მეზობელმა ეზოს ძაღლებს აცრები გაუკეთეს... გალით მოსულები (ცემით ფეხქვეშ გაიდეს. არ აჭაჭანებენ...

„პარპრიზებზე მომუშავენი“ მანქანებს ვერ ეკარებიან, ბინები არ იძარცვება, უცხო ძაღლები ვერ შემოდიან, შუა ეზოში ნაგავი არ ყარს. ვირთხებიც — ცოტაა.

როცა პრალაში მასობრივად გაანადგურეს ქუჩის ძაღლები, ვირთხები მომრავლდნენ კატასტროფულად, ადამიანებსაც თავს ესხმოდნენ.

სასწრაფოდ შემოიყვანეს საბჭოეთიდან უპატრონო ძაღლები. ქალაქში გაუშვეს. ვირთხებმა უკან დაიხიეს.

ბუნება ბრძენია — ვირთხების პოპულაცია საკვების ოდენობის პროპორციულია. ძაღლები ნარჩენებით იკვებებიან, ვირთხებსაც ანადგურებენ, მათ გამრავლებას ზღუდავენ. ეკო-სისტემას აკონტროლებენ.

ვილაცებს უფასო ნედლეულით ტყავის წარმოება უნდოდათ, უცხოელებთან ერთად. ხალხს ცოფით აშინებდნენ...

უცხოელები წავლენ... დანგრეული გარემო დაგვრჩება.

ბუნება დიდხანს ითმენს... მერე კი...

მინდას ქვეყანაში ადამიანი ბუნებისადმი ყრუა და ბრმა... მწარედ ფიქრობდა გარი.

სტუდენტობისას, მეგობარ რეჟისორთან ერთად საკურსო უნდა გადაეღოთ მეხანძრეთა ცხოვრებაზე. სახანძროში თითქმის გადასახლდნენ.

ყველა გამოძახებაზე დაჰყვებოდნენ.

დილაობით მეხანძრე ბიჭები ვარჯიშობდნენ...

მორიგი ხანძრის მოლოდინში კი ჯოკერს თამაშობდნენ და სვამდნენ.

ხან სად ჩააქრობდნენ ხანძარს, ხან ვის გამოათრევდნენ გავეებული ცეცხლიდან... მერე კი ისევ ჯოკერს უბრუნდებოდნენ.

ზოგჯერ დანახშირებული გვამების გამოტანაც უხდებოდათ. ასეთ დღეებში მეტი არყის ბოთლები ჩნდებოდა და მწვადის სურნელზე გული ერეოდათ დიდხანს.

სტუდენტები ამ ექსტრემალურ ყოველდღიურობას იღებდნენ. სცენარი მასალიდან გამომდინარე უნდა დაწერილიყო.

ეპიზოდები კი განგებით, ამ გენიალური სცენარით, თავისით ეწყობოდა.

ენ. „კომბინატორის“ სახლში ხანძარს აქრობდნენ.

ეზოში დიასახლისი თმას ინუნდა და ჰგოდებდა — ვაი რა „სპალნა“ მელუპებო!

მესამე სართულზე კი მანსარდის აივანზე დაბმული დათვის ხელა კავკასიური ნაგაზი განწირულად ყმუოდა.

იქ ვინ ავიდოდა ძაღლის შიშით?

ერთი მეხანძრე, დათვივით მთიული, მოქანავე კიბიდან აივნის მოაჯირს გადაეველო, ჯაჭვი ახსნა, ძაღლი ცალი ხელით აიტაცა და ისევ კიბეს შეახტა.

ეზოში უკვე ბრეზენტი გაეჭიმათ. შუაგულში დაეშვნენ, ჩახუტებულები.

სამონტაჟო მაგიდასთან გარი ხშირად უბრუნდებოდა ამ ეპიზოდის ფირს.

ამ ორი დათვის კაცურ ჩახუტებას.

იმ ერთი თვის განმავლობაში თითქმის სხვა სამყაროს ეზიარნენ.

სამყაროს, სადაც შემზარავი და სასაცილო სიკვდილის სიასლოვითაა შედგენილი.

სხვის გადასარჩენად განეული რისკი ადამიანებს ცვლიდა.

აკეთილშობილებდა თითქოს.

ფილმი კი სენტიმენტალურ-კასკადიორული გამოვიდა. როგორც ჩანს, საკრალურობა გადაღებას არ ექვემდებარებოდა.

იყო დრო, ამას ჩურჩულით ყვებოდნენ... რომელიღაც მიყრუებულ სოფელში გამოცხადებულა, რომ ჩატარდებოდა ლექცია სიყვარულზე. სოფლის კლუბი ახალგაზრდებით გაივსო.

ლექტორმა ასე დაიწყო: სიყვარული არსებობს მრავალნაირი — და-ძმური, ცოლქმრული, დედაშვილური, სიყვარული მშობლებისადმი, შვილებისადმი, სამშობლოსადმი. დღეს, ჩვენ კომპარტიისადმი სიყვარულზე ვილაპარაკებთ.

იპოდრომის ეპოქაში, ანუ მაშინ, როცა გარი იპოდრომზე ათენებდა და აღამებდა.

ერთ ნანვიმარ კამკაშა დილას...

ცხენები შეკაზმეს და მსუბუქი ჩოროთით ბილიკზე ჩამწყრივდნენ.

ამომავალი მზის ალერსიანი სხივები. ჩიტების ჭიკჭიკი.

გამჭვირვალე ჰაერი. მოკლედ, იდილია!

თავლების მხრიდან მხედარი გამოჩნდა. ერთი იყო. ყოველთვის ნაბახუსევზე მოდიოდა. ცხენს კარგად გამოეყვარო.

თავლაში დარჩენილი ცხენი გამოეყვანა — უხეირო, განოვერი, ზურგგანიერი. თავი სულ დახრილი ჰქონდა. თუ მოქაჩავდი და თავს აანეინებდი — ჩერდებოდა. ისე ჩაერჭობოდა, ადგილიდან ვერ დაძრავდი. ან უარესი — ტლინკების სროლას იწყებდა.

მხედრებმა ერთი კი გაიფიქრეს — დღეს რა საეჭვოდ წყნარად მოდისო.

„შემოსწრებულმა“ მწერივის განყვეტით ისარგებლა და მესამედ ჩადგა.

წრის კიდეს მიუყვებოდნენ, გუბების ავლით. დიდ გუბესთან მიახლოებისას ცხენმა ოდნავ შუისკენ გადაინაცვლა. ორ ნაბიჯში გუბის შუაგულში მოექცა და...

გავის აქნევა — მხედარი ცხენის კისერს ჩამოეკიდა. თავის ძლიერი დაქნევა და... მხედარი გუბეში.

მრავალსართულიანი დედის გინება. ჭიკჭიკის ფონზე. ცხენი კოჭებამდე გუბეში იდგა და... იცინოდა. აშკარად მოჭუტულ თვალეში ნაპერწკალი.

იუმორის გრძობა ჰქონია — ჩანაფიქრი აისრულა და მთელი არსებით კმაყოფილებას გამოხატავდა.

გარის სმენია, ნასვამ ადამიანს ცხენი ვერ იტანსო — ა, ბატონო!

გაახსენდა — კონკურს ესწრებოდა. ჭალაში ნარჩევ-ნარჩევ ცხენებს ასეირნებდნენ. ერთი ცხენი იყო — საოცრება. შავ ავაზას ჰგავდა. ბეჭებზე კანი უკანკალებდა. ხუთ კაცს ეჭირა, სანამ ჟოკეი შეჯდებოდა. მთვრალი ჟოკეი. თვითონაც ძლივს აკავებდა. მოედანზე შევარდა. ერთი „ზაკიდა“. მეორე, მესამე მცდელობაზე ქუდი ჩამოუვარდა. შეჯიბრიდან მოხსნეს.

საკონკურსო მოედნიდან გასულმა უმოწყალოდ ურტყა თავში მათრახი.

მოგტეხავ! — ხრიალებდა. არიან ასეთები სპორტში. ცხენოსნობაში ცხენის ფლობა ძალადობა, დამორჩილება ჰგონიათ — ვაჟკაცობენ.

ერთი ჟოკეი იყო იპოდრომზე. ცხენისთვის მათრახი ცხოვრებაში არ დაუკარებია. ხმითა და შენკელით მართავდა. ჩამოყვანილ, გაველურებულ ცხენებს ხელახლა ხედნიდა. ცოტა მეტხანს კი ანდომებდა შეჩვევა-დაყვავებით. მერე ეს ცხენები ძალღებობით დაჰყვებოდნენ. ცდილობდნენ მის მხარზე თავი დაედოთ...

კავალერიის სკოლა მაქვს გავლილი, ამბობდა ბებერი ჟოკეი.

ომიანობისას გარის ერთ ახლობელს ხშირად უწევდა უღელტეხილებზე გადასვლა. ქარავნებს დაჰყვებოდა. ცალ მხარეს კლდე, მეორე მხარეს — უფსკრული.

კაცი საინტერესო რამეს ჰყვებოდა. მთელ კავკასიონის მთიანეთში ცხენი ყოფილა ცნობილი. ბრმა და ბებერი.

როცა დღისით გაჩერება უწევდათ ამ ცხენს სამი შეიარაღებული კაცი დარაჯობდა, რომ არავის მოეპარა, გაეტაცა ეს ყველაზე ძვირადღირებული ცხენი.

ქარავნები ღამლამობით გადაჰყავდათ, ცხენები სიმაღლეს რომ არ დაეფრთხო.

როცა ეს ბრმა ცხენი ქარავანს მიუძლოდა, ერთხელაც არ ყოფილა ბლიკიდან ცხენი გადავარდნილიყო.

სიბერისგან გაჭაღარავებულმა ცხენმა თავიდან ბოლომდე, ყველა ქვით, საფეხურითა და კენჭით მთელი სვლაგეზი ზეპირად იცოდა.

არცთუ შორეულ წარსულში ერთი პოპულარული დიზაინერი უფრო პოპულარული გახდა.

საკუთარი პროექტით აშენებულ, დაუმთავრებელ სახლში, აღმოსავლური სტილის სააბაზანოში ზამთრობით ნავთქურა ედგა. სტუმრებსაც იქ იღებდა.

უზბეკური დაბამბულ-დალიანდაგებული ხალათი, ესკიმოსური ბანჯგვლიანი უნტები ეცვა ფეხზე. თავზე — ყურებჩამოყრილი „უშანკა“...

სტუმრებს კარებშივე „სასტუმრო“ პალტო-საბნებში ფუთავდა, მერე კი სავარძლებში აბინავებდა.

ნავთქურაზე მუდმივად მდგარ ქვიშიან ტაფაზე ყავას ადუღებდა და თვითონ აუზში ჩაფენილ ნოხ-ხალიჩებზე ისევ ლოტოსის პოზაში ჯდებოდა.

...ცივ თბილისურ ზამთრებში სალონური ურთიერთობის ახალი ფორმა შეიქმნა.

სტუდენტობაში... ერთ სამხატვრო სასწავლებელში ბიჭებს ააკითხა.

ხატვის გაკვეთილი დიდ დარბაზში ტარდებოდა. მოლბერტები, დაფები, დასაჯდომი ტუმბოები. და შიშველი ნატურა — ახალგაზრდა კაცი. მისი ცოტა ძველმოდური მანერები და სიშიშველე ერთმანეთთან ვერ თავსდებოდა.

სტუდენტები უხეშად აშაყირებდნენ. ისიც ითმენდა. შაყირი სულ უფრო შეურაცხყოფელი ხდებოდა. კუთხეში ერთი ჭოკივით გამხდარი გოგო ხატავდა. შესვენებაზე, როცა ნატურა კლასიდან გავიდა, გოგომ ტუმბო აიღო, მერე შუა კლასში დადგა და თანაკურსელებს მიმართა:

თქვე... თუ ვინმეს კიდევ წამოგცდებათ რამე ამ ბიჭის მიმართ, ამ ტუმბოს თავზე დაგამოხბოთ... გაიგეთ? კლასში სიჩუმე ჩამოვარდა. გოგოს გამოსვლა არავის გაუპროტესტებია. იმდენად დამაჯერებელი იყო.

„ნატურა“ არც იმ დღეს, არც შემდგომში აღარ გაუშაყირებიათ.

გარი ამ გამოსვლით ნასიამოვნები დარჩა. რატომღაც. ცოტა ხნის წინ ვიღაცამ უთხრა, ის კაცი, „ნატურა“, ლონდონშია, ცნობილი მსახიობიაო.

უდიდესი სულიერი კატაკლიზმის განცდა... ტრაგედია. ერთმა ცნობილმა თამადამ, ქეიფის შემდეგ თავისი ძვირადღირებული, ოსტატურად მორგებული პროტეზები მტკვარში ჩაარწყია... მეორე დღეს კი საბანკეტო სუფრას უნდა გაძლოლოდა.

სანაპიროზე იდგნენ. ის და გარი. გარიმ თვალეში ჩახედა. ტრაგიზმი მის თვალეში გარის სამუდამოდ დაამახსოვრდა.

წარმოების კომპიუტერიზაციის გარიჟრაჟზე. ნაცნობი ფიზიკოსი შუა აზიის რომელიღაც რესპუბლიკაში ჩასულა მეგობარ მეღვინეებთან. სასონარკვეთილნი დახვდნენ. ღვინის ქარხანაში კონვეიერი დაუმონტაჟებიათ, კომპიუტერულპროგრამიანი. ღვინის ჩამოსხმისას სტანდარტის ცოტაოდენი დარღვევა და მთელი კონვეიერი ავტომატურად ითიშებოდა. ქართველი მაშინვე შეთანხმებია მეღვინეებს მათი სავარაუდო ზარალის მესამედ თანხაზე — სიტუაციის მოწესრიგებას შეჰპირებია.

სერიოზული ავანსიცი გამოურთმევიანა. ნოვოსიბირსკში გავარდნილა. სწრაფად მოუძებნია ყველაზე, ყველაზე, ყველაზე მხეცი პროგრამისტი. აღებული ავანსის მესამედს შეჰპირებია და იმავე დღეს მეგობარ მეღვინეებთან გადმოფრენილა პროგრამისტთანად.

იმავე ღამეს პროგრამისტს კონვეიერი ისე „გადაუპროგრამებია“, ღვინის მაგივრად დიზელი რომ ჩაესხათ, წარბშეუხრელად განაგრძობდა მუშაობას. ბედნიერები დარჩნენ მეღვინეები, მოგებისაკენ გზა ისევ გაეხსნათ.

ბედნიერი პროგრამისტი — ფულითა და ღვინით ნოვოსიბირსკში დაბრუნდა. ბედნიერი იყო ფიზიკოსი, როცა თბილისში, რესტორანში მეგობრებთან ერთად ქეიფობდა. გარიც ამ სუფრაზე იყო...

ერთია გარის თაობაში. ახლაც რიგგარეშე პიროვნებაა საზოგადოებაში. სკოლა რომ დაამთავრა, ფულიანი სასიძოს იმიჯზე დაიწყო მუშაობა.

ბედიც მას იმიჯმეიკერობდა. ერთხელ ერთად მოსეირნობდნენ ის და გარი. გზაში... ანტიკვარიატის მაღაზიაში ვიღაცამ ბროლის ლარნაკი იყიდა.

ლარნაკი კარებშივე ხელიდან გაუვარდა და შუაზე გასკდა. ბიჭი არ დაიბნა, გადასაგდები ლარნაკი პატრონს გამოართვა

უმალ... თავის თავგანსაცემ გოგონასთან გააქანა ხელახლა შეფუთული.

საჩუქრის მირთმევისას ბაბთებიანი ფუთა გოგონას რატომღაც ხელიდან გაუსხლტა...

ლარნაკი ხელმეორედ დაიმსხვრა წკარუნით... გახსნეს, ნახეს, ოჯახი ღრმა შოკში აღმოჩნდა...

ბიჭმა — ეგ არაფერიაო! — ნამსხვრევები თვითონ ჩაყარა სანაგვეში.

გარი ყბაჩამოვარდნილი უყურებდა.

კარმიული ავანტიურისტი ავანტიურებს წარმატებით განაგრძობდა.

დაოჯახდა, ხელოვნებათმცოდნე ექსპერტის როლი იმპოზანტურად მოირგო.

ანტიკვარიატზე დაიწყო მუშაობა.

საკუთარი სახლი ნამდვილი რენესანსით გაავსო. მყიდველებს როკოკოთი ამარაგებდა.

ამ როკოკო-ბაროკოს არშემდგარ არქიტექტორთა ჯგუფი თბილისის გარეუბანში აწარმოებდა. მომხმარებლის გემოვნების გათვალისწინებით.

ეს ბიზნესი მალევე გაუკოტრდათ. ქალაქი ევროპა-დუბაიდან ჩამოხიდილი დახუჭუჭებული ურჩხულებით გაივსო.

ცივილიზებული სამყარომ მსუბუქი ავეჯი ამჯობინა. და ამის გარდა...

სარკე საძინებლის კარადის მთელ სივანეზე, რომელშიც საწოლი ანუ ადამიანები აირეკლებიან, მავნებელია, მძინარეს ენერჯის აცლის, შეიძლება ფსიქიკურ დაავადებამდე მიიყვანოს.

ჩვენში კი... იქ ჩამოფასებული ავეჯი, კატალოგებში ნაძებნი, თანაც განათების ეფექტებით, მოსულა!!!

მოკლედ, სახვით ხელოვნებაში გადაინაცვლა... ექსპერტად. ბედად გარი შეხვდა და ერთ სახლში წამომყევით... მივიდნენ.

დარბაისელ ოჯახში, დარბაისლურად, ხმადაბობებით. ექსპერტმა ერთ-ერთი სურათის ყიდვა მოინდომა. თანხა ისეთი დაასახელა, გარის თვალები შუბლზე აუვიდა.

ორ დღეში გამოგივლითო...

გარი ცოტას ერკვეოდა ძველ ფერწერაში. ამას რას შვრები, ეგ ხომ ნაგავიაო!

ექსპერტმა კი აულელებლად — შენ ალბათ ვერ შეამჩნიე, ჩვენ უკან რაფელი ეკიდაო.

მერე სცენარი აუხსნა.

ესენი, ცხადია, სურათს შესაფასებლად გააქანებენ, დღესვე აღმოჩნდება, რომ სამმაგს ვაძლევ. როცა მივალ, ცხადია, მომყიდიან, თან ისე სხვათა შორის, რაფაელსაც გამოვაცოლებ გრომებად. მისი ექსპერტიზაზე წაღება ხომ აზრად არავის მოუვა!

გენიალური ყოველთვის მარტივია, — გაიფიქრა გარამი.

ისევ ავანტიურიზმის ისტორიიდან...

ნაცნობებთან გარამ ტუმრად მისული „ახალი რუსი“ გაცილო, მხატვარი. ფუფუნებაზე საუბრობდნენ.

თბილისში ანტიკვარიატზე სანადიროდ იყო ჩამოსული.

ერეკლე მეორის აზარფეშა უყიდა თურმე.

სულთამხუთავ აგვისტოში ქალაქში ტრაგიკული ამბავი გავრცელდა.

გარის ერთი კოლეგა ვიღაც ხანდაზმულ ქალბატონს ლოგინში ზედ დაკვდომია.

ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ ქალბატონს უნიკალური ვენეციური სარკე ჰქონდა. კაცი სწორედ ამ სარკის დაუფლებას შეეწინა.

ახალგაზრდობიდან ანტიკვარიატს ამ გზით შოულობდა. სანაგვეზე ქექვას არ კადრულობდა. საკომისიო მალაზიებში საყიდლად ფულს ვერ იმეტებდა.

ერთი სარეკლამო ჟურნალი მომხმარებელს, ამჯერად უკვე ნეო-ქართულს, ავეჯს სთავაზობდა, შეკვეთით. სტილი — გაურკვეველი, ოქროს ჩუქურთმა, ლომის თათები და სარკვე-

ბი — ბევრი. 4ბ4-ზე სესქოდრომს — განათების მთელი სისტემა მოჰყვებოდა — ზემოდან, ქვემოდან, გარდი-გარდმო, ირიბად და ა.შ. სისტემა დისტანციური მართვის პულტით იმართებოდა, სურვილისამებრ.

ადრე ბოსელ-ლობის ძირში ხმარობდნენ ცოლ-საყვარლებს, თანაც ცხოვრებას არ უჩიოდნენ. ახლა კი სპეცგანათების გარეშე ვერაფერი უქნიათ.

— მალე ფლუორისცენტულ კონდომებსაც შემოგვთავაზებენ ალბათ, ტაივანში წარმოებულს — იცინოდნენ გარი და მისი ცოლი.

ერთი იყო, ახალგაზრდა არქიტექტორი. გავლენიანი არქიტექტორის ქალიშვილი მოიყვანა ცოლად — ახლა ნახეთ რა შეკვეთებს დავითრევო! სიმამრი სამ წელიწადში გარდაეცვალა... ცოლს საჩქაროდ გაშორდა. ორ შვილზე ალიმენტის გადახდისგან რა გადაარჩინდა.

საპროექტოში, სადაც მუშაობდა, ცდილობდა შეკვეთა სხვაზე გაეფორმებინა... ცოლის ადვოკატი ყველგან კვალდაკვალ დაჰყვებოდა. ასე ჩვიდმეტი წელი...

დიდი ხნის წინ, როცა გარის მცირერიცხოვანი სანათესაო ჯერ კიდევ ერთმანეთთან ურთიერთობდა, გარის ფრიად თავისებური მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული...

ერთი, მარტო საქართველოში რომ ითვლება ნათესავად, ბიჭი ჰყავდა ჩაბარებული, სამი წლით გარიზე უმცროსი.

ჰორმონების ჭარბმონოლის შედეგად სკოლიდანვე სულ მატრიმონიალურ ავანტიურებში ეხვეოდა.

ასეთ დროს გარის უხმობდნენ ხოლმე. თვლიდნენ, რომ გარის ამ ბიჭზე ზემოქმედება შეეძლო. მართლაც ასე ყოფილა, როგორც ჩანს.

ხან მეეზოვე ქალთან გააბამდა რომანს, ხან მკითხავ ბოშას აეკიდებოდა.

ბოშური შურისძიების ასაცილებლად ბიჭი, გარის თანხლებით, კამჩატკაზე გადააფრინეს საჩქაროდ.

ნაკლებრადიუსიანი ისტორიებიც იყო უხვად. რაც მთავარია, სოციალურ-კულტურულად სრულიად შეუფერებელი.

სკოლა რომ დაამთავრა, იმ ზაფხულს ზღვაზე მელორეობის ფერმის ბულალტრის ქალიშვილთან დააპირა დაქორწინება. ძალიან სერიოზულად.

„საცოლეს“ მამის ფულმაც ვერ უშველა — სასწავლად ქალაქში ვერ გაუშვეს, იმდენად სულელი იყო.

ფერმაში წამყვანი მელორის სტატუსით საპატიო დაფაზე ეკიდა.

გაგანია რომანში გარის უხმეს. აჭარაში ვილაცის აგარაკზე გაამწესეს.

გარის საკუთარი პრობლემები არ აკლდა.

გამწესებულ ყმანვილს კისერზე პატარა ხის კოვზი ჩამოჰკიდა — როცა რამეს დააპირებ, ამ კოვზს შეხედე ხოლმე. გაგახსენებს — მძლ...ის ჭამას თავი დაანებეო!!!

ერთი კვირა ლუდსა და შავ ზღვაში ბანაობდნენ.

ისევ გარის მოუწია ნაყოლა მოსკოვში, MIMO-ში ჩასაბარებლად.

ბიჭმა ჩააბარა. გარამ შვებით ამოისუნთქა.

მერე სანათესაო აირია... გარის ბიჭის შესახებ აღარაფერი სმენია.

ერთ დღეს კი... საინფორმაციო ბომბი გასკდა თბილისში...

მელორეობაგამოვლილ ყმანვილს არც მეტი, არც ნაკლები, არაბი შეიხის ქალიშვილი მოუხიბლავს, შეიხს ჩასიძებია.

ცოლიანად შტატებში გადაბარგებულა. მცირერიცხოვანი სანათესაო თან წაუსხია.

გარი იცინოდა — პატარა კოვზმა რა ქნაო!

ახლოს ცხოვრობდნენ. ცოლ-ქმარ-შვილი. ცოლი, ავსტრიაში ნამყოფი, გარის ნათესავად ეკუთვნოდა. ქმარი — ნარკომანი.

„გნილო“, როგორც ამბობდნენ. ცოლი ბავშვიანად ძირითადად მშობლებთან იყო. აქ კი — ნარკომანების რია-რია. ცნობილი ბა-ითი იყო. ნამალ-მოსანევეში ფულს არ ხარჯავდა. მოჰქონდათ.

ამბობდნენ, ბედნიერი ოჯახის აწყობას მრავალი ბოთლი არაყ-კონიაკი უძღოდა წინ. საცოლე საქმროს შიგადაშიგ მო-სანევეთაც ამარაგებდა.

ალკოჰოლი მათ ურთიერთობას ხელს უწყობდა. ერთხელ, ცოლთან საუბარში გარემ გაკვირვება გამოხატა — ასე როგორ შეიძლება, ამ უბედურებას ბავშვი ეწირებაო!

— შენ არ გესმის, ამ საწყალმა კანონიერი ქმრის, სვერმო-დონორის როლი უკვე ამონურა. ახლა საყვარელი, მაგრამ უდ-როოდ გარდაცვლილი მეუღლის როლი აქვს შესასრულებე-ლი. ცოლს კი ახალგაზრდა ქვრივის იმიჯი უკვე გათავისებუ-ლი აქვს. შავი ფერი კდემამოსილებას მატებს, ასე აქვს ჩემთან ნათქვამი, — აუხსნა ცოლმა გარის.

ესე იგი, ქმრის სიკვდილი ყოველმხრივ აწყობს და აჩქა-რებს კიდევ? — გარი საკუთარ ფიქრს ვერ უჯერებდა. ცოტა ხნის შემდეგ ცოლი ისევ ამ თემას მიუბრუნდა...

— მხედველობაში გქონდეს, ბინა ქმრისაა! და კიდევ ის, რაც ბევრმა არ იცის. ავსტრიაში, საქართველოსგან განსხვავ-ვებით, ბავშვიანი ქალი ძალიან ფასობს. სიამოვნებით ქორ-ნინდებიან ქალზე, რომელსაც უკვე ჰყავს შვილი ნორმალური ქორწინებიდან. ნათესაობაში კი მსმენია, ჩვენი მომავალი ქვრივი ისევ ავსტრიაში აპირებს წასვლასო.

ჯერ კიდევ სკოლაში. ვილაც გოგო. ვილაც ბიჭი. უცებ — მოდაში. სანამ პოპულარობის ცარგვალზე მათი მზე კაშკაშებს, ბა-ძავენ.

მათ „ნაშობას“ ან „ძმაცაცობას“ იბრალებენ. ისე, რომ არც კი იცნობენ.

ახალი კერპები ჩნდებიან. მოძველებულ კერპებზე ლადაობა, მათი დაცინვა ასევე მოდაა... თურმე.

კარგი ანექდოტი. რესტორანში სეროჟა მსახიობ ტიხონოვთან მივიდა, სთხოვა — როცა საცოლესთან ერთად შემოვალ, ხელი დამიქ-ნიე, „მარკა ამინიეო“. შემოვიდნენ. ტიხონოვმა ხელი დაუქნია. სეროჟამ, ხმამალლა — ნადი შენი შტირილიცა დედაცო! — „მარკა“ აინია.

პოპულარობა ძნელი გამოცდაა. გარის წრეში, ერთმა საოცარი გარეგნობის ბიჭმა, ქალები კისერზე რომ ეკიდებოდნენ, „მარკა“ იმიჯს ვერ გაუძლო. რუსეთში გადაიხვენა.

გარის საძინებლის ფანჯრის წინ — მოედანი. „ჩემი პოდიუმი“ — დაარქვა გარემ მოედანს. თბილისური მოდის თავისებურებანი — თვალნათლივ. გრძელი პალტო. რეგლანი. ტოტალურად. ზოგზე — ელე-განტური.

უმრავლესობაზე — საბანაო ხალათი. ჩამოყრილი მხრები. თოკივით გაკვანძული ქამარი — ლიპზე. ქალები კი... მასობრივად. შიფონის შარფი. გრძელი ქვედა-კაბა. გვერდზე ჩახსნილი. გეტრი — მუხლამდე. მუხლი და ბარძაყი — ხორციანი. სამოსი — შავი. მუხლი — თეთრი. გლოვისა და პანელის სინთეზი.

ხროვა მოუთმენლად ელოდება კერპის ნაბორძიკებას. ანუ — როდის ააცდენს აკელა? გარის კიპლინგი უყვარდა... არა მარტო „მაუგლისათვის“. სადღაც ნაიკითხა. კიპლინგის ანდერძით, მისი დღიურები, წერილები, უბის ნიგნაკები უნდა განადგურებულიყო. მკვლევარ-ბიოგრაფებს რომ არ ექექათ.

ჟურნალისტი ჩამოვიდა ჰოლივუდიდან. ჰოლივუდის ბინადართა თავანყვეტილი ცხოვრება — პონტიაო! იმიჯმეიკერებისა და პაპარაცების ერთობლივი შე-მოქმედება.

ვარსკვლავების პირად, არასაეკრანო ცხოვრებაზე სცენა-რისტები და რეჟისორები მუშაობენ, ქმნიან „მარკებისა“ და „სუპერქალების“ ხატებებს. მასებისათვის.

ვინ-ვისთან იქორწინა, ვინ — ვის უღალატა, ვინ — ვის გა-შორდა. მოკლედ, ვინ — ვის!

როცა „ახალწარმოებული“ ფილმი განწირულია, მონანი-ლე ვარსკვლავის ოჯახური სკანდალი — საჩქაროდ!!!

უღიმღამო, მოყირჭებული ცხოვრებით მცხოვრებნი ამ ვირტუალურ საკვებს შთანთქვენ.

ოცნებების ფაბრიკის ნაწარმის გვერდით, მეორე სუროგა-ტული პროდუქტი ჩნდება. მასმედია ადვილად რომ მოგართ-მევს, მიერ ადვილად მორთმევადი, ადიულტერისა და სექსუა-ლური პერვერსიების ცხარე საკმაზით გაჯერებული!

პოლიტიკურ-სოციალური აქტივობაც რეკლამად მოსულა!

ვილაცის ან რალაცის დასაცავად, ან დასახმარებლად — ფონდები. შოუები — ცხელ წერტილებში.

მთავარია — საჭირო დროს, საჭირო ადგილას, აქტუალურ თემაზე!

მასმედიის ყველა საშუალებით! რეიტინგი, რეიტინგი, რეიტინგი.

გადაღებებით გადაღილი მშრომელები. რეალური ვარს-კვლავები უალკოჰოლო სასმელებს სვამენ და გოლფს თამა-შობენ ახლობლებში, ფსიქოანალიტიკოსებთან და მასაჟის-ტებთან დადიან სტრესის მოსახსნელად... პატიოსნად და საი-დუმლოდ.

სწორედ ამ საიდუმლოს იცავენ „გორილები“. ყველაზე დიდი კომპრომატია!

თუ გამომზეურდა, ვარსკვლავის კარიერის მზე სამუდა-მოდ ჩაესვენება!

შოუ-ბიზნესი დაუნდობელია... მუსიკოსები ნარკომანებს თამაშობენ... თინეიჯერი ფანა-ტები მათ ზაძავენ... საღებვა ნარკოტიკები... სინამდვილეში მუსიკოსები თავდავიწყებით მუშაობენ გაუსაძლის რეჟიმში, ტრანკვილიზებულ ენერჯიაზე!

თუ კერპში დიდი ფული ჩაიდო, მან კი არ გაამართლა — მუსიკალური კონსერვი „ჩანვა“... კერპის ტრაგიკული დაღუპ-ვა — დოზის გადამეტებით, ანუ „გაპარვა“... და სენტიმენტა-ლურ ტალღაზე — „ჩანოლილი“ საქონელი იყიდება.

შოუ-ბიზნესში ყველაფერი მოსულა! სკანდალური პირადი ცხოვრება, ასევე საქონელია — ვა-ლუტად რომ იქცევა! ჟურნალისტი იცინოდა.

გარის რატომღაც ერთი ამბავი გაახსენდა. ასოციაციურად. ქუთაისში, ერთმა კაცმა გოგონა მოხიბლა. გარეგნობით. ჩაესიდა „ჩაქცეულ“ ოჯახს. ცოტა ხანში ქალიშვილმა მამას შესჩივლა — ქმარი მღალატობსო.

სიმამრი გვიან ღამით მოსულ სიძეს დახვდა — უნდა დაგე-ლაპარაკოო.

— შვილო, ამ ოჯახში შენი იმისი მეტი არაფერი შემოგიტა-ნია და ისიც გარეთ გაგაქვსო?

ამბობენ, შიდა საოჯახო სივრცეში ეკონომიკურმა სანქ-ციებმა გაჭრა.

სადღაც ყვითელ პრესაში ეწერა — ფულის გამოძალგაში მხილებული კაცი ქალების ხარჯზე ცხოვრობდა, თავს კი ალ-ფონსად არ თვლიდა.

თურმე სახსრებს მოკლებული ახალგაზრდა სტუდენტი ასაკში შესულ, მარტოხელა, შეძლებულ და დროსტარება-მონყურებულ ქალბატონებს ფულის ხარჯვაში ეხმარებოდა.

ერთი ფილოსოფოს-დილექტანტი ამბობდა: მატერიალისტური იდეოლოგია მოკვდა, მატერიალიზმი კი მძვინვარებს, როგორც ყოველთვის.

სამოცდაათიანებში, ვილაცის დაბადების დღეზე ვილაც ბიჭმა ინტელექტუალური შოუ მოაწყო.

კოკტილის ჭიქით ხელში სავარძლის საზურგეზე წამომჯდარმა პირდაღებულ მსმენელებს ვრცელი ლექცია წაუკითხა „ძია ჰემის“ შემოქმედებაზე.

მერე, აივანზე, როცა უკვე ენას ძლივს ატრიალებდა, გარის გამოუტყდა, რომ „ჰარი მორგანის“ მეტი არაფერი ჰქონია ნაკითხული.

ჰამლეტიც არ წაუკითხავს, თორემ მიხვდებოდა, რომ „ჰარი მორგანის“ სათაურის გაგრძელება შექსპირის პერიფრაზია — To be or not to be...

ერთი სცენარისტი ამბობდა, ამ ქვეყნად ყველაზე მეტად არ მიყვარს ქოლგა, კრევეტკები და სტუმარი უზმობე. „სტუმარი უზმობე“ არც გარის ხიბლავდა.

გარი ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლობდა. ეზოში უცნაური, თეთრლაქებიანი ვირთხები გაჩნდნენ, მომრავლდნენ და გადაშენდნენ კიდევაც...

ამ ვირთხების წარმომავლობას მალევე აეხადა ფარდა. თურმე სამედიცინოს სტუდენტებს, ინსტიტუტში სპირტით მოუღებინათ, თეთრი ვირთხებისათვის კისერზე დობანდებზე შეუბამთ და ასე, მწყობრად მთელი ქალაქი უვლიათ. გოგონების ასანოკებლად და მოქალაქეთა ასანოკებლად.

გარის სახლის მისადგომებთან გამოფხიზლებულან... ამ ვოიაჟის მონაწილე თვითონ მოყვა... გარიმაც გაიხსენა წარსულის გმირობანი. იპოდრომთან მცხოვრებ თანაკურსელ გოგონასთან არც ერთი დაიტვირთნენ ხუთნი.

მასპინძლის პროტესტის მიუხედავად, რაც კი სადარბაზოში ცოცხი თუ იატაკის ჯოხი იყო, თან წაიღეს... და იპოდრომზე ჯირით-ჯირით, ჯოხებზე ამხედრებულებმა წრე დაარტყეს. ყიჟინით, მხედრულითა და ჭიხვინით. შიგადაშიგ შეძლებისდაგვარად.

კონან დოილთან: შერლოკ ჰოლმსი, განსაკუთრებით ჩახლართული საქმეების გამოძიებისას ფრიად ექსტრავაგანტურ მეთოდს მიმართავდა.

ჭამაზე უარს ამბობდა, დღე და ღამე დივანზე იწვა და ჭერს იარაღს ესროდა.

ვითომ აბსურდია, არა? კონან დოილი პროფესიით ექიმი იყო. ვის, თუ არა მას უნდა სცოდნოდა, რომ საქმლის მონელებისას ენერჯის დიდი დანახარჯია ანუ სისხლი ამ დროს ტვინს აკლდება.

დამიზნებისას, უჭმელობით გამოთავისუფლებული სისხლი კი ინტენსიურად ტვინისაკენ მიემართება.

აქედან... აბსურდული კი არა, უაღრესად რაციონალური ქმედებაა.

კონან დოილზე დაყრდნობით ერთმა გარის ნაცნობმა ორიგინალური მეთოდი შეიმუშავა.

იყიდა ჩინური პლასტმასის „ფიშტო“ პლასტმასის ტყვიებითურთ. დღე და ღამე ჭერს ესროდა. მაშინაც კი, როცა სტუმრები ჰყავდა.

ეგონათ — გააფრინა. როცა საგრძნობლად გახდა, დაიჯერეს მიზანში სროლა ახდუნებოდა. ჩუმ-ჩუმად ტირებში დაიწყეს სიარული.

ის კი... კონფიდენციალურად გამოუტყდა გარის: ყველა რომ მიდის, საათობით დავხობავ იატაკზე ტყვიების ძებნაში, ეს მახდუნებოდა.

ინტელექტი — ტვირთია. ძნელად საზიდი, უფალი კი — მონყალე. კაცობრიობას მაინც და მაინც არ ტვირთავს... ინტელექტით.

საზოგადოება კი ბევრად ლმობიერია სულელისადმი, ვიდრე ჭკვიანისადმი.

ანუ ჭკუა მეტად განიკითხება, ვიდრე სისულელე.

გარემ სერიოზული აღმოჩენა გააკეთა: ფენიქსს, ცეცხლნაკიდებულს, წყალი უნდა გადაასხა, დაფერფვლა არ აცალო.

მერე უნდა გაპუტო და... აჰა, ბატონო ფენიქსის საცივი! ან ბაჟე!

კინოსტუდიაში. პრესკონფერენციაზე... გარიც იქ იყო... ცნობილ რეჟისორს, ვისი გვარიც კომენტარს არ საჭიროებდა, ახალგაზრდა ჟურნალისტმა ჰკითხა — მართალია, რომ თქვენ ყოფილი თავადი ბრძანდებით?

— ყოფილი დაბერმანი თუ გინახავთ, ყმანვილო? — კითხვაზე კითხვით მიუგო რეჟისორმა.

ჟურნალისტმა, რომელსაც თავადობა თანამდებობა ეგონა, ცხადია, ვერაფერი გაიგო. გარი კი აღფრთოვანდა.

ერთხელ, გარი მოსკოვიდან მოფრინავდა, აეროგაზალზე სამი დღის გადადებული რეისების არგაფრენილი მგზავრები ერთმანეთზე ელაგნენ, ნაგვის ურნებზე ან ჩახუტებულებს ეძინათ მიჯრით... ჩია კაცი მიუჯდა. ბადრიჯნისფერი სახით რაღაცას გაუგებრად ელაპარაკებოდა.

გარი მოგვიანებით მიხვდა — თავის ცხოვრებას უყვებოდა. ქილერი ყოფილა.

ხრინნიანი ხმა თითქოს გაბზარული ჰქონდა. ასეთებს დიდი ხნის ცხოვრება არ უნერიათ ხოლმე. გარემ არაყი უყიდა და გაეცალა.

კენიაში... ნაირობიში ჰქონდათ გადაღება. ოფისის წინ მანქანების გაჩერებაზე ფირმის „ლენდ როვერი“ ეყენა, რომლითაც გარი გადაადგილდებოდა.

მანქანასთან მივიდა. უნდა გაეღო. საკეტის გვერდით განაკანრი მოხვდა თვალში. გაუკვირდა, ადრე რატომ ვერ შეამჩნია. კარიც არ იღებოდა. დაეჯაჯგურა.

ვილაცის მზერა იგრძნო... მიიხედა. ზურგს უკან კაცი ედგა. მკლავები მკერდზე გადაეჯვარედინებინა. ილიმოდა...

მხოლოდ ახლა შეამჩნია გარემ, რომ გაკანრული მანქანა მისი მანქანის წინ იდგა. ზუსტად ასეთივე „ლენდ როვერი“.

უხერხულად იგრძნო თავი... — უკაცრავად, შემეშალაო! — მოუბოდიშა.

— არაფერიაო! — კაცმა ქართულად უპასუხა. — აქ საიდან მოხვდითო? — გაიკვირა გარემ.

— „უკაცრავად“ — თქვენ ქართულად თქვით!.. გალიმებული სახე და... ჩამქრალი თვალები. ერთმანეთთან შეუთავსებელი...

ხშირად გხვდავთ, ოპერატორად მუშაობთ ამ ფირმაში — ეს ყველაფერი ვიცო... — თქვენც აქ მუშაობთ? — ჰკითხა გარემ.

კაცს ჩამქრალი თვალები უცებ გაეყინა. სიღრმეში ცივი ნაპერწკალი გაჩნდა წამით.

— არა, საქმეზე ვარ აქ, ცოტა ხნით. — კაცმა თემა ჩაკეტა. მანქანაში ჩაჯდა და დაქოქა. ყველა მოძრაობაში მტაცებლის სიზუსტე და დამანგრეველი ძალა.

დიდი ხნის წინათ... დასავლეთში მიდიოდნენ გარის ახლობლის შვილის მანქანით.

წარმოსადეგი ბიჭი იყო, თავაზიანი, კარგად აღზრდილი, ყურადღებიანი. თავის დროზე რეჟისორობა უნდოდა. მერე

რეკეტს მიჰყო ხელი. მის სინდისზე ბევრი მკვლელობა იყო. ქილერობას არც მალავდა.

ავტოგასამართ სადგურთან... ძალი იწვა. ბებერი, გაძვალტყავებული, ადგომაც აღარ შეეძლო. ნელა კვდებოდა... ჩაუარეს. ოც მეტრში ქილერმა მანქანა გააჩერა. მალე მოვალო. გარი მიხვდა, რატომ გადავიდა. როცა გასროლა გაიგონა, უკან არ მიუხედავს.

— ალბათ განკითხვის დღეს ეს სიკეთედ ჩათვლებაო, — გაიფიქრა გარამ.

გზა გააგრძელეს.

ერთი თვის წინ გარი ამ ახალგაზრდის დასაფლავებაზე იყო. გასვენებაში ლაპარაკობდნენ — ტყვია თავში მოხვედრიო. არ უნვალიო.

ერთხელ, ტელევიზიით... ინტერვიუ ერთ წარმატებულ კომპოზიტორთან. კომპოზიტორ კაცს უცნაური სახელი ერქვა — გალი.

— გალი რატომ გქვიათო? — ფრიად ტაქტიანად იკითხა ჟურნალისტიმა.

— ჩემი მშობლები გალში იყვნენ სტუმრად, დედაჩემმა იქ გამაჩინაო! — თავმოწონედ მიუგო კომპოზიტორმა.

— კიდევ კარგი, ბურკინა-ფასოში, ზიმბაბვეში ან სულაც ჩხორონყუში არ სტუმრობდნენ მაშინ შენი მშობლები! — ჩაიხიოხიოთა გარამ.

თბილისი დულს და გადმოდულს ცისფერობის თემაზე.

გარის ნაცნობი მხატვარი, ფრიად ექსცენტრული პიროვნება საჯაროდ აცხადებს ხოლმე — მე, ბატონებო, ტრადიციულ, მრავალშვილიან ოჯახს ამოფარებულ პედოფილს ნანწავიანი გეი მირჩევნია.

გასულ ზაფხულს, პაპანაქებაში... გაზეთების ჯიხურთან — რიგი.

კიოსკერი ერთ გაზეთის ნომერს, ათ თეთრად იჯარით აძლევდა, ნასაკითხად.

„ჰომოსექსუალისტი ქილერის რვეული“. ჟანა კოქტოვილი. ვინც ჟან კოქტო იცოდა — მიხვდებოდა. ვინც — არა, სომეხი იქნება, კოქტოიანიდან გადაკეთებული. თან — ჟანა. ქალი — გეებზე? შაყირი კარგად იყო გათვლილი. გარის მოენონა.

ჯიხურთან ერთი აქტიურობდა. უკანალგაპრიალებული. ხმამალა აცხადებდა — მე, პროფესიონალი მწერალი, ფილოლოგიური განათლებითა და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით მქონე, ვთვლი, რომ ეს მწერლის კი არა, მკითხველის დანერვილია!

ავტორიტეტულად იწუნებდა.

გარამ გაზეთის თორმეტივე ნომერი სახლში წაიღო.

ქილერს ბოლო ნუთამდე მიჰყვა. ფურცელ-ფურცელ.

ქილერი დღემდე მოჰყვება. რატომღაც.

სამოციან წლებში ფილმი გადიოდა „Цена жизни спроси у мёртвых“.

ინსტიტუტი ახალი დამთავრებული ჰქონდა. კინოსტუდიაში შეიარა. ეზოში იდგნენ. საუბრობდნენ.

ერთმა, ერთმანეთს ნესიერად არც კი იცნობდნენ, გარის მიმართა:

— ის რომ დაბრძიდეს, ცისფერი. შენ რომ გექმაკაცებოდა. ვილაც ნაშასთან, ქალთან, ჰა-ჰა-ჰა, აზრზე ხარ, სეირნობას მოუხშირა. ვილაც „მუჟიკს“ უეჭვიანია და დაუბრეღია, აზრზე ხარ?

გარი გონს მაშინ მოეგო, როცა მკლავამოტრიალებული ეკავათ, ის კაცი კი გულწასული გაჰქონდათ.

თურმე გარის მისთვის ყბაში დაურტყამს. ყველასთვის მოულოდნელად.

როგორც ჩანს, გარის ისეთი სახე ჰქონდა, აღარაფერი უკითხავთ.

კინოსტუდიის მერე ქაშუეთში შევიდა. დიდხანს იდგა ჯვარცმასთან, სანამ სანთელი არ ჩაიწვა.

ცოლმა გარის საინტერესო დაკვირვება გაუზიარა...

ქუჩაში ყვავილებს რომ ჰყიდიან. გამვლელ კაცს ვერც კი ამჩნევენ. ქალს კი უკან მისდევენ, ყვავილებს ხელში აჩეჩებენ. თუმცა ლოგიკური იქნებოდა კაცს ეყიდა ყვავილები ქალისთვის მისართმევად.

გარის ცოლის აზრით თვალნათელია სოციალურ-კულტურული მოვლენა.

საქართველოში ყვავილებს ძირითადად ქალები ყიდულობენ გასვენებასა და პანაშვიდებზე მისატანად.

კაცს კი, რომც მოუნიოს ყვავილების ყიდვა ქალბატონისთვის, თაიგულის ხელში დაჭერა ეხამუშება და არც იცის, როგორ დაიჭიროს.

თუმცა გამონაკლისებიც არსებობენ.

მერე ამ გამონაკლისებზე ლაპარაკობდნენ.

ცოლმა ტაქტიანად, იუმორით გაახსენა, რომ გარის მისთვის ყვავილები არასოდეს უჩუქებია.

გარი კი ამ დროს იმაზე ფიქრობდა, რომ ყვავილები მისთვის ბავშვობიდან სიკვდილთან იყო ასოცირებული.

უკვე რამდენი წელია საყვარელი არ ჰყოლია. სურვილიც არ გასჩენია. ზოგჯერ, გადაღებებზე... ვილაცასთან... შემთხვევით. შემთხვევით?

ზოგჯერ მაშინვე აცნობიერებდა, ზოგჯერ რამდენიმე ხნის შემდეგ...

ყოველთვის ასოციაცია უძლოდა... იმ ქალთან მიმსგავსება. რალაც შეესტით, რალაც მოძრაობით, თმის ფერით, ხმით, მეტყველებით. რალაც ფრაზა.

გაიგივება...

მერე... სიცარიელე, ამოუვსებელი ორმო. ტკივილის გახსენება. გაქცევის სურვილი.

საჩქაროდ შლიდა მეხსიერებიდან.

ერთ დღეს სანერი მაგიდის უჯრებს ალაგებდა.

რვეული გადაშალა. სკოლისდროინდელი.

ბავშვობაში დაუნერია.

„სიკვდილი... დიდი არაფერი...“

უბრალოდ, ველარასოდეს ველარ წაიკითხავ, ველარ დანერ, ველარ ნახავ, ველარ გააკეთებ, ველარ იტყვი... ველარ ეტყვი...“

— ხო, ველარ ეტყვი — გაიფიქრა.

გაახსენდა. მცხეთისკენ რომ მიდიხარ, შორს, მარცხნივ სულ კლდეებია.

ერთ ვერტიკალურ კლდეში, საკმაოდ მაღლა, მღვიმეა. კლდე ციკლოპის თავის ქალას ჰგავს, ცარიელი თვალებული.

გარის ბავშვობიდანვე ძალიან უნდოდა იქ ასვლა. სტუდენტობისას, რამდენჯერმე დროც კი დათქმულა იქ ასასვლელად. ჩანაფიქრი კი ყოველთვის იშლებოდა. რატომღაც.

არც ანტარქტიდაა, არც ჯომოლუნგმა, არც იალბუზი. აქვე, თბილისთან, გზიდან ორი-სამი საათის სავალზე. და მაინც...

ვერც ვერასოდეს ავალ. გააცნობიერა გარამ. ისევ რვეულს დაუბრუნდა.

„ვერ ეტყვი“... ხმამალა წაიკითხა.

სიკვდილი... დიდი არაფერი...

არც ახლა მეშინია.

მაგრამ ტკივილი...

ფურცელს მიაშტერდა.

დილით, სააბაზანოში წვერს რომ იპარსავდა, რატომღაც მოუნდა ნიჟარა წყლით გაეცხო და სახე თბილ წყალში ჩაეყო.

ორი კვირის წინ... ბიჭები კახეთში წავიდნენ, უცხოელ ჟურნალისტთან ერთად.

ცოლ-ქმარი მარტო დარჩა.  
დილით შუქიც მოვიდა. გამოურთავი მიმღები ააღრიალა.  
ესტრადის ვარსკვლავ-ბიჭუნა საყვარელ გოგონას  
სთხოვდა, ფიცი მიეცა, რომ მუდამ ეყვარებოდა...

გარი და მისი ცოლი ერთად იწვნენ...  
— ფიცი ვერ უშველის, თუ ნამდვილი არაა... ნამდვილ სიყ-  
ვარულს კი ფიცი არ სჭირდება, — ჩაილაპარაკა ცოლმა. ვი-  
თომ თავისთვის, ისე რა. გარისგან დასტურს ელოდა...

გარიმ დაუდასტურა და თვალი აარიდა.

ჩეჩნეთის შემდეგ... საავადმყოფოდან რომ გამოვიდა...  
ცალკე წვებოდა.

ცოლი თვითონ მოვიდა — შენთან მიინდაო.  
დასახიჩრებულ ფეხზე შეხება იგრძნო. გაინია.  
ცოლმა — მსიამოვნებსო.  
წლების მანძილზე არსებული ტიხარი მოისპო.  
ბიჭები გაიზარდნენ. თავისი ცხოვრება ჰქონდათ.  
გარი და მისი ცოლი დარჩნენ პირისპირ. უფრო — გვერ-  
დიგვერდ.  
ორივე — ასაკში.

DISCOVER-ზე ნახა. ქვის ვარდნა ჭაობში. საინტერესოდ იყო  
გადაღებული. კამერა — ქვემოდან. ხვრელში — ცა. მზის სხივი —  
წყალში. აპკი ნელ-ნელა იკვრება. შეიკრა. წყალქვეშ — სიბნელე.  
— ჩემს ცხოვრებას როგორ ჰგავს. გაიფიქრა რატომღაც...

გარის ახალგაზრდობაში ერთი ცნობილი ავტომობილი  
ავტოკატასტროფაში დაინვალიდა. წელში განყვეტილი  
მშობლებთან სახლში ჩაიკეტა. ახლობლებს არ იკარებდა. Girl-  
friend-საც აუკრძალა მოსვლა.

ვილაცისთვის უთქვამს თურმე — მოვა, ფერარის მერე  
ჭოჭინათი მნახავს და წავა. ჯობია, არ მოვიდესო.

მერე გარის გაუგია — გოგო მისულა და აღარ წასულა.  
ერთი კვირის წინ გარიმ უცნაური სიზმარი ნახა. პატარა  
იყო. ვერტიკალურ, გამჭვირვალე სიბრტყეზე ციგურებით  
დასრიალებდა. თვითონაც უკვირდა, ისე ლაღად. გვერდით  
ასეთივე გამჭვირვალე სიბრტყეზე ბიჭი სრიალებდა, ასევე  
ლაღად. იცნო.

მეოთხე კლასში, მეორე მეოთხედის ბოლოს ახალი მოს-  
წავლე შემოიყვანეს კლასში. გარის გვერდით დასვეს.

პირველიდან ბოლო გაკვეთილამდე დასვენებებზეც, გე-  
მოზანას თამაშობდნენ. თავაუღებლად.

ასეთი ბედნიერი დღე გარის ცხოვრებაში მეტი აღარ ჰქონია.  
არდადეგების შემდეგ მოსულებს კლასის დამრიგებელმა  
გამოუცხადა, რომ ახალი მოსწავლე ახალ წლის ღამეს ტრამ-  
ვისა გაუტანია.

ის ბიჭი დაესიზმრა, სახელი კი ვერა და ვერ გაიხსენა.  
პარალელურ სიბრტყეებზე ცურვის სილაღე, რამდენიმე  
ხანს ცხადშიც კი გამოჰყვა.

ნორმან მეილერს უწერია... ფსიქიატრიულში უმუშავია რამ-  
დენიმე წელი. იქ ერთი ავადმყოფი ყოფილა. დიაგნოზი — კატა-  
ტონია. სტუპორში — ოცი წელი. მზერა — ერთ წერტილში.

ერთხელაც... ამას წინ უძლოდა კარის ჭრიალი... შემოსულ  
ორმეტრიან სანიტარს ერთი დარტყმით ყბა ჩამოუღო.

მობილური გაახსენდა. დილით ცოლი შეუძლოდ იყო. გარი  
გასვლაზე ფეხს ითრევდა. უფროსმა ბიჭმა შეამჩნია. დღეს არ  
დამჭირდებაო. თავისი მობილური დაუტოვა.

ნომერი აკრიფა.  
— მე ვარ! თავს როგორ გრძნობ?  
— შენ? — ხმაში გაკვირვება, — მე — უკეთესად... რამე მოხდა?  
— არა, ისე! მომენატრე!  
— მეც, იცი!  
მანქანის კარი გაიღო.  
— თავისუფალი ხარ?  
— ...  
— ბიძაჯან, მომეცი ერთი შენი მობილური. წყნარად...  
ხელიდან აართვა.

გვერდით — ფოლადისფერი „მერსედესი“ იდგა. ორივე  
მარჯვენა კარი — ღია. მანქანაში — ხუთნი.

გაგლეჯილ კაიფში.  
პალტოს კალთები მოიქნია და მძღოლის გვერდით ჩაჯდა.  
— ტექნიკურად ავახიე, არა?  
ხარხარი.

კარი დაიკეტა და ადგილიდან მონყეიტეს.  
გარიმაც დაქოქა და გაჰყვა. არც დაფიქრებულა, ისე...  
შუქნიშანზე მერსედესის გვერდით აღმოჩნდა.

შეამჩნიეს. როცა გზა გაიხსნა, არ აუჩქარეს. თითქოს გა-  
მონვევა მიიღეს.  
გასართობი გაუჩნდათ „გოკნაობა“.

მიხვდა — წინ უშვებდნენ, მერე რომ „ლამაზად“ ჩამოეტო-  
ვებინათ.

გვერდი-გვერდ, სანაპიროთი.  
წინ — მეტეხის სილუეტი.  
ულაყის გავა — კიდობანი.  
გორგასლის მარჯვენა „სდექს“ ანიშნებდა ვილაცას,  
მტკვრის გაღმა.

ისევ — გვერდი-გვერდ. მოსახვევში, ხიდზე.  
გახედა. ექვსი მტაცებელი. ნიღბები. ხროვის ინსტინქტი.  
გაზი. სულ ოდნავ — წინ... საჭე — მარჯვნივ.  
იმათაც. ინსტინქტურად.

ორმა მანქანამ ერთდროულად გაანგრია თუჯის მოაჯირი.  
სინქრონული ფრენა...

გელათი. საფლავის ფილა. აღმამენებლის გულზე ფეხს  
ადგამ. გვერდს ვერ აუფლი.

თავმდაბლობა? ამპარტავნობა? იმასაც ამბობენ, ნეშტი  
სხვაგანა დაკრძალული.  
ცრუობენ, ალბათ!

ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო საბავშვო თეატრმა  
უმასპინძლა მუსიკალური ფესტივალის „5 ვეგას“ მეათე, საიუბი-  
ლეო დაჯილდოებას. ფესტივალის ორგანიზატორები გახლდნენ შე-  
მოქმედებითი გაერთიანება „ფორტუნა 97“-ის გენერალური დირ-  
ექტორი ცაია ყიფიანი, კოალიცია „ქართული ოცნება“ და კონ-  
სერვატიული პარტია, რეჟისორი კი — მარინა ცხაკაია.

ფესტივალ „5 ვეგას“ 2013 წლის გამარჯვებულები გახდნენ:  
პირველი ვეგა — ლიკა თორთლაძე (პედაგოგი — მეგი ქავთარა-  
ძე);


მეორე ვეგა — სალომე მარკოზაშვილი (პედაგოგი — თეონა  
ნიწინვაძე);

მესამე ვეგა — რატი მეზერიშვილი (პედაგოგი — ზაზა მენაბ-  
დიშვილი);

მეოთხე ვეგა — ლიზი ჩიჩუა (პედაგოგი — ნანა გიგოშვილი);  
მეხუთე ვეგა — მოსწავლე ახალგაზრდობის სახელმწიფო ანსამბ-  
ლი „კავკასიონი“ (ხელმძღვანელი — ანგული ქავთარაძე).

ფესტივალის პატარა გამარჯვებულებმა დუეტები შეასრულეს  
ცნობილ მომღერლებთან: მამუკა ჩარკვიანთან, ანრი ჯონაძეს-  
თან, ნინო ნიკლაურთან, გიორგი ჩიქოვანთან, ლევან კვიციანი-  
ვილსა და ჯგუფ „ბარძიმთან“.

ფესტივალის მეგობრებმა და მხარდამჭერებმა, პარლამენტა-  
რებმა ბიძინა გუჯაბიძემ, თემურ მაისურაძემ, დავით ლორთქი-  
ფანიძემ, მერაბ კუჭუხიძემ, დემოგრაფიული ფონდის თავმჯდო-  
მარემ თამარ ჩიბურდანიძემ და ჩუღურეთის კონსერვატიული პარ-  
ტიის თავმჯდომარემ ნანა ხომასურიძემ წარმატება მიულოცეს,  
სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს გამარჯვებულებს.



გია კობახიძე

\* \* \*

ცეცხლი ახელებს ბუხარს,  
მოჩანს ნაცარი რუხად,  
გული ტყეს უგავს უღრანს,  
ქალის მსაჯული ნუ ხართ,  
სუსტია — როცა უყვარს,  
ძლიერი — როცა უყვართ.

ასდევნებია სულ ქარს,  
ქარით ცოცხლობს და სუნთქავს,  
სუსტია — როცა უყვარს,  
ძლიერი — როცა უყვართ.

\* \* \*

უნდა დაინახო — სამყარო რაზე დგას,  
ამ გულით გვედრი და ამ რწმენით გაღვიძებ,  
თვალეში სიკეთე მზის სხივს რომ ასე ჰგავს,  
ვერც სიტყვით გეტყვი და ვერც კალმით აგინერ,  
ცხოვრების არ ასცდე არც შხამს და არც ეკალს,  
ამ მინის სურნელს და ამ ზეცას გაფიცებ,  
იმ ხელით, რომელიც ოქროთი სავსე გაქვს,  
ვერც რამეს შექმნი და  
ვერც პირჯვარს გადინერ.

\* \* \*

შენი სიტბო მივსებს ხელებს —  
გამჭვირვალე მინანქარი,  
ოლონდ ხელი შემამშველე,  
ოლონდ შენი ვიგრძნო მხარი.

გვერდით გყავდეს, როგორც შვილი,  
თმაში ლექსებს წნავდეს ქარი,  
თვალწინ გქონდეს გადაშლილი  
მთელი ქვეყნის სანუხარი.

პეშვს გივსებდეს ყურძნის წვენი,  
სანნახელის ვინრო ღარი,  
კართან გედგას თეთრი ცხენი,  
რქაზე სანთლით — თეთრი ხარი.

სხვა რა გინდა — გაგრილებდეს  
დილის ნამი, დილის ცვარი,  
ვისი თვალიც გაცილებდეს,  
შენც იმისკენ დაიძარი.

და თუ მაინც დაიცალე,  
და თუ მაინც გაეცალე,

როგორც ადრე, ბიჭობაში  
ისევ ღვინოს დაეძალე.

ჰქონდა ხათრი ვაზის ძირის,  
გვარიგებდა პაპაჩვენი —  
ღვინო უნდა იყოს ძვირი,  
იაფი — სხვა დანარჩენი.

მოედება ჟანგი ბოქლომს  
თუ ერთხელაც არ გაიღო,  
ცხოვრებამ თუ მოგცა ოქრო,  
ნაცვლად ვერცხლი არ გაიღო.

შენი სიტბო მივსებს ხელებს,  
როგორც რჩევა წინაპარის,  
ოლონდ ხელი შემამშველე,  
ოლონდ შენი ვიგრძნო მხარი.

\* \* \*

როგორც მეურმე მიუძღვის ხარებს,  
ისე მიმიძღვის სიკეთე გზაში,  
და მივადგები სიღნაღის კარებს,  
როგორც შემკრთალი პატარა ბავშვი.

თავზე მომავლის ადგას იმედად  
კავკასიონის მთების მხარ-ბეჭი,  
უფალმა სხვისთვის ვერ გაიმეტა  
და ამიტომაც გაჩნდა კახეთში.

გადანულია ვენახი ვენახს,  
ფესვებში უდგას სისხლი ქართული,  
ხარობს ვაზი და ზღვასავით ღელავს —  
ნიკალას ტილო გადმოხატული.

ახარებს თვალს და გიქრება დაღლა,  
ეხები ხელით, როგორც საუნჯეს,  
გულით დაინყებ ლაპარაკს ახლა  
ეგ სილამაზე თუ დაგამუნჯებს.

მამად გხვდება და სიმშვიდით გავსებს,  
ალაზნის ველი სუნთქავს კახეთად,  
ერთი არ იდგეს სიღნაღი ასე,  
იმასაც ვნახავ, რას გადახედავ.

მოჩანს სიზმარი, ნანახი ცხადში,  
ნატვრისთვალევით ეღვარებს მზეზე,  
მზე დააბიჯებს შუადღის ზვატში  
და მამალივით ისწორებს დეზებს.

მტევანი ნელა კარგავს სიმწვანეს,  
სექტემბრის ბოლოს იქცევა ქარვად,  
ფოთლებმა უკვე ფერი იცვალეს,  
სხვა ხასიათზე დაბერა ქარმაც.

ზღაპრულ დევივით ჩანს სანნახელი,  
წამონოლილი დუმს ჯერჯერობით,  
მალე „ჩაკრულოს“ იტყვის კახელი,  
ისევ ვიმღერებთ, რასაც ვმღეროდით.

ქართველის გული ვერ ძლებს საგულეს,  
ლექსის და ჰანგის სურს გამეფება,  
კაცურ მჯილს მკერდზე დაიბაგუნებს  
და ღვინის სურნელს გაყრის შხეფებად.



ამას სიცოცხლის წყურვილი ჰქვია,  
არ გაქრები და არ გახუნდები,  
რაც გიყვარს, იმას, ადრე თუ გვიან  
აუცილებლად დაუბრუნდები.

დაუბრუნდები, რადგან ამ ვაზებს  
შენი აქვთ ჯიშში, მზესავით ძველი,  
შენია თვალნი ეს სილამაზეც  
თვალუნვდენელი სივრცის და ველის.

უპყრიათ თასი მამას და ბიძას,  
რადგან დანურეთ, კიდეც დაისხით,  
მართალი სიტყვა წვავს გულის ფიცარს  
და თვალზე ცრემლი მოდის თავისით.

გადანულია ვენახი ვენახს,  
ფესვებში უდგას სისხლი ქართული,  
და შემოდგომაც ზღვასავით ღელავს,  
სიზმრიდან ცხადში გადმოხატული.

\* \* \*  
სიმართლის თქმა უჭირთ ადამიანებს,  
ერყენებათ — არაფერიც არ ხდება,  
ურმის თვალი უსაშველოდ ჭრიალებს,  
სულ ცოტაც და უსათუოდ გატყდება.

ფასი ადევს, თითქოს, სიტყვას რაინდის,  
თუმცა „ისე“, ხშირად მაინც „ასე“.  
არ მგონია, რამეს ცვლიდეს ამინდი  
მითუმეტეს, წლები ცვლიდნენ ხასიათს.

ზოგი მხოლოდ იმითაა ამაყი,  
სხვისი ჭირი თუ ნაკლებად ადარდებას,  
გამოხედვა — გათელილი ბალახის,  
მწვანე ფერი ჩალისფერში გადადის.

წასვლის ჟამმა ოდნავ გადაინია,  
ახვეული თვალებით დგას თემიდა,  
წლები ხმელი შემასავით იწვიან,  
საუკუნეს სცვივა ფერფლი მხრებიდან.

ვერაფერი ნუგეშია ასაკი,  
დევის, ამიტომ, შესაბამის თაროზე,  
მუშტრის თვალი აკვირდება გასაყიდს,  
ქარის ხელი ატრიალებს კარუსელს.

გზას ატყვია და სულაც არ მცირდება  
ერთი კაცის გავლილი და განცდილი,  
რადგან ახლაც ისევე იყავი გჭირდება  
ის, რაც ადრე კარგად გქონდა დაცდილი.

\* \* \*  
გახსენდება, ბავშვობაში ყველა წელი,  
ერთმანეთზე ნიგნებივით როცა ეწყო,  
ხომ მჯეროდა, რომ სავალი იყო გრძელი,  
ხომ გინდოდა, რალაციდან რომ დაგეწყო.  
დაიწყე და დაეფინა შუქი მზიდან  
ყველას, მერე სიყვარულით ვიზეც წერდი,  
ხან იელვა, ხან კი ცრემლად დაეკიდა  
თვალის უპეს შემოდგომის წვიმის წვეთი.  
მკრთალზე მკრთალი მეჩვენება გზაზე კვალი,  
გუმინდელი უბრუნდება ქალას სხივი

დაგროვილა უამრავი საფიქრალი,  
წინ გინყვია მოთიბული ბალახივით.  
თუ ეცადე მეტი, სხვასთან შედარებით,  
გავა დრო და ერთს ხომ მაინც ეხსომები,  
საკუთარ თავს სულ ტყუილად ემალები,  
არსებობენ რადგან, თურმე, წვრილმანები,  
რომელთათვის ღირდა, ალბათ, ეს ცხოვრება.

\* \* \*  
ახლა მივხვდი, რიონი როგორ მომნატრებია,  
მიუყვება მდინარეს გზა, სველი და მზინვარე,  
ალბათ, მდინარეებიც ფეხადგმული გზებია,  
რადგან ამ ქვეყანაზე ყველაფერი მდინარებს  
იმდენი გვაქვს გავლილი გზაშარა და ბილიკი,  
უნდა ვგავდეთ ერთმანეთს, ალბათ, გასაგებია,  
ასე უნდა ხდებოდეს, მაგრამ ხდება პირიქით.  
თურმე, ადამიანებს გზებიც ემსგავსებია.  
წყალი ყვება ნაფიქრალს იმ დღეების შესახებ,  
რასაც დიდი ხნის წინათ, ბავშვის თვალით ვხედავდი,  
ფიქრი უცხო ჩიტი, ხელს ვერასდროს შეახებ,  
უცნაური ბედი აქვს — ფრინავს, მაგრამ ვერ დადის.  
ქვებზე წყალი გადარბის, ძალიან ჰგავს მაშინდელს,  
თითქოს ძველი სურათი შეხიზნულა კედელზე,  
ღრუბელს სცვივა სიგრილე და ყველაფერს ამშვიდებს,  
ისევე ბადის სასროლად ემზადება მეთევზე,  
ტალღას მიჰყავს ნიაფი, ყურს ათბობს და ახარებს,  
როგორც ტკბილი ზღაპარი, მოყოლილი ძილის წინ,  
ნეტავ, ამ მდინარეებს ზღვისკენ რა მიაქანებს,  
ამხელა დედამიწას რა აბრუნებს, ვინ იცის,  
ცა ერთგული ქალივით ღიმილს არ დაინანებს,  
ამიტომაც მივყვები ამ მიწა-წყალს ვნებთანს,  
რადგან ამ ქვეყანაზე ყველაფერი მდინარებს,  
ალბათ, მდინარეებიც ფეხადგმული გზებია.

\* \* \*  
გაზაფხული ნაბიჯებს თითო-თითოდ ზომავდა,  
ბაღში ღია სარკმლიდან ჟღერდა „მთვარის სონატა“.  
ჩანდა ხავსის ფოჩები, დარღვეული ტილოდან,  
დრო ვერაფერს ვერ ცვლიდა,  
თუმცა ახლაც ცდილობდა,  
არსებული ჩრდილივით, არარსებულ ღობესთან,  
სიმარტოვე ნამოჯდა, ალბათ, ძილი მოზეზრდა,  
ზაფხულს დღე გამოაკლდა, ან იქნებ, შეემატა,  
იფიქრა და ვერ მიხვდა — იღებდა, თუ ემართა,  
გაღმა ვერხვმა ყველასთვის გრილი სიო ინატრა,  
ტოტები გააღვიძა, თუმცა, ამით იმათ რა?!  
სანამ ხელი რიჟრაჟის ღრუბელს ორად გახევდა,  
მარტოხელა მამალმა ცან ირიბად გახედა.  
ელვამ ოდნავ იელვა, ხმა სიჩუმეს შესწირა,  
ალბათ, ადამიანებს მშვიდად რომ დაეძინათ,  
მარტო მიწა გრძნობდა და მარტო მიწა ხვდებოდა,  
რომ ეს კაცის ფიქრის და  
ნების იქით ხდებოდა.

მთვარეს ესიზმრებოდა  
ძილში „მთვარის სონატა“,  
ღრუბლებიდან წყალივით შუქი ნელა ჟონავდა,  
ლამის უკან მოხმობას აღარავინ არ ცდილა,  
თენდებოდა მეფურად,  
რბილად,  
ჩუმად,  
ადვილად...



ნუკრი ბერეთელი, როგორც შემოქმედი, დღითიდღე იზრდება და არ შეიძლება ეს არ აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ არის ამ განცხადებაში უაპელაციოების დოზაც.

ზრდა მინიდან იწყება; სინამდვილიდან, რეალურობიდან, ყოფა-ცხოვრებიდან იწყება და სწორედ ეს არის შესამჩნევი ამ ლექსებში — ემოციისა და ინტონაციის აღმავალი ხაზი და სამყაროს აღქმის ინტენსივობა. როგორ შეიძლება სინამდვილე იქცეს პოეზიად? ამას, ბუნებრივია, სჭირდება პოეტური ოსტატობა და ნათელხილვის განსაკუთრებული ნიჭი, რომელიც ბუნებასთან შეზრდილ-შესისხლხორცებულ ადამიანებს აქვთ. როგორც ჩანს, ყოველდღიურობის მდორე რიტმში არის მისტიკის რაღაც წილი, რომელიც სიცოცხლის აზრს შეიცავს და ამიტომაც არის გასაგები, ძვირფასი, საგულისხმო. ნუკრი ბერეთელს შეუძლია ეს რიტმი გარდაქმნას შესაბამის განწყობილებად და მკითხველსაც უდანაკარგოდ გადასცეს, გადასდოს, გაუზიაროს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ლექსებს სასიამოვნო ლაიტმოტივად გასდევს მშობლიური მიწის თემა, როგორც იტყვიან, ადგილობრივი კოლორიტი. თითოეული სტრიქონი იმ კარგად ნაცნობი ეთიკური ტრადიციების ველში იზრდება, რომლის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია საქართველოს ერთ-ერთი ძვირფასი კუთხე — იმერეთი.

### ნუკრი ბერეთელი

გიქრობდი კოცნით. გამომშრალს გვაღვით მინას სწყუროდა და მერე ცრიდა.

### ჩემი ნიბნი

წუხელ სოფლად მოველ, ჩამოვილე მხრიდან მძიმე ტვირთი. მოწმე მთვარე იყო მარტო. და წინკართან დედა სველ ტკივილებს მხდიდა, როგორც ზამთრის წვიმით დამძიმებულ მანტოს.

დღილიდან კი ისევ ორპირ ქარებს ვენდე, ნალიიდან (ძველი) სხვა ჰაერი, სულ სხვა — ჩავისუნთქე. მინდვრად მთელი ღამე ვეგდო ხელგაშლილი — მინდა! სულმა იგრძნოს სუსხვა

რიჟრაჟისას. მთვარით გამობერილ აბგას უდარდელა ბეჭზე მომცრო ცულის ტარით შემოვიგდებ სტვენით. ღელე ამბებს დაფქვავს... — გატლევილა ენად! — ეჭვიანობს ქარი,

აჭრიალებს მარნის ფარლალა კარებს. აჭარხლებულ სახეს ვერსად მალავს ხაპი: ჭინჭილასთან, მორცხვად რომ გვაპარებს თვალებს, ტური ტურზე ედო წუთის წინათ — პაპის

ძველის-ძველის-ძველი სანახელის გვერდით. მეც გამექცა ფიქრი... გამახსენდა ახლა: ჩემი მძიმე წიგნი, ოცდაშვიდი გვერდით, შენი — ყველა გვერდით ოცდაოთხი დალლა.

### იმა

შენ იმერეთში (იმე!) იმერლობ ზოგჯერ და გული ჩემსავით გიცემს. ღმერთმა მაგ გულის ცემა მიბევროს, მიუთვალავოს!.. ჩვენ ორმა ვიცით,

მე და შენ მხოლოდ — როგორ გვაკლია ჩვენი ბავშვობის წახრილი ოდა, ცა — მერცხლები რომ სიცილს გვაყრიან... მინასაც ჩვენი ღიმილი ჰქონდა —

ნამარიობევს, სექტემბრის დამდეგს, როცა ტაროებს აცლიდნენ ქოჩორს, როცა მამები დიდ ზვინებს დგამდნენ, როცა ფუჩეჩი ეძინა ოჩო-

კოჩს და ვარსკვლავებს ვითვლიდით მალვით, მერე კი ჭორფლებს პაჭუა ცხვირთან

და მერე თოვდა. და მერე მეკვლე დაგვირიგებდა „წუგას“ ან „ირისს“. და მერე, მერე ბოლო ზარს რეკდნენ. და მერე აღარ ეძინა თბილისს...

და მერე უფრო: „...აქა-იქ“, „ზოგჯერ“... იქ — წაქცეული ბოძი და ხიმე. აქ — ოხვრა, თითქოს მარჯვენა მომჭრეს... და სიზმარ-სიზმარ მოვლილი იმე...

### ნაპარტახალი ლექსი

სადღაც ყვინჩილა ხმას ინმენდს სარზე, კოპიტის ჩრდილი აპარებს ციაგს. — ეზოში საფლავს... — დამიწყებს ასე... საფლავს ეზოში რა უნდა, ძია?! — ასე დამიწყებს ერგნელი გლეხი საუბარს, მერე დაკოჟრილ ტორებს დაიწყობს მუხლზე. ვეება კეხით ყუმბარმტყორცნებით დანგრეულ ყორეს, დამწვარი სახლის ნაწილსაც ფარავს. ახლა „პარტახი“ რას ჰქვია, ვიცო... და ნაოხარი სოფლიდან „ფარა“ — ათიოდ ცხვარი და მწყემსი ბიჭი გამოდის. თითქოს ვუცქერდე კინოს... ვერკევევი — ისევ მოხუცი ცხარობს: — წყალი?! ზღაპარი რა არის შეილო, — გველეშაპებიც გვაძლევდნენ წყაროს!.. და წყალი კიარ, სხვა — ერთი წვეთი დაღარულ ღანვზე მოლოღავს, შრება. ვდუმვართ და ისე ხმაურობს მკერდი, — ახლადდაჭედილ ცხენების რემა გადაატარეს ლითონის ხიდზე... ამ სერს გაღმა კი ვანია უსტვენს, ან იპურჭყება, ან ამბობს: „იძი...“ და ვაზიანად „დაკრეფილ“ ყურძენს იტენის პირში!

მზე — სისხლის გუბე — ერისიონთან მითხიპნა ალვამ. და ომს, რომელსაც სულყველას ვუგებთ, (ინფორმაციულ) მე ვაგებ (გვალვამ წელსაც აჯობა შარშანდელს) გლეხთან, რომელიც მამას მაგონებს ხელით, დაკოჟრილ ხელით და ლიბრით; ფვებთან მიწოლილ ძაღლით... და ლიბოს გველი

ეხვევა... მგუდავს... და ზურგით ვდგავარ.  
საფეთქლებს ვილაც უმარჯვეებს უროს.  
ხმა ჩახლეჩვია ერთადერთ მამალს  
და მთვარეს ბოლავს დამწვარი პური...

## ბასკლა

გავალ უშენობით სავსე კედლებიდან,  
იქნებ უძილობამ აღარ შემახსენოს  
თავი, ამოსული ყელში ვედრებითა,  
ლოცვა-ვედრებითა... აღარც შენ მახსენებ,  
აღარც — შენი ეზოს თეთრი აკაცია,  
აღარც — მეგობრები, მტრები — მით უმეტეს.  
ტანში უცნაურად, რაღაც, გამაცია,  
ესეც სასიკვდილო ნიშნებს მივუმატე.  
ახლა იოლია ჩემი გამეტება,  
როგორც დრომოჭმული, ძველი საათების.  
ახლა დედამინა გულზე დამეტევა,  
დღესაც, როცა მინდა, მაშინ გავათენებ —  
უნდა დამიჯერო! დროა მიამიტი.  
სადღაც მიტოვებულ ეკვდერს ახმინებს  
წყვილი ტურისტების... და აქ მე რა მინდა,  
ვერც ეს გამიგია. ჩემი სახლი არის  
სადღაც, ცხრა მთას იქით. თუმცა, სამოთხიდან  
(ესეც უნდა ითქვას) ცხრა თვის სავალზეა.  
სანამ ჩემს დასალუბ დანას გამოვთხრიდე,  
სანამ დამტრიალებს სული გავაზივით —  
მოდით!.. შენი ცოდვა ისე ფიორია,  
მძივად ავკინძავ და გულზე დავიკიდებ.  
მერე ყველაფერი ისე იოლია,  
ქარებს უფსკრულებში უნდა გავეკიდო.

## XXI

*ერაყში შეყვარებული წყვილი ჩაქოლეს.  
„ქრონიკის“ ტიტრებიდან*

მთელი ცხოვრება გარნმუნებდი,  
რომ მე უფრო, უფრო მიყვარხარ!  
შენ მაჩუმებდი. არ დაგვინდო: დროა — მყეფარი.  
ფირუზისფერი ჭილოფის ქვეშ — პირველ სროლამდე —  
მაინც პირველი  
გადამეფარე...

## დღეს

დღეს სხვანაირი ფერი აქვს ფერდობს,  
ნისლიან ფერდობს, დეკემბრის ნისლით.  
დღეს სხვანაირად ძნელია, მენდო  
ცივ გვამშიც როცა ვენებს ღრღნის სისხლი.  
დღეს სხვანაირად ძნელია, გნამდეს  
და სვეტიცხოვლის სიმშვიდე გეცვას.  
დღეს სხვანაირი გზებია ცამდე —  
უფრო შორსაა შვიდივე ზეცა.  
დღეს სხვანაირად ბედურებს ცივათ  
და აივნებზე კენკავენ სითბოს.  
დღეს ნატვრებს: საბნად გვეხუროს თივა,  
შვილებში ბიჭი მესამე იყოს —  
უცქერენ უნდო ღიმილით, ეჭვით,  
ზურგსუკან ცლიან ქირქილის ქოთნებს.

და ისევ ჩემი მტკივანი ბეჭით  
და დედაჩემის ჩემს ბეჭზე მოთქმით  
მოვდივარ... მომდევს ორდობე, შარა.  
ლობისძირს მოსდევს ფინია ყეფით;  
და ბეჭებს — დედის გაკრული შალი,  
და შარის ბოლოს — ნაცნობი გლეხი...  
სხვა სუსხი მოაქვს დეკემბრის ავდრებს,  
როცა ასეთი ძნელია, მენდო.  
და ვდგავარ, როგორც გამწყდარი კადრი  
და მარტოობის ფერი აქვს ფერდობს.

## ყინულის კარი

ჩვენ გავებუტეთ ერთმანეთს გუშინ,  
მას შემდეგ მიჭერ დუმილის არტახს.  
ცას მოერია ფერები ლუში,  
მინამ ძაძების დაიწყო გახდა;  
გათენდა, ანუ — მარტივად რომ ვთქვათ;  
მარტივად რომ ვთქვა, დამთენთა ისე  
შენი სახელის ამ ღამით ბოდეგამ...  
და უშენობის სუსხი და ნისლი  
ამივსებს ფილტვებს... როცა მზე გავა  
სამ შუბისტარზე, დამშუბავს ეჭვი,  
რომ შენ გერქმევა ვილაცის დამა...  
და წყვილ ნაბზარში, მარცხენა ბეჭის,  
გამივლის ქარი — გულ-გვამის ყინვებს  
გადაატარებს გომბორის ფერდებს;  
შესცივა გომბორს... მჭირდება ვინმე,  
გვერდით მჭირდება, რომ ლექსებს ვწერდე!  
რომ მომლიმარი ვხვდებოდე დილას,  
რომ ვპასუხობდე წერილებს დედის,  
რომ ჩემი მყუდრო და ვინრო ბინა  
და ფორიაქა და ფართო მკერდი  
ველარ იტევდნენ ერთმანეთს; გარეთ  
გამოვდიოდე, მათოვდეს მშვიდად  
და შენი გულის ყინულის კარებს  
ჩამდნარი კლიტე — რომ ერთად გვინდა —  
ამხელდეს სურვილს... ის ვინმეც შენ ხარ...  
თუმც ზოგჯერ სიტყვებს ფასი აქვს ჩალის:  
როცა ოცნების ხელმარცხნივ წევხარ,  
როცა ჭრიალებს ყინულის კარიც.

## ქირომანტი

დედის ფეხებთან მიწოლილს ჰგავს ეს  
ფთილა ღრუბელი — პატარა ბატკანს.  
მოკლდება ჩემი სიცოცხლის ხაზი  
ყველა უშენო დღით, როგორც... რა ვთქვა...  
გიორგობისთვის დღეები, როგორც;  
როგორც სოფლის გზა, რომელშიც იცი —  
ვილაც სულ გელის — ფერებით ზომოს,  
რომ მაგ თმის სიგრძე... და ხელებს მიწის  
სითბო და სუნიც ექნება მიწის.  
შენ კი ქალაქის ძველ ქუჩას შერჩი.  
ახლა ეს ლექსი ხმელ მკლავზე მინევს  
და გული აღარ მეტევა მკერდში.  
და ზოგჯერ, როცა შენი გაბუტვა  
მაფორიაქებს (არადა, რისკი  
მიყვარს) და როცა ვდავობთ ამურთან,  
შენ თვალი გრჩება უჩემო გზისკენ;

მე გული მრჩება მოხურულ კართან,  
რომლის იქითაც შენ დგახარ; უძლებ  
ცდუნებას — უკან მობრუნდე... კალთა  
ვერც დედის გშველის, რადგანაც უძლებ  
შვილებად მხოლოდ დედები გვთვლიან,  
როდესაც მამებს საბანი თბილი  
ახურავთ (მინის)... და ისეც გვიან  
გაჩენილ შვილებს რაც გვრჩება: „კბილი  
კბილის ნილ!“ — გავცრათ ჩახლეჩილ ხორხებს  
და საუკუნეს — რუხი მგლის დამლით —  
გავუყვებთ, — სულაც მუხლებზე ხოხვით.  
რაც მთავარია, არ ვიგრძნოთ დაღლა:  
წვიმაში, ქარში, თოვაში, მზეში,  
ტრანსპორტში (ყვითელ), მინის ქვეშ სულაც...  
რომ არ დავკარგოთ ცხოვრების გეში,  
რომ დავიჭიროთ კბილებით სული  
როგორმე; სული — ფაქიზი ერთობ,  
(დღესაც თუ რამეს „ფაქიზი“ ეთქმის)  
რომ ისე ხშირად წამოგვცდეს: — ღმერთო! —  
მეორედ იშვას მინაზე ღმერთი.  
და მე ერთ დილას დავინწყებ შენით,  
მშვენიერ დილას — მინდა, ვთქვა ასე.  
და ჩემი სახლის ახდილი ჭერი  
იქნება შენი სიმშვიდით სავსე.  
მანამ კი ნედლი კუნძივით ვბოლავ,  
ამოვარდნილი გული კი მაზის  
მხარზე — ჩიტვიით... და მოდი, თორემ  
მოკლეთა ჩემი სიცოცხლის ხაზი.

### მარტის ფოთოლცვენა

სხვანაირი ფიქრი იცის მამაჩემმა,  
სხვანაირი ფიქრი და დარდი.

აი, ახლაც, გულაღმა წევს სანოლზე,  
ჯარისკაცის ძველი, კიდებგაცვეთილი ქუდი თვალებზე  
ჩამოუფხატია და

თითქოს მიცვალეულ მამას აჯავრებსო —  
არ სუნთქავს, არა!  
მხოლოდ ხანდახან ჩაახველებს ხრინჩიანი ხმით.

დღეს არც ცოლზე ეფიქრება,  
არც შვილზე ეფიქრება,  
არც — როგორც თვითონ იტყვის ხოლმე —  
„ამ დაქცეულ ქვეყანაზე“ ეფიქრება:  
ბავშვობის ლანდებს დასდევს  
ქუდის ჭრელ მღვიმეს შეფარებული თვალი.  
ხედავს:

როგორ გამოაქვს დილის მზით ორთქლადენილი ბოსლიდან  
დედას აქაფებული რძე და  
სამფეხზე შემოსკუპებულ ქოთანში ასხამს;  
როგორ ეცემა პატარა ძმის მუჭისტოლა ცრემლები  
სოხანეზე ვერცხლისწყალივით აგორებულ ცხელი რძის წვეთებს;  
როგორ დასტრიალებს საარყე ქვაბს შეზარხოშებული მამა და  
კვამლით აცრემლებულ თვალებს  
ნაცარწმენდილით დასვრილი ხელის ზურგით ინმენდს;  
როგორ ჩამოაქვთ ჭრიალაღერძიანი ურმით  
უფროს ძმებს ყვავათავას მთიდან შეშა და  
როგორ უხურთ კისრები ფერდებჩაცვენილ ხარებს;  
როგორი რუღუნებით კრეფს ბაბუა ბელის გვერდით  
დათესილ თუთუნს,  
რომ მერე, დიდთოვლობისას,

გახურებული ბუხრის შეჭვარტლულ ქვას მიუკაკუნოს  
გაჩაღებული ყალიონი და  
სოფლის დარდით ღამენათევმა აღარ დაგაყენოს შინ:  
— ჰე! წყაროს გზა არ ჩაიკეტოს, შვილებო!  
ჩადი, ოთარო და ამოდი!  
ჩადი, ნოდარო და ამოდი!  
ჩადი, ანდრიკო და ამოდი!..

ზამთარში თბილია საფაჩქის წყალი...

სხვანაირი ფიქრი იცის მამაჩემმა.  
ნაშუალამევს წამოდგება მთვარეულივით და  
შიშველი ფეხებით მოძებნის ფლოსტებს.  
წაფრატუნდება და წინკარამდე სამჯერ მაინც წამოახველებს.  
აივანზე ფეხქვეშაგებულ ძალს დაბალი ხმით მიეფერება და  
ეზოში გასულს, გარინდებულს  
გუშინდელი თოვლის სიცივე დაუბრუნებს დღევანდელივით.  
მარტის თოვლზე გაცილებით ცივია ფიქრი:  
ხვალ მესამე ძმის საფლავს გათხრიან...  
თან — ლისს გადაღმა.

ჩადი, ოთარო და ამოდი!  
ჩადი, ოთარო და ამოდი!  
ჩადი, ოთარო და...  
ამოდის. ამოინვერა...

საჩეხიდან გამომშვებულ ხბოსავით აზმორებს სოფელი.  
მამასაც სიკვდილამდე ერთი თვით ადრე წაერთვა ენა...  
მაინც ვერ ჩამოუსწრო იმ დასაქცევი მოსკოვიდან ბიჭმა...  
ის მარტივ თოვლიანი იყო, დედა რომ წავიდა...  
თოვლიან მინას ნუ აყრითო — მესაფლავებებს ეხვეწებოდა...  
ფოთოლცვენისას უნდა მოვკვდეთ...  
მარტის ფოთოლცვენაა ახლა.

სხვანაირი ფიქრი იცის მამაჩემმა,  
სხვანაირი ფიქრი და დარდი.

\* \* \*

მინამდე მანძილს ველარ ზომავს მილი და ვერსი,  
გადავარდნილი (ღვთის პირიდან) ნაგილო ქარმა.  
ამ რუღუნებით გამონერილ — დილიდან ვერ სვამ —  
წამლებს და ფიქრობ: ვერასოდეს გაგიგო ქალმა!..

ძმებმა — მით უფრო. ჩაიკეტე, ჩანექი, ჩაშრი;  
ძველი იმედის საჩქეფურსაც დაუცე ნოშო.  
ჩარდახში პაპის შენახული ხან წეკო აშრე,  
ხან აკვლევიანე სიძვის (სავსე) დიაცებს ხოში.

ხან ადექი და სხვის საფლავში ჩანექი ნებით,  
ხან სხვისი ცოდვა განიკითხე, ხან — მაღლი ირგე;  
ხან, ლოცვით სავსე, საუფლოსთან პასექით ები,  
და ხან ავსებდი, ნარბშეკრული, ჰამასის რიგებს.

მერე მოგებზრდა ყველა დოგმა, კანონი, ჩარჩო,  
ყველა ორდენი, ყველა სკიპტრა, ტახტი თუ დაფნა...  
და როცა ყველა: ბატონი თუ ბარონიც ჩარჩობს,  
შენ, როგორც სითბო, თეთრი ფერფლის, ანტიკურ საფლავს,

მშრალ სულში ჩაგრჩა სიყვარული — გადახნულ ფსკერზე.  
მერე აიღე თავზე ხელი, აიღე ჩალმა,  
და გამოუჩნდა შიშველ მინას დახრილი ღერძი...  
მერე დაღლილი ფოთოლივით ნაგილო ქარმა.

ზურაბ ხასაია

# მარტინ ჰაიდებერი ხელოვნების შესახებ

## 1. ნათელმეტყველნი და ბნელმეტყველნი

გერმანელმა მისტიკოსმა იაკობ ბომემ ქვეყნიერების გულისგულში ტანჯვა ამოიკითხა. მას, პერაკლიტესი არ იყოს, არსებობა რაღაც განუყოფელ სიმარტივედ კი არ მიაჩნდა, არამედ – განწვალბულობად, დაძაბულობად, ბრძოლად.

ქვეყნიერების ამ ძირეულ, უღრმეს ბორცვას, შინაგან თრთოლვას ნიცშემ მუსიკა უწოდა. მუსიკის უხილავ და უფორმო ნისლოვანებიდან წარმოდგებაო ქვეყნიერება, ვითარცა ნახატი, სურათი.

მუსიკის მღვრიე ნისლებში არც ერთი საგანი არ არსებობს. პირიქით, საგანთა და სახეთა ხარჯზე ბოლოქრობს მუსიკა; მაგრამ ის ფენხმძიმედაა სახეებით და იტანჯება. ვერც მოსიყვებულ მუსიკა, სანამ უკანასკნელ სუნთქვას არ ამოიტანს და სახეებად არ დაწვავდება, არ გამსუბუქდება. თითქოს მოილოგინაო მდებარეობა, პირველმა და ფანტასტიკურმა; ან თითქოს ძაგრევეს-დოინისე დაგლიჯესო მენადებმა, ნაკუნ-ნაკუნ მიმოფინეს და ამით მოასვენესო. თითქოს გათენდა და ფანტასტიკურ ლამიდან ზედიზედ ამოლაგდნენ საგნები. წკვარამ ლამეში ისინი ერთნაირი იყვნენ; მაგრამ ახლა, სინათლეზე, ნაირ-ნაირი აღმოჩნდნენ. ლამეულ მუსიკიდან, საცა არაფერი ჩანდა, სურათოვანი ნათელი ამოცურდა.

ის, რაც აქ მოხდა, მეტაფიზიკური აზროვნების მარადიული მითია. დიდი მოაზროვნეები ამ მითში უშუალოდ მონაწილეობენ და მისი მუხტით არიან ვნებულნი. მაგრამ ამ მოაზროვნეებს შორის არის ფრიად თვალშისაცემი განსხვავება. ერთნი ამ მითს აღიქვამენ პლასტიკურად ანუ სურათებიდან, სახეებიდან; მეორენი – მუსიკალურად ანუ მუსიკის მხრიდან, ზემოხსენებულ უფორმო ნისლეულიდან.

პირველთა ყურადღებას მაშინვე, თითქმის ინსტინქტურად, იპყრობს *natura naturata*, სინათლე. აკი თვალი პირველადვე სინათლეს ეტანება და სინათლის პირმშოა თავად.

არაფერი სჯობს ქაოსიდან ამოცურებულ ამ „პირველ ფორმათა“, „პლატონურ იდეათა“ ხილვას. ისინი, პირმშენიერნი, მზერას იზიდავენ. ადვილია მათი თვალის შევლება, დამახსოვრება, აღწერაც, გადახატვაც. მოაზროვნე და შემოქმედი დინჯად, უზადოდ გამოხატავს მათ. სხვისთვისაც ადვილია მათი ჩვენება. ხელოვანი სინათლით ივსება და მდიდრდება. პირველქმნილი სინათლე ნათელ აზროვნებას შობს.

**ნათელმეტყველებენ** ასეთი მოაზროვნეები. მზიურ აპოლონის მადლი ჩამდგარა მათს აზროვნებაში. სასიამოვნოა მათი მოსმენა. ისინი თითქოს ჩვენს სათქმელს ამბობენ, ოღონდ – ჩვენზე უკეთესად. ეს შვებასა ჰგვრის ჩვენს მიწყვი დაბრკოლებულ, დასაბამიდან შეფერხებულ ადამიანურ აზროვნებას.

ასეთ მოაზროვნეებს მიეკუთვნებიან: დემოკრიტე და ეპიკურე, ბეკონ ვერულამელი და ჰიუმე, ლაიბნიცი და ვოლტერი, კანტი და შოპენჰაუერი.

უთუოდ ამ „ნათელ მოაზროვნეთა“ რიგს ამშვენებენ ჩვენი ილია და აკაკი; აგრეთვე — იაკობ გოგებაშვილი.

მეორეთა ყურადღება მილურსმულია *natura naturans*-ზე – თვითონ მუსიკაზე. ისინი თვალს არ აცილებენ მღვრიე ნისლოვანებას. მოწოდებით მუსიკოსები არიან, ოღონდ თითქოს აკლიათ მუსიკალური აღზრდა ან იქნებ საკუთრივ მუსიკოსის ნიჭით. სიტყვებით ცდილობენ მუსიკის გადმოცემას.

იტანჯებიან სიტყვები, თითქოსდა შობენ თავისზე დიდს; შუაზე იხლიჩებიან და ერთმანეთს ერწყმიან; იკლაკნებიან,

მუსიკას ეწყობიანო თითქოს. ენის გრამატიკული ხუნდები იმსხვრევა ამ უთანასწორო და დემონურ ბრძოლაში. ენა ახალ, მეტყველებისათვის უცნობ წესებს ირგებს და უცნაურდება.

**ბნელმეტყველებენ** ასეთი მოაზროვნეები. არაფერს დალაგებულად არ იტყვიან. თითქოს დემონი უზითო კალმის წვერზე, რათა ნათლად მოხმობილ სიტყვას ბოლო წამს სახე უცვალოს. იქმნება ერთგვარი სფინქსური აზროვნება, რაც საზოგადოებაში სკანდალსა და გამოცოცხლებას იწვევს

ასეთ მოაზროვნეებს ეკუთვნიან: პერაკლიტე და პლატონი, ავგუსტინე და პასკალი, რუსო და კირკეგო, ნიცშე და ჰაიდებერი. ალბათ, მათს შორის უნდა ვიგულოთ ჩვენი გამსახურდია და რობაქიძე.

დაიხ, ბნელმეტყველია **ჰაიდებერი**. იქნებ ვერც ვერაფერ შეეძაროს მას ბნელმეტყველებაში. ასეა, რადგან მის „მუსიკალურ აზროვნებას“ თან ერთვის „ტექტონური სქემატიზმი“ და ერთგვარი „ეიზიტიური მიზანტროპია“, რომელიც არას დაგიდევს მკითხველს, ადამიანთა გემოვნებას და თვით შესაძლებლობასაც კი.

აქ ძელია უფრო დიდი ანტიპოდების დასახელება, ვიდრე ჰაიდებერი და ილია ჭავჭავაძე. ორივენი დარწმუნებულნი არიან, რომ აზროვნება დასაბამით პოეტურია და სწორედ პოეტი შუამავლობს, ვითარცა ჰერმესი, ლმერთა და ადამიანებს შორის.

მაგრამ ილია უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა ადამიანების წინაშე, რადგან უყვარდა ადამიანი. ამიტომ ამბობდა:

**მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მინიერი – ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა.**

ჰაიდებერს კი ყველაფერი სხვაგვარად ეჩვენება. ცას ღვთიური მნიშვნელობა დაუკარგავს, ხოლო ერს – აღზრდის უნარი. პოეტის და ერის შეხვედრა, რასაც ასე შეჭფრფინედა „მგზავრის წერილების“ ავტორი, შეუძლებელი გამხდარა. მათ აღარ უყვართ ერთმანეთი. პოეტი აღარ წერს ერისთვის და არც მის გემოვნებასა და შესაძლებლობებს ითვალისწინებს წერის დროს. ის წერს თავისთვის და კიდევ თითო-ორი დაინტერესებული პირისთვის.

## 2. „საგნის ესთეტიკა“ და „სუბიექტის ესთეტიკა“

ფრიად თავისებურია ჰაიდებერის აზრი **ხელოვნების** გამო, რაც ყველაზე სრულად გადმოცემულია მის თხზულებაში „დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა“

არ უყვარს ამ ფილოსოფოსს, როცა ვისმე ამგავსებენ. მაგრამ რაღაც შედარებანი უთუოდ გვმართებს. ეს ცოტათი მაინც გაგვიადვილებს მისი უაღრესად ბუნდოვანი თხზულების გაგებას.

ხელოვნების ქმნილების მიმართ ძირითადად ორნაირი მიდგომა იცის ადამიანმა. ერთნი ხელოვნების ქმნილებაში უპირატესად ხედავენ თვით **საგანს** და ნაკლებად ამჩნევენ მის შემოქმედს. როცა შეხედავენ, ვთქვათ, პართენონის ტაძარს, აღმოხდებათ: „ო, რა დიადი ტაძარია!“

თითქოს მინის სიმძიმე გამქრალა. გამსუბუქებულა მინა და დაძრულა ცისკენ. ტაძარი მისი სიმსუბუქეა; მისი ახალი, სრულიად მოულოდნელი სვედრი. მარადიული ქალწულის, ათენა-პალადას სული დაბუდებულა შიგ.

ასეთი ხედვიდან იფეთქებს გალაკტიონის სიტყვები:

**რა განძი გვექონია, რა მხნე, რა მდიდარი!  
ჟღერს ქვის ჰარმონია, ხარობს რამდი-ღარი...**

ადამიანი უჭვრეტს ხელოვნების ქმნილებას, ვითარცა საგანს ამაღლებულს. ერთიანად ამაღლებულია ამით და ვერ მოუცლია მის შემოქმედზე ფიქრისთვის.

მეორენი ხელოვნების ქმნილებაში ჭვრეტენ არა იმდენად საგანს, რამდენადც – შემოქმედს, ხელოვანს. პარტენონის ტაძრის წყობილ ქვათა შორის და მიღმა მათ მიწყვი ელანდებთ დიადი ოსტატის შემოქმედება. ხელოვნების ქმნილება მათ წარმოუდგებათ არა ქვებად და მათს წყობად ანუ საგნად, არამედ სწორედ – ოსტატობად. მათ სულ სხვა სიტყვები აღმოსხდებათ; ვთქვათ, ასეთი:

**მკვიდრად ააშენა, ვინაც ააშენა და ცით დაამშვენა დიდი ნიკორწმინდა.**

ან:

**ნეტა, ვინ აზიდა, ან როგორ აზიდა, რა ხელმა აზიდა მაღლა ნიკორწმინდა!**

ან კიდევ:

**კარგად გამოჰკვეთა, ვინაც გამოჰკვეთა, სიბრძნით გამოჰკვეთა მძლავრი ნიკორწმინდა.**

და ასე შემდეგ.

ამ სიტყვებში კარგად ჩანს ზემოხსენებული ხედვის თავისებურება. მჭვრეტელის აღფრთოვანება ხელოვნების ქმნილებით აქ იგივეა, რაც აღფრთოვანება შემქმნელით, მისი ოსტატობით, მხატვრული ძალისხმევით და ზეგარდმო ნიჭით. ამჯერად პარტენონის ტაძარი წარმოგვიდგება არა ათენა-პალადას, არამედ ფიდიასის სულის საყუდარად. აქ თვით ფიდიასის უკვდავი სული ბინადრობსო, იფიქრებს მჭვრეტელი.

ისტორია ხელოვნების ფილოსოფიისა სწორედ ამ ორ მიდგომას, მათს შორის უთანხმოებას ასახავს. ანტიკურობაში პირველ მიდგომას **პლატონი** განასახიერებდა, მეორეს – **არისტოტელე**.

დაპირისპირება უფრო მკაფიო ხდება ახალ დროში, გერმანელ ფილოსოფოსებთან. აქ პირველ მიდგომას **ჰეგელი** ჩამოაყალიბებს უფართოესად, მეორეს – **კანტი**. ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ჰაიდეგერი პლატონს მეტად ჰგავს და არისტოტელეს – ნაკლებად; ჰეგელს – მეტად და კანტს – ნაკლებად.

ჩემს თხზულებაში ესთეტიკას ნუ ეძებთო, გვაფრთხილებს ჰაიდეგერი. კანტისგან გამიჯვნას აპირებს. „ესთეტიკაში“ მის „მსჯელობის უნარის კრიტიკას“ გულისხმობს.

კანტმა გენიალობის ესთეტიკური თეორია შეჰქმნა; ხელოვნების ქმნილება პოეტის „პროდუქტული წარმოსახვის“ ნაყოფიაო. ამიტომ ქმნილება იგი ასახავსო არა თავისთავად არსებულ რაიმე საგანს, არამედ – პოეტის წარმოსახვას.

თუ ზემორე მაგალითს დავუბრუნდებით, კანტის თვალსაზრისი ასე აუღერდება: ხელოვნების ქმნილებაში **ოსტატი** ჩანს უწინარესად. ოსტატის პირველობას კიდევ უფრო მკაფიოს ხდის მისი გენიალური თვითნებობა. თურმე დიდოსტატობა სწორედ ისაა, რომ ხელოვანი ნაკლებად უწევს ანგარიშს ბუნებაში თავისთავად არსებულ წესებს და მასში გონების მიერ შეტანილ კანონებს. მისი ნება თვითონ იქცევა საგანთა კანონად და სწორედ ესაა გენიალური თვითნებობა.

კანტის აზრით, ადამიანის მოღვაწეობის არც ერთი სფერო არ იცნობს გენიოსს, გარდა ხელოვნებისა. მხოლოდ დიდოსტატია გენიოსი.

კანტის თეორიას, სხვათა შორის, სავესებით შეესაბამება „დიდოსტატის მარჯვენაში“ გაცხადებული ესთეტური მრწამსი. სვეტიცხოველი ხელოვნების ქმნილებაა. მისი შექმნისთვის ოსტატი სასტიკად დასაჯეს. ტრაგიკული ხელოვანი ჩივის: „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი ავიგია“.

„კარგის აგება“ პლატონურ-არისტოტელურ მიზანძვას რომ ნიშნავდეს, მაშინ ოსტატს არავინ დასჯიდა. ასეა, რომანის ესთეტური მრწამსი არაა ტრადიციული მიზანძვის თეორია.

ოსტატი იმიტომ დასაჯეს, რომ „კარგის აგება“ „პროდუქტული წარმოსახვის“ თამაშია, გენიალური თვითნებობაა. ხელოვანი არსაიქვე ჰქმნის თავისი „პროდუქტული წარმოსახვიდან“ ანუ არაფრიდან. ამით ქვეყნიერების შემოქმედს ედრება.

ამ საბედისწერო წერტილში ეტოქება ოსტატი ღმერთს, ვითარცა ბიბლიური იაკობი. თურმე ბიბლიური შესაქმეთი შემოქმედება არ დასრულებულა და მას ახლა ოსტატი განაგრძობს. ამიტომ ის ღმერთია, მისებრ უკვდავია: „მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი!“

ასეთი ხელოვნება, ეკლესიის ანგარიშით, მკრეხელობაა; ხოლო ხელმწიფის ანგარიშით – დანაშაული. ორივე შემთხვევაში ხელოვანს დასჯა ეკუთვნის. ამგვარად: მკლავის მოჭრა მიუთითებს, რომ ხელოვნების ქმნილება, რომანის მიხედვით, მიზანძვის შედეგი კი არაა, არამედ – „გენიალური სუბიექტურობისა“, „შემოქმედებისა“.



მარტინ შალვაშვილი

### 3. ბაკილვა „სუბიექტის ესთეტიკისა“

ჰაიდეგერმა ეს „სუბიექტის ესთეტიკა“ იუცხოვა და არ მიიღო; ეს „ესთეტიკააო“; ხელოვნების გაიგივებააო სუბიექტის განცდასთან; აქ ხელოვნების ქმნილების განმარტება იქცევაო სუბიექტის განცდის ანალიზად; წარმოსახვის ასოციაციური მოძრაობის განხილვად; ფსიქოლოგიური წესებისა და კანონების ძიებად და დალაგებად. ყოველივე ეს ისე შორს დგასო ხელოვნების ქმნილებისგან, როგორც მინა – ცისგან. თითქოს სხვაგან მივდიოდით, სხვაგან კი აღმოვჩნდით. „ეს გზა ტაძრამდე არ მიგვიყვანსო“ – იტყოდა ჰაიდეგერი.

როცა ჰაიდეგერი უარჰყოფს კანტის ესთეტიკას, კაცს **შილერი** გავახსენებდა. დიდი გერმანელი პოეტი და მოაზროვნე კანტის ფრთებქვეშ ნამოიჩიდა და ამით ამაყოფა კიდევ. მაგრამ, ყველა ღირსეული მოწაფის მსგავსად, ვერც ის დეცია მასწავლებლის სივრცეში.

ხელოვნების კანტისეული ახსნა სუბიექტისგან მან გაიზიარა, მაგრამ არსებითი შენიშვნაც მიაყოლა – ეს მხოლოდ თანამედროვე ხელოვნებას ეხებაო. ძველად კი სხვაგვარად იყო. ძველ პოეზიას ხელოვანიდან ვერ ახსნიო.

ასე განასხვავა ძველი და ახალი პოეზია. სახელებიც საინტერესო შეურჩია: „ნაიფური“ და „სენტიმენტალური“. **ნაიფურ** პოეზიას სავანი ბატონობს და პოეტი არ ჩანს. სავანი მეტყველებს პოეტის პირით. პოეტი უბრალო მედიუმია, მატარებელია, ჭურჭელია. ის საშუალებაა, „საყვირია გარემოების“. პოეტი ხატავს საგანს და არა ჩანს თვით მისი რამენაირი მიკერძოება, შეფასება, პირადი დამოკიდებულება. ის თითქოს მოწმეა მხოლოდ, ვითარცა ბავშვი გულუბრყვილო.

სხვაა „**სენტიმენტალური** პოეზია“. აქ, პირიქით, პოეტი გვეცემა თვალში, ხოლო საგანი – ნაკლებად. პოეტი მეტყველებს საგანზე. ისინი პოეტის თვითგამოხატვის საშუალებაა. ყველაზე საინტერესო საგანი კი პოეტისთვის თავისივე თავია. მთელმა დუნია მას უნდა უყუროს, მას თანაუგრძნოს,

მისი პიროვნების ირგვლივ იტრიალოს. ის იქცევა უზენაეს, მოუხელთებელ ჭეშმარიტებად, ვითარცა ღვთაება – საშუალო საუკუნეებში. ის ბავშვივით გულუბრყვილო მონმე კი აღარაა, არამედ – გრძობამოჭარბებული დემიურგი.

შილერმა გენიალურად განჭვრიტა ამ ახალი მდგომარეობის, „სუბიექტურობის“ შინაგანი შეჭირვებულობა და ძველი ბერძნების არკადიული იდილია ინატრა. „სუბიექტის“ მეტისმეტად წინ წამოწევაში მან, რუსოს მსგავსად, ბუნებრივი სიჯანსაღის მოშლა და დიდი სულიერი შეჭირვების დასაწყისი იგრძნო.

ჰაიდეგერი სავსებით დაეთანხმება შილერის ასეთ დასკვნას და უფრო შორსაც წავა. სუბიექტის დასავლური „ნამოქაჩვა“, ყველაზე კლასიკურად კანტმა რომ შეასრულა, მას მიაჩნია ხელოვნების არა მხოლოდ დაქვეითებად, არამედ – მისი დასასრულის დასაწყისად. „სუბიექტივიზმმა“ ხელოვნება დაღუპვის კარამდე წიყვანა და ესაა დასავლური შეჭირვების თავი და ბოლო.

„ხელოვნების ქმნილება განცდების უბრალო ამგზნებ საშუალებად აქციესო“, ჩივის ჰაიდეგერი, გრაფ ტოლსტოის მსგავსად. რაღაო ჩვენს დროში ხელოვნება, თუ არა განცდის საგანი. ამ უზადრუკი „განცდით“ აპირებენო მისი არსის გახსნას. „ხელოვნებით ტკბობისთვისაც და მისი შექმნისთვისაც განცდა უფიქრობით უმთავრეს საზომად. ყველაფერი განცდაა. მაგრამ ეს თქვენი განცდა იქნება ის სტიქიაა, რომელშიც ხელოვნება კვდება? კვდომა იგი მიმდინარეობს ნელა, საუკუნეების მანძილზე“.

ჰაიდეგერს აღიზიანებს პოეტის ჯამბაზური გამოხტომა ხელოვნების წიაღიდან: აქოდა მე ვარ და ჩემი გუდა-ნაბადიო. აქედან იწყება, ფილოსოფოსის ფიქრით, ხელოვნების გაუფასურება; მოვლენა, ჩვენს დროს შუბლზე რომ აწერია. ნიჰილიზმიც აქედანაა, უშველებელი.

პოეტს თავი მოაქვს, მე შეექმენიო ეს ქმნილება. იმას კი ვერ ხვდება, რომ ამით ამცირებს ქმნილებას თავის და ნიჰილიზმს ამკვიდრებს გარშემო; და შენატრის ჰაიდეგერი იმ დროს, ვთქვათ და, საბერძნეთის კულტურის აყვავების ხანას, ან შუა საუკუნეებს, როცა ხელოვნება იყო წინ, ხელოვანი კი – სადღაც უკან. ხშირად უცნობადაც დარჩენილა შედეგების შემქმნელი!

ჰაიდეგერზე ადრე ოსკარ უაილდმა გამოთქვა კარგად იგივე სატიკვარი: „გამოვჩინით ხელოვნება და დავფაროთ ხელოვანი – აი მიზანი ხელოვნებისა“.

ხელოვნება დიხაჯც პოეტის ქმნილებააო, ამბობს ჰაიდეგერი; მაგრამ არააო საჭირო ამის გახაზვა. ქმნილებას არ უნდა ეტყობოდესო, რომ ის ვინმეს ნაოსტატარია. ოსტატი კი არ უნდა გვეჩხირობოდესო თვალში. ნაწარმოები არ უნდა იქცესო ავტორის ოსტატობის მონმობად, რაც მაღალ საზოგადოებრივ იმიჯს დაუმიკვიდრებდა პატივცემულ ბატონს. „არაა მთავარი, რომ ეს ქმნილება ..-მა შექმნა. ქმნილებაში უმთავრესი თვითონ ქმნილება“.

ხელოვნებისადმი „ესთეტურმა“ მიდგომამ, „ესთეტიკამ“ შედეგად ის მოიტანა, რომ ყურადღების შუაგულში შემოქმედებითი აქტი დადგა. შემოქმედებამ მთლად გადაფარა მისივე ნაყოფი. მთავარი ვითომდაც შემოქმედებაა და არა მისი შედეგი.

ამ ცრურწმენის ხელდასხმისათვის კანტმა პირდაპირ ტუზივით დააგდო „პროდუქტული წარმოსახვის“ ცნება. „წარმოსახვამ“ კანტის ფილოსოფიაში ავბედითად გაშალა ფრთები და სხვის ბუდეებში იწყო კვერცხების დება გუგულივით. ეს დაუპატიჟებელი სტუმარი მომრიგებლად ჩადგა თვით მეცნიერული განსჯის შუაგულში.

რაღა უნდა მოსვლოდა ამის მერე ხელოვნებას? აქ წარმოსახვა მეფეთმეფე და ქმნილებათა „ექვტიუტანელი მამაა“. ამიტომ იენის რომანტიკოსები სრულიად სამართლიანად ალაპარაკდნენ ეგრეთწოდებული ირონიის გამო – პოეტი უსასრულოდ მაღლა დგასო თავის ქმნილებაზე; შემოქმედება ზღვააო, ხელოვნების ნაწარმოები კი – ოდენ შხეფებით დასველებული ნაპირი. არავის ასე კობტად არ გამოუხატავს ხელოვნების „ესთეტური“, „სუბიექტივისტური“ გაგება, ჰაიდეგერისათვის ესოდენ მიუღებელი.

ძველებს კი შემოქმედებაზე მეტად მისი შედეგი თუ ნაყოფი ხიბლავდათ. შემთხვევითი როდია, რომ ძველმა პოეტებმა ასე ცოტა რამ დაგვიტოვეს თავისი გამოცდილების შესახებ. შემოქმედების ფსიქოლოგიის მაძებარი ცოტა რამესლა თუ იპოვის დიდოსტატთა თხზულებებში. ასეა ალორძინების ხანამდე, თუმცა მიქელანჯელოც კი მხოლოდ ხუმრობს ამ თემაზე; ძნელი არააო გენიალური შემოქმედება; უბრალოდ, აიღე მარმარილოს ლოდი და ზედმეტი ჩამოაცილო.

მოხდენილად შენიშნა ჟაკ მარიტენმა: ხელოვნების დიდოსტატებს უთუოდ ჰქონდათ თავიანთი პირადი შემოქმედებითი პრაქტიკა, მაგრამ ამას არ უღრმავებოდნენო გონებით; საამისოდ უაღრესად პირობით მჭევრმეტყველებას და გაცვეთილ გამოთქმებს სჯერდებოდნენო. ეს გამოთქმებია: „პოეტებად იბადებიან“, „მუზა“, „გენიოსი“, „პოეტური ნიჭი“, „ღვთიური ნაპერკალი“; ცოტა მოგვიანებით – „წარმოსახვის ქალღმერთი“.

მაგრამ არც მარიტენს, არც მანამდე შილერს თანამედროვე ხელოვნების მათ მიერ გახაზულ თავისებურებაში დიდი უბედურება არ შეუნიშნავთ. მათ არ უფიქრობიათ, რომ ეს თავისებურება საფრთხეს უქმნის ხელოვნებას.

ეს ჰაიდეგერმა დაინახა. ამ „სუბიექტივიზმში“, აი ამ „რეფლექსიის კვეთებაში“ მან დიდი ხიფათი იგრძნო. ის ფიქრობს, რომ „სუბიექტივიზმის“ გაუხმოებულ სივრცეში ხელოვნება თანდათან კვდება.

ფიქრობ, ის აქ ჰეგელის თანამოაზრეა. ტყუილად კი არ იმონმებს ამონარიდს ჰეგელის „ესთეტიკის ლექციებიდან“: „მაგრამ ჩვენთვის სრულიადაც აღარაა საჭირო, რომ შინაარსი ხელოვნების ფორმით გამოიხატოს. ხელოვნება, თავისი უზენაესი დანიშნულების მხრივ, ჩვენთვის ან გარდასულია“.

ამიტომაც ჰაიდეგერმა უარი უთხრა დასავლეთის „სუბიექტივიზმს“ და „რეფლექსიის კვეთებას“; შეეცადა, რომ ხელოვნების ქმნილებაში თვითონ საგანი ეხილა.

4. შპან – საგნებისკენ!

„საგნებისკენ“ გზის გასაგნებად ჰაიდეგერმა საბერძნეთს მიმართა. ამ ნაბიჯის გადადგმისას ჰაიდეგერი გერმანულ მოაზროვნებს შორის პირველი არაა. ვინკელმანს, შილერს, გოეთეს და ჰეგელს „თავისუფალი, მთლიანი ინდივიდი“ ეგულეობდათ საბერძნეთში; ბურკჰარდტსა და ნიცშეს კი – „ტრაგიკული გმირი“.

ნალოლიავები იდეალის შინაარსის მიხედვით აირჩეოდა ხოლმე სხვადასხვა ბერძნული ხანა. პირველთ კლასიკური ხანა იზიდავდა; ხანა პერიკლეს ზეობისა. უკანასკნელთ – ხანა არქაული; მომეტებულად – ჰომერული.

ჰაიდეგერი სოკრატემდე აღზროვნებაში ეძებს „სუბიექტივიზმისგან“ შეურყვენელ ფესვებს კაცის ცხოვრებისა და აზროვნებისა. იმედოვნებს: ბერძნული ენისა და ხელოვნების გამონვლილვით შესწავლისას გავიჭრებოთ თვითონ საგნებისკენ. გერმანელი ფილოსოფოსის გზა გარკვეულია: თუ მხატვრული ქმნილების გაგება გვსურს, ხამს განზე გადავდოთ შემოქმედების აქტი. ის ვერ მიგვიყვანს მხატვრულ ქმნილებასთან.

ჰაიდეგერი უკიდურესად თანმიმდევრულია და უმატებს, შემოქმედების ნაყოფიც განზე უნდა გადავდოთ. გაოგნებულ მკითხველს აღმოხდება: „რაღა დავგრჩება?“.

ამად გვპირთებს დაზუსტება: გვერდით უნდა ავუაროთ არა თვით მხატვრულ ქმნილებას, არამედ – შემოქმედების შედეგს. ესე იგი, გვაფრთხილებენ: ემანდ მხატვრული ქმნილება შემოქმედების ანუ სუბიექტური განცდის ნაყოფად არ მოგეწვენოთო. რაც სუბიექტიდან მოედინება, იმას კი ნუ მიაქცევთო ყურადღებას. მთავარი ისააო, რაც გარედან გაცხადდა; რამაც „ღირსჰყო ხელოვანი, თვალი მოეკრა მისთვის“.

ჩვეულებრივ ასე ფიქრობენ: თუ გასურთ გაიგოთ, რას ჰქმნის ხელოვანი, უნდა გაიგოთ, როგორ ჰქმნის იგი. ჰაიდეგერმა შეაბრუნა თანმიმდევრობა: თუ გინდათ გაიგოთ, როგორ ჰქმნის ხე-

ლოვანი, უნდა გაიგოთ, რას ჰქმნის იგი. დამკვიდრებული ხერხის უფარვისობის საჩვენებლად ჰაიდგერი გატყვეპნილ გზას ადგება და იკითხავს: „როგორ ჰქმნის ხელოვანი?“ ამ კითხვისთანავე წინ გადაიშლება შემოქმედების ტექნიკური მხარე.

ჰაიდგერი, გრაფ ტოლსტოის მსგავსად, გვიხატავს შემოქმედების ფრიად მოსაწყენ სურათს. შემოქმედება ხელოსნობას ედრება. ეწალიჩებთან მასალას – ქვას, ტილოს, საღებავებს; იჩენენ განაფულობასა და ოსტატობას.

განა ასევე არ ირჯება ღრმად პატივცემული ხელოსანიც, როცა ამზადებს ნაღებს, ნაჯახს ან უროს? ეტყობა, კიდეც რაღაც უნდა დაემატოს ხელოსნის ნაწარმს, რათა მომსახურების საგანი, სასარგებლო ნივთი ხელოვნების ქმნილებად იქცეს.

საკითხის ასე დაყენებას ჰაიდგერი ადრევე დასცინოდა თხზულებაში „წერილი ჰუმანიზმისათვის“. არისტოტელემ გვიანდერძო ადამიანის განსაზღვრის ლოგიკური წესი – გვარეობაში ადგილის მიჩენა. ადამიანს გვარეობად ცხოველობა მოეხება, ხოლო მის შიგნით აზროვნების უნარი მიენერა. ასე წარმოადგინეს ადამიანი მოაზროვნე ცხოველად. ის გონებით აღჭურვილი საზოგადოებრივი ცხოველიაო.

ამგვარი განსაზღვრების ნაკლს გრძობდნენ ხოლმე და ბევრს უცდია ზემოხსენებული გვარეობის შიგნით უფრო შესაფერისი სახელი გამოეძებნა ადამიანისთვის: „იარაღის კეთება“, „თამაში“ და მისთანანი. თითქოს „იარაღის მკეთებელი ცხოველი“ ან „მთამაშე ცხოველი“ უფრო მოხდენილი ნათქვამი იყოს.

ჰაიდგერი კი ფიქრობს, რომ შეცდომა გვარეობის მოხაზვა და არა – გვარეობის შიგნით სახელის შერჩევა. ვინც ადამიანს ცხოველად განიხილავს, ის თვითონვე იჭრის გზას ადამიანის გაგებისაკენ. ამის მერე რავინდარა სახელის გამოგონება საქმეს ველარ უშველის.

იგივე შეცდომა მოსდითო – ჰაიდგერმა – ხელოვნების ქმნილების განსაზღვრისას. თუ ქმნილება იგი ხელოსნურ ნაწარმად გავიგეთ, მერე ვერანაირი „მიმატება“ ვერ აქცევს მას ხელოვნების ქმნილებად. ეს უკანასკნელი არა და არაა ხელოსნობის ნაწარმი, მიმატებული რაღაც.

სწორედ რომ პირიქითაა. მხოლოდ მხატვრული ქმნილების გაგება გავიხსნიდა გზას ხელოსნობის ნაწარმის, საერთოდ, ნივთის გაგებისკენ: „მხატვრული ქმნილებას ვერ გავიგებთ ნივთისგან. პირიქით, მხატვრული ქმნილების ცოდნა დაგვეხმარება ნივთის არსის გაგებაში“.

აქედან ჩანს, თუ როგორია ჰაიდგერის ხედვა საზოგადოდ. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ქვეყნიერების მთელი საიდუმლო იგება ქვემოდან ზემოთ, ერთის მეორეზე მიმატებით, წვეთ-წვეთად. ასე აგებდნენ ბაბილონელები ავადსახსენებელ გოდოლს, ბიბლიურს. ასე აპირებდა ლაიბნიცი, მათემატიკური ანალიზის ეს დემონი, ქვეყნიერების ახუხულავებას უსასრულოდ მცირე აგურებისაგან. ბუნებას არ უყვარს ნახტომები, გვასწავლის. იმავე წერტილიდან ეჩვენებოდა არისტოტელეს, რომ ბუნებას ეშინია სიცარიელისა.

სხვა მიმართულებით ჰქრის ჰაიდგერის ფიქრი. მას ეგრე სწამს, რომ ქვეყნიერება ზემოდან ქვემოთკენაა ჩამოსხმული და ქმნადობის ეს გზა შეუქცევადია. ქვეყნიერება ზემოდან ჩამოსხმული გოდოლია და მისი უკულმა შენება არ იქნება.

ლოგიკურ ფარგონით თუ ვილაპარაკებთ, მიზეზში არა ჩანს შედეგი. სულ ტყუილად სჯეროდათ ეს კარტიზიანელებს. პირიქით, შედეგში ჩანს მიზეზი. ჰაიდგერი ტელეოლოგიურ მიდგომას უფრო სცემს პატივს, ვიდრე – დეტერმინისტულს; სინთეზის გზას უფრო, ვიდრე – ანალიზისას.

ჰაიდგერი სწუხს, რომ ჩვენი დროის აზროვნება დიდი ხანია სანინალმდეგოდ უბერავს. ამადაც სჩვევია მას ხელოვნების ტექნიკური გაგება, ხოლო მხატვრის ჩაყენება – ხელოსანთა რიგში. „ერთი შეხედვით, მეთუნესა და მოქანდაკეს, ჩუქურთმის მჭრელსა და მხატვარს ერთსა და იმავე მოქმედებებს ვატყობთ. შემოქმედება თავისთავად ითხოვს ერთგვარ ხელოსნობას. დიდი ხელოვანები ხელოსნის ოსტატობას უმაღლეს პატივს მიაგებენ“.

მსგავსი გაიგივების სასარგებლოდ მეტყველებს თითქოს ისიც, რომ ბერძნები ორივე საქმეს ერთი სიტყვით „ტექნე“ აღნიშნავდნენ. იმას კი არ უფიქრდებიანო, შენიშნავს ჰაიდგერი, რომ სიტყვათა მნიშვნელობანი ისტორიულად იცვლება. ბერძნულ „ტექნეს“ სრულიად არაფერი აქვს საერთო თანამედროვე „ტექნიკასა“ და „ტექნიკურთან“. „Techne სრულიად არ აღნიშნავს პრაქტიკული წარმატების სახეობას. ეს სიტყვა ცოდნის გარკვეულ წესს უფრო ნიშნავს“.

გამოდის, რომ ბერძნებს ხელოვნება ცოდნად ესმოდათ?

## 5. ხელოვნება და ცოდნა

ახლა საკითხის მთელი სიმძიმე ცოდნაზე გადადის. როგორ ესმოდათ ბერძნებს ცოდნა?

ჰაიდგერის პასუხი არატრადიციული და მოულოდნელია: ბერძნებს ცოდნა ესმოდათ „ალეთიად“ ანუ დაუფარაობად, ჩენად.

აქვე მინდა შევნიშნო საინტერესო რამ: მეგრულ ენაში „ცოდნა“ და „ჩენა“ ერთი სიტყვით აღინიშნება. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბერძნებსა და კოლხებს, უბრალოდ, ერთნაირად ესმოდათ შემეცნების რაობა; ანაც იმით, რომ ერთმა ძველმა კულტურამ იმოქმედა მეორეზე და ალაგ-ალაგ თავისი ელფერი გადასდო.

მაშ ასე: ხელოვნება, ჰაიდგერით, არც შემოქმედების აქტია და არც ხელსაწყოთა ტექნოლოგია. ის ცოდნა ანუ სინამდვილის ჩენაა. სინამდვილე თავს აჩვენებს ხელოვანის მეშვეობით; ხელოვანისა, რომელიც მედიუმი უფროა, ვიდრე დემიურგი; ჭურჭელ-მატარებელი უფრო, ვიდრე – შემქმნელი, შემოქმედი.

ხელოვანი დიახაც შეიძლება გენიოსად ვიფიქროთ, ოღონდ ამ სიტყვის ძველი და არა ახალი მნიშვნელობით. ალორძინების დროიდან გენიოსი მოქმედებითობის ნამდვილი დემონია. ის ღმერთს უტოლდება ნაყოფიერი მოქმედებით. აქედან – დიდ პიროვნებათა კულტი ალორძინების ხანაში და თანამედროვეობის ქედმაღლობა.

ჰაიდგერი გენიოსისა და საზოგადოდ დიდი პიროვნების ბერძნული და ნაწილობრივ, ალბათ, ბიბლიური გაგების მომხრეა. გენიალობა და დიდი პიროვნება მას ესმის არა მოქმედებითობად, არამედ, პირიქით — ვნებითობად. მოქმედება ქონდრისკაცების საქმეა. ისინი ასწონ-დასწონიან, ირჩევენ, გადაწყვეტილებას იღებენ; მოკლედ, ერთ ამბავში არიან.

რაც უფრო ღრმაა პიროვნება, მით ნაკლებს მოქმედებს. მისი საშუალებით სხვა, ზეგარდმო ძალა მოქმედებს. თვითონ კი ემსახურება, ვნებითი მხარეა.

ასე იქცევიან ბიბლიური ხელდასხმულები. ასეთნი არიან ბერძნული ტრაგედიის გმირები – ბედისწერის ტარიგები. ასე ფიქრობდა ლაო-ძიცი, როცა „სოციოლოგ“ კონფუციუსს უსაშველო მოქმედებითობას უქმობის იდეალი, „უ-ევი“ დაუპირისპირა.

აქვე უნდა შევნიშნოთ ჰაიდგერის სიახლოვე ჰეგელთან. გენიოსი და დიდი პიროვნება ჰეგელსაც მედიუმად უფრო ესმოდა, ვიდრე დემიურგად. ერთადერთი დემიურგი აბსოლუტური სულია. გენიოსი და დიდი პიროვნება მისი რჩეული და მსახური.

გვასხოვს: კანტს გენიოსი შესაქმის სიმალლეზე აჰყავდა – გენიოსი შემოქმედების ღვთაებრივ აქტს ახორციელებს! ჰაიდგერს კი გენიოსი, ასე ვთქვათ, იბლთან ადამიანად ეჩვენება. ეს ის კაცია, ვისაც ღმერთებმა მაღლიანი კალთა დააბურტყეს.

ოღონდ ეს არაა უბრალო, ყოველდღიური აზრით გაგებულ ქუდბედიანობა. გენიოსი, დიდი პიროვნება ღრმად ტრაგიკული ადამიანია. ასეა, რადგან ის მსხვერპლად დაბადებულა და ადამიანური ქედით ზეადამიანურ ტვირთს ეზიდება.

ცოდნის განმარტება ჩენად, ერთი შეხედვით, რაციონალისტურ ტრადიციასთან გვაბრუნებს; იმ ტრადიციასთან, რომელიც ესოდენ მიუღებელია ჰაიდგერისათვის. არადა რაციონალისტებმა ცოდნა იმთავითვე დაფარულის გამოჩენად, გამომყვანებად იგულეს, რის გამოც სინათლის მეტა-



ფორით მოიხიბლენ. პარმენიდემ ჭეშმარიტება მზეს შეაღარა. იდეების პლატონური პირამიდაც მზითა დაგვირგვინებული. „ახალ პლატონელთა“ ლმერთიც, არსებითად, მზეა.

ამ „ცეცხლთაყვანისმცემლობიდან“ გამომდინარეობს დასავლური რაციონალიზმი – გონების კულტი. მართლაც, მზეს ყველაზე მეტად გონება ჰგავს. ისიც მზეებზე ანათებს. საშუალო საუკუნეებში იწყება ლაპარაკი გონების „ბუნებრივი სინათლის“, სახელგანთქმულ *lumen naturale*-ს შესახებ. გონება მზისდარად ნათელჰყოფს საგნებს. ეს მზიური ნათელია ცოდნა. ამიტომ თქვა იოანე **დამასკელმა**, „ცოდნა სინათლეა“. რაღაი ცოდნა ჩენაა, ცხადია, უპირატესობა მზესა და გონებას უნდა მიენიჭოს. სწორედ ისინი ჰფენენ ნათელს და გამოაჩენენ დაფარულს.

რაციონალისტებთან ჰაიდეგერის ეს მსგავსება გარეგნულია. ჩენასთან ცოდნის გატოლებისთანავე ჰაიდეგერი შენიშნავს: ცოდნა რამდენადაც „ჩენაა“, იმდენადვე „დაფარვაც“. მეტიც, სწორედ დაფარვაა მთავარი; იგია „ჩენის“ არსი. თურქი ცოდნა დაფარულის გამოჩენაა დაფარულადვე.

ნათქვამის გასაგებად ისევ მივმართოთ სინათლის ალეგორიას. რაციონალიზმი „სინათლის მეტაფიზიკა“ აქ სინათლეა სუბსტანციაც და უპირველესი „შემეცნებითი სათნობაც“. პირველად იყო სინათლე. სიბნელე არ არსებობს. ის სინათლის სიმცირეა ოდენ; მცირე სინათლეა. ამიტომ ჩენა, გამომჟღავნება ნიშნავს სინათლის სრულად მოფენას და სიბნელის გაქრობას.

ჰაიდეგერი კი ფიქრობს, რომ ქვეყნიერება შუქ-ჩრდილის თამაშია, დავაა, სადაც პირველობა სწორედ ჩრდილს, წყვილადს ეკუთვნის. სინათლე მისი დაცემა და გამჟღავნებაა, ოღონდ ისე, რომ ჩრდილი ჩრდილადავე დარჩეს. დასავლეთმა ცოდნა, ჩენა მხოლოდ სინათლის გაბატონებად და ჩრდილის გაფანტვად, გონების გაბატონებად და საიდუმლოს გაფანტვად გაიგო. შესაბამისად, ცოდნის განვითარებასა და გავრცელებას სამყაროს გაადამიანურება ანუ **ნიჰილიზმი** მოჰყვება.

ნიჰილიზმის დასაწყისი უწყინარია ფრიად — „ადამიანური, ერთობ ადამიანური“. მართლაც, წყვილადი დასაბამითვე შიშის ზარს სცემდა ადამიანს; ხოლო სინათლე იყო მისი კეთილი ლმერთი.

ბერძნულ მითებში სულ ტიტანური გველები, პითონები დასისინებენ. გაუფალ ტყეებში მაჯლაჯუნა არსებანი და საშიში ღვთაებანი ეხეტებიან. გორგონას მედუზასავით დაგრაგნილა ბუნება. მტერმა ჩახედა მას შიგ თვალეებში. თვით სირინოზების გულისწამლებად ტკბილი ხმაც კი დალუპვით ემუქრება ადამიანს. ადამიანი ყურებს იხშობს, რათა არ მოაჯადოოს ამ ხმამ; თვალზე ლობრს ჩამოიფარებს, რათა მედუზას გამყინავ მზერას არ გადააწყდეს სადმე; ქვის კედლებს აღმართავს გარშემო, რათა ბუნებამ არ შემოაღწიოს ღმუი-ლითა და სისინით; ცეცხლით გააჩაღებს ჯურღმულს, რათა წყვილადი ბოროტი სულეტი მოიგერიოს.

ასე იქმნება მეორე, ადამიანური ქვეყნიერება. აქ ადამიანი წელგამართული სუფევს. ახდა განმანათლებლთა ოცნება – ადამიანმა თავი დააღწია ცრურწმენებს და თავისუფლებას მიაღწია.

სწორედ ამას ეძახის ჰაიდეგერი ნიჰილიზმს. კეთილმონყობილ საცხოვრისიდან ბუნება გაჰქრა. შიშისმომგვრელ არსებებთან ერთად გადაიხვეწნენ ლმერთები. მათი ადგილი ვითომდაც ერთმა ლმერთმა დაიკავა.

მაგრამ ნაქები „ერთლმერთიანობა“ ჰაიდეგერს გონებისული აბსტრაქციის ნაყოფად მიაჩნია. გონება მხოლოდ „ურთს“ იაზრებს. „ერთი ლმერთი“ მისი ნაოსტატარია. ამიტომ ის ცნება უფროა, ვიდრე — წარმართის მქვეყარე ლმერთი. მისი ძალაც ნაკლებია, რის გამოც მონოთეისტური რწმენა თვალთმაქცობას შეიცავს, ხოლო თავად ერთლმერთიანობა – უღმერთობას. ნიჰილისტურ დროში ათეისტები უფრო გულწრფელნი არიან, მორწმუნენი – უფრო თვალთმაქცნი, ფიქრობს ჰაიდეგერი.

გავრცელებული ცრურწმენით, წარმართული ლმერთები ადამიანური არიან, ხოლო მონოთეისტური ლმერთი – ნამეტანი ზეადამიანური. პირიქით კია. სწორედ მონოთეისტური

ლმერთია მომეტებულად ადამიანური. ეს მეტადრე ქრისტიანულ ლმერთზე ითქმის. ის ადამიანისთვის ჰქმნის ქვეყნიერებას, ხოლო თვით ადამიანს – თავის ხატად და მსგავსად.

ქრისტიანულ სარწმუნოებაში ეს „სწორება ადამიანზე“ გვირგვინდება ღვთის „განკაცებით“. ამაზე მეტი ადამიანურობა ლმერთისა ძნელი წარმოსადგენია. წარმართული ლმერთები კი სრულიად გულგრილნი არიან ადამიანის მიმართ. ამ აზრით, ისინი სწორედ რომ არაადამიანურნი არიან.

დაახ, მონოთეისტური, კერძოდ, ქრისტიანული ლმერთი მოჭარბებულად ადამიანურია. აქედან კი სულ ერთი ნაბიჯია ჩვენს დრომდე, როცა ადამიანს აღარაფერი ეგულება თავის თავზე მაღალი ცასა და მიწაზე. ის აღარაფერს ეთაყვანება. ქვეყნიერება განიძარცვა ღვთიურ იდუმალეებისგან.

შესაბამისად, ადამიანმა თავყვანისცემის უნარი დაჰკარგა. არსებობა გაუფასურდა. ცხოვრების პირობების შექმნას თვითონ ცხოვრება შეენირა. საცხოვრებელი პირობები დიხაზც გაუმჯობესდა, მაგრამ თვითონ ცხოვრება უაზრო გახდა. ყოფნა დასაბამს მონყდა, ზეგარდმო მადლისგან დაიშრიტა. წყვილადური, იდუმალი საწყისის გარეშე თითქოს ჰაერი გაუშვოდდა და ცოცხალს სული შეეხუთა. მხოლოდ ლითონის არსებანი სუნთქავენ არხენად.

დასავლური კულტურის ბედი საბედისწერო სიზუსტით მოიხაზა ჰეგელის ფილოსოფიაში. ეს უკანასკნელი სინათლის ფაუსტურ კვეთებას გამოხატავს. სინათლე ფაუსტურ შეუპოვრობით ვრცელდება წყვილადში; სურს შეიმეცნოს იგი, ვითარცა სხვა, უცხო. მაგრამ სადაც კი მიეფინება, ყველგან თავისსავე თავს ნახულობს და ვერაფერს სხვას. ასე განილვა წყვილადი და რჩება მხოლოდ თავის თავში დაგრაგნილი სინათლე.

ჰაიდეგერი ფიქრობს, რომ ამით დაიკარგა „ყოფნა“. დასავლეთი მონყდა ბუნების ფესვებს და თავის ტექნოლოგიურ ჯავშანში გამოიკეტა. ვისაც საიდუმლოება ნაკლად ესმოდა, ხოლო შემეცნება – ამ ნაკლის მოშორებად, იდუმალეების გაფანტვად, მან შემეცნებით მიაღწია იდუმალეებისგან განძარცულ, უფერულ ყოფნას.

ამგვარი შემეცნებითი იდეალის დამსახველებსა და მსახურებს არ ესმოდათ მთავარი: როცა ყველაფერს ნათელი მოეფინება, მაშინ თვითონ სინათლე გახდება გაუგებარი. ვინც სინათლე სიბნელის გარეშე ისურვა, მან სინათლის მაგივრად რაღაც უფერული მიიღო.

ჩვენს დროში დიდი ცოდნა დაგროვდა და დიდძალი ტექნიკა შეიქმნა. სამაგიეროდ აღარავინ იცის, თუ რისთვისაა საჭირო ერთი ან მეორე. ადამიანმა თითქმის ყველაფერი მოაპოვა მაშინ, როცა ყველაფერი უკვე სულერთია; როცა ყველაფერი გვიანია; როცა ავადმყოფი უკვე მკვდარია.

ცოდნისა და სინათლის მსგავსება, როგორც ჰაიდეგერი ფიქრობს, ცალმხრივად განმარტა დასავლეთმა. ცოდნა დიხაზც ჩენა დაფარულისა; მაგრამ არა იმ გაგებით, რომ დაფარული განიფანტოს და მოიშალოს. არა, მხოლოდ და მხოლოდ იმ აზრით, რომ დაფარული დაფარულადვე დარჩეს. აი ესაა ხელოვნების მიზანი, რის გამოც ნამდვილი ცოდნა ხელოვნებაა სწორედ.

ჰაიდეგერი ეთანხმება ჰეგელს, რომ ჩვენს დროში ხელოვნებამ მეცნიერებას დაუთმო ადგილი. ჰეგელის ეს სიტყვა მან საბედისწერო წინასწარმეტყველებად აღიქვა. ოღონდ ის არ ეთანხმება ჰეგელს სხვა მხრივ: ვითომდაც სინამდვილე მეცნიერებით უკეთ გადმოიცემოდეს.

ხელოვნების ქმნილების აზრს ვერასოდეს გამოთქვამ ცნებით. ის თავის შინაარსს არავის დაანებებს. მეცნიერება, პირიქით, აქვეითებს, აკნინებს აზროვნებას. ამას ნიშნავს ჰაიდეგერის ცნობილი განცხადება: „მეცნიერება არ აზროვნებს“. იგულისხმება, რომ „პოეზია აზროვნებს“.

მასხენდება **ოსკარ უაილდის** ნაკვესი: „მეცნიერმა ყველაფერი იცის არაფრის შესახებ, ხოლო ფილოსოფოსმა – არაფერი ყველაფრის შესახებ.“ ამ ნაკვესის ავტორიც მეცნიერებაზე უპირობოდ მაღლა აყენებდა ხელოვნებას; ოღონდ ხელოვნ-

ნება მას ცოდნად არ მიაჩნდა; მხატვრის გენიალურ წარმოსახვის ნაყოფად, შემოქმედებად აცხადებდა მას.

ჰაიდგერი შენიშნავს, რომ ჩვენს დროში უკვირთ ხელოვნების გაგება ცოდნად. ცოდნას მეცნიერებაში ეძებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს ცოდნა უმნიშვნელო საგანთა ცოდნას ჰქვია. თავდაპირველად კი ცოდნა ერქვა საიდუმლო ცოდნას, „არცოდნის ცოდნას“. ასეთია ხელოვნებისეული ცოდნა. იმიტომ აზროვნებს არა მეცნიერი, არამედ – პოეტი. გერმანულ ენაში „დენკენ“ (აზროვნება) და „დიცჰტენი“ (ლექსის თხზვა) ერთი ძირიდან მოდის, ირწმუნება ჰაიდგერი.

მეცნიერს უცნობი ნაცნობზე დაჰყავს და ამას ეძახის შემეცნებას. პოეტს, პირიქით, ნაცნობი უცნობზე დაჰყავს და ეს ესმის შემეცნებად. დასავლეთმა მეცნიერებამ ირწმუნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აღარ ესმის დაფარულის, საიდუმლოს აზრი. ადგილი, საცა საიდუმლო აღარ ჭაჭანებს – ასეთად უფიქრია მას ქვეყნიერება; ასეთად დაუსახავს თავისი მომავალი.

### 6. „სამყარო“ და „მინა“

უცნაურ მეტაფორებით მიიკვლევს გზას ჰაიდგერი ხელოვნების გულისკენ. „სამყაროს“ და „მინას“ ასხენებს არაერთგზის.

ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ისინი მეტაფორებია; თან, ვფიქრობ, ზედმეტად თვითნებური. ისინი „ლიაობის“ და „დაფარულობის“ სიმბოლოებია. აუცილებლად უნდა განვმარტოთ ისინი, რადგან ჰაიდგერი ხელოვნების ქმნილებას „მინაზე სამყაროს აღმართვად“ აცხადებს.

მინა, ეტყობა, სიბნელით და შეუვალლობით იპყრობს ჰაიდგერის ყურადღებას. ბერძნულ ფილოსოფიაში ის ერთ-ერთი იყო „ოთხ ძირითად ელემენტს“ შორის. ქსენოფანე კოლოფონელმა კი მას პირველობა არგუნა და ქვეყნიერების საწყისად მოიხსენია.

უთუოდ იმას გულისხმობდა, რომ მინა „დედა“ და, მაშასადამე, — ყველაზე უფროსი, „არხე“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ბედკრული ფილოსოფოსის მეტაფორაც იყო. ზეცას გაუნყარა ეს ლტოლვილი რაფსოდი, ღმერთებს აუჯანყდა და ყველაფერი „მინიერად“ მოეჩვენა. „მინის ფილოსოფია“ ქსენოფანე კოლოფონელისა ამ ქვეყნიერების სიმდაბლეს თუ გვაუწყებდა! ვინ იცის?

ჰაიდგერიც უთუოდ ზეცის ჯიბრზე წამოქაჩავს მინას და ამით სხვაზე მეტად მაინც ნიჭებს გვაგონებს. ფილოსოფიაში სწორედ ნიჭში გვასმინა მინის პირველი საგალობელი, როგორც ლეონიძემ — ქართულ პოეზიაში. ერთგანაც და მეორეგანაც მინა „ქრისტიანულ“ ცას ეტოქება.

ცა შერყვნილია ჩვენს დროში. ის არავითარ საიდუმლობას აღარ შეიცავს. კანტის „ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა“ ძველებურად აღარ ჟღერს და უპირობო გაკვირვებას აღარ იწვევს.. ჰაიდგერს, ალბათ, აღიზიანებს ცის „სინათლეს“, რაც უნებლიეთ გონებას აგონებს. ეს ბაჯალლო მისტიკოსი ხომ სიბნელეს ანიჭებს უპირატესობას, რის გამოც „მინა“ მეტს ეუბნება, ვიდრე „ცა“.

„მინა“ უთენებელ ღამის გორგალია. ის იდუმალების კვეთება ნამდვილი. ქვეყნიერების დახშულობა, აზრისთვის შეუღწეველი სამანები, ადამიანის ზღვარდებულობა, ძეხორციელთა და საგანთა გაუხსნელი კოკორი – ყველაფერი ეს „მინითა“ აღბეჭდილი. ეს ყველაფერი ერთად „მინაა“. რაციონალისტებმა ის სინათლიან ზეცის ერთ საცოდავ ნატეხად იგულვეს. ჰაიდგერს კი ჰგონია, რომ „მინა“ სწორედ რომ გაუტყეხელია. ის, უბრალოდ, შეიძლება დაივიწყო და კარგა ხანს აღარ გახსოვდეს.

„მინა თავიდან იცილებს მასში შეჭრის მცდელობას ყოველს. ის აჩანავს ყოველ საგამომთვლელო ჩაკირკიტებას. ამ ჩაკირკიტებამ შეიძლება შეჰქმნას ბუნების ტექნიკურ-მეცნიერული ათვისების და წინსვლის ილუზია, მაგრამ ეს გაბატონება

მაინც უმწეო სურვილად რჩება... მინა არსობლივად არ იხსნება, თავის თავშია ჩაკეტილი... თავისი თავის დამსხვევია“.

ესაა მინის „სიმკვრივე“ და „საიმედოობაც“. ყველანი ვენდობით მას – ჩვენთა ამჩატებათა შემწყნარებელ, ყოვლის დამთმენ უძველეს სტიქიას. ამიტომაც მინაზე აღმართავთ „სამყაროს“. ესაა ხელოვნების ქმნა.

რაღაა ეს „სამყარო“?

შეუძლებელი როდია ამ ჰაიდგერისეულ მეტაფორის ნაკითხვა ქართულ ძირიდან „მყარი“. ჰაიდგერი ფიქრობს, რომ მეცნიერებისთვის ცნობილი სამყარო ფუყეა, მყიფეა, ორთქლივით წარმავალია. ის მკვდარი ნივთების გროვია. საჭიროა მისი გაცოცხლება.

ხელოვნება სწორედ ესაა. მეცნიერის მიერ მოკლულ ნივთებს ხელოვანი აცოცხლებს და „სამყაროდ“ აქცევს. „სამყარო“ მინიდან ამოიზრდება და მას დაეფუძნება. აქედან იღებს სიმყარეს და ხდება „სამყარო“.

ეს ყოველივე დაფარულის ჩენიდან იწყება. ვინც მინას მინად ანუ დაფარულს დაფარულადვე აჩენს, ის შეხვდება „სამყაროს“. სამყარო სინათლეა, რაღაა მინას წარმოაჩენს; ნათელი ჭრილია, საიდანაც მოჩანს... წყვილი; დედიშობილა, ცინცხალი მინა, ვითარცა „შავი მზე“.

გერმანელი ფილოსოფოსი მისტიკურ მეტაფორებით მეტყველებს, რადგან ცნებებით ამას ვერ გამოთქვამ. ვინ დაიჯერებს მზის სიშავეს? ანდა სინათლით სიბნელის გამოჩენას? აკი სიბნელე იქვე ჰქრება, საცა სინათლეა და ჩნდება იქ, საცა სინათლე ჩაჰქრება.

მხატვრული აზროვნება მაინც წვდება აქ რალაცას, რადგანაც სინათლე და სიბნელე უერთმანეთოდ არც არის და არც დაუნახავს არვის. ისინი ერთმანეთს წარმოაჩენენ და მხოლოდ ამით – საკუთარ თავს. ეს იყო ბოემეს მისტიკა; ღრმად რელიგიური ვენება, რამაც philosophus teutonicus ღამის ქუთიდან შეშალა.

მამ ასე: ხელოვანი წყვილად წყვილად წარმოაჩენს და ესაა სინათლე. ამით ნივთთა გროვა „მინიერი“ ხდება ანუ უსაზღვრო იდუმალებით ივსება. ნივთი აზრს იძენს არაჩვეულმერხვს, „განათდება“. ესაა ნივთთა გაცოცხლება, მინაზე „სამყაროს აღმართვა“, ქმნა ხელოვნებისა.

ამით ყველაფერი „თავის ადგილზე“ დგება და ცოცხლდება. მანამდე ქვეყნიერება ისეა, ვითარცა ნაგვის გროვა; სწორედ ისე, როგორც ჰერაკლიტე ამბობდა: ქვეყნიერება მარჯვედ მიმოფანტულ ნაგვის გროვაა. ეს ქაოსია. მეცნიერება ამ ქაოსს ამკვიდრებს და მერმე განამტკიცებს. მეცნიერთა ყბადღებულები წესრიგი სრული უწესრიგობაა, რადგანაც მეცნიერი ყოველად უპასუხისმგებლოდ ამოგლეჯს თავის საგანს დანარჩენ სამყაროსგან. ამით ის არღვევს დიად ნესრიგს და ჰქმნის თავის პატარა ნესრიგს. ასეთი პატარა-პატარა ნესრიგები ერთად ჰქმნიან უსაშველო უწესრიგობას.

სხვაა ხელოვანი. მინდვრად მიგდებული ქვა სვეტიცხოვლის კედელში აღმოჩნდება. ჰაიდგერი გვეუბნება, რომ ეს „სამყაროს აღმართვაა“. ძირს გდებული ზეალიმართა და, რაც მთავარია, ქვას თავისი ქვაობა პირველად ებოძა.

და განა მართო ქვა? თითქოს გარემოს საგნებიც მიდგნენ-მოდგნენ, ადგილი იცვალეს. სახელდობრ: თავთავისი ადგილები პირველად იპოვეს; მათთვის ზეგარდმო მონიშნულ ადგილებს დაუბრუნდნენ.

სხვაა უხიაგი გარემო მცხეთის, თუ იქ სვეტიცხოველი არ იდგმება. სხვაა იგივე გარემო სვეტიცხოვლის ირგვლივ. თითქოს ტაძარმა მრგვლივ შემოიკრიბა სივრცე და „სამყაროდ“ შეჰქრა; სულ სხვანაირი გახადა – ნატიფი, ღვთიური, ცისკენ აღერილ-აფრენილი... აქ ეს სივრცე ბედნიერი მოწმეა დიადი სრბოლისა. თითქოს სამყარო ახლად ან სულაც პირველად იქმნა. ხელოვნება სწორედ რომ პირველქმნის მისტიკიაა.

ჰაიდგერი „დემოკრატიული ინდივიდუალიზმის“ მტერია, რადგანაც უაზრო პიროვნების „უფლებათა“ დაცვა კიდევ

უფრო დიდ უაზრობად ეჩვენება. ამავე დროს თავყანსა სცემს ინდივიდუალიზმს. არათუ ადამიანის, საერთოდაც, ყოველი ინდივიდუალობა განუმეორებელი სიმდიდრეა და მასზე ზრუნვა საშური საქმეა ფრიად. ინდივიდუალობის შემცენება კი ჰაიდგერს მხოლოდ ხელოვნებაში ეგულება. აკი უბრალო, ერთ-ერთი ქვა მხოლოდ ტაძარში ხდება განუმეორებელი და ნამდვილად ინდივიდუალური.

ვინც, ლაბინცივით, ინდივიდუალობის, განუმეორებლობის საიდუმლოთია ვნებულის, ის პოეტია უთუოდ. ხოლო ვინც გვარობაშია დაჰკრავს თვალს ინდივიდუალობას, ის მეცნიერი. პოეტი ამ ყვავილს სწორედ ამ ყვავილად აღიქვამს, რომელიც ერთხელ მოსულა და არცერთ ყვავილს ქვეყნად არა ჰგავს. მეცნიერი კი მას უყურებს, ვითარცა ერთ-ერთს უსასრულოდ მრავალთაგან. ამიტომ პოეტი შეჭფრფინვის მას სასოებით. მეცნიერს კი არად უღირს იგი; ათასს ნახავს მისთანას.

მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების „ანტიინდივიდუალიზმი“ ხელსაწყოს შექმნაში ჩანს, ხოლო ხელოვნების „ინდივიდუალიზმი“ – მხატვრულ ქმნილებაში.

დავაკვირდეთ: ხელსაწყომ მასალა ჰქრება; და რაც უფრო უკვალოდ, მით უკეთესია ხელსაწყო. ჩაქუჩში არ უნდა იგრძნობოდეს ქვა, რკინა თუ ხე. მაშინ იქნება ის ნამდვილი, კარგი. აქ საშუალებისა და მიზნის ურთიერთობაა. ინდივიდუაციის პრინციპი ირღვევა და საშუალება ეწირება მიზანს. ასეც უნდა იყოს, თორემ ხელსაწყო ვერ შეიქმნებოდა.

სხვაა ქმნილება ხელოვნებისა. მასში სიტყვები, ფერები თუ ბგერები ცოცხლად ელვარებენ. ტაძარში ქვები მეტყველებენ და ღვთაებრივად შეხმატებილებულან. არცერთი ქვა არ აღიქმება რაღაც სხვის, ვთქვათ, ტაძრის, იდეის საშუალებად. სუყველა ქვა „ქვაობს“ და პირველად იძენს თავის ინდივიდუალობას.

ჰაიდგერი ფიქრობდა, რომ ჩვენი დროის „ლიბერალური“ ინდივიდუალიზმი ყალბი და ფუტურია. უხამსი და აღვირახსნილია კვეთება მისი. ეს დაუღალავი ზრუნვა იმაზე, რაც გახვრეტილ გროშადაც არ ღირს. რაც მთავარია, ის თავის უხამს კვეთებაში მალავს აუტანელ ერთფეროვნებას და ნამდვილი ინდივიდუალიზმისადმი სიძულვილს.

ჩვენი დრო შემწყნარებელია ფრიად, გესლიანად ხუმრობდა ამის გამო უაილი – ყველაფერს გაპატიებსო, გენიალობის გარდა. ესე იგი, ის უფლებას გაძლევს იყო განსხვავებული ნაგავი; მაგრამ მაშინვე მოიცლის შენთვის, თუ თვალი ხარ პატიოსანი და ამით განსხვავდები სხვებისგან. ესაა „ლიბერალური დემოკრატიის“ თვალთმაქცობა, რომელსაც ჰიტლერის რეჟიმი არჩია ჰაიდგერმა. იქ ერთი კაცი მაინცაა ინდივიდუალობაო, ფიქრობდა ალბათ.

ხელოვნების უდიდეს მადლად ჰაიდგერს „ღმერთებთან ყოფნა“ მიაჩნდა. აკი ხელოვნებაში საგნები უბრუნდებიან თავიანთ იდუმალ საწყისებს

ეს თითქოს პლატონიზმია – საგნებში იდეების ამოკითხვა. მაგრამ საინტერესოა განსხვავება. პლატონის აზრ-გაგებით, საგნები ბაძავენ „ღმერთებს“ და, მამასადამე, მიწყვი გარეთ მიუთითებენ. ამით სინამდვილე ნაკლოვანებას უტოლდება.

ხდება მისი „დაცემა“, დეკადანსი, რაც სოკრატემდელი ბერძნებისთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელი იყო.

ჰაიდგერი, ნიცშეს კვალად, პლატონიზმს ბერძნული აზრის დაქვეითებად, დეკადანსად განმარტავს, რამაც თურმე დასავლური ნიჰილიზმი მოამზადა. მართლაც, სადაც ყველაფერი გარეთ მიუთითებს, იქ ყველაფერი შინაგან, თავისთავად მნიშვნელობას ჰკარავს და შედეგად „არაფერი“ მიიღება.

სულ სხვაა თავად ჰაიდგერის პოეტური სამყარო. აქ საგნები თვითონ არიან „ღმერთები“. ამას ნიშნავს ჰაიდგერის მშვენიერი პოეტური სახე: „ქარი იალქანშია“. ქარი არ არსებობს არეულ და აფორიაქებულ საგანთა გარე. ქარი ჰქრის მხოლოდ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც „ფოთლები მიჰქრინან“, ხეები იდრიკებიან, მტვრის კორიანტელი დგება. რანაირად შეიძლება, რომ ეს სხვა იყოს, ხოლო ქარი – სხვა?

ღმერთიც იმდენად არსებობს და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ვილაც გულწრფელად, მხურვალედ იწერს პირფვარს. აქ ხდება, აქ სრულდება „ღმერთობა“. ამის იქეთ კიდევ სხვა „ღმერთობა“ აღარაა.

აი ამ აზრ-გაგებით, „ღმერთი ტაძარშია“, ვითარცა ქარი – იალქანში; და სადღაც იქეთ ტყუილად ვეძებთ მას. ტაძრის იქეთ ღვთის ძიება, უბრალოდ, რელიგიური ვნების ნაკლებობაა. ხელოვნების სიდიადე ისაა, რომ საზღვარს უდებს ადამიანის დაუსრულებელ ძიებებს, მიზანთან მიიყვანს და ამყოფებს.

სიტყვების, ფერების, ბგერების იქეთ კიდევ სხვა სინამდვილე აღარაა. ხელოვნება თვითონვეა სინამდვილის ზეობა და ზეიმი. ნამდვილობა მის იქეთ ვეღარ წავა. მის იქეთ მხოლოდ ნივთების უფერული გროვა და მკვდარი ქვეყნიერებაა.

მაგრამ საკმარისია ოდნავ მოგვედუნდეს პოეტური ვნება, რომ ყველაფერმა ისევ სიკვდილისკენ ჰქნას პირი. სამყარო ისევ უსულგულო დღეების მოსაწყენ თანმიმდევრობად გადაიქცევა, ხოლო ხელოვნება – ოსტატის ვირტუოზულ ტრიუკად, რომელმაც უნდა გაართოს ვინმე ქონდრისკაცი. მაგრამ სადაც ხელოვნება გასართობად უნდათ, იქ უთუოდ უკეთეს გასართობს მონახვენ. ხელოვნებას კი მტვერი დაედება და ჟანგი მოეკიდება.

ჰაიდგერმა კაცობრიობის სხნად პოეზია დასახა – ხელოვნება გადარჩენსო ქვეყნიერებას. ოღონდ მას მტკიცედ სწამდა: თვით ხელოვნებასაც ჰყავს თავისი მბრძანებელი – ბედისწერა. ხელოვნება გადარჩენს, თუკი გადარჩენა საერთოდ გვიწერია.

ბედისწერა კი ჩვენთვის მარად მიუწვდომელი დავაა წყვდიადისა და ნათლისა. ეს დავა გულუბრყვილო აზრს ძველთაგანვე სიკეთისა და ბოროტების დავად უფიქრია. გულუბრყვილოა ეს აზრი, რადგანაც სიკეთისა და ბოროტების შინაარსი ჯერ არავის გაურკვევია. დარწმუნებული ვარ: ჰაიდგერს ქვეყნიერების ეს მარსებელი დავა, ბოემესი არ იყოს, სულ მარტივად გამოეცხადა – სადმე მდინარის პირას, საცა დაუდგრომელ წყალთა ზვირთები ღამეულ მთვარის სხივებს აირეკლავს.

ვერსად იხილავ უკეთესად წყვდიადისა და ნათლის იდუმალ დავასა თუ თამაშს.

**თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში** გაიმართა თანამედროვე არაბ მწერალ ქალთა ნოველების კრებულის პრეზენტაცია. **„გრძელია ზამთრის ღამე“** რიგით მეორე კრებულისა, რომელიც მთარგმნელმა **იზოლდა გრძელიძემ** შესთავაზა მკითხველს (პირველი, სახელწოდებით **„ლიმილი წყლის ბაგეზე“**, 2009 წელს გამოვიდა). ამჯერად კრებულში თავმოყრილი ათი არაბული ქვეყნის წარმომადგენელი ოცდასამი ავტორიდან ყველა ქალია. საინტერესოა მათ მიერ დანახული სამყარო, გულწრფელად და ღამაზად აღწერილი პირადი გაცდებები...

პრეზენტაციას ეხსრებოდნენ აღმოსავლეთმცოდნეები, სტუდენტები და აღმოსავლური, არაბული მწერლობით დაინტერესებუ-

ლი მკითხველები. სიტყვით გამომსვლელებმა – **გამომცემლობა „ქართული აკადემიური წიგნის“** დირექტორმა **მაია ღამაზაძემ**, თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორმა **გურამ ჩიქოვანმა**, მთარგმნელებმა **ლია რუხაძემ**, **დარეჯან გარდავაძემ**, არაბისტებმა **მურმან ქუთელიამ**, **გოჩა ჯაფარიძემ**, **ალექსი ყორღანიამ**, **მარიანა მეფარიშვილმა**, **ინგა ზურაბიშვილმა** და სხვებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს წიგნი ქართული სიტყვიერების, მწერლობის, კულტურის უძვირფასესი შენაძენია, იზოლდა გრძელიძე კი არის შესანიშნავი, დახვეწილი, გემოვნებიანი, მაღალი რანგის მთარგმნელი, რომლის ნამუშევრების ნაკითხვით შესაძლებლობა გვეძლევა, კიდევ უფრო ახლოს გავიცნოთ აღმოსავლური სამყარო.

ივანე კილურაძე დაიბადა 1937 წლის 12 იანვარს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. 1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1960 წლიდან 2006 წლამდე თსუ-ს მათემატიკის ფაკულტეტზე სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 1976 წელს პროფესორის წოდება მიენიჭა. 1993 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. 1989-2006 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი იყო. 2001 წლიდან დღემდე ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი და დიფერენციალურ განტოლებათა განყოფილების გამგეა. 1993 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს იყო ცესკო-ს თავმჯდომარე. 2012 წლის ოქტომბრიდან პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეა.

## ჰოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული მათემატიკოსი

(მაკა ჯიბლაძის ინტერვიუ ივანე კილურაძე)

— ბატონო ვანო, ბავშვობა გენატრებათ?

— რა თქმა უნდა, არამარტო ეგზოტერი, არამედ ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. ძალიან მძიმე ბავშვობა მქონდა, მაგრამ მაინც მენატრება და სიამოვნებით მაგონდება ჩემი ცხოვრების ის ხანა და ის ადამიანები, ვისთან ერთადაც ეს წლები გავატარე. მრავალგზის რეპრესირებულ ოჯახში გავიზარდე. იშვიათად თუ მოიძებნება ჩვენი ოჯახის მსგავსად რეპრესირებულნი. ვერავის ბიოგრაფიაში ვერ ნახავთ ჩემს ოჯახში მომხდარ მსგავს ორ მძიმე ფაქტს. დავიბადე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. გურულ ოლაში, სადაც გავიზარდე, ორჯერ იდგა რუსის ჯარი. ამ მოვლენას ეგზეკუცია ეწოდებოდა, ხომ გახსოვთ ეგნატე ნინოშვილი „გოგია უიშვილი“ ეკუციას რომ ახსენებს. პირველად იყო 1912 წელს, ბაბუას როგორც რევოლუციონერის ოჯახში, მეორედ 1924 წელს ისევე ბაბუას გამო, როგორც კონტრრევოლუციონერის ოჯახში. 1912 წელს დედას მამა ემელიან ლომთათიძე, ჩემი ბაბუა — როგორც სოციალ-დემოკრატი — როსტოვში გადაასახლეს. 1924 წელს უკვე ემიგრაციაში იმყოფებოდა. პროფესიით მასწავლებელი, ძალიან განათლებული პიროვნება გახლდათ. 1918 წლიდან, საქართველომ რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, თბილისში ნოე რამიშვილის თანაშემწე იყო. 1921 წელს პრალაში წავიდა და წლების განმავლობაში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. 1945 წელს ჩვენი ჯარების შესვლის შემდეგ ბაბუა პრალაში დააპატიმრეს და ვლადიმირის ციხეში 10 წლით ჩასვეს. ეს ციხე პოლიტპატიმრების სიმრავლით იყო ცნობილი. 1955 წელს ერთ-ერთ საბედნიეროდ დღეს გაათავისუფლეს. სწორედ ამ დღეს გარდაიცვალა. ასეთი ტრაგიკული ისტორიაა.

— თქვენს მეორე ბაბუაზე რას გაიხსენებთ?

— რაც შეეხება მეორე ბაბუას, ვანო კილურაძეს, რომლის სახელსაც ვატარებ, იმ ხანად ძალზე მდიდარ კაცად ითვლებოდა, დღევანდელი ტერმინოლოგიით ბიზნესმენი იყო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმატებული ბიზნესი მქონდა. მათ შორის ფოთში. იმხანად ფოთის მერი ნიკო ნიკოლაძე გახლდათ. ბაბუა ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ნიკო ნიკოლაძეს გვერდში ედგა. თბილისში ბინა რუსთაველის გამზირზე მქონდა, იქ, სადაც ახლა მეცნიერებათა აკადემიის შენობაა. კომუნისტებმა, ბუნებრივია, ბაბუას ეს სახლი წაართვეს და დაუტოვეს ერთი ოთახი. შემდეგ, 50-წლებში, შენობა დაანგრეს და კავსაძის ქუჩაზე ვინც იქ ცხოვრობდა, ყველას, მათ შორის ჩემს ბიძებს ბინები მისცეს.

რაც შეეხება ჩემს მშობლებს, მამამ ტარიელ კილურაძემ სკოლა და ინსტიტუტი თბილისში დაამთავრა. აგრონომიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ აგრონომად არ უმუშავია, როგორც კი დაამთავრა 1929 წელს, ყაზანის ოლქში გა-

დასახლეს როგორც ყოფილი მდიდარი ადამიანის შვილი. ამ დროისთვის ბაბუა უკვე ღარიბ-ღატაკთა რიცხვს მიეკუთვნებოდა.

1933 წელს დედა და მამა უკვე შეყვარებულები იყვნენ. იმავე წელს დედამ მას ყაზანის ოლქში ჩააკითხა. იქ შეუღლდნენ და ერთ წელიწადში საქართველოში დაბრუნდნენ. 1937 წელს მე დავიბადე. მამას — როგორც გადასახლებაში მყოფ პიროვნებას — თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. იმხანად ასე იყო, დაიჭერდნენ კაცს, გამოუშვებდნენ, შემდეგ ისევ გადასახლებდნენ. კომუნისტებს ასეთი წესი ჰქონდათ. დედა და მამა მოხეტიალე ცხოვრებას ეწოდნენ, სადაც სამუშაო გამოჩნდებოდა, იქ დასახლებდებოდნენ. 1936 წელს კონსტიტუცია გამოვიდა და მამამ თქვა: ხელმეორედ დავიბადე, — მაგრამ იმედი ვაფერუვდა. მალე ხელახალი რეპრესიები დაიწყო. მამა სამსახურიდან გაათავისუფლეს და საცხოვრებლად ჩემს ბებიასთან წავიდა გურიიში. იქ დაიჭირეს და ათი წლით კომის რესპუბლიკაში გადასახლეს. მაშინ სასჯელის უმაღლესი ვადა 10 წელი იყო, ხოლო ძლიერი პოლიტიკური ბრალდების შემთხვევაში — დახვრეტა. მამამ დაიწყო საჩივრების წერა: რაში მედება ბრალი, ანტისაბჭოურ აგიტაციას სად და როგორ ვატარებდი, დამისაბუთეთო. მისდა გასაკვირად საჩივარმა უშველა. ფაქტების არარსებობის გამო სასჯელის ვადა გაუნახვერეს. 1942 წლამდე თავისუფალ გადასახლებაში იმყოფებოდა, შემდეგ ომში პირველივე წასვლისას 36 წლისა დაიღუპა. იმხანად ყოფილ პოლიტპატიმრებს ფრონტის წინა ხაზზე უშვებდნენ.

— მაშინ თქვენ რამდენი წლის იყავით?

— საკმაოდ პატარა, ხუთი წლისა. კარგად ვერკვეოდი, რას ნიშნავდა ომი, გადასახლება, დაჭრა. ომის დაწყებაც კარგად მახსოვს. ოთხი წლისა ვიყავი. იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება იყო, ყველაფერი გუშინდელი დღესავით მახსოვს.

— დედა როგორ უმკლავდებოდა ასეთ მძიმე პრობლემებს?

— დედა სკოლაში მუშაობდა და ამით გვარჩენდა, მამას ომში ყოფნისას იგი დაიჭირეს. თუმცა 5 წლისა ვიყავი, ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. ახლაც ვიცნობ იმ სახეებს, ვინც ჩხრეკა ჩაატარა. მახსოვს, ბაბუას და მამას წერილები როგორ წაიღეს. დავრჩი ბებიასა და მის დედასთან. დედას დასახვრეტი მუხლი მიუყენეს, მაგრამ ერთმა უაღრესად კეთილშობილმა კაცმა გადაარჩინა. ეს გახლდათ რაიონის განათლების განყოფილების გამგე ალექსანდრე შამბახიძე, რომელიც შემდეგ პროკურორად გადაიყვანეს. მან დანერა დასკვნა, ყველა ბრალდება შეითხზინა, და დედა გაათავისუფლეს. ამ კაცზე მე და ჩემი და დღესაც ვლოცულობთ. სხვათაშორის ამას წინათ გავიცანი მისი შვილი მხატვარი ლალი ზამბახიძე და მოვუყევი ჩვენი ოჯახის ამბავი, რომ მის მამას

სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად ეს სიკეთეც აქვს ჩადენილი. ჩემი ბიოგრაფიის ეს დეტალი იმდენად საინტერესოა კი არ არის, რამდენადაც თვითონ ფაქტი, ესე იგი კარგი საქმის გაკეთება ყველა დროში, იმ ჯოჯოხეთური რეჟიმისასაც შეიძლებოდა. თითქოს გუშინ იყო ეს საშინელი დღეები. ბევრი ოჯახი გაუბედურდა. მშობლებს ხვრეტდნენ, პატარები ბავშვთა სახლებში იზრდებოდნენ. რამდენი ასეთი შემთხვევა იყო. ჩვენი ოჯახის თავგადასავალს ამ კუთხით თუ შევხვდავთ, უნდა ვთქვა, რომ გაგვიმართლა. დედამ ციხეში მხოლოდ ოთხი თვე გაატარა. ასეთი მძიმე ბავშვობის მიუხედავად იმ ხალხზე არ გავბოროტებულვარ. ამ ბოროტებას სულ სიკეთე თან სდევდა. დედას ჰყავდა მეგობარი ანიკო კალანდაძე, ჩვენი სკოლის დირექტორი იყო, ცნობილი მხატვრის ედმონდ კალანდაძის დეიდა. ისიც კომუნისტი იყო, მაგრამ ჩვენს ოჯახს როგორც ფარი და მახვილი ისე მფარველობდა. მეორე დედასავით მყავდა. მე და ნოდარ დუმბაძეს ერთი სკოლა გვაქვს დამთავრებული. იგი რომ წერს დიდ სიკეთეზე, ეს არ არის კეთილშობილი მწერლის ფანტაზიის ნაყოფი, მთლიანად რეალურ ფაქტებზეა აგებული. ასეთი სიკეთე მეც ბევრი მახსოვს. ხიდისთავში გატარებულ წლებს სიამოვნებით ვიხსენებ. დიდი სიყვარულით მაგონდება ჩემი ბრწყინვალე მასწავლებლები. ნიგნირი ხალხი იყო. საკუთარი სპეციალობის გარდა ფართო განათლება ჰქონდათ, პატრიოტები იყვნენ. ღრმა სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. უაღრესად კეთილშობილები, თითოეული მოსწავლის ბედით იყვნენ დაინტერესებულნი. კლასში ერთი გაჭირვებული ოჯახის შვილი გვყავდა. მასწავლებლები ასეთ ბავშვებს სტიპენდიას უნიშნავდნენ. თვითონ აგროვებდნენ ფულს და ამგვარად ეხმარებოდნენ. თბილისში უნივერსიტეტში სწავლების დროს თანხას მეც მიგზავნიდნენ. დედას არ ჰქონდა დიდი შემოსავალი. სკოლაში საქმეთა მმართველი იყო, მცირე ხელფასი არ გვყოფნიდა, არც მამულები გვქონდა. ასეთი მზრუნველი მასწავლებლები გვყავდნენ.

**— დედა რა ხნისა დაქვრივდა?**

— 33 წლისა. მამა ემიგრაციაში ჰყავდა და მისი ადგილსამყოფელი არც იცოდა, ძმა 37 წელს დაუხვრიტეს. ხანდახან ციხის ამბებს იხსენებდა. ერთი ჯალათი ყოფილა, ამ კაცს თურმე პოლიტპატიმარი ქალები ფეხის ხმაზე სცნობდნენ. ამბობდა, შიშისგან გული მიგვდიოდა, ველოდით, ახლა გაგვიყვანენ და დაგხვრეტენო. თუმცა მისი ნაამბობიდან ციხეში კეთილშობილი ადამიანებიც იყვნენ. ციხიდან სიმღერებიც გამოიტანა. აი ასეთი მძიმე იყო ჩემი ბავშვობა.

**— ასეთი ტრაგიკული ბავშვობა იშვიათია, თქვენი ოჯახი საბჭოთა საქართველოს ბედისწერის ისტორიის ერთ-ერთი ნაწილია, შემდეგ როგორ გაგრძელდა თქვენი ოჯახის ცხოვრება?**

— დედა ყოველდღიური მძიმე ცხოვრების მიუხედავად ყურადღებას არ გვაკლებდა. სკოლაში მუშაობდა, ოჯახს არჩენდა, ჩვენს განათლებაზე ზრუნავდა. ნარმოიდგინეთ, როგორი ცხოვრებით ცხოვრობდა, ყოველდღე ლუკმაპურისთვის ზრუნავდა, თან ფიქრობდა, არ დამიჭირონო. სულ გვეუბნებოდა: შვილებო, აუცილებლად კარგად უნდა ისწავლოთ და ბევრი წიგნები წაიკითხოთ, სხვანაირად არ შეიძლებაო. მძიმე ყოველდღიურმა ცხოვრებამ ჭეშმარიტი ფასეულობანი მასში ვერ გადააფასა. ჩვენი ოჯახში ნიგნს დიდი ყურადღება ეთმობოდა. დედაჩემის სიყვარულით მე-2 კლასში „ბიძია თომას ქობი“, მე-5 კლასში „ომი და მშვიდობა“ წავიკითხე. რამდენად მესმოდა სიუჟეტი, არ ვიცი, მაგრამ მაინტერესებდა.

**— უპირატესობას როგორ წიგნებს ანიჭებდით?**

— რაზეც ხელი მიმიწვდებოდა, ყველაფერს ვკითხულობდი, ქართულ მწერლობას თავისთავად, თარგმანებსაც, თითქმის ყველაფერს. საერთოდ ჩვენი თაობა ნიგნის გარეშე

არ არსებობდა. ისეთი დრო იყო, ყველა წიგნს იოლად ვერ იშოვიდი. პიროვნებისთვის ნიგნის სიყვარული დიდი შეღავათი იყო. პოეზიით მე-7 კლასში დავინტერესდი. ბუნებრივია, ეს პროცესი მთელი ცხოვრება გაგრძელდა. ლადო ასათიანის სახელი რომ გავიგონე, დავინტერესდი, ჩვენს ბიბლიოთეკაში არ იყო მისი წიგნი, მოგვიანებით მოვიპოვე. ქართულის მასწავლებელიც შესანიშნავი პიროვნება მყავდა. ქართულის და საქართველოს ისტორიის გაკვეთილები ზემო იყო.

**— მათემატიკით როდის დაინტერესდით?**

— მათემატიკა პატარაობიდანვე მიყვარდა. სკოლაში თითქმის ყველა საგანში ძლიერი პედაგოგები მყავდა. ბოლო წლებში მათემატიკას ნოდარ დუმბაძის მამიდის მეუღლე გერონტი ჩიგოგიძე მასწავლიდა, შესანიშნავი, გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული კაცი. რომელ მამიდაზეა იცით საუბარი, ნოდარ დუმბაძე თავის ნაწარმოებში ქეთევანად რომ მოიხსენიებს, ისე დარეჯანი ერქვა. ძალიან ლამაზი ქალბატონი იყო.

სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. იმხანად მედალოსნები უგამოცდოდ ირიცხებოდნენ და ამგვარად მეც უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. შესანიშნავი ფაკულტეტი შესანიშნავი ხალხით. მქონდა ბედნიერება, არჩილ ხარაძეს მოვსწრებოდი. იგი ფაკულტეტის სინდისად ითვლებოდა. უნივერსიტეტის პირველი თაობის პროფესორი, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც საქართველოში მათემატიკა დააფუძნა. მათემატიკა ოთხმა გამორჩეულმა პიროვნებამ დააარსა: ნიკო მუსხელიშვილმა, ანდრია რაზმაძემ, არჩილ ხარაძემ და გიორგი ნიკოლაძემ. პირველი სამეცნიერო მოხსენება მეორე კურსზე შედგა. ჩემი მასწავლებლები მსოფლიო სახელის მქონე მათემატიკოსები იყვნენ. ასე რომ, ბევრ რალაცაში გამიმართლა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში დავრჩი. მთელი ჩემი ცხოვრება დაკავშირებული იყო დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა კათედრასთან, რომლის ხელმძღვანელი ასევე მსოფლიო სახელის მატარებელი ვიქტორ კუპრაძე გახლდათ. 1966 წლიდან 1989 წლამდე ვმუშაობდი ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მის გვერდით მუშაობა მომიწია. დიდი კაცი იყო, არამარტო დიდი მეცნიერი, არამედ მასშტაბურად მოაზროვნე, საკუთარ ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტი. 70 წლისა გარდაიცვალა. მახსოვს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ახალგაზრდებს შეგვხვდა და ასეთი რამ გვითხრა: ცხოვრებაში ბევრი წინააღმდეგობა შეგხვდებათ და ამ წინააღმდეგობის საფუძველი ჯერ საკუთარ თავში ეძებეთო. მთელი ცხოვრება ეს სიტყვები ხშირად მახსენდება. ჯერ საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულო და აწონ-დაწონო საკუთარი საქციელი.

**— რომელი პოეტი გიყვართ განსაკუთრებით?**

— ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ გვყავს დავით გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა... დღესაც სიამოვნებით ვკითხულობ მათ შემოქმედებას. ჩემი ცხოვრების მანძილზე, სამწუხაროდ, ილიაზე და აკაკიზე ზერელე მოსაზრებანი გამიგონია, ეს ზერელე განათლებიდან მოდის, ყოველ სტრიქონში საფრთხე იხიბრძნება. განსაკუთრებით გალაკტიონი და ანა კალანდაძე მიყვარს. მე-10 კლასში მე და ჩემმა თაობამ მთელი პოეზია ზეპირად ვიცოდით. დღესაც ილიას ან აკაკის რომ ვკითხულობ, სულ სიახლეებს აღმოვაჩენ. ქართული კლასიკური პოეზია უმაღლესი ფასეულობაა. მე-10 კლასში ჩვენ ყოველი პოეტისადმი საკუთარი დამოკიდებულება გავგაჩნდა. ახლა რომ ვკითხულობ, ასე მგონია, მათ შემოქმედებას პირველად ვეცნობი. ისინი ღმერთმა საქარ-

თველოს სულიერი ამაღლებისთვის მოუვლინა. ილიას არსებობას ისე შევეჩვიეთ, გვეგონა, თუ კაცი მწერალი იყო, მაშინ ერის მამაც უნდა ყოფილიყო.

**როგორ ფიქრობთ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა რა შეიძლება იღონოს, რომ ბავშვები ნიგნს დაუბრუნდნენ, მოგესხენებათ, მოზარდ თაობაში განათლების და ნიგნის სიყვარულის მხრივ მწვავე პრობლემაა, და საერთოდ კომიტეტს რა გეგმები აქვს?**

ეს საკმაოდ რთული პრობლემაა. ერის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია, რომელსაც კომიტეტები და სამინისტროები ვერ გადაწყვეტენ. ჩვენ შეგვიძლია კარგი კანონმდებლობა შემოვიღოთ, მასწავლებლებს პირობები გავუუმჯობესოთ. მასწავლებელზე საპატიო პროფესია არ არსებობს. ჩემი მასწავლებლები დღესაც მახსოვს და ყველა მიყვარს. დღეს მათგან თითქმის ყველა გარდაცვლილია, ვიდრე ცოცხლები იყვნენ, მათთან საუბრისას ქუდს აუცილებლად მოვიხდიდი. ვაჟა-ფშაველა მასწავლებლებს ასე მიმართავდა: „რა ვუყოთ მასწავლებლობა დღესაც არ ფასობს ჩვენშია, თუმცა ხსნა ჩვენი ერისა ისევ და ისევ თქვენშია“. ეკონომიკური აღმავლობა დაიწყება. თანდათან სკოლა წელში გაიმართება და ახალგაზრდობა სულიერი ცხოვრებისკენ მობრუნდება. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ბევრი კარგი ახალგაზრდა მხედება, რაც ძალიან მახარებს. მასწავლებლებიც ვიცი, მთელ ენერჯიას ერთგულად ამ საქმეში რომ აქსოვენ. მასწავლებელმა მონაწილეებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ თუ სხვა ნაწარმოების მხატვრული ღირსება უნდა დაანახოს, მხოლოდ ტექსტის სწავლა არ არის მთავარი. ღვთის მადლით, ასეთი მასწავლებლები დღესაც გვყავს.

რაც შეეხება ჩვენი კომიტეტის საქმიანობას, დღეს რომ გითხრათ, კმაყოფილი ვარ ჩვენი საქმიანობით-მეთქი, ვერ გეტყვით, ჯერ კიდევ ბევრს ვფიქრობთ, რა როგორ გავაკეთოთ. უმაღლესი განათლების რეფორმის სისტემა საფუძვლიანად უნდა მოხდეს. სახელმწიფოს მიერ დაარსებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელს იურიდიული სტატუსი უნდა ალუდგეს. არჩევნები დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს და ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა სრული ავტონომია მიიღოს. უნივერსიტეტების ავტონომიის იდეა დღეს არ დაბადებულა, ეს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოდის. თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლებს ეს კარგად ესმოდათ. ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის მიერ დაწერილ დებულებას თუ გადაავლებთ თვალს, ამაში დარწმუნდებით: „თბილისის უნივერსიტეტი, როგორც სამეცნიერო სასწავლო სფეროში, ისე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაური მეურნეობის მხრივაც სრულიად ავტონომიურია და ყველა ამ დარგის საქმეს თვითონ განაგებს“. დღეს ასეთი სიტუაცია არცერთ უმაღლეს სასწავლებელში არ არის. უმაღლეს სასწავლებელს სათავეში უნდა ჩაუდგეს პროფესორის მიერ არჩეული სამეცნიერო საბჭოები და ამ საბჭოების მიერ არჩეული ხელმძღვანელები. ჯერ დიდებული ქართული არის დაწერილი და ზუსტად აღწერს, როგო-

რი უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებელი. ჩვენ უნდა დავბრუნდეთ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში. შეძლებისდაგვარად გადავიდეთ უფასო სწავლებაზე. ბევრს ჰგონია, უფასო სწავლება კომუნისტების მოგონილია, არადა ეს ევროპული სისტემა გახლავთ. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ყველგან უფასო სწავლებაა. გერმანია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კრიზისიდან მარშალის გეგმით და ამერიკელთა დიდი ფულადი დახმარებით გამოვიდა. ასეთი დიდი დახმარების მიუხედავად ქვეყანამ გერმანული სისტემა სრულად შეინარჩუნა, რაც გულსხმობს სახელმწიფოს მიერ სწავლის თანხის მთლიანად უზრუნველყოფას. მას საუნივერსიტეტო განათლების ამერიკული მოდელი არ აურჩევია. პატარა ქვეყნებში — გნებავთ ჩეხოსლავაკია, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი — დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება. სახელმწიფო ნიჭიერ



ივანე კილურაძე და მაკა ჯიბლაძე

ახალგაზრდებზე თვითონვე ზრუნავს. უფასო სწავლების აუცილებლობა საზოგადოებამ უნდა იგრძნოს და შემდეგ მთავრობას მოსთხოვოს. პირველ ეტაპზე ნებადართულია იყოს ფასიანი და უფასო სექტორი, გააჩნია როგორი ტემპით გაჯანსაღდება ეკონომიკა. უმაღლეს სასწავლებელში ისეთი პირობები უნდა შეიქმნას, ნიჭიერი ახალგაზრდობა საკუთარ ქვეყანაში დარჩეს და საზღვარგარეთ წასვლა არ მოუხდეს. ნიჭიერი პროფესორი და ლექტორი არ უნდა ოცნებობდეს სხვაგან წასვლას. უცხოეთში სასწავლებლად წასვლას უარყოფითად კი არ ვუყურებ, პირიქით და-

დებითი მოვლენაა. ოღონდ სწავლის დამთავრების შემდეგ ქართველი სამშობლოში უნდა დაბრუნდეს. ამ პრობლემასთან გადახლართულია კვლევით დაწესებულებათა პრობლემა. ეს სისტემა მთლიანად განადგურებულია, ასეთი რამ არცერთ ქვეყანაში არ მომხდარა. ახლა ჩვენი ხელისუფლების ღირსების საქმე კვლევითი დაწესებულებების აღდგენაა. აქ საქმიანობა ახალგაზრდა მეცნიერებმა უნდა გააგრძელონ, სამეცნიერო ცხოვრება უნდა დუღდეს. ახალგაზრდა მეცნიერთა დასაქმების სისტემა შეიქმნას. ასევე სკოლებიც, ბოლო წლებში ბევრი სკოლა დაიხურა, ეს დანახულია. ყველა სკოლა უნდა შენარჩუნებულიყო. ამ პროცესს სკოლების ოპტიმიზაცია დაარქვეს, ექვსი კილომეტრის დაშორებით მდებარე სკოლები ერთმანეთს შეუერთეს. ამაზე განათლების კომიტეტში ბევრი წერილი შემოღის. სოფელში სკოლა ტაძარია, სინათლეა, ამის ჩაქრობა არ შეიძლება. სახელმწიფომ უნდა გამოიხსნოს საშუალება, რომ ყველგან იყოს სკოლა. სამინისტრომ დახურული სკოლების აღდგენაზე უნდა იფიქროს, გეგმა შეიმუშავოს და საზოგადოებას გააცნოს. ასევე მნიშვნელოვანი და მტკივნეულია სახელმძღვანელოების ხარისხი და შინაარსი. ამ პროცესში ინტელექტუალური კადრები უნდა ჩაერთოს. აქაც დიდია განათლების სამინისტროს როლი. მასწავლებლის ხელფასი უნდა გაიზარდოს. უნდა ვიფიქროთ ამ საკითხთა მოგვარებაზე, ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ. განათლების მინისტრი — ჩვენი მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატი — მართლაც ბევრს ფიქრობს განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე. შეძლე-

ბულ ადამიანთა გასაგონადაც მინდა ვთქვა, მარტო ბიძინა ივანიშვილი არ არის ვალდებული ქველმოქმედებას ეწეოდეს, ასეთი მისაბაძი მაგალითი გვაქვს და მივბაძოთ. ქველმოქმედებაში უნდა ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მაგალითად, ისრაელში ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელსა ან მუზეუმში ყველგან გამოკრულია, ვინ რა ქველმოქმედება გაიღო. განა სასიამოვნო არ არის მსგავსი ქველმოქმედების განევა?

— **ბატონო ვანო, თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ვფიქრობ, 10 წლის შემდეგ რომ შევხვდებით, პრობლემებზე აღარ ვისაუბრებთ, როგორ ხედავთ მომავალ საქართველოს?**

— ბუნებით პესიმისტი არა ვარ. ვფიქრობ 10 წლის შემდეგ საქართველო ევროპის სივრცეში დაფასებული, მაღალი კულტურისა და მეცნიერების ქვეყანა იქნება. ამისთვის ბევრი უნდა ვიშრომოთ. ვიმელოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება. მსოფლიო რუკაზე ღირსეულად გამოვჩნდებით.

**P.S.** ვანო კილურაძის პორტრეტი უაღრესად საინტერესოა. ჩვენს საუბარს ლაიტმოტივად გასდევდა ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ანას ლექსები... ინტერვიუ კარგახანს გაგრძელდა. მონუსხული ვუსმენდი ყოველ ფრაზას. ბატონმა ვანომ ცოცხალი დეტალებით დახატა ის იდეოლოგია, რასაც უდანაშაულო ხალხის სასიკვდილო განწირვა ჰქვია. შთამბეჭდავია, როდესაც იმ ეპოქის ცოცხალი მონაწილე ვინც გიხატავს წიგნში ნაკითხულ თუ ფილმად ნანახ ისტორიულ დრამას. თითქოს მისი ბაბუები, დედ-მამა გავიცანი და მათი ტკივილის თანამოზიარე გავხდი. გამახსენდა თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“. ქეთევან ბარათელის მსგავსად დარჩენილი პატარა ვანო, რომლის მეხსიერებასაც ნათლად შემორჩა დედის დაპატიმრების კადრები, საშინელ ფიქრთა სამყარო და ერთი აკვიატებული კითხვა: ნეტავი დედა თუ დაბრუნდებოა?! უმამოდ გატარებული ბავშვობა... ბატონმა ვანომ ყველა ქართველი ხილს გაუძლო და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. დღეს მისი ძალისხმევა გვჭირდება, რათა ქვეყანაში განათლების სისტემაში არსებული პრობლემები მოგვარდეს. ისიც ერთგულად უძღვება მეტად საჭირო და ძნელ საქმიანობას. მას სურს, რომ ის ბავშვობა, საიდანაც ჩვენ ყველა მოვდივართ, დღევანდელ ქართველ ბავშვებს გალაღებული და ნათელი ჰქონდეთ. ხარისხიანი განათლების მიღების შედეგად მსოფლიო რუკაზე უამრავი ახალი სახელი ოქროს ასოებით დაინერება.

მეცნიერისთვის მისაბაძი გმირი ამბროსი ხელაიაა, მსგავს გმირთა სიყვარული კი დიდი სულიერი სამყაროსა და პატრიოტული სულისკვეთების გამსჭვალულ პიროვნებებს ძალუძთ.

ამირან არაბული

# გოდერძი, ლაშარის ჯვარი და ტუტარიკის ხევი

ერთი კვირაა თუშეთში ვართ.

„ათნიგენობებია“.

ძილ-ღვიძილშიც „გნყალობდესთ!“ ჩაგვესმის.

გაიხედავ და... აღმართებში მედღეობენი გამწკრივებულან.

სოფლის სალოცავები — ახალჯვარი, აშტო და წყაროგორი — მრევლსა და მლოცველს უხმობენ, მიელიან, ხვდებიან, ამხნევენ და მადლის უხილავ კალთას აფარებენ.

გოდერძი ჩოხელი, რომ იტყვიან, თავის სტიქიაშია. მოსწონს მორწმუნე თუშების მამაპაპური წესრიგი და შორსმწვდომი ძახილით გამოხატავს გულში აბობოქრებულ განცდას და ემოციას; მოხიბლულია ტიპურ თუშურ სახლებში შესასვლელი მთავარი თაღოვანი კარების სიდაბლით და საფუძვლიან ახსნას უძებნის უცნობ, უსახელო მშენებელთა ჩანაფიქრს: სტუმარი, ნიშნად იმისა, რომ აფასებს მასპინძლის ოჯახს, თავდახრით უნდა შევიდეს მის „შინაში“.

— **დავიღალე, ხვალაც რომ დამიძახონ და ისევ არ მომასვენონ, ავდგები და ბარში დავბრუნდები!** — ყასიდად იმუქრება და თავისსავე ნათქვამზე ალაღად იცინის, აი, ისე, ღვთის რჩეულ შვილებს რომ სჩვევიათ...

ღამღამობით გიგო თათარაიძის (მისი ბრიგადის ცხვარ-მწყესია გადაღებული სოსო ჩხაიძის ფილმში „თუში მეცხვარე“) ორსართულიანი სახლის გრძელ აივანზე გვძინავს. ხარატულიანი „ბალკონის“ მაღლითა კუთხეებში ბებერაქსელებია გაბმული... და როცა დარღვევა დაეუპირე, გოდერძიმ არ დამანება: ასეთი ნამუშევარი იშვიათად მიხანავს, რას გვიშლიან, იყვნენ, იშრომონ... შეწყალებული ობობებიც, გეგონება, გაიგონეს ჩვენი საუბარიო, გაორმაგებული მონდომებით განაგრძობენ აჩქარებულ მიმოსვლას თავიანთი დრეკადი, სიფრიფანა ბადის ვერცხლისფრად მზინავ უწვრილეს ბილიკებზე.

მწვანოვლებული მთვარის უნაკლო ნათელში გახვეული მაკრატელას ფოლადისფერი მწვერვალები მიგვაცლილებენ მშვიდი ძილ-სიზმრების ფერადოვან სამყაროში და გრძელდება ხაგირის შემთბარი წყალივით წყნარი და უწყინარი დროჟამის უხმო მარათონი...

ერთ დღესაც ვერხოვანში, გომენრის ხეობაში, ლელა თათარაიძის დედულთ სოფელში გავემგზავრეთ. კოხტად დაკვალთული ნამთევი ცხენები დავითითოვეთ, შევხედით და პირიქითის ხეობის ქვატყვიანი ბილიკით ქალთვაკისაკენ ავიღეთ გეზი...

ვერხოვანში სოსო და მარო ანწუხელიძეებმა გვიმასპინძლეს... შორს შემოგვეგებნენ, გულითადად დაგვხვდნენ, ცხენებს კაზმულობა მოხადეს და სოფლის განაპირას საბალახოდ გაიყვანეს...

ანწუხელიძეთა სახლიდან რამდენიმე ნაბიჯში კლდოვან კბოდეს ჩაბლაუჭებული ვერხოვანის ციხე დგას, რომლის დაბლა, თვალგაუჩხვერ უჩინ-უკუნში, ჩასხებილი უფსკრულის ჟრუანტელისმომგვრელი სუნთქვა ისმის.

თავზეხელაღებული თუში ბიჭების გახელებული ცხენების ნალთა ნაპერ-ნკლები ციციანათელებით ენთებიან და ქრებიან საცალფეხო, დაკბულ ბილიკზე...

გოდერძი აღფრთოვანებულია გომენრისხეობელი მხედრების სიმარჯვით, სიჩაუქით და დროდადრო დიდად „ბრძნული“ ფილოსოფიური თეზით ეხმიანება დევებივით ნამოყუდებულ შვენაბდიან მთებს: „**თუ კაცი ცოცხალია, არ მოკვდება!**“ („**იცოცხლე, ვიდრე მოკვდები!**“ — ეს ოთარ ჭილაძის ფრაზაა).

ლელას გარმონის „გონითი გამამყვანი“ მელოდია და სიმღერა ხელთუქმნელი სამკაულივით ჰკიდია გომენრის მშვიდ, უმთვარო, ღრუბლიან ღამეს...

მეორე დღეს ნალვინევი, ცოტა არ იყოს, მუხლმოკვეთილი და მაინც უნაღვლონი, ნაყაჩოთი ვბრუნდებით პირიქითის ხეობაში.

დადიკურთაში ძველი დიდების ნაშთად შემორჩენილ ჟანგიან ყორეებს შორის მოთადარიგებული ცხვარ-მეცხვარის ობოლ ბინას ხელმარჯვნივ

მოვიტოვებთ, მყევრების გაავებას მოვერიდებით და თავუჩინარ აღმართს შევეკიდებით.

იალაზე მობალახე ცხენების რემას ვუახლოვდებით.

ამდენი და ასეთი სხვადასხვა ფერის ცხენ-კვიცი მანამდე არსად მენახა!

გოდერძიმ დაიჩემა: მთელი ჯოგი ეთეროს უნდა მივუღლა-ლო დანოში, კაცი არ ვიყო, ჩემი მომავალი ნათლულების დე-და თუ ვერ გავახარო!

ცხენებს თავბოლოზე უარა, ურბინა, დალლამდე სდია და ბოლოს ერთ, ალბათ ყველაზე ბებერ ჯაგლაგს, სწვდა ფაფარში.

კაი მანძილი ატარა ნაყაიჩოს ულამაზეს ზეგანზე.

ლელამ თავიდან იფიქრა, ერთობაო, და როცა დარწმუნდა, გოდერძი არც ხუმრობდა და არც ერთობოდა, გაუწყრა, გაუჯავრდა და რის ვაივავლა-ხით მოხელთებული საფერხე იალაზე გააშვებინა.

ქალთვაკემდე უბრად იარეს.

და როცა დეკიანში ნასახემ-სებლად დავსხედით, მაშინლა აიძრაახეს.

.....

გათენდა ლაშარობა — აღდ-გომიდან მესე დღის თავზე უძ-რავად ჩასმული სამთელთუშეთო სახალხო-რელიგიური დღე-სასნაული.

მე და გოდერძის ლუხუმაიძე-თა სტუმართმოყვარე ქალებმა დიდსულოვნად დაგვითმეს თავიანთი განაფული, მთის ნაშ-ლილ, წვიმებით ჩარეცხილ ვინ-რო ბილიკებზე მრავალნაცადი ცხენები; დაგვითმეს და თვითონ ქვეითად დაადგნენ ლამის ნახე-ვარი დღის სავალს; ბოლომდე გვაგრძნობინეს, რას ნიშნავდა მათთვის სხვა კუთხეების — ამ შემთხვევაში გუდამაყრისა და ხევსურეთის — წარმომადგენელთა სტუმრობა თუშეთში.

ჩილოს გავლით ლაშარში მზის დანვერვის ხანს ავედით.

იქ დაგვხვდა მოწმიდარი დეკანოზი მელიტო ხოსიკურიძე. ერთი კვირით ადრე ასულიყო და, სოფელ-ქვეყნის მტვერსა და ხმაურს მოშორებული, მეუდაბნოე ბერივით განმდგარი და განმარტოებული ლაშარობის წმინდა, საკრა-ლური რიტუალის გასაძლოად ემზადებოდა.

ხატის შავად შემუჭრულ დარბაზში გვარიანად გრილოდა. სიპი ქვის ყორის ღრიჭოებში ნიავი უბერავდა. ყორეში დატა-ნებულ ქვის თაროებზე ელაგა ალუმინისა და სპილენძის ჭურ-ჭელი, მომცრო თუნგები და ვაშრაპები. იქვე იდო მომლოც-ველთა მიერ შეწირული, ერთი წლის ნაჩუმარი გარმონი...

მაგნიტოფონი ჩავრთე და ჩავინერე დეკანოზის საუბარი. ჩილოს აღმართზე პირველი ცხენოსნები სამხრობის ხანს გამოჩნდნენ.

და დაუვინყარი სახილველი: (როგორც მერე გავიგე) დიკ-ლოელი გენადი ბენუნაიძის დედა ცხენს მოუძღვება და მო-საბლავს. ჭრელი ხურჯინის ტევად თვლებში სამი-ოთხი წლის ბალებს ამოუყვიათ თავები. უჩვეულო ყოფით კმაყო-ფილინი გაფაციცებით ათვალეერებენ უცხო გარემოს. ხურ-ჯინში უძრავად ჩაჭედდებიან უთუოდ ეტკიებათ დაბუჭებული ფეხები, მაგრამ რალა თუშები იქნებიან, ხმა რომ ამოი-ღონ და არაკომფორტული მგზავრობა გააპროტესტონ!

მოლოცველი მატულობს.

მოდინ და მოჰყავთ შესანირო: ბატკანი, ჭედილა, კურატი.



გოდერძი ჩოხელი და ეთერ თათარაიძე სოფელ დანოში

სულადის არაყით საცხე მათარებით და ღვინის „კანისტ-რებით“ ივსება სამსხვერპლოს შემოგარენი...

ინყება ლაშარის ჯვრის სადიდებელი, გვარებისა და ოჯახების მოხსენიება, ზვარაკის დაკვლა და მოლოცველ-მწირველთა დამწყალობნება.

„სწყალობდეს!“ — დაიძახებს ერთი და სხვებიც იმავეს იმეორებენ.

გოდერძი უკვე „მოთუშულია“, იქაური ქუდი ახურავს და სანესჩვეულებო სიტყვა-მიგებაში არაფრით ჩამორჩება აქი-მიძებსა და ხაჩიძებს, ქააძებსა და იმედიძებს, აშაძებსა და ცაძიკიძებს, იდოძებსა და ბასხაჯაურებს...

უფროსები ღამისთვის თადარიგს იჭერენ: ვინ საკლავს ატყავებს, ვინ კიდეც საცეცხლურს ამზადებს ყურ, შედარე-ბით უქარნიავო ადგილებში.

ბინდდება.

ხატის მინდორი (თუკი შეიძ-ლება გრძლადნაღებულ სულ-ფონ ფერდობს მინდორი ენო-დოს) ორ — საქალო და სამამაცო — ზონად იყოფა. სამანზე ყარაუ-ლები დგანან და ღვთის ნებით გავლებული „სადემარკაციო“ ხა-ზის დალაზვისა და გადაკვეთის უფლებას არავის აძლევენ.

შუშხუნა ლუდით (თუშურად: „ალუდი“) მოპირთავებული ხის კასრის კიდეზე თაფლის უამრავი სანთელი ციმციმებს.

„ჯვარულს“ ცხრა კაცი ას-რულებს.

„დღესამ დღეობა ვისია, წმი-დისი-დ გიორგისია“, — ინყებს სამი მონანილე და შემდეგი სამი იმეორებს. მერე დანარჩენი სამი აგრძელებს და ამთავრებს.

მოუწყინარი შემართებით, ხმის გამკვეთრებითა და ხა-ლისით მიიწევს მალლა და მალლა ლაშარის კარზე ალვად ამოსული მსხმოიარე ხის შესახებ ძველთუძველესი საკრა-ლური სიმღერა...

ხოლო მანამდე მთის ფერდობზე ფერხული ჩააბეს მამა-კაცებმა.

ორსართულიანი „ქორბელელა“, თორმეტი კაცის მონა-ნილეობით, ნელი სვლითა და ტრიალით, სანესო სიმღერით მიიწევს ხატის კარისკენ.

წრის შიგნით მეცამეტე — სტეფანე აქიმიძე დგას, ფან-დურზე უკრავს და გუნდთან ერთად ეშვება ქვემოთ.

ქორბელელამ დაუშლელად ჩააღწია დანიშნულების ადგი-ლამდე, რაც კეთილ მომავლად ინიშნეს და, ხალხი, გახარე-ბული მოფერხულეთა ნაუბორძიკებელი მსვლელობით, მო-წონების შეძახილებით შეხვდა ლაშარის ნების გაცხადებას...

ნაბდები წავიფარეთ და უსწორმასწორო, ალაგ-ალაგ ბენჩებიან, ბალახიან ფერდობზე წავიმხრისულებთ.

შუალამისას ლაშარობის კიდეც ერთი სავალდებულო ნე-სი შესრულდა: ღამისმთველმა ბიჭებმა ღრმად ჩაძინებუ-ლებს ფეხთ გახადეს, რათა ამ უკანასკნელთ, ინათებდა თუ არა, წინანაქარიანი ბოთლების საფასურით დაებრუნებინათ თავიანთი ფეხსამოსი.

მე, როგორც სიძე, მიცნეს და დამინდეს. ჩუმი, საეჭვო ჩქამი მესმოდა, მაგრამ რაკი არავინ მომკარებია, გვერდი ვიცვალე და ძილი შევიბრუნე. სამაგიეროდ, გოდერძი ვერ გადაურჩა მძარცველების „მრუდე“ ხელს. თასმები ფრთხი-ლად შეხსნეს და ტყავის მაღალყელიანი ბათინკები წაიღეს...



დილით ჯერ სახსარი ვეძებთ, ვიპოვეთ, „ვისესხეთ“, ხოლო შემდეგ კითხვა-კითხვით მივაგენით გოდერძის ფეხსაცმელს და „გამოვისყიდეთ“...

ცისპირი ტყეებოდა, ცხენების ჭიხვინმა რომ გამომაფხიზლა.

სადღაც იქვე, კოცონის ნამღევთან, გარმონი ალაპარაკდა...

ჩავრთე მაგნიტოფონი და ფირზე ჩავწერე ეს ორი განუმეორებელი ხმა და მელოდია...

კარგად რომ მოდღევედა, ცხენები ავხსენით, შევეკაზმეთ, დამრჩობთ დავემშვიდობეთ და ჩილოსკენ ჩავსაბლეთ ჩვენი დასვენებული, დანაყრებული საფერხეები.

ჩილოს რომ გავცდით, გოდერძი დანინაურდა და მტრიან ბილიკზე ცხენს სადავე მიუშვა.

მე და ოთარ ლუხუმაიძე — თუშეთის სატყეოს უფროსი — წყნარი, ტანმორჩილი თუში, ჩორთით მიყვებით უკან.

გოდერძი, ისევე როგორც ჩვენ, რიბირაბოდაა, გამბედაობა და რისკი ისედაც არ აკლია, ამალღებულ განწყობას დარკეთილიც ერთვის და ჩუმ-ჩუმად მემინია, საზღვრებმორღვეული „სიბრიყვით“ და სითამამით თავს შარი არ აუტეხოს, არაფერი ივნოს.

ამ ფიქრში ვარ და... ტუტარიკის ხევთან (რომელიც, თუშების წარმოდგენით, საეშმაკე და ავსულთა სადგომ-სამალავია) ახლოს ცხენ-მხედარი ბილიკიდან გაუჩინარდა.

რამდენიმე წამში იქ გავჩნდით და ჩამოვკეცითოდით...

ბილიკის დაბლა, ხელმარცხნივ, უწყლო, ნინვიანი და ბუჩქნარიანი წვრილხევი ჩადის. პირველი, რაც თვალს ეცნო და კიდევ ეცნაურა, ფიჭვის ტოტს შერჩენილი ცარიელი ხურჯინი იყო.

ხევს ჩაღმა ჩავყევი. მზით თრობა და მოთენთილობა მოულოდნელმა ელდამ გადაფარა. ხმის ამოღება ვერ მომიხერხებია, ყველაფერი ისე უცებ მოხდა. თითქოს ნისლი აიყარა და თვალსაწიერი გადაინმინდა. ვხედავ: ვინრო აღმართში ცივ ქვაზე შემდგარი ჩოხელის სიჯიუტით მოაბიჯებს გოდერძი, ხელთ ალვირის ტარი უჭირავს, მზის ქუდი უკუღმა ახურავს, ზეხმელისგან დაფხაჭნილ სახეზე სისხლი სდის, უკან მორჩილად მოჰყვება უნაგირ გვერდზე მოქცეული ცხენი...

ერთი სიტყვით, „საამური“, სასაირო სანახავია!

უქმია ჯავრი და ჩივილი გადაბრუნებული ურმის გამო.

ჩვენც ვდგავართ და მიმტყეებლურად მომღიმარნი შევეყურებთ ერთმანეთს...

.....

და იმ დღეს, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, ტუტარიკის ხევის მავნე მინრიელთა და ხიბალკუდიანთა ნასიბს ლახტით შეჭურვილი ლალი ლამარის ჯვარის დავლათმა სძლია და აჯობა.

.....

— აგე, ბალო, შენ სამშობლო! — სულ ახლო მომავალში მონატრების მაუნყებელი ხმით გასძახებს გოდერძი ფიცრისჭალის ველურ მიდამოებს და ორხიდიანი მანქანით ცერზე (თუშები „ციმბირსაც“ რომ ეძახიან) ამოსულები, გვწადია თუ არა, პირს კახეთისკენ ვიბრუნებთ.

ეკა ბუჯიაშვილი

# ...სქინავს მეფურ ქილით

## (წარდგინება ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანისა „აკაკის ლანდი“)

**წოდარ ღუმბაძე** თავგამოდებით ამტკიცებდა თურმე: „ბანთიადი“ კაცის დაწერილი არ არის, პირდაპირ ღმერთის მაგიდიდანაა გადმოსული.

**ელგუჯა თავბერიძის** ბიოგრაფიული რომანი „აკაკის ლანდი“ — როსტომ ჩხიქიძემ „ბიოგრაფიული რომანი ნოველებად“ რომ უწოდა — აკაკი წერეთელს მინაზე მოსიარულე ღმერთად კი არა, ჩვეულებრივ ადამიანად წარმოაჩენს და მისი მონუმენტური ფიგურის ირგვლივ შემოაქსოვს XIX-XX საუკუნეების ეპოქალურ სურათსაც.

და აი, იოსებ ჭუმბურიძემ „ჩვენი მწარლოზის“ სალონში გამართულ წარდგინებაზე ორიგინალური ყაიდის — „აკაკის ლანდის“ შესაფერისი არქიტექტონიკის — რეცენზიით რომ მიმოიხილა ელგუჯა თავბერიძის ახალი რომანი, თავის გამოსვლაში საინტერესო და საგულისხმო აქცენტებთან ერთად ეს თავისებურებაც წამოწია და თქვა:

— აკაკი ქართველი კაცისთვის მართლაც ღმერთივითაა.

ქართველი კაცი მის ორბუნებოვნებას აღიარებს — ღვთაებრივსა და კაცებრივსო.

ოლონდ ეს მერე იყო, მას მერე, რაც როსტომ ჩხიქიძემ ასე წარუდგინა ახალი ბიოგრაფიული რომანი და მისი ავტორი შეკრებილებს:

— იგი ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სული და გულია. კრიტიკოსი, ესეისტი, პროზაიკოსი, გამომცემელი, ახალგაზრდების აღმზრდელი... ელგუჯა თავბერიძეს მრავალმხრივი მოღვაწეობით უკვე კარგად იცნობს საზოგადოება.

ბიოგრაფიული რომანის უანრში კი ეს მისი პირველი ცდა არ არის, ქართველმა მკითხველმა იცის მისი ორი ჩინებული თხზულება სოლომონ აშორდიასა და დათა მიქელაძეზე, მესამე კი, ფორმის მხრივაც ახლებურად გააზრებული, წარმოგვიდგება ნოველების სახით, რაც ქართულ ლიტერატურაში პირველად მოისინჯა — საკმაოდ წარმატებულადაც — და ძალდაუტანებლად მოიყოლია აკაკი წერეთლის ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოკვეთის სურვილმა.

აქ პერსონაჟებად ნუ ელოდებით ილიას, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილს, ალექსანდრე ყაზბეგს... ნიკო ნიკოლაძეც სადღაც გაილეგებს მხოლოდ. ავტორმა არჩია, უფრო კულუარული მხარე წამოეწია მაშინდელი საზოგადოების პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრებისა, და უამრავ „წვრილმანზე“ ამოზრდილი თხრობით, ძველი პერიოდიკისა და საარქივო მასალების გულმოდგინე შესწავლით წარმოსახა ეპოქის სულიც, პერსონაჟთა საინტერესო გალერეაცა და აკაკის პორტრეტიც, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა და მღელვარებათა შუაგულში მდგომი.

თავის დროზე შალვა დადიანმა „გვირგვინების ოჯახში“ ჩინებულად წარმოსახა ქუთაისის მხარე და საგულისხმო დოკუმენტური ნაკადითაც შეავსო ჩვენი ცნობიერება. ელგუჯა თავბერიძე სწორედ ამ წიგნს ეყრდნობა, რომელიც გზამკვლევადა შეიძლება დაისახო XIX საუკუნეში, ისევე როგორც ბატონი ელგუჯას მთელი შემოქმედება, ხვალ და ზეგ თვითონაც რომ გახდება გზამკვლევი მათთვის, ვინც მოინდომებს ჩაიხედოს XIX, XX, XXI საუკუნეების არა მხოლოდ ლიხს იქითა, ლიხს აქეთა საქართველოს ცხოვრებაში.

**იოსებ ჭუმბურიძისთვის** კი როსტომ ჩხიქიძეს „აკაკის ლანდის“ შესახებ მოხსენების წაკითხვა ქუთაისისკენ გზაზე შეუთავაზებია.

— იმის მიუხედავად, რომ ამ წიგნთან დაკავშირებით ელგუჯასთან „ჩემი ანგარიშები“ მაქვს, სიხარული ვერ დავმალეო, — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა შეკრებაზე ბატონმა იოსებმა.

თუ რა ანგარიშები აქვს მას „აკაკის ლანდის“ ავტორთან, ამაზე ცოტა მოგვიანებით, ჯერ კი მომხსენებელმა წიგნის სათაურზე — გალაკტიონთან მის გადაძახილსა და რომანის ორიგინალურ არქიტექტონიკაზე ისაუბრა. ქუთაისის ქუჩებში მოსიარულე გალაკტიონის ლანდიც წარმოსახა და რამდენიმე ნოველაც გამოარჩია წიგნში გაერთიანებულ 31 ნიმუშს შორის: „ღმერთი და საქართველო“, „არ იმღერება ეს სიმღერა“, „მზის ნაკვალევი“. ასევე ყურადღება გაამახვილა ელგუჯა თავბერიძის მწერლურ ოსტატობასა და მკვლევარის ნიჭზეც, რაზეც წიგნის წინასიტყვაობაშიც არის აღნიშნული — „ელგუჯა თავბერიძის შემოქმედებით ნატურაში მოხდენილად ერწყმის ერთმანეთს მკვლევარისა და ბელეტრისტის ნიჭი“ — და ბატონი იოსები ნიმუშად ამონარიდებსაც რომ მოიყვანს წიგნიდან, იტყვის, რომ სწორედ ეს ყოველივე ქმნის ერთიან სტილს, აკაკის ფიგურასთან ერთად რომ ამთლიანებს ამ ნოველებს.

„უამრავ წერილმანზე ამოზრდილი თხრობა“ კი დამაჯერებლობითაც გამოირჩევა და ბატონი იოსები ავტორისავე პერიფრაზით აღნიშნავს:

— ისეთი დარწმუნებით ამბობს და ისეთი საბუთები მოაქვს, ეშმაკიც დაუჯერებსო.

და აკი უჯერებს კიდევ მკითხველი.

იმ უცნაურ და საინტერესო ფაქტებსაც უჯერებს, რომლებიც შეიძლება ბევრისთვის უცნობი იყოს.

აი, თუნდაც „მხოლოდ შენ ერთს“ — ამ განთქმული სიმღერის ტექსტი შალვა დადიანის შექმნილი რომ ყოფილა, თანაც რუსული პიესის თარგმანში ჩასართავად, მისი ნამდვილი „ადრესატი“, ყველას სატრფო რომ ჰგონია, სინამდვილეში კი 1914 წელს ის საქართველოს ჰიმნად დაუგუგუნებიათ.

თუმცა ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სერიოზულად ერთ რამეში მაინც შეიტანა ეჭვი ბატონმა იოსებმა:

— აკაკისთან სტუმრად მისულ საზანოელ გლეხებს გვარ-სახელით რომ ჩამოთვლის ბატონი ელგუჯა, საკუთარ გვარს არ ახსენებს — ალბათ აზნაურია — ჭუმბურიძეს კი დიდი სიამოვნებითო, — და იმასაც აღნიშნავს, როგორ დაურეკა იმავე მგზავრობისას ნოდარ ტაბიძემ და „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ პირველი ტომის დამთავრება რომ ახარა, „ქართულ გაზეთში“ გამოქვეყნებული ცნობაც ნაუკითხა — 1821 წლის ნოემბერში როგორ გადასცემიათ ოქროს საათები სახელმწიფო აზნაურებად მოხსენიებულ ანანია და სვიმონ ჩუმბურაძეებს (მასალები ამ გაზეთისთვის რუსულად ინერებოდა და გვარის დამახინჯებაც ამით აიხსნებოდა).

ასე გაუსწორებს „ანგარიშს“ მომხსენებელი თავისი გამოსვლის ეპილოგში ბიოგრაფიული რომანის ავტორს, თუმცა ბატონი ელგუჯა შეხვედრის ბოლოს სეფე-სიტყვით რომ გამოვა, ბატონ იოსებს უპასუხებს კიდევ, მაგრამ ამას მეც ეპილოგში გაგაცნობთ.

ჯერ კი იმაზე, თუ როგორ შეაფასეს რომანი შეკრებაზე სხვა გამომსვლელებმა.

\*\*\*

არტურ ლაისტს ჩაუნიშნავს თავის ჩანაწერებში: — იაკობი ილიას მეტად აფასებდა, მაგრამ აკაკი უფრო უყვარდაო.

თვითონ აკაკის კი ილიას შესახებ ასეთი ჩანაწერი აქვს: „ილია-მზე“:

ერთ კაცს მოუსურვებია, რომ მზე დაეჭირა და თავისი სოფლის გორაზე ასულა, მაგრამ... მისდა გასაკვირად, მზე მეორე სოფლის გორიდან ამოსულა. ახლა მეორე სოფლის გორიდან გადაუნყვეტია მზის დაჭერა, მაგრამ ის მესამე სოფლის გორიდან ამოსულა... და ასე უვლია კაცს გორიდან გორაზე.

აი ეს არის ილია ჭავჭავაძეო, — ამბობს აკაკი, — თქვენ რომ გგონიათ, ილია-მზე აქ ამოვიდა, სინამდვილეში ის ყველგან არის და ყველგან ანათებსო.

ეს ყველაფერი შეხვედრაზე გიორგი გოგოლაშვილმა გაიხსენა და აღნიშნა, რომ ღვთის მადლით, მე-19 საუკუნეში „მეოხად ჩვენდა ქრისტემან ილია ჭავჭავაძე გამოგვიგზავნა“, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ უმძიმესი საუკუნისათვის ილია საკმარისი არ იყო და მოგვივლინა აკაკი, იაკობი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ნიკოლაძე... მათგან ერთიც კი ნებისმიერი ერის კულტურულ ცხოვრებას დაამშვენებდა, საქართველოს კი მე-19 საუკუნეში არაერთი ასეთი მოღვაწე ჰყავდა. ამიტომაცაა, რომ ბიოგრაფიული რომანის შექმნა აკაკიზე ბევრნაირად მნიშვნელოვანია.

— ქართულ ლიტერატურაში რამდენიმე კაცია ისეთი, ვისაც სარომანე ბიოგრაფია აქვს. მათ შორისაა აკაკი.

სათაურიდან გამომდინარე, მინდა აკაკის მთლიანი ლანდი დავინახო, თუმცა აქ მხოლოდ ერთი მხარეა — ქუთაისი და აკაკი.

როცა აკაკიზე ვსაუბრობთ, აკაკისა და ილიას შესახებ საგანგებოდ რომ არ იყოს მსჯელობა, აკაკის მთლიან ლანდს ვერ გავიაზრებთო, — იტყვის ბატონი გიორგი და იმ უმნიშვნელოვანეს პოლემიკასაც გაიხსენებს ქართული ენის შესახებ, აკაკიმ რომ წამოიწყო, ბევრი მოღვაწე ჩაერთო, გამორჩეულად ჩაენერა ქართული ენის ისტორიაში და გარკვეულწილად განსაზღვრა კიდევ ილიას მიერ მოხაზული სამების ერთ-ერთი საფუძვლის — ენის — შემდგომი ბედი.

აკაკის ღვაწლს თაობები შეაფასებენ და დააფასებენ. XXI საუკუნე კი მის ოცნებასაც შეასხამს ფრთებს:

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ტექსტოლოგთა მიერ მზადდება აკაკი წერეთლის თხზულებათა ოცტომეული.

საქმე უკვე დაიძრა და ნელ-ნელა რეალურიც ხდება პოეტის საწუკვარი ოცნება — სრულად გამოეცა თავისი ნაწერები, რომელთა ნაწილი თავის დროზე ცარიზმის ცენზურის, შემდეგ კი საბჭოთა კონიუნქტურის მსხვერპლი გახდა.

— სწორედ ამიტომ ახლა კიდევ უფრო ფასიულია ამ რომანის გამოცემა. მასში თავმოყრილი ბელეტრისტულ-მხატვრული წერილების მეშვეობით ხომ შესაძლებელი გახდა ბევრი უცნობი მოვლენის ახსნა და არაერთი პერსონის ღვაწლიც გახდა საცნაური მკითხველისათვის.



ელგუჯა თავბერიძე

ნიგნის კითხვას იმ მოლოდინით შევუდევი კალმით ხელში, რომ აკაკის გამოცემისათვის სარგო საკომენტარო მასალა მომენიშნა და ბოლოში რომ გავედი, საკმაოდ შუნტირებული (რევაზ თვარაძის ტერმინია) ნიგნი შემრჩა ხელთ. ბევრ ნოველაში აღმოჩნდა საჭირო ინფორმაცია თუ კომენტარი, — აღნიშნა შეკრებაზე **ჯული გაბოძემ**, აკაკის ოცტომეულის მომზადების ერთ-ერთმა თაოსანმა, და თავისი მოსაზრებები რომ გაუზიარა შეკრებილებს რამდენიმე ნოველის შესახებ, გამოსვლის დასასრულ ესეც დასძინა:

— აკაკის ახალი აკადემიური გამოცემა დიდი ეროვნული საქმეა და მომავალშიც ბევრ კარგს გააკეთებს და გაგვაკეთებინებს.

ნახეთ, უკვე რამდენი ჟამის მუშაკი შეგვკრიბა.

ვისურვებდი, რომ ღმერთმა კვლავაც ბევრი აზიაროს ამ სამკალს, მათი ნამუშავენი კი დროულად მოგვესწროს ამ დიდ საქმეში და „უკანმიდევნებულ ლამპრად“ არ დარჩეს.

\*\*\*

აკაკი კონია ერისთავთან ერთად მჯდარა ბულვარში. მათ წინ უცხოელები ყოფილან სკამებზე ჩამსკრივებულნი. ჩამოუვლია ათასნაირი ფართლულით მოვაჭრე ებრაელს და უცხოელთათვის შეუთავაზებია თავისი „ხონჯრები“: აქაოდა, კავკასიური ვალსტუკები, იყიდეთო. ერთი კი არა, სამ-სამი და ოთხ-ოთხი შეუძენიათ გაკვირვებულ „ინოსტრანცებს“.

დაუცლია ებრაელს ხელი, გაუყიდა ყველაფერი. აკაკიმ თავისთან უხმო თურმე ჯიბეგასქელებულ ებრაელს და უთხრა:

— ახლა არა მაქვს, ხვალ დილით სასტუმროში მოდი და უცხოელთა მოტყუებისათვის თუმანს მოგცემ.

გახარებია იმას, რა ფეხზე ავდექი, დაგენაცვლეო. მიწამდე დაუკრავს თავი აკაკისა და კონიასათვის და გახარებული გაქცეულა.

ბულვარიდან გამოსვლისას აკაკისა და კონიას შორის ასეთი დიალოგი გამართულა.

— ბატონო აკაკი, გთხოვ, ხვალ სადილად მენვიც.

— ნვულება გაქვს?!

— არა, მინდა პატივი გცე, ის ებრაელი რომ მოატყუე.

აკაკის გაცინებია, ცალი თვალი მოუჭუტავს და უთქვამს:

— იცოდე, კონია, თავს არ მოგატყუებინებ, ხვალ სადილად უთუოდ გენვიც.

ამ ეპიზოდს აკაკის ცხოვრებიდან შეხვედრაზე **რეზო ქვიშვილი** გაიხსენებს და აღნიშნავს:

— რომანი სწორედ იმითაა ჩემთვის საინტერესო, რომ მოვლენები ქუთაისში ვითარდება.

აკაკის გარეშე ქუთაისი დღესაც არ არსებობს. ეს ნიგნი კი, თავისი ორიგინალური ფორმითა და მრავალმხრივ საგულისხმო შინაარსით, მონოგრაფიაც არის, ბიოგრაფიული რომანიც, გამოკვლევაც... და, რაც მთავარია, დღევანდელი თვალითაა დანახული აკაკის ლანდი, ამ გადასახედიდანაა გააზრებული მაშინდელი ყოფაცა და სატიკვარიც.

სწორედ ამის გამო იტყვის შეკრებაზე **ნანა კუცია**:

— ძნელია განსაზღვრო, სად მთავრდება აკაკისეული და იწყება ელგუჯა თავბერიძისეული, იმდენად საერთო და ერთნაირია საფიქრალიცა და სანუხარიც.

აკაკისეულ „მესარკეობის“ პრინციპს ერთგულებს ელგუჯა თავბერიძე. ამადაც ციტირებს, ითვისებს და გვათავისებინებს „გამძღოლის და მეგანგამის“ ნაზრევს, მთხრობელის ტონი არასოდეს გადაიხსნის ისტერიამში, რაც უნდა ტრაგიკულს კონსტატირებდეს — ტრაგიკული კი, ანუ „სხვადასხვა ჭირი (ქართველზე), არახალია, ძველია“.

„იყვნენ აკაკის დროსაც და მერეც ისეთები, მოთმინებას რომ ურჩევდნენ ქართველობას, ტანჯვის ატანას ჩასჩირინებდნენ — ვიყოთ მომლოდინენი, ვიომოთ სხვის ომებში, მი-

ვილოთ წყალობანი, ჩინები, მედლები, გავძლიერდეთ და მონობის უღელს გადავიგდებთო.“

აკაკი პრინციპულად ემიჯნებოდა იმათ განზრახვას, ვერც ძალით წართმეულის ნებით დაბრუნება წარმოედგინა, ვერც გალიის თავისუფლება გაეგო და, რუსთველივით, ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვან სიკვდილს ამჯობინებდა“.

ქალბატონი ნანას თქმით კი, ეს ამონარიდი, ტექსტის, კონტექსტისა და ქვეტექსტის გათვალისწინებით, თვითონ ელგუჯა თავბერიძის პოზიციადაც აღიქმება, მამულიშვილურ მრწამსად, ასე რომ გაიშვიათებულა, დაძვირებულა „გმირთა აკლდამად“ ქცეულ ქვეყანაში — აკაკის მაღალ ფიქრთა თანაზიარს „ტალახიან დროში“ „ვარდის დროის“ (მწერლისეული სინტაგმებია) ნოსტალგია მოსძალებია.

— ამ დარდიან და საგულისხმო ნიგნი ფაქტი პარადიგმად განივრცობა, იგავად ტრანსფორმირდება, რათა „რომელთა ასხენან ყურნი, ისმინონ“, შეისმინონ „მეგანგამისა“ და მონაღვლის ვარამი.

ულამაზესი პეიზაჟები, დაუვინყარი დეტალები და ნიუანსები კი მაღალმხატვრული თხზულების ხიბლით ალბეჭდავს „აკაკის ლანდს“ — დახვეწილ ნიგნს, მრავალგზის რომ დაგაბრუნებს თავის ნიალში მარადი ქართული ვარამის განცდისა და გააზრებისთვის.

\*\*\*

**ემზარ კვიციანი** გაიხსენებს შეკრებაზე:

— გამიგონია:

ყმანვილ გალაკტიონსა და პაოლო იაშვილთან მავანს შეურაცხყოფა მიუყენებია აკაკისთვის. გალაკტიონს ხელი უკრავს მისთვის და გამოსარჩლება მგოსანს, პაოლოს კი, მგონი, გაურტყამს კიდევცო.

კარგა ხანია ბატონი ემზარი უტრიალებს და თითქმის ბოლომდე მიყვანილი მისი ვრცელი მონოგრაფია „აკაკის პოეტური ხელოვნება“, მაგრამ სულ გული სწყდებოდა, რომ აკაკის ხალასი ჟურნალისტიკა ამ არეალში არ იყო მოქცეული, არადა ძალზე საგულისხმოა, როგორც დოკუმენტური პროზის ნიმუში.

— მიხარია, რომ ელგუჯა თავბერიძე როსტომ ჩხეიძეს გვერდით დაუდგა მესამე ბიოგრაფიული რომანით. ბოლოსდაბოლოს, ამ ჟანრს მხოლოდ როსტომ ჩხეიძეს ხომ არ შევატოვებთ ხელში... ბატონი ემზარის თქმით, საერთოდ ჩვენთან ძალიან მიგდებულია კომენტარები. ეს ნიგნი კი, კომენტარებად დაშლილი, მართლაც შეიძლება იმ ოცტომეულში განაზაო, ახლა რომ მზადდება და აკაკის შემოქმედებას მოიცავს.

ამასთანავე, ამ ბიოგრაფიულ რომანში ავტორი ახერხებს იმას, რომ ძალიან ახლოს მოიტანოს აკაკის პორტრეტი, რასაც ბელეტრისტიული ოსტატობის გარდა, მასალებისა და თვითონ ქუთაისის კარგი ცოდნითაც ახერხებს.

და ბატონი ემზარი ცალკე თავებსაც რომ გაიხსენებს ნიგნიდან, განსაკუთრებით გამოარჩევს „შამილის სიზმარს“, იმას, თუ როგორ არის მასში წარმოჩენილი ეს ლექსი — პირდაპირ რესტავრაცია ხდება მკითხველის თვალწინ.

აკაკიზე კი თითქოს ბევრი რამაა ცნობილი, მაგრამ ამ რომანში ისეთი ნიუანსები აქვს მოძიებული ავტორს, სრულიად ახალი ამბები იხსენება და ბევრი რამ ახალი რაკურსით წარმოჩნდება:

— პირადად მე ივანე კერესელიძეზე თითქოს ბევრი რამ წამიკითხავს, მაინტერესებდა მისი ბიოგრაფია — ბოლოსდაბოლოს, მეც ხომ ვრედაქტორობდი „ცისკარს“ — მაგრამ აქ იმდენი რაღაც აღმოვაჩინე, გაოცებული დავრჩიო, — ამას **ზაურ კალანდია** დასძენს.

ელგუჯა თავბერიძე კი, **დარინა ყურუას** თქმით, კიდევ ბევრ საინტერესო პერსონაჟზე გვიამბობს, არაერთ საგულისხმო დეტალზე, აკაკისდროინდელ ეპოქაზე, იმ „მასა-

ლებზეც“, აკაკის რომანზე რომ უნდა „ალაპარაკებულიყვნენ“ და „არ ალაპარაკდნენ“. სამშობლოს „გადასარჩენად“ გადახვეწილებმა ისიც ვერ მოახერხეს, საკუთარი ნაკლი დაენახათ ამ მამხილებელ თხზულებაში, ახალთაობა დღევანდელ კვერცხს რომ არჩევდა ხვალინდელ ქათამს, ქვეყნის მშენებლები ორად რომ გაიყვნენ და „ისინი“ და „იგინი“ მხოლოდ იმიტომ ენოდათ, პირველები მცირეოდენ „თავგანწირულები“ რომ გამოდგნენ და მეორენი კი სასიკეთოდ ვერ წაადგნენ ქვეყანას სამშობლოში დაბრუნების მერეც.

— და ასე, კრილოსნის უამრავი მარცვალავით აკინძული წარსული... გულსატკივარი და სადარდებელი რომ არ აკლია იმ აკაკივით, შუახანს გადაცილებული, გულდამძიმებული რომ მიუყვება ქუჩას ვახტანგ გურამიშვილთან ერთად და სიცოცხლის გასრულების ჟამის მომლოდინე ვახტანგი ამხნეებს და მომავლისკენ ახედებს.

ჩვენთვის პირიქით უნდა ყოფილიყო...  
საიმედო ხომ მაინც ბევრი გვაქვს.

ჩვენს მეტი ვინ მოახერხებს იმას, რომ თავად ვანგრედეთ და მაინც არ ინგრეოდეს ქვეყანა!

\*\*\*

1912 წელი.

საჩხერე წარმომადგენელთა არჩევნების ციებ-ცხელებას შეუპყრია.

კენჭს აკაკი წერეთელიც იყრის.

და საზოგადოება ირჩევს მის კონკურენტს, ვინმე ხუსკივაძეს.

— არ მიკვირსო, — იტყვის აკაკი, — კენჭი ჭკუისა და სინდისის საქმეა, ერთ-ერთმა რომ გილალატოს, კიდეც არაფერი, ჩემს ამომრჩეველს ორივემ უღალატაო.

— ეს სიტყვები ყოველ არჩევნებზე მახსენდება და ახლაც თქვენმა გამოსვლამ მომაგონა, — ასე შეეხმიანება გიორგი გოგოლაშვილს **გია ხოფერია**, ვისი აზრითაც, ელგუჯა თავბერიძის მრავალმხრივ საინტერესო რომანში გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება, ორი მაგისტრალი: ერთი მხრივ, შევსება-გამდიდრება მწერლის თვალით დანახული აკაკის ბიოგრაფიისა, რამდენად შეიძლება ზღვარი უკან გადაინიოს არსებული მონოგრაფიებისა თუ წერილების შემდეგ, და მეორე მხრივ, დროის წაკითხვა, იმ „ტალახიანი დროისა“, რომელშიც ცხოვრობდა აკაკი და რომელსაც უტრიალებს მწერალი, 31 წევრით ჩვენც ამ დროში რომ მოგვაქცევს. მართლაც საოცარი საჩუქარი იყო მე-19 საუკუნისთვის ეს ადამიანები. მიუხედავად მათი შემოქმედებისა და ღვაწლისა, საზოგადოებამ მაინც ვერ აღიქვა და გააცნობიერა ამ მოღვაწეთა მიერ განსაზღვრული ეროვნული გზა, იმდროინდელი ქართველობა არ აღმოჩნდა მზად იმისთვის, რომ ერთბაშად მიეღო ამხელა ძალა, ილიას, იაკობის, ვაჟას, აკაკის... მათ თანამებრძოლთა სახით რომ მოევიდნათ.

— მცდელობა იმისა, რომ სრულყოფილად იყოს გახსნილი აკაკის დამოკიდებულება ეროვნულ საკითხთან, კარგად ჩანს არჩევნებთან დაკავშირებულ ნოველაში, სადაც იკვეთება საზოგადოების მთავარი პრობლემა — აკეთოს ყველაფერი, გარდა მთავარისა, და ამ ყოველდღიურობაში ნელ-ნელა იხარჯება აკაკი, ვინც უწინარესად თავისი საოცარი ენერგიით გვაკვირვებს — იგი უჩვეულოდ მოძრავია ამ რომანში, თითქმის არ დარჩენილა ოჯახი ქუთაისში, რომელსაც არ სტუმრობოდა და რომელთანაც არ ესაუბროს იმ ჭირ-ვარამზე, მაშინდელ ქართველობას რომ სჭირდა.

ეს არის საოცრად თანამედროვე რომანი თანამედროვე პრობლემებით. რაღაც ახალი კი არ არის ნათქვამი, ქართველობის ყველა დროის სატკივარზეა მორგებული. აკაკის ლანდი კი XIX საუკუნეში მოღვაწე პიროვნების ბიოგრაფიიდან, იმ დროიდან და სივრციდან გამოდის და თანამედროვეობამდე განზოგადდება.

ამ რომანმა თავისი მისია შეასრულა.

მთავარი საქმე გაკეთებულია.

— ეს წიგნი, გარდა იმისა, რომ თავისთავადი მნიშვნელობა აქვს, პოლიტიკური პამფლეტიც არის და ამ თვალსაზრისითაც შესასწავლია, — ამას **როსტომ ჩხეიძე** დასძენს.

**გიორგი გოგოლაშვილი** კი:

— ილია დავით აღმაშენებელზე რომ საუბრობდა, სენეკას სიტყვები გაიხსენა: არა მარტო თავისი საქმით, სახელის ხსენებითაც კი გვზრდის და გვწრთისო.

აი, ეს არის აკაკიც.

ამითაცაა მნიშვნელოვანი ელგუჯა თავბერიძის „აკაკის ლანდი“.

\*\*\*

**და ებილოგიც:**

— რა უნდა ვთქვა, უპირველესად მადლობა, მადლობა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას, ბატონ როსტომს, თითოეულ გამომხველს, მომხსენებელს, რომელზეც ბოლოს მოგახსენებთ, ოღონდ იმ პირობით, არ ინერვიულოს (ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით), — ასე დაიწყო თავის სეფე-სიტყვას **ელგუჯა თავბერიძე**, — მინდა გითხრათ, ძალიან მიყვარს აკაკი, მისი თითოეული სტრიქონი, ყოველი ნაბიჯი მაინტერესებს. აკაკის ცხოვრება, ილიასა და იაკობთან ერთად, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს მამულიშვილი, ქვეყნის ჭირით გულგასერილი ქართველი. აკაკი წერდა ყველაფერზე, წერდა წვრილმანზე, ერთი შეხედვით, ძალიან უმნიშვნელო რამეზეც კი, ისეთზე, მისი ჭკუისა და გონების კაცი რომ არ უნდა მომცდარიყო, მაგრამ ამას აკეთებდა იმის გამო, რომ სწამდა: მცირედან იწყება დიდი, და წვრილმანის აღმოკვეთით ნაწილობრივ მაინც მოისპობოდა ის სენი თუ დამოკიდებულება, რომელიც არასწორად მიაჩნდა.

ბევრს წერდა და იმ ბევრიდან კიდეც ბევრი რამაა გასარკვევი და დასაზუსტებელი.

ქალბატონი ჯული ვაბოძე ბრძანებდა, აკაკის ოცტომეულის გამოცემა დიდი ეროვნული საქმეაო.

მართლაც... ალბათ, აკაკის თხზულებათა სრული ტექსტი ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. თუმცა დღემდე ვარკვევთ და ვერ დაგვიდგენია, თუნდაც „გამოცანების“ ორ სტროფში ვის გულისხმობდა სულკურთხეული მგოსანი:

**ყველა ჭურში ასხამს ღვინოს  
და ის ასხამს ჭურის ქვეშა,  
საქმეს შვება სასაციოს  
ტურებზე აქვს აზარფმა.**

ან კიდეც:

**კანდიდატმა ფუტურომა, სთქვა, რომ, ეჰა, პოლიტიკა,  
ჩემს ლექსებს ხელი მოჰკიდა და ჩემთან უყო კრიტიკა.  
ჩემი გალახვა უნდოდა და თავის ყბაში იტიკა,  
სადაც ის ახალ აზრებს კრებს,  
ჩვენ მონელებულს ვყრიო იქა.**

ბევრი მიფიქრია, ვინ უნდა იყოს აკაკის გამკრიტიკებელი ფუტურო კანდიდატი. იმ დროში მარშლობის, ბანკის დირექტორობის, ხმოსნობის კანდიდატები ბლომად იყვნენ, მაგრამ უშუალოდ ვის გულისხმობდა, ძნელია თუნდაც იგუშინო. ამით იმის თქმა მინდა, აკაკის პოეზიასა, პროზასა თუ პუბლიცისტიკაში (სტატიას, ჩემი ფიქრით, პუბლიცისტიკური წერილი სჯობს, ორივეს კიდეც ესეი, რამეთუ აკაკის წერილები ალბათ ყველაზე მეტად ამ უანრს მიესადაგება) კიდეც ბევრია გასარკვევი. მინდოდა, გენიალური აკაკის სახე ქუთაისთან დაკავშირებული

ამბეზით გამეცოცხლებინა, ილიასთან, იაკობთან და სხვებთან დამოკიდებულების ანალიზი სამომავლო საქმეა. ახლა ვნერ აკაკისა და ჭიათურის მარგანეცის, სვანეთის ოქროს ამბებზე, რომელსაც აკაკისავე ფრაზა დავარქვი: „ან სიკვდილი ან მილიონი.“

ისიც მინდა ვითხრა, რომ მუდამ უფულო მგოსანს აღმოჩენის საოცარი ალღო ჰქონდა, აღმოჩენით აღმოაჩენდა, მაგრამ საქმის გაძლოლაში მოიკოჭლებდა. მოკლედ, ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური განჭვრეტა რომ დაეხედებინა მისთვის ღმერთს, მართლაც იმოვიდა მილიონს.

რაც შეეხება „აკაკის ლანდის“ უანრს:

მე იგი უფრო ესეების ციკლად მქონდა ჩაფიქრებული, რედაქტორმა, ბატონმა როსტომმა მონათლა ნოველებად აკინძულ ბიოგრაფიულ რომანად.

დაბოლოს, საზანოელ გლეხებზე:

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, დოკუმენტურადაც დავამტკიცო, რომ ამ სოფელში მცხოვრები ჭუმბურიძეები არ იყვნენ აზნაურები. და მთავარი, ნოველაში მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამ, ჩამოვთვლი იმ გვარის გლეხებს, რომელნიც აბაშიძეთა ყმები იყვნენ და შესაძლოა ამ გვარის რომელიმე წინაპარი შეხვედროდა აკაკის-მეთქი, — ვამბობ.

გამიგონია, ლევან სანიკიძემ „უქარქაშო ხმლებში“ დანერა: სოლომონ პირველს რაჭაში ყოფნისას აზნაური ლევან სანიკიძე ახლდაო. ასეთი პიროვნება კი არ არსებობდა. ბუნებრივია, ასე ვერ მოვიქცეოდი. ისე კი ძალიან მინდოდა, ჩემი გვარის ხალხიც რომ ყოფილიყო იმათში გარეული, მაგრამ დოკუმენტებში მსგავსი არაფერი აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს ვიამაყებდი, შესაძლოა თავბერიძეთა გვარის კაცებიც შეხვედროდნენ აკაკის-მეთქი. მოკლედ, რაც სოსოს წყინს, მე გამახარებდა. ასეა, რას იზამ, კაცია და გუნება. ისე აზნაურთა დოკუმენტების ჩხრეკისას ბევრი გვარის თანამედროვე წარმომადგენლისათვის გამიცრუებია იმედი. ხანდახან ზუსტად მომიძიებია მეშვიდე თუ მეცხრე წინაპარი და შეპარვით მითქვამს, ვინც იყო და რაც იყო. საზანოელ გლეხებში, ვიმეორებ, მხოლოდ ვარაუდია გამოთქმული, შესაძლოა ამ გვარის კაცები შეხვედროდნენ აკაკის, რამეთუ ზუსტად უფრო საბუთებით მტკიცდება, აბაშიძეებს საზანოში ისინი ეკუთვნოდნენ-მეთქი.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას (იმედია, თანასოფლელი სოსო არ ვანერვიულე, ესეც, რა თქმა უნდა, ხუმრობით)...

\*\*\*

...გულდამძიმებული მიუყვებოდა თავისი ქვეყნის გზას აკაკი...

ქვეყნის სატკივარს — გულთან ერთად — მისი ნაბიჯებიც დაემძიმებინა...

წლების შემდეგ კი გალაკტიონი ასეთ პოეტურ სტრიქონებშიც ამოახვევს მისადმი თავყანებას:

**მძიმე და დაღლილ ფეხის ხმას გრძნობდა  
ნელი-ნელ მსვლელი ღრუბელი ჩუმი  
და მოძრაობდა ღამის მნათობთა  
აღლევებული ელიზიუმი.**

შეხვედრაზე ამ ლექსსაც დარინა ყურუა შეახსენებს შეკრებილებს.

გიორგი ყაჯრიშვილი

# თაგა ექსპერიმენტთა სეზონი

უკანასკნელ წლებში არცერთ თეატრალურ სეზონში არ ყოფილა დებიუტანტ რეჟისორთა ამდენი წარმოდგენა, რამდენიც ბოლო დროს ვნახეთ. პროფესიონალებთან და დიპლომანტებთან ერთად სპექტაკლებს „ქმნიდნენ“ მსახიობებიც: გ. გორგოძის ე. სმიტის „სტუმარი“ და პ. ფონ კლაისტის „პრინცი ჰომბურგი“, ი. ბაკურაძის ჟ. დელის და ჟ. სიბლეირასის „გაუმარჯოს ბუშონს“, ნ. ლიპარტიანის ი. მისიმას და პ. ვაისის „შეშლილი სამყარო“ — რუსთაველის თეატრში, დ. თავაძის ა. სტრინდბერგის „ფრეკენ ჟული“ — „სამეფო უზნის თეატრში“, ნ. ლუარსაბიშვილის ს. ბუკეტის „კრეპის უკანასკნელი ფირი“, ს. ელოშვილის რ. ბაიერის „შერტლის ემოცია“, დ. ჩხარტიშვილის თ. ჯუჯენოლლუს „ზვავი“, ჯ. პაპუაშვილის ალ. ვამპილოვის „უფროსი ძმა“, თ. კუპრავას უ. შექსპირის „ჰამლეტი“ — მარჯანიშვილის თეატრში, ნ. ჩაკვეტაძის ს. რულის „სუფთა ოთახი“, რ. ბოლქვაძის თ. ჯუჯენოლლუს „ზვავი“ — თუმანიშვილის სახ. კინოსახიობთა თეატრში, ვ. ხუციშვილის პ. იბსენის „თოჯინების სახლი“ და პ. ნილსონის „საძაღლე“ — თავისუფალ თეატრში, ლ. ნოზაძის საკუთარი პიესა „კრიტი“ — რუსთავის თეატრში.

ჩემი აზრით, რამაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო ახალგაზრდა რეჟისორთა „დაოსტატების“ პროცესს, იყო რეჟისორ დავით დოიაშვილის მიერ ჩაფიქრებული და განხორციელებული პროექტი, რომელიც ვ. აბაშიძის სახ. მუსიკისა და დრამის თეატრში მიმდინარეობდა და რომელსაც, ასე ვთქვათ, ყურადღებით ადევნებდა თვალს თეატრალური კრიტიკა და ჟურნალისტთა ის ნაწილი, რომელიც კულტურაზე წერს პრესაში. მე არ მივეკუთვნები იმ ჯგუფს, რომელიც კრიტიკულად, „ჩასაფრებული“ ადამიანის თვალთ უყურებს დამწყებ რეჟისორთა სადებიუტო ნამუშევრებს. პირიქით, როგორც საკმაოდ დიდი გამოცდილების პედაგოგი, ვცდილობ მათ მიმართ ყოველთვის ვიყო ობიექტური, კეთილისმოსურნე და ნაკლებ დიდაქტიკოსი. ყველა ნამუშევარი გამოირჩეოდა არჩევანისა და გადაწყვეტის ორიგინალობით, ზოგი შემორჩა თეატრის რეპერტუარს, ზოგმა პრემიაც კი დაიმსახურა, ზოგიც გაქრა სცენიდან. ერთი, რაც გამოიკვეთა და რასაც თვით დებიუტანტებიც აღიარებენ, ისაა, რომ ისინი განიცდიან ინტელექტუალურ და „ხელობის“ დეფიციტს. მათი განათლება დღესდღეობით არ შეესაბამება იმ ევროპულ სტანდარტებს, რაც ამ დარგის ახალგაზრდა პროფესიონალებს მოეთხოვებათ. შესაძლებელია ეს ერთი მხრივ სახელოვნებო განათლების იმ სისტემის ბრალია, რაც ბოლო დროს დაამკვიდრეს და ახლაც სუფევს უმაღლეს სასწავლებლებში, მეორე მხრივ კი — თვით მომავალი რეჟისორის, მაგრამ ფაქტი ფაქტია. ასეთი განათლების შესახებ ერთმა ახალგაზრდა თეატრმცოდნემ უკვე დანერა კიდევ და დიდი საყვედურებიც დაიმსახურა „მასწავლებლებისაგან“, მაგრამ რა ვუყოთ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც თვითონაც განიცდიან ამ ნაკლოვანებებს და, რაც ყველაზე სავალალოა, მალე ისინი გახდებიან ქართული თეატრის ბატონ-პატრონი. ერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა რეჟისორებს დიპლომებიც კი დაურიგა სპექტაკლის დაუდგმელად. თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ ჩემ მიერ გამოთქმული შენიშვნა, რასაკვირველია, ერთნაირად არ ეხება ყველა შემთხვევითი დიპლომის მფლობელს. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში გადამეტებული „თეატრალურობა“, ხშირად გაუმართლებელი და არამოტივირებული „რეჟისორული სვლები“, როცა სრულიად გაუგებარი ხდება, რაში სჭირდება სპექტაკლის ავტორს ეს თუ ის მიზანსაცენა, ამოუცნობი რეჟისორები ამკარად ახასიათებს ახალგაზრდა რეჟისორებს. ამის გამო სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მათვე უნევთ ახსნა, თუ რისი თქმა უნდოდათ. ეს მეტი თუ არა სწორედ ისაა, რომ მათ სწავლისას ვერ აითვისეს პიესის ტექსტის ადეკვატურად სცენაზე გადატანის ოსტატობა და

შემდგომ დამოუკიდებლად მუშაობისას ვერ მოუნახეს ავტორის სათქმელს გასაღები, სწორად ვერ განსაზღვრეს პიესის ჟანრი, სტილი და მიმართულება, ვერ აღმოაჩინეს ფაბულა და ის მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც ტექსტსა და ქვეტექსტშია მოცემული. სხვა რა არის სპექტაკლი, თუ არა რეჟისორის მიერ დრამატული ნაწარმოების სცენაზე სწორად გადატანა?

მუსიკისა და დრამის თეატრის პროექტში ხუთი რეჟისორი მონაწილეობდა, მათგან მხოლოდ ორს — მ. ნაცვლიშვილს და პ. ციკოლიას — თუ დაარქმევ დამწყებ რეჟისორს, თუმცა მათთვისაც ეს დებიუტი პირობითი ცნებაა. ორივე სხვადასხვა დროს „არდიფესტის“ გამარჯვებულთა (მ. ნაცვლიშვილის ნამუშევარმა პირველი ადგილი დაიკავა, პ. ციკოლიას რეჟისურა კი სპეციალური პრიზით აღინიშნა, ასევე ორივემ მოსინჯეს თავისი ძალები რუსთაველის თეატრის მცირე და ექსპერიმენტულ სცენაზე). დანარჩენ სამს — მ. ტყემალაძეს (გორის თეატრი), დ. მღებრიშვილს (თელავის თეატრი), გ. იაშვილს (მუსიკისა და დრამის თეატრი) სარეჟისორო მოღვაწეობის საკმაოდ გამოცდილება გააჩნიათ. პროექტი დამთავრდა პაატა ციკოლიას მიერ განხორციელებული სოფოკლეს „ანტიგონით“, რამაც პირველი სპექტაკლის — მ. ნაცვლიშვილის ს. კეინის „4.48 ფსიქოზი“ — მსგავსად კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კრიტიკოსთა შორის. ამ ფაბულაზე და სიუჟეტით დაინტერესებული რეჟისორები უფრო ხშირად უ. ანუის მიმართავენ ხოლმე (მ. თუმანიშვილი, თ. ჩხეიძე).

ახალგაზრდა რეჟისორის მიერ სოფოკლეს ამ ტრაგედიის არჩევა საინტერესო უნდა ყოფილიყო იმ გაგებით, რომ ანტიკური დრამა თავისი კანონებით, კლასიკურ, არისტოტელესეულ თეატრთან გვაბრუნებს, რაც ასე იშვიათია თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებაში.

თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ რეჟისორმა ზუსტად, ავტორისეული გაგებით წინა პლანზე წამოსწია დიქტატურისა და მისი დამყარების თემა (ან სხვა რა უნდა ყოფილიყო?) და მას დაუპირისპირა ანტიგონეს ბუნტი სახელმწიფოში გამეფებული ტირანიის წინააღმდეგ. მ. თუმანიშვილის სპექტაკლში ამ ორთაბრძოლის მთავარი და დომინანტი ანტიგონე — ზინა კვერენჩილაძე იყო (თუმცა არანაირად არ მინდა დავაკნინო კრეონი — ს. ზაქარაიძის და ე. მაღალაშვილის მიერ შესრულება), თ. ჩხეიძესთან ორივე — კრეონი (ო. მეღვინეთუხუცესი) და ანტიგონე (ნ. მურვანიძე) — თანაბარია, პ. ციკოლია უფრო კრეონის (ა. ბეგალიშვილი) ტრაგედიას გვიჩვენებს (და არ თანაუგრძობს), ვიდრე ანტიგონეს (ა. წერეთელი) ბრძოლას მის წინააღმდეგ. მართლაც, კრეონი უფრო ხშირადაა მაყურებლის წინაშე და მისი ტრანსფორმაცია აშკარაა — როგორ გადაიქცევა იგი ჩვენს წინაშე სასტიკ და მტარვალ დიქტატორად, ვიდრე ტერესი (ა. ბარათაშვილი) აიძულებდეს, შეცვალოს გადაწყვეტილება.

წარმოდგენა ქოროს გამოსვლით იწყება (პ. ციკოლიასა და დ. გაბუნიას მიერ პიესის ტექსტში სტილიზებული ჩამატება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ავტორისეულ ტექსტს და არც აზრობრივ გადახვევას წარმოადგენს). თებეს შვიდ კარიბჭესთან მიმდინარე მოვლენების სცენობრივი ასახვა დასაწყისშივე ძაბავს ტრაგედიის სიუჟეტს და უფრო გასაგებს ხდის შემდგომ ქმედებას მაყურებლისთვის.

ქოროს სამი (სტროფი, ანტისტროფი...) ნევრი, რომელთა ჩაცმულობაც გესტაპოს ჯარიკაცისას უფრო ჩამოჰგავს, ვიდრე თებეს მოქალაქეებისა, ერთმანეთის მიყოლებით ნიღ-

ბებს ირგებენ და აქამდე პერსონიცირებული თვითეული მათგანი ამ გზით „საზოგადოებად“ — ზოგადად ხალხად გადაიქცევა და იმ დამსჯელ ძალად მოგვევლინება, რომელიც მართავს სახელმწიფოს. ისინი სულ სცენაზე არიან, მონაწილეობენ ყველა ქმედებაში და მეტიც, ქორო ამ სპექტაკლში მთავარი მოქმედი გმირია, ყველაზე აქტიური და მსახიობური (გ. ვარდოსანიძე, დ. ბიბილეიშვილი, გ. ბახუტაშვილი) თვალსაზრისითაც საუკეთესოდ შესრულებული.

სცენაზე კი გამუდმებული ფუსფუსია, ჯერ იყო და ეთოკელეს (თუ პოლენიკეს?) გვამს „გააპატიოსნებენ“ (უნდა ითქვას, რომ საკმაოდ უცნაური რიტუალით) და ზეცას გაუყენებენ, შემდგომ კი სასახლეს მიხედავენ, ასუფთავებენ, რეცხავენ (სისხლისგან?), ამზადებენ მეფის კურთხევისა და იმ მოვლენებისათვის, რომელიც აქ უნდა გათამაშდეს. კორიფე (ა. ნიკოლაშვილი) ხელმძღვანელობს ამ პროცესს — ასევე ქოროს მსგავს ჩაცმულობით, მხოლოდ წითელ პიჯაკით შემკული. იგი საერთო ყურადღების ცენტრშია და მოგვიანებით მისი მეშვეობით და უშუალო კარნახით ხდება კრეონის მეფედ კურთხევა.

ქოროს — დამსჯელი რაზმის მიერ სცენაზე ძალით შემოყვანილი ისმენე (ა. ზამბახიძე) შავ სამგლოვიარო ტანსაცმელში მორჩილად ელის ანტიგონეს გამოჩენას, რომელიც სულ მალე შევნიღბიან უცნობზე პირუკულმა ამხედრებული მოველინება სასახლეს. ეს სახედამღული არსება ანტიგონეს საკუთარი ანგელოზით ან ორუღივით რომ დაჰყვება სპექტაკლის ბოლომდე, სცენაზე ყოველთვის მასთანაა, თითქოს ცდილობს იხსნას იგი იმ აღსასრულისგან, რომელიც მას ელოდება, და მართლაც ეს აჩრდილი საბედისწერო მონეტში ტირესად მოგვევლინება, ერთადერთი რომელიც შეძლებს კრეონის დაყოლიებას — შეცვალოს გადაწყვეტილება.

ანტიგონე საგაზაფხულო, მოსალათისფერო, ყაყაჩოებით მოხატულ კაბაშია გამოწყობილი (მხატვარი ქ. ნადიბაძე), თუმცა ისმენესავით უნდა გლოვობდეს მიცვალებულ ძმებს და იმას, რომ ოიდიპოსის ცოდვებმა უწიათ. უშედეგოა ისმენეს მოწოდება, დაემორჩილოს კრეონის გადაწყვეტილებას, — ანტიგონე შეუდრეკელია. ნარკოტიკებით გაბრუნებული, ჭკუანარეული ქოროს ნევრები დროდამდრო „ძალადობენ“ ისმენეზეც და ანტიგონეზეც, მაგრამ მათ ვატყვას ვერ აღწევენ. ოიდიპოსის ობლად დარჩენილი შვილები მედგრად უწევენ მოძალადეებს წინააღმდეგობას. „ძალადობა“ გამუდმებით სუფევს ამ სახელმწიფოსა და სპექტაკლშიც, მისი აღმსრულებლები ქორო, კორიფე თუ ჯალათი მთელი წარმოდგენის განმავლობაში ამის დემონსტრირებას ახდენენ, თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რატომაა მათი ძირითადი მსხვერპლი — ევრიდიკე (ე. დემეტრაძე) — კრეონის უდრტივიველი მეუღლე და ჰემონის დედა. მეჩვენება, რომ აქ რაღაც ლოკაცა დარღვეულია ან საქმე გვაქვს იმ რეჟისორულ „რებუსებთან“, რაზეც ზემოთ მივანიშნე და რასაც ალბათ მე ვერ ვხვდები.

თუმცა შემდეგი სცენა ნათელზე ნათელია და უახლოეს წარსულს გვახსენებს, როგორ ქმნიან ერთი პატარა „რეველიუციონერიდან“ დიქტატორს.

კრეონს ხელშეკრულსა და თვალახვეულს გამოიყვანენ და დიდხანს მიდის მისი „ზომბირება“ — „ჩემად დავიპყარ თებეს ტახტი და ხელმწიფება“ (ხომ არ გეცნობათ რაღაც?! ) და იმის ჩანერგვა, რომ მოლაღატე არ უნდა დასაფლავდეს. მის ყოველ ქმედებას მხარზე ხელის დარტყმით და შექებთ „აჯილ-



დოებენ“, მაგრამ მაინც ჭუჭყიანი სააბაზანოს გვერდზე მიუჩინენ ადგილს, რათა ზედმეტი რამ არ ჩაიდინოს და მკაცრ კონტროლს დაექვემდებაროს. კრეონი ხელფეხმეკრულია, თვითონ ხდება თავის ძალაუფლების მონა, მარტოდმარტო და უძლურია მაშინ, როცა ევრიდიკეს საყოველთაოდ „განბანენ“ და სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ — „ჩამოკიდებენ“! ქორო — „საზოგადოება“, სახელმწიფოს ეს სამარცხვინო მანქანა, არც ჰემონს (ლ. კახელი) ინდობს, მიუხედავად მისი მაღალი წოდებისა და ხელმწიფური ჩამომავლობისა — რასაც მისი ძვირფასი, მაგრამ მათნაირი ჩაცმულობა ადასტურებს. იგი უსუსურია, საკუთარ შეყვარებულსაც კი ვერ იცავს ტირანი მამის წინაშე — „ნუთუ თქვენც ფიქრობთ, რომ ხელმწიფეს ესოდენ უმნიშვარ ყმანვილისაგან ეკადრება ჭკუის სწავლება?“ მიმართავს კრეონი იმათ, ვინც მისგან დესპოტი შექმნა. ეს შეძახილი კი მათ ხელებს უხსნის, რათა ახლა ჰემონი გახდეს მათი შეურაცხყოფის საგანი.

ანტიკონე (ა. წერეთელი), ემოციური მებრძოლი, ამ ომში მარტოდმარტოა, მასზე გამუდმებით ძალადობამ, დევნამ, დაჭრამ, საკანში გამოკეტვამ ვერანაირ შედეგი ვერ გამოიღო და ისევ თვითონვე ლეზულობს საბედისწერო გადაწყვეტილებას — გადავიდეს ჰადესის სამყაროში უბინო, გაუტყეხელი, თავის სიმართლეში დარწმუნებული.

**ოიდიპოსის მოდგმა ნადგურდება — ცოდვამ ყველას უნია, ყველას, ვისაც კი ამ ისტორიასთან რაიმე კავშირი ჰქონდა, და თავზე გვემხოვა ეთიოკლეს (თუ პოლენიკეს) გვამი — ცოდვათა ცოდვა ჩვენი უფუნურებისა.**

მარჯანიშვილის თეატრიც ბევრ ახალგაზრდა რეჟისორს უთმობს თავის სცენებს. თემო კუპრავას მიერ განხორციელებული სპექტაკლი არ ჩამორჩება ექსპერიმენტულ ძიებათა რიგს. რეჟისორი მრავალ მიგნებასა და ახლებურ ხედვას გთავაზობს, ზოგჯერ საკამათოს, ზოგჯერ სასიამოვნოს, ზოგჯერ მიუღებელს და ზოგჯერ გასახარსაც. არ არსებობს პროფესიონალი რეჟისორი, რომელსაც არ ეოცნებოს შექპირის „ჰამლეტის“ დადგმაზე ან არ ეცადოს მისი განხორციელება. თეატრის გრძელმა და ხანგრძლივმა ისტორიამ შემოინახა ამ ტრაგედიის დადგმის უამრავი მაგალითი — სხვადასხვა რეჟისორული გადაწყვეტითა და, რაც მთავარია, ჰამლეტის როლის განსხვავებული ინტერპრეტაციებით და გენიალური განსახიერებით. ჰამლეტი-გიტარით (ვ. ვისოცკი), ჰამლეტი-ქალი (ასტა ნილსონი, სარა ბერნარი, ფატმა გირიკი, ალა დემიდოვა), ჰამლეტი — ბე-ბერი, ჟღალი წვერით... თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ მომენონა ახალგაზრდა დებიუტანტი რეჟისორის სიმამაცე, გაერკვეს და მაყურებელს წარუდგინოს თავისი ხედვა იმ კატაკლიზმებისა და უბედურების შესახებ, რომელიც დანიის სახელმწიფოში სუფევს და, კერძოდ კი, რაც ჰამლეტის თავზე დატრიალდა. ამ ურთულეს და ყველაზე „დახლართულ“ პიესაში ცოტა ვინმემ თუ შეძლო გადაეწყვიტა „ყოფნა-არყოფნის“ დილემა. ასე მაგალითად, რუსთაველის თეატრის რ. სტურუასეულ დადგმაში ჰამლეტი ცოცხალი რჩებოდა და არც „ყოფნა-არყოფნის?“ მონოლოგს კითხულობდა... ამდენად, თემო კუპრავას მიერ დადგმული სპექტაკლი ორმაგ ინტერესს იწვევდა — რატომ აქ და რატომ ახლა? ნუთუ „ყოფნა-არყოფნა“ ისევ აქტუალურია დღეს ამ, ასე პოლიტიზებულ სამყაროში — რა დგას ამ კითხვის უკან — მხოლოდ ჩვენი თანამედროვის გადარჩენისთვის სწრაფვა თუ თავისუფლებისკენ ჰამლეტისთვის ლტოლვა?

დამწყები რეჟისორის ერთგვარი სითამამე — სადებიუტოდ შექსპირის ამ ტრაგედიის არჩევა — მისასალმებელია, თუმცა ავტორისთვის ძალიან სახიფათო. ამ პიესაში ნებით თუ უნებლიეთ დრამატურგის მიერ იმდენი „ნაღმია“ ჩადებულა, რაზეც ბევრმა რეჟისორმა იწვინა „ცხვირის მომტყვევა“.

თემო კუპრავას მთლად დამწყებ რეჟისორს ვერ უწოდებ. ლევან წულაძის ასისტენტი ამ რეჟისორის ბოლოდროინდელ წარმატებულ სპექტაკლებში: ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“ და კოკი მიტანის „ჟოლოს“ დადგმების განხორციელებაში მონაწილეობდა.

ეს ტრაგედია შექსპირის მიერ ისეა დაწერილი, რომ ყველა პერსონაჟი იმგვარია, როგორსაც ჰამლეტი ხედავს: ამდენად, ავტორი ერთი მხრივ ყველაფერს ჰამლეტის თვალთ უყურებს, მეორე მხრივ კი — საკუთართიაც. ასე რომ, ყველა მაყურებელი ერთდროულად ჰამლეტიცაა და ისიც, ვინც მის საქციელს აკვირდება.

გვონებ, თემო კუპრავამ მაყურებელიც ამიტომ აიყვანა სცენაზე და მსახიობებთან სულ ახლოს განალაგა. ჩვენ დასანოსიდანვე მთელ ქმედებაში სრულად ვართ ჩართული და ჰამლეტისა და ოფელიას სუნთქვაც კი გვესმის, არაფერი რომ არ ვთქვათ მათი სულის მოძრაობაზე (ეს ხერხი არახალია — გვახსოვს რ. სტურუასა და ა. ენუქიძის დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ა. ენუქიძის ფ. დიორენმატის „ვთამაშობთ სტრინდბერგს“ რუსთაველის თეატრში, იგივე „ჟოლო“ მარჯანიშვილის თეატრში — „გრატოვსკისეული თეატრალური ფორმა“). ეს სიახლოვე თანამონაწილეობას, თანამეგრძნებასაც გულისხმობს. არჩევანი ჩვენზე, ვის მხარეს აღმოვჩნდებით.

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი ელსინორის კრონბერგის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის სანაპიროზე იწყება, ნატურალური წყლითა და მეთევზეებით — *de mortuis aut bene aut nihil* — სიტყვები... სიტყვები..., რომელიც სავარაუდოდ გარდაცვლილ მეფეს უნდა ეხებოდეს (ეს ლათინური გამოთქმა შექსპირთან არაა!).

სცენის იმ დარჩენილ ნაწილზე, რაც წყალს — ზღვას არ უკავია (რამდენადაც მახსოვს, 1926 წ. მეიერხოლდმა შემოიტანა სცენაზე ნამდვილი წყალი ნავეებით) — პირსია, რომელიც მალე მოქმედების მთავარი ადგილი გახდება — სამიოდე ამავალი საფეხურით. მასზე ერთადერთი სავარძელი — სამეფო ტახტის სიმბოლოა მოთავსებული. ესაა გზა არსაით — გზა, რომელზედაც მიემართებიან ტრაგედიის პერსონაჟები და რომლის ბოლოშიც თანამიმდევრულად ჰპოვებენ საკუთარ აღსასრულს — თავიდან ოფელია, ბოლოს კლაუდიუსი და თვით ჰამლეტიც — ორივე! დიახ, ორი ჰამლეტი — სპექტაკლის ავტორის ერთ-ერთი ახალი ხერხი, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით. ჰამლეტის (კ. როინიშვილი) პირველსავე გამოსვლას თან ახლავს პირის კიდვე უფროსი ჰამლეტის გამოჩენაც, რომელიც მეთევზებს (ჯ. კილაძე, ნ. დოლონაძე) ისე დააფრთხობს, რომ მის მოკვლასაც კი განიზრახავენ. მხოლოდ თვით ჰამლეტისთვის არაა ეს მოულოდნელი. იგი თითქმის ელოდა კიდევაც მას. სპექტაკლის ტექსტური ქსოვილიდან ჰორაციოს, გილდენსტერნის, როზენკრაცისა და სხვათა გაქრობამ განაპირობა ის, რომ რეჟისორი სპექტაკლის სხვა მონაწილეთ აკისრებს მათ მოვალეობას — მეთევზეები სასახლის კარისკაცებიც არიან, მესაფლავენიც და ჰამლეტის ნამდვილი და ყოფილი მეგობრებიც. მამა ჰამლეტის (პ. პაპუაშვილი) აჩრდილი თვით ჰამლეტის ორეულიცაა, რომელიც კრიტიკულ მომენტში ხან ეთანხმება დანიის ახალგაზრდა პრინცს, ხანაც ეწინააღმდეგება. ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირის გაორება თვით შექსპირის ტექსტშია. „ყოფნა-არყოფნაც“ ხომ გაორების ნიშანია, ისევე როგორც მოგონილი სიგიჟე ან ფილოსოფოსობა, ოფელიას სიყვარული და ქალთა მოდგმისადმი სიძულვილი — არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ, დედის დანაშაულში მხილება და ფარული ლტოლვა მის მიმართ.

სასახლის კარზე კი, გლოვის ერთი თვის თავზე გერტრუდა (ე. ჩხეიძე) და კლაუდიუსი (მ. აბულაძე) ქორწინდებიან, აქვეა პოლონიუსიც (ა. მახარობლიშვილი) მთელი თავისი ოჯახით. გერტრუდა დაბნეული ჩანს, თითქოს ის, რაც ხდება ნაკლებად ახარებს და უფრო ის აწუხებს, რატომაა ჰამლეტი ასეთი უცნაური და საიდუმლოებით მოცული: ?ულში მაქვს რალაცა; გარწმუნებ, იგი არ საჭიროებს მწუხარების მოკაზმულობას — ამბობს ჰამლეტი, დედას გაურკვევლობაში ტოვებს და დედოფალს ისლა დარჩენია, რომ მზრუნველობის ნიშნად, სთხოვოს მას, ვიტენბერგში არ გაემგზავრო. კლაუდიუსიც კვერს უკრავს.

პირსზე, მეორე სცენაზე, რომელიც რეჟისორმა და სცენოგრაფმა (კიდევ ერთი მოულოდნელობა — ლ. წულაძე, თუ

არ ვცდები, მეორედ გვევლინება ამ ამბულაში) ძირითად სცენაზე ააგეს, მიმდინარეობს ორი ჰამლეტის შეხვედრა. ამ შეხვედრის შემდეგ ახალგაზრდა ჰამლეტისთვის უკვე ყველაფერი ნათელია და მასში თანდათანობით ღვივდება შურისძიების ალი — დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა.

მსახიობის მიერ ლექსად ნაკითხული „ყოფნა-არყოფნა“, ოფელიასთან სცენა და შემდგომ მოხეტიალე მსახიობის მიერ მოთხრობილი ჰეკუბას ამბავი ჰამლეტს არწმუნებს, რომ დადგა დრო შურისძიებისათვის. იგი სრულად აღიქვამს საკუთარ მართობას, უსმენს ამ მსახიობის (ბ. გოდერძიშვილი) დეკლამაციას, მაგრამ ეს სიტყვები ცოტა რამეს თუ ეუბნება. გადანყვეტილება მიღებულია. განვლილი მოვლენები თითქოს მიგვანიშნებს, რომ ჰამლეტი მზადაა კლაუდიუსის მოსაკლავად, მომენტით უსაბამისია, მეფე მარტოა — ლოცულობს, ჰამლეტს დანაც მოუღერებია, მაგრამ აქ ერთვება მისი მეორე მე — აჩრდილი, რომელიც იარაღს ხელიდან ართმევს, ჯერ შესაბამისი დრო არ დამდგარა. ვინ არ არის მზად? ჰამლეტი, გარემო და სახელმწიფო თუ მაყურებელი? ორივე ჰამლეტი ქვესკენლში უჩინარდება, რათა ახალი ძალით შეეებრძოლონ უსამართლობას.

აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ დავუბრუნდეთ იმ მთავარ კითხვას, რომელიც ყოველთვის და ყველას აღელვებდა. რატომ არ კლავს ჰამლეტი კლაუდიუსს მაშინვე, როცა კი გაიგებს მის მიერ უფროსი ჰამლეტის მოკვლის ამბავს... ისევე გაორება და ირაციონალობა? ეს შექსპირის მეთოდია. სავარაუდოა, რომ ჰამლეტი ჯერ მზად არაა ასეთი საბედისწერო ნაბიჯისათვის. მისი მერყეობა ხასიათის თვისება კი არაა, შექსპირისეული ამოცანაა, დააბნოს მაყურებელი. ავტორმა „შემოვლითი“ გზით მიადგინა, რომ დამსწრე საზოგადოება ხუთი მოქმედება გარშემო ტრიალის შედეგად მიიყვანა ისეთ ფინალამდე, რომელიც შესაძლებელია პირველი აქტის ბოლოსაც კი ყოფილიყო, თანაც ფინალი იმდენად თავზარდამცემია, რომ მაყურებელი ვერ ასწრებს თვითდაკმაყოფილებას კლაუდიუსის სიკვდილით, ვინაიდან მას მაშინვე ჰამლეტის სიკვდილი მოსდევს.

მაგრამ მივყვით მოქმედების მსვლელობას. ჰამლეტის პირველი მსხვერპლი ყველაზე ახლობელი ადამიანი ოფელია (მ. ნადირაძე) ხდება. მას ვერ შევლის ვერც ლაერტის (რ. ოქროპირიძე) გაფრთხილება და ვერც პოლონიუსის მზრუნველობა. ჰამლეტისგან უარყოფილი, დამცირებული, შეურაცხყოფილი და მონასტერში გადახვეწილი, ბოლოს ზღვის ტალღებში ჰპოვებს შვებას. რეჟისორმა ოსტატურად, თანამედროვედ ააგო ოფელიას სიგიჟის სცენა — „სათაგურში“ გამოყენებულ მანეკნთან სექსითა და ზომაზე მეტი სიშიშვლით. ჰამლეტის მთავარი ამოცანა კი — კლაუდიუსის დასჯა — ჯერ კიდევ წინაა.

სანაპიროზე დადგმულ სათაგურის სცენაშიც რეჟისორი ახლებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, განსხვავებულს შექსპირისეული ტექსტისაგან — მოხეტიალე მსახიობთა მიერ გათამაშებულ ბალის სცენაში გონზავს დედოფალი-მსახიობი კლავს. ჰამლეტი კი გერტრუდას ჩაშტერებია და მის რეაქციას ყურადღებით აკვირდება. სახეშეშლილ დედოფალს გასაქცევად გამზადებული კლაუდიუსის კივილი გამოაფხიზლებს. „სანათი, სანათი“ გაჰყვირის პოლონიუსიც...

მაცდურია სასახლის ეს მთავარი მსახური და კლაუდიუსის ჯაშუში — თავიდანვე ცხადდება მისი პირადი ანტიპათია ჰამლეტის მიმართ, რომელიც სულ მალე ჰამლეტის ხელით თავისივე მოწყობილ-?ანყოფილი დედოფლისა და პრინცის, დედისა და შვილის შეხვედრის მსხვერპლი გახდება.

გერტრუდასა და ჰამლეტის დრამატული შეხვედრა ქარიშხალსა, ჭექა-ქუხილსა და თავსხმა წვიმაში მიმდინარეობს. ისინი ორნი არიან ზღვის სანაპიროზე. გერტრუდა სავარძელში ზის, თავზე ჰამლეტი დასდგომია და საყვედურებით ავსებს და ბრალს სდებს. დედოფალი თავს იცავს, მაგრამ ამაოდ. უსაზღვროა ჰამლეტის რისხვა. წვიმაში მოხვედრილისა და მთლად

სველი გერტრუდას სცენა „სულიერ განწმენდას“ ჩამოჰგავს. ორივეს ერთნაირი საგვარეულო მედალიონები ჰკიდია, ურთიერთმოგონებათა ნიშნად. ბოლოსკენ ჰამლეტი შეძლებს გერტრუდას დარწმუნებას, რომ კლაუდიუსი უნდა მოკვდეს მისი ხელით და ამიტომაც დანას ჩაუდებს ხელში, დანას, რომელსაც მომაკვდავი დედა ისევე ჰამლეტს დაუბრუნებს და კლაუდიუსიც მაინც ჰამლეტის ხელით — ამ დანით — განიგმირება.

ინგლისიდან ჰამლეტის დაბრუნების შემდგომ გერტრუდა ადგილს ვერ პოულობს — მწარედ ახსოვს ჰამლეტის სიტყვები და საკუთარი განცდა — „მაგ სიტყვებით გული ჩემი ორად გაგლიჯე“. მარტოა თავის ფიქრებსა და ჩადენილ ცოდვებთან, ოიდიპოსის მსგავსად „თვალები აეხილა“ და საკუთარ თავზე იყრის ჯავრს — ბლუჯა-ბლუჯა იჭრის და იგლეჯავს თმას, შიშვლდება და საკუთარ ხელით ისერავს გულ-მკერდს. ვნება თვითგვემაში გადადის. იმის ნაცვლად, რომ მეუღლესთან ლოგინში ნებივრობდეს, როგორც უნინ, საკუთარი სხეული მასში სიძულვილს აღძრავს. ავხორცობამ და საკუთარი მაზლისკენ ავადმყოფურმა ლტოლვამ გამოუსწორებელი შეცდომები ჩაადენინა და გერტრუდა მზადაა პასუხი აგოს. საბედისწერო ორთაბრძოლაში ჰამლეტი თვალთმაქცობს (რაც არ შესაბამება მის ბუნებას) ხილაბანდს იხსნის, ეს კი გერტრუდას აღტაცებას იწვევს. გერტრუდა — ე. ჩხეიძე თითქოს შეგნებულად მიდის თვითმკვლელობამდე, კლაუდიუსის მიერ ჰამლეტისათვის სასამისის მეორე შეთავაზებისთანავე ხვდება, რომ შესაძლოა ეს მისი შვილისთვის სასიკვდილო აღმოჩნდეს და თავის თავზე იღებს დარტყმას. მხდალი კლაუდიუსი — მ. აბულაძე კი ვერ ახერხებს ჯეროვანი წინააღმდეგობის განხრავს და ჰამლეტის პირველსავე მოქმედებას დანას ეწირება. მისი მზაკვრობის შედეგად იხოცება ყველა, დამნაშავენიც (გერტრუდა, პოლონიუსი) და უდანაშაულონიც (ოფელია, ლაერტი, ჰამლეტი). შექსპირი ერთნაირად სჯის ყველას, ვინც კი ამ ამბის ლოგიკა განაპირობა: მამა ჰამლეტი — ჰამლეტი — კლაუდიუსი — გერტრუდა — ოფელია — პოლონიუსი — ლაერტი. რეჟისორიც მხოლოდ ამ პერსონაჟებზე აკეთებს აქცენტებს, მისთვის აღარ არსებობს არც ფორტინბრასი და აღარც სხვანი.

თუ სპექტაკლის სცენოგრაფია იწვევს სასიამოვნო და ქმედების შესაბამისობის განცდას, ამას ვერ ვიტყვით მხატვრის (ნ. სურგულაძე) მიერ შესრულებულ კოსტიუმებზე: საფრანგეთიდან დაბრუნებული ლაერტი საჰარაგამოვლილ ჯარისკაცს ჩამოგავს, კლაუდიუსის კოსტიუმი და მისი ქურქი სრულიად შეუფერებლად მიმჩნია, ისევე როგორც პოლონიუსის თანამედროვე კოსტიუმი და ლაბადა. სანაპიროდ, ქალთა ჩაცმულობა — გერტრუდას ყველა სცენაში და ოფელიას კაბა სიკვდილის წინ — სასიამოვნო გამწყობას ტოვებს.

მარჯანიშვილელთა სპექტაკლი ერთი კაცის, პრინცის ისტორიაა, რომელიც იმ ქვეყანაში აღმოჩნდა, სადაც „დანია საპყრობილეა“. მომაკვდავი ჰამლეტი სავარძელს — სამეფო ტახტს — მოიქნევს და უფსკრულში გადაუძახებს — ტახტს, რომელიც ამდენი ცოდვის საბაბი გახდა და რომლის დაკავებაც მას არ ეღირსა.

ახალგაზრდა რეჟისორთა წინსვლისთვის უაღრესად სასარგებლოა, როდესაც ისინი თავისი შემოქმედების საწყის ეტაპზე თავისუფლად ლებულობენ სასცენო სივრცეებს: მარჯანიშვილის თეატრის სხვანი, რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა, მუსიკისა და დრამის თეატრი გახდა თამაში ექსპერიმენტების, მცდელობების, შემოქმედებითი ძიებათა ასპარეზი. ყველა მონაწილე აღნიშნავს, რომ მათთვის მთავარი მაინც იყო პროცესი, სპექტაკლის მომზადების ხანა. რასაკვირველია, ჩვენთვის, მაყურებლისთვის მხოლოდ შედეგია მთავარი და ფასეული, ის, რასაც სცენაზე ვხედავთ. ხოლო რაც კულისებს მიღმაა, რაც შიდა სამზარეულოს განეკუთვნება, იშვიათად თუ იწვევს ჩვენს ინტერესს. და თუ შედეგიც ღირსეული იქნება, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ექსპერიმენტული ნარმატებით განხორციელდა.



ნინო დოლიძე

# არაბული მუსიკის ნიგნი

მოგეხსენებათ, შუა საუკუნეების აღმოსავლეთში არაბთა დიდი იმპერია ჩამოყალიბდა. სახალიფოში ყველა პირობა შეიქმნა მეცნიერების ასაყვავებლად. არაბებმა უზარმაზარი მთარგმნელობითი სამუშაო აწარმოეს, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგები განავითარეს. პარადოქსია, მაგრამ ისინი მოგვევლინენ ევროპელებისთვის ელინისტური კულტურის გადამცემებად.

სხვადასხვა დისციპლინებს შორის განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მუსიკის თეორიამაც. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების არაბულ აღმოსავლეთში, სადაც მუსიკა არა მხოლოდ რიტუალების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო, არამედ სამკურნალო თერაპიის საშუალებაც, IX ს-დან იქმნებოდა ნამდვილი შედეგები არაბული მუსიკის თეორიაში მაშინ, როცა ევროპაში მუსიკალური სკოლები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. მუსიკა როგორც სამეცნიერო დარგი სასწავლო პროგრამებშიც შედიოდა. არაბულმა მუსიკალურმა სკოლამ აითვისა კლასიკური მემკვიდრეობა ბერძნული, ინდური თუ სპარსული მუსიკალური ტრადიციების სახით და განსაკუთრებულ სიმაღლეს X-XIII სს-ში მიაღწია.

ევროპელი მეცნიერები XIX ს-დან დაინტერესდნენ შუა საუკუნეების არაბული მუსიკალური ტრაქტატებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათზე მუშაობა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და ეს ყველას არ ხელუწიფება. დიდი რუსი მეცნიერი ი. კრაჩკოვსკი აღნიშნავდა, რომ არაბისტიკის ამ დარგში სამუშაოდ აუცილებელია არა მარტო საფუძვლიანი მომზადება არაბული მუსიკის ისტორიაში, არამედ მუსიკის თეორიის და განსაკუთრებით, შუა საუკუნეების მუსიკის შესახებ არსებული ჰიპოთეზების და თეორიების კარგი ცოდნა. მეცნიერი უნდა იყოს როგორც სერიოზული მუსიკოსი, ასევე საფუძვლიანი ფილოლოგიც, ამასთანავე საჭიროა ფლობდეს შემსრულებლის ხელოვნებას.

არაბული მუსიკა ორიენტალისტიკის შედარებით ახალი დარგია. არაბულ სამყაროშიც (კერძოდ, კაიროში) ეროვნული მუსიკის სერიოზული შესწავლით 1921 წლიდან დაინტერესდნენ, კაიროს უნივერსიტეტის მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტი კი 1945 წელს გაიხსნა.

1945 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტიც. იმ დროიდან მოყოლებული ქართული არაბისტიკული სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა საკვლევით თემის სიკარგით, ასევე საფუძვლიანი ფილოლოგიური მუსიკის მიმართულებით აქ მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობდა.

ეს გახლავთ ნინო ანთიძე-კახიანი, რომელიც უკვე ოთხი ათეულ წელზე მეტია, უნივერსიტეტში ასწავლის არაბულ ენას და არაერთი სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ავტორია. ქ-ნ ნინოს აღმოაჩნდა ყველა მონაცემი, რაზეც აკად. კრაჩკოვსკი წერდა. არაბულის ღრმა ცოდნის გარდა ის ფლობს შესაბამის მუსიკალურ განათლებას, კარგად ერკვევა არა მარტო არაბული მუსიკის ისტორიასა და ტრადიციულ არაბულ ინსტრუმენტებში, არამედ შუა საუკუნეების მუსიკის თეორიაშიც.



ნინო ანთიძე-კახიანი

ამიტომაც იყო, რომ ნინო ანთიძე-კახიანის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამაარსებელმა გიორგი წერეთელმა სწორედ მას ანდო ქართულ არაბისტიკაში ყველაზე ნაკლებად ათვისებულ სფეროში მუშაობა. ქ-ნ ნინოს მოუწია გაუკვალავი გზით სიარული და როდესაც 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ალ-ურმავის ნიგნი მუსიკისა „ქითაბ ალ-ადვარ“, ის ამ სფეროში ნამდვილ გზამკვლევადა მოგვევლინა. ასეა დღემდე — ქართველი არაბისტების მიერ ჩატარებულ კვლევათა მრავალფეროვნების მიუხედავად, ნინო ანთიძე-კახიანის გამოკვლევა უნიკალურ ნაშრომად რჩება.

ძალიან სასიხარულოა, რომ ქ-მა ნინომ აასრულა თავისი ხელმძღვანელის ნება, გამოქვეყნებულიყო ნაშრომი. 2012 წელს მან საკუთარი ხარჯებით გამოსცა ფასდაუდებელი ნიგნი, რომელიც XIII ს-ის არაბი მუსიკის თეორეტიკოსის ალ-ურმავის ტრაქტატს შეეხება. ავტორი ძვირფასი მასწავლებლების — გიორგი წერეთლისა და ალექსი ლეკიაშვილის — ნათელ ხსოვნას უძღვნის ნიგნს, რომლის რედაქტორი გახლავთ ფილ.

მეცნ. დოქტორი აპოლონ სილაგაძე, ხოლო რეცენზენტები — ფილ. მეცნ. დოქტორი ნანა ფურცელაძე და ფილ. მეცნ. კანდიდატი მაია ანდრონიკაშვილი.

იმისთვის, რომ ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება წარმოვაჩინოთ, საჭიროა ორი სიტყვით არაბ ავტორთა — ალ-ქინდის (IX ს), ალ-ფარაბის (X ს), იბნ სინას (XI ს) და სხვათა ტრაქტატების მნიშვნელობას შევეხეთ. მუსიკალური კომპოზიციის, ტონების, კილოების, ინტერვალების, რიტმისა და სხვა საკითხთა შესახებ შექმნილი ტრაქტატების ანალიზისას ცხადი ხდება, რომ არაბები X ს-ში ევროპელებზე უკეთ ერკვეოდნენ ჰარმონიის პრინციპებში, მრავალფეროვანი რიტმის საკითხებში. ევროპელებმა ბევრი რამ სწორედ არაბებისგან შეიტვისეს, რაც დასავლურ მუსიკათმცოდნეობაში არაბულ ტერმინთა უცვლელად გადმოღების ფაქტებშიც აისახა.

ნინო ანთიძე-კახიანის ნაშრომში განხილულია ალ-ურმავის ერთ-ერთი მუსიკალური თხზულება, რომელიც ტონებსა და ინტერვალთა მიმართების საკითხებს ეხება.

ტრაქტატის ნუსხები დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, სტამბოლის, პარიზის, კაიროსა და ბაღდადის სიძველეთსაცავებში. ალ-ურმავი, სავარაუდოდ, 1210-20 წლებში თავრიზში დაიბადა. ის იყო ცნობილი კალიგრაფი და უბადლო შემსრულებელი. შესანიშნავად უკრავდა ფართოდ გავრცელებულ აღმოსავლურ საკრავზე - უდზე. მან ორი ახალი საკრავი — ნუზჰა და მულნი — თავად გამოიგონა და 130-მდე სასიმღერო მელოდია შექმნა. გარდაიცვალა 1294 წელს. ალ-ურმავი კილოს პირველ დიდ თეორეტიკოსადაა მიჩნეული. იგი სისტემატისტთა სკოლის მამამთავრად ითვლება. მისმა შრომებმა აღიარება მოიპოვა ევროპასა თუ აზიაში.

ნინო ანთიძე-კახიანის ნიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, შესავალს, ორ თავს, მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონს, ტაბულებს, ლიტერატურის სიას (ქართულ, რუსულ, არაბულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე) და ინგლისურენოვან რეზიუმეს. ნაშრომში მოცემულია ალ-ურმავის ტრაქტატის „ნიგნი მუსიკისა“ ანალიზი, არაბული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი, კომენტარები. აქ განხილულია არაბული მუსიკის თეორიის მნიშვნელოვანი საკითხები, ალ-ურმავის დებულებანი შედარებულია სხვა თეორეტიკოსთა მოსაზრებებთან, ბაღდადისა და კაიროს ნუსხების შეჯერების საფუძველზე კი დადგენილია მუსიკალური ტერმინოლოგია, დახასიათებულია სხვადასხვა ტიპის აღმოსავლური საკრავე-

ბი. ავტორი ცდილობს, ამა თუ იმ საკრავს ქართულ სინამდვილეშიც მოუძებნოს პარალელი.

ნინო ანთიძე-კახიანი ნაშრომი არის ჯერჯერობით ერთადერთი „არაბული მუსიკის ნიგნი“ ქართულ ენაზე. ეს გახლავთ ღრმა მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც უდავოდ სიახლეა არაბისტიკაში და, სასურველია, სხვა ენებზეც ითარგმნოს. აღმოსავლეთმცოდნეთა გარდა ის მუსიკის ისტორიკოსებსა და თეორეტიკოსებსაც დააინტერესებს. იმედია, ახალგაზრდა არაბისტებიც გამოიჩინენ ინტერესს და ქ-ნ ნინოს საქმეს უშუალო გამგრძელებელი გამოუჩნდებიან.

ჩემი მხრივ, მსურს შევეუბნო ამ ნიგნის გამოცემის სიხა-

რულს, დიდი პატივისცემა გამოვხატო ქ-ნი ნინოს როგორც პიროვნების, პროფესიონალის, ადამიანის, ქალბატონის, ჩემი პირველი მასწავლებლის მიმართ, რომელიც რამდენიმე ათეული წელია უანგაროდ ემსახურება თავის საქმეს, და მადლობა მოვახსენო მას ყველაფრისთვის. ქ-ნი ნინო განსაკუთრებით უყვართ სტუდენტებს, რომლებიც დღემდე სწავლობენ მისგან თავაზიანობას, თავმდაბლობას, სიკეთეს, კეთილსინდისიერებას, ნესიერებას, სათნობას, რაც ასე ფასეულია და რაც ასე გაუფასურდა ამ ბოლო დროს. მინდა ვისურვო, რომ ყველას, მის კოლეგებსა თუ სტუდენტებს, კიდევ ძალიან დიდხანს გვქონოდეს ქ-ნი ნინოსთან ურთიერთობის სიამოვნება.

გურამ ბათიაშვილი

# სახეები და სიტუაციები

## კომპლიმენტების სიყვარული

ქართული თეატრის დიდებულ მოღვაწეს, დღეს პროფესორს, იმჟამად კი დაუცხრომელ ახალგაზრდა კრიტიკოსსა და რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს — ვასილ კიკნაძეს — ერთ მშვენიერ დღეს ფრიად თავაზიანი კაცი ეწვია; „შალვა დადიანმა გამომგზავნა თქვენთან, გთხოვათ, ჩემი პიესა წაიკითხოთ და თქვენი თეატრის რეჟისურა დააინტერესოთ“.

ვასილ კიკნაძეს პიესა ყურადღებით წაუკითხავს — შალვა დადიანის რეკომენდაციას გვერდს როგორ აუვლიდა — არ მოსწონებია. რამდენიმე დღის შემდეგ ავტორისათვის განუცხადებია: სუსტია და რუსთაველის თეატრის ვერცერთ რეჟისორს ვერ შევთავაზებო.

გამოხდა ხანი. შალვა დადიანმა სხვა ავტორი გამოუგზავნა ვ. კიკნაძეს. ამჯერად წერილიც გამოატანა: ამ პიროვნების პიესას ყურადღებით გაეცანით და იქნებ თეატრის რეპერტუარშიც შეიტანოთო.

ვ. კიკნაძეს არც ეს პიესა მოსწონებია. ავტორისათვის ასევე მოუხსენებია.

ცოტა ხნის შემდეგ შ. დადიანის მიერ გამოგზავნილი კიდევ ერთი ავტორი მისდგომია. იმასაც სარეკომენდაციო წერილი და პიესა მოუტანია. ვ. კიკნაძეს კი ერთი კვირის შემდეგ ჩვეული პირდაპირობით მოუხსენებია ავტორისათვის, თქვენი პიესით თეატრი არ დაინტერესდებაო.

ერთ მშვენიერ დღეს ვ. კიკნაძეს დაურეკეს და სთხოვეს: იქნებ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში მობრძანდეთ, ბატონ შალვა დადიანს თქვენთან საუბარი სურსო.

ახალგაზრდა კრიტიკოსი მაქსიმალიზმით გამოიჩინა, მოიარების გარეშე, ობიექტურად აკრიტიკებდა სუსტ ნაწარმოებებს, ორატორიკა ერთობ ცხარე გახლდათ. შალვა დადიანის მიწვევას ძლიერ გაუხარებია: იგი უნდა შეხვედროდა ეროვნული დრამატურგიის ქურუმს, გამოჩენილ მოღვაწეს ქართული თეატრისა, რომელსაც მთელი საქართველო პატივს სცემდა. ამას გარდა, იმხანად შალვა დადიანი საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეც გახლდათ. და აი, ასეთი დიდებული მოღვაწე და ხელი-სუფლებიანად დაფასებული პიროვნება ფეხზე წამოუდგა ახალგაზრდა კრიტიკოსს, ოდნურით თავაზიანობით მიეგება, მოიკითხა, ქართულ თეატრზე შენი წერილები წამიკითხავს და ერთობ მომწონს, ყოჩალი ახალგაზრდა ჩანხარო, — მერე თურმე სავარძელში ჩაეშვა, სტუმარს შეაცქერდა და ჰკითხა:

— ჭაბუკო, საქართველოში ცხოვრებას არ აპირებთ?

ამ შეკითხვამ ვ. კიკნაძე გააოცა. შ. დადიანმა მის სახეზე გაოცება რომ ამოიკითხა, განაგრძო: სამი ავტორი გამოგზავნეთ, სამივეს პიესა არა მხოლოდ დაუნუნეთ, პირდაპირ მიხალეთ: თქვენს პიესას ვერ დავდგამთო. ასე საქართველოში ვერ იცხოვრებთ. საქართველოში ცხოვრება თუ გინდა, ადამიანებს კომპლიმენტებით უნდა ელაპარაკოთ. სხვაგვარად არ გამოვა.

კომპლიმენტების სიყვარული!

ახალგაზრდა, უკომპრომისო კრიტიკოსს ამას ეუბნება დრამატურგი, რომელმაც პიესა „გუშინდელნი“ მწარე სიმართლე უთხრა გარემომცველთ. რატომ? რისთვის?


შალვა დადიანი, როგორც მწერალი, დრამატურგი, ასევე უკომპრომისო იყო, ამ უკომპრომისობამ, გარემომცველთა ბუნების ანალიზმა დააწერინა „გუშინდელნი“, მან თავისი სიტყვა თქვა, დახატა გარემომცველი სამყარო, რომელიც მის წარმოსახვაში რეალობამ დაამკვიდრა.

შემდგომი წლები აჩვენებს, რომ რეალობა უფრო მკაცრია — უკომპრომისობას არ გპატიობს. ამიტომ დრამატურგიის ქურუმი, რომელსაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება დაუგროვდა, ახალგაზრდა კაცს ცხოვრების ფორმას სთავაზობს: საქართველოში ცხოვრება თუ გინდა, ყველას კომპლიმენტებით უნდა ელაპარაკო, არ უთქვამს — პიესებს ნუ დაინუნებ, სუსტი პიესა მოინონეო. სათქმელი თქვი მაგრამ ისე შეფუთე, ისე გაახვიე, ნაწყენი ვერავინ დაგჩერსო.

კეთილი და პატიოსანი!

მაგრამ ვინ დამისახელებს, ჩამომითვლის იმ ქვეყანას, იმ ხალხს, რომლებიც ტაშით, ოვაციით ხვდებიან სიმართლის მთქმელს, თუ ეს სიმართლე არა სხვაზე, პირადად მასზე, სწორედ მასზეა ნათქვამი? ასეთი ხალხის ჩამოთვლა ალბათ, ყველას ძლიერ გაგვიჭირდება. სიმართლე ის ყვავილია, რომლის დანახვა სხვის ეზოში სწადიათ. ქართველმა ხალხმა თითქოს გამოსავალი გვიკარნახა, უფრო სწორად, მკაცრმა რეალობამ ათქმევინა: სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. წარმოდგენილი მაქვს, მართალი სიტყვისათვის, ეს ფრაზა რომ ეთქვა, რამდენი ვაივავლაზი გადახდა ამ ადამიანს, ე.ი. სიმართლეს რომ იტყვი, მერე კი არ დაინყო იმის ძიება, თავს სად და როდის შეაფარებ: სატრანსპორტო საშუალებაც გამზადებული უნდა გაყავდეს და ის ადგილიც შეგულვებულნი, სადაც თავს შეაფარებო.

მაშ როგორ მოვიქცეთ — დავანებოთ თავი ამ სიმართლის თქმას, ხომ ვხედავთ, რამდენ სირთულეს უნდა შევეჭიდოთ.



რამდენი უნდა ვიკავივალახოთ. აი, ხომ დავინახეთ, შალვა დადიანი „გუშინდელს“ კი წერდა, მაგრამ ახალგაზრდა კაცს როგორ აფრთხილებდა.

მაგრამ ახლა მოდი ვნახოთ, კაცთა ამგვარ სისუსტეს როგორ ამხნევენ ის, ვისაც კაცობრიობა გულისყურით უსმენს, იმიტომ, რომ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება სიბრძნე დაუგროვებია. რას ჩავგძახის დიდი წიგნი: „სიმართლეს, სიმართლეს მისდევ, რომ იცოცხლო და დაიმკვიდრო ის ქვეყანა, რომელსაც გაძლევს უფალი შენი“ (მსაჯულთა“), ან — „რამეთუ შენ აკურთხებ, მართალს უფალო, შენი წყალობით შემოსავ, როგორც ჯავშნით“ (ფსალმუნნი 5, 3.), ან კიდევ — „ჩემი ფარი უპყრია ღმერთს — გულმართალთა მხსნელს. ღმერთი მართალი მსაჯულია“ (იქვე, 7,9-12).

ესეიგი: თუ უფალი ვაკურთხებს სიმართლის თქმისათვის, თუ შეგმოსავს წყალობითა და ჯავშნით, სიმართლის მთქმელს ვერავინ ჩაქოლავს.

კაცთა მოდგმას მაინც აქეთ ჰქონდა გულისყური — ამ წიგნებისაკენ, ამას უსმენდა და, თუ დროდადრო ცხენსაც ჰკაზმავდა, არც ეს დაეძრახებდა.

**ნარმოსახული თუ რაალური?**

როსტომ ჩხეიძის ჩინებულ წიგნში „ტრაგიკოსი კომედიაში“, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებას ლამის ხელისგულზე გადმოგვიშლის, ამოვიკითხე: გალაკტიონმა რომ „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ დანერა, ნიკორწმინდის მოხსატეერი ჯერ კიდევ არ ენახაო.

როსტომ ჩხეიძე იქვე ნარმოაჩენს იმპულსებს, რამაც გალაკტიონს ეს შედეგები დაანერინა. ეს იმპულსები ახასიათებენ შემოქმედებითი პროცესის თავისებურებას და, რაც მთავარია, გვაჩვენებენ რეალურისა და ნარმოსახულის ურთიერთობას. პოეტმა ნიკორწმინდის ტაძარი, მისი ჩუქურთმები ერთი სოფლელი დურგლის ნაამბობით ნარმოსახა, ეს კაცი პოეტისათვის სანერ მაგიდას რანდავდა.

და აი, დურგალი კაცის ნაამბობის მიხედვით ნარმოსახულმა შექმნა პოეტური შედეგები. რასაკვირველია, აქ მთავარი არა ნაამბობი, არამედ პოეტის ნარმოსახვის ძალაა, ნარმოსახვამ შექმნა შედეგები.

ნარმოსახვის, რეალურისა და ნარმოსახულის შეპირისპირების როსტომ ჩხეიძისეულმა საუბარმა კოტე მარჯანიშვილის ცხოვრების ერთი ეპიზოდი გამახსენა: 1909 წელს მარჯანიშვილი მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორად მიიწვიეს. ცოტა ხნის შემდეგ გადაწყდა, რომ მარჯანიშვილს თეატრში დაედგა ჰენრიკ იბსენის „ქალი ზღვიდან“. რეჟისორმა სპექტაკლის მხატვრად ფინელი ფერმწერი აქსელ გალენი ინდომა. ამ აქსელ გალენის მიერ შექმნილი აფრიკული პეიზაჟი ადრე ენახა. სამხატვრო თეატრმა კოტე მარჯანიშვილი მხატვართან მოსალაპარაკებლად ფინეთში მიავლინა. მხატვარმა რეჟისორს ჰკითხა: რუსეთში ჩინებული მხატვრები არიან, მე როგორ გაგახსენდითო. რეჟისორმა მიუგო, ისეთი მხატვარი გვინდა, რომელიც ძალიან კარგად გრძნობს აფრიკას, იბსენის ქალთა ფსიქოლოგიასო. მხატვარმა მეზობელი ოთახიდან გამოიტანა „მთელი წყება აფრიკული ესკიზებისა“. ორ ნაწილად დალაგა და იკითხა, თუ რომელი ნაწილი მოსწონს რეჟისორს. კოტე მარჯანიშვილი წერს, რომ ერთ ნაწილში „იყო მზით აღვსილი ჩრდილ-ნათელით გაბრწყინებული ქალების მოქნილი სხეულები. ყოფიერების სიხარულმა იფეთქა გულში. მზის სხივი, რომელიც ეცემოდა მათს მაგარ მკერდს, აწყობილ ფეხებს, მომნიბულელ იერს ანიჭებდა, მზიურს ხდიდა მათ“. მეორე ჯგუფი ნახატებისა „ყვითელი სინათლით იყო ანთებული — ყოველგვარი ჩრდილის გარეშე და აფრიკელი ქალები მზით გამომწვარი ერთფეროვანი პეიზაჟის ფონზე ჩანდნენ“.

კოტე მარჯანიშვილს, ცხადია, პირველ ჯგუფში მოქცეული ნახატები მოეწონა და ასეც მიუგო მხატვარს. ის კი ამბობს

ერთობ საყურადღებო ფრაზას: „ეს ის აფრიკაა, რომელიც მე ნარმოვიდგინე, აი, ის კი ის აფრიკა, რომელიც ვნახე“.

აი, რეალობა და ნარმოსახვა (ე.ი. ნარმოსახული სინამდვილე) — კოტე მარჯანიშვილს ნარმოსახვის შედეგად შექმნილი აფრიკა და აფრიკელი ქალები მოეწონა და არა „ნამდვილი სინამდვილე“.

ვიდრე ნიკორწმინდის ტაძარს ვნახავდი, სწორედ გალაკტიონის შედეგის გამოისობით „ქებათა ქების“ კითხვისას, რაველის „ბოლერო“ ჩამესმოდა ყურში. თითქოს ერთდროულად, ერთი მიზნით იქმნებოდა „ბოლერო“ და გალაკტიონის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, მაგრამ ნიკორწმინდის ტაძარი რომ ვნახე, რაველის „ბოლერო“ არ ჩამესმოდა — ირგვლივ დუმილი გამეფებულყო.

დურგალი კაცი პოეტს თავისი კუთხის სინამდვილა და მშვენიერება უსაუბრებოდა, პოეტმა ნაამბობი აი, ასე ნარმოსახა — ისე როგორც „ქებათა ქებაში“. მე კი „მეგონა“, „ქებათა ქება“ ბოლეროსათვის იყო დანერილი, ან „ბოლერო“ „ქებათა ქებისათვის“.

**პოეზია და სახელმწიფო მოხელე**

ამ რამდენიმე წლის წინათ ისრაელში თითქმის მთელი თვე მომინია სტუმრობა. იმხანად გამიძლიერდა სურვილი შევითან, შევიღვივებოთ, რომლებიც იქ ცხოვრობენ, უფრო ახლო ყოფნისა, და ასეთი ფიქრი დამეუფლა: ჯემალ აჯიაშვილი თელ-ავივში საქართველოს საელჩოში თავის კადენციას ამთავრებს. იგი ელჩის მრჩეველია. ელჩს რამდენიმე ასეთი მრჩეველი ჰყავს. ხელფასიც საკმაოდ ხოლიდებულია. ჯემალის კადენციის ამონაწერის უამრავი რომ მოაწვევს, რატომ არ შეიძლება მეც შევეცადო მრჩეველად ვიმსახურო? სამი-ოთხი წელიწადი კარგ ხელფასს მივიღებ, მთავარი კი ის არის, რომ შევიღვივებოთ ახლოს ვიქნები, თუ ყოველდღე არა, კვირაში ორჯერ მაინც მოვინახულებ, ისინიც მომიხსახულებენ. მაგრამ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, გაზეთი „მეწონა“ რომ უნდა დავტოვო?

აი, ასეთი ფიქრი დამდეგდა თან.

და აი, ისრაელში ჩამოდიხ საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ნარმომადგენელი — მინისტრის მოადგილე, ძალიან კარგი ახალგაზრდა, თითქმის ჭაბუკი, ჩემი, ჯემალის შვილებზე უფრო ახალგაზრდა. მინისტრის მოადგილე კარგი მისიით ჩამოვიდა: უნდა შეხვდეს ისრაელში ჩამოყალიბებულ ქართული ცეკვის ანსამბლებს, თეატრებს. მისი ამოცანაა გაამხნევეს, ნახალისოს ის ჯგუფები, რომლებიც ისრაელში ქართული კულტურის დესპანებად გვევლინებიან.

შეხვედრა ჩინებულ დარბაზში გაიმართა. ხალხიც ბევრი მოვიდა. ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელი მოღვაწე, „ძველი აღთქმის“ დიდებული მთარგმნელი შალომ დავიდი ჩინებულ სიტყვას ამბობს, შემდეგ ტრიბუნასთან მიდის საქართველოს ხელისუფლების ნარმომადგენელი. იგი მიესალმება ისრაელის ქართველ ებრაელობას, ქართული კულტურული კერების ნარმომადგენლებს და ამბობს: ხელცარიელი არ ჩამოვსულვარ, საჩუქრები ჩამოგიტანეთო, მაგრამ სცენაზე არარა საჩუქარი არ ჩანს, ხელისუფლების ნარმომადგენელი კულისებისაკენ უკმაყოფილოდ იმზირება, სცენაზე გამოდის ჯემალ აჯიაშვილი. უამრავი სუვენირი, წიგნი, ალბომი უჭირავს ხელთ. მინისტრის მოადგილე საუბარს განაგრძობს, ჯემალი კი დგას და ელოდება იმ მომენტს, თუ როდის მიანოლოს მალალჩინოსანს ესა თუ ის საჩუქარი.

აი, პოეზიისა და ჩინოსანის ურთიერთობა, ჩინოსანს ხელეწიფება პოეტი, მთარგმნელი, თანაც არა რიგითი, არა ერთი ჩვეულებრივი, არამედ ჩინებული მთარგმნელი, აი, ასე, სუვენირებით ხელში აყურყუტოს, ვიდრე სათქმელს დაამთავრებდეს და საჩუქრებს გადასცემდეს იმათ, ვინც თავისი ხელოვნებით, მოცეკვავე იქნება თუ მსახიობი, ჯემალს კოჭებამდეც ვერ შესწვდება. თავად მალალჩინოსანი მოხელე ხომ ვერ შესწვდება და ვერა!

მდაა... მე ხომ კარგად ვიცი ჯვრის ბუნება, ვიცი, რა ცეცხლიც ტრიალებს ახლა მის გულში: აი, ამ დარბაზში შეკრებილ ასეულობით ადამიანს იგი წარუდგება ხოლმე როგორც გამოჩენილი მთარგმნელი, პოეტი, რომელსაც მთელი საქართველო ლამის აღმერთებს, ხელისგულზე ატარებს, და აი, ავერ მის შვილზე უფრო ახალგაზრდა ჩინოვნიკმა, ერთ-ერთი მინისტრის მოადგილემ კი სუვენირებით ხელში ყარაულივით დააყენა ფეხზე, არადა, რა ჰქნას, სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს.

იმ დღის შემდეგ აღარ მწვევია ფიქრი იმაზე, რომ თბილისში ყოფნას თელ-ავივი საელჩოში მუშაობა სჯობდა.

არა, ისევ ის სჯობია, წელიწადში ორ-სამჯერ მომინოს ისრაელში ჩასვლა ამა თუ იმ ღონისძიებაზე დასასწრებად. აი, ასე მოვიწინებ შვილს, შვილიშვილებს.

უკეთესიცაა!

თორემ რამდენი მინისტრი, გენერალთა, მისი მოადგილე ჩამოვა...

### ბაბუ

ადრეც ვიცოდი, ნამეკითხა, თვითონაც მეგრძოდ, განმეცადა, თუ რაოდენ ძლიერია ბაბუის, პაპის ფენომენი ყმანვილი კაცის ხილვებში, რაოდენ დიდ როლს თამაშობს იგი პიროვნების ჩამოყალიბებაში, მაგრამ ორმა გენიალურმა შემოქმედმა საბოლოოდ დამარწმუნა: ბაბუის, პაპისა და შვილიშვილის ურთიერთობა ერთმნიშვნელოვანია და უზარმაზარ როლს თამაშობს მოზარდის პიროვნებად გარდაქმნის პროცესში: ერთია ვეფხისტყაოსნის ებრაულ ენაზე მთარგმნელი ბორის გაპონოვი, მეორე კი — მხატვარი მარკ შაგალი.

ბორის გაპონოვის ბაბუა შშუელ მაზო მეორე მსოფლიო ომის ქართველისას ფაშისტთა მიერ ოკუპირებული ევატორიიდან გამოიქცა. ცასა და მინას შუა თავშესაფარს დაეძებდა, რომ დაერდომილი მეუღლე, ქალიშვილი და პატარა შვილიშვილი ბორისი (დოვი) რამენაირად გადაერჩინა. ერთი ძლიერ მორწმუნე, უძლეური, უქონელი იუდეველი გახლდათ. მხოლოდ ღმერთი მიანცდა მფარველად და, ვგონებ, სწორედ ღვთის ნება იყო, ღვთის ჩანაფიქრი, საქართველოში (ქუთაისში, ერთ სარდაფში) რომ ჰპოვა ბინა. აი, იმ სარდაფში ითქვამდნენ სულს. მეუღლეს, შვილს, შვილიშვილს კი იმით არჩენდა, რომ ქუთაისის ებრაელობას ქეთუბას — საქორწინო ხელშეკრულებას — უწერდა.

იმდროინდელი ქუთაისის ებრაელთაგან დღევანდელივით განძარცვილი როდი იყო — ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდით მათ, მაგრამ მაინც თვეში რამდენი ებრაელი ქალ-ვაჟი უნდა დაქორწინებულიყო, რომ ალებულ ჰონორარს შშუელ მაზოს ოჯახი ხეირიანად დაეპურებინა?

თუმცა მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულების ტექსტის წერა როდი იყო მთავარი. ეს ტექსტი მხატვრულადაც უნდა გაეფორმებინა. „ქეთუბის“ მოხატულობა მნახველში იერუსალიმის სანახებსაც უნდა აცოცხლებდეს, ებრაელ წინასწარმეტყველთა პროფილებსაც წარმოსახავდეს, იქვე მოშე რაბინუს („ჩვენი მასწავლებელი მოსე“) სახეც უნდა ილანდებოდეს და დავითისა და სოლომო-ნისაც. ეს გაფორმება, ილუსტრაცია ყოველი სოფერის (მწერლის, ამ შემთხვევაში, გადამწერის) ნიჭზე, წარმოსახვის უნარზეა დამოკიდებული. შშუელ მაზოს ალბათ, ფანტაზიის დიდი დაძაბვა სჭირდებოდა, რომ თავმომწონე ქუთაისელი ქართველი თუ რუსი ებრაელობისათვის მისი ნახელავი ალტაცებისმომგვრელი გაეხადა.

სხვა ბიბლიურ ტექსტებსაც იგი წერდა ქუთაისელთათვის. პატარა დოვი (ბორისი) კი მუდამ გვერდით ჰყავდა, ასაქმებდა, იხმარდა. ამით, ამ გზით წმინდა ტექსტების, გვერდაუვლელი ბიბლიური ლიტერატურის ნიაღში შეჰყავდა. და სწორედ აქ, ამ პროცესში იღებს სათავეს დოვ გაპონოვის მიერ ბიბლიის ებრაულის ასეთი ბრწყინვალე ცოდნა. ბაბუამ იგი დიდი ლიტერატურის ნიაღში მოაქცია, იქ აღზარდა — იმ ლიტერატურაში, სიტყვიერებაში.

როცა შშუელ ბაბუა პატარა ბორის გაპონოვს ებრაული სიტყვიერების ნიაღში ატარებდა, კარგ იუდეველად ზრდიდა,

არც მან, არც შვილიშვილმა ვეფხისტყაოსნის არსებობაც კი არ იცოდნენ, დიდი ებრაული სიტყვიერების ენა, იქნებოდა ეს ძველი აღთქმა, თალმუდი თუ წინასწარმეტყველთა წიგნები და ქართული აზრის, ნიჭის ესოდენი გამოვლინება — ვეფხისტყაოსანი — ბორის გაპონოვის ფიქრში, გვიან შეახვედრა ზენაარმა. და აქ იჩინა თავი იმან, რასაც შშუელ მაზო აკეთებდა — შვილიშვილი ისე განვრთნა, ისეთი ლიტერატურით აღზარდა, რომ დოვ (ბორის) გაპონოვი ვეფხისტყაოსნის გენიალურ თარგმანამდე მიიყვანა.

და აი, აქ ასრულდა ღვთის ჩანაფიქრი.

და დღეს მე სიამაყით გავცქერი ხოლმე ჩემი წიგნის თაროს, საიდანაც ვეფხისტყაოსნის ებრაული გამოცემა გადმოცქერის.

მარკ შაგალი? აი, ვნახოთ რას წერს იგი წიგნში „ჩემი ცხოვრება“: „ვისაც ეს სურს, ჩემი ახლობლების უცოდველ უცნაურობებში ჩემი ნახატების გასაღებს იპოვის“, და მერე: „რომ იცოდეთ, აღფრთოვანებისაგან როგორ ვთრთოდი, როცა სინაგოგაში ბაბუს გვერდით ვიდექი. რამდენი უნდა მევაგლახნა, რამდენ ადამიანს შორის უნდა გამეკვლია გზა, იქამდე (ბაბუმდე — გ. ბ.) რომ მიმეღწია. და აი, აქა ვარ, ფანჯარასთან, გადაშლილი ლოცვანით ხელში და შემოძლია ვტკბებოდე დაბის საშაბათო პეიზაჟით“.

აი, ამ ფანჯარაში ყოველდღიურ ხმაურს, ფორიაქს თავდაღწეულ დაბაში შაბათის მშვიდ იდილიაში ხედავს იგი თავისი ტილოების პერსონაჟებს, ბაბუის გვერდით მდგარი ცის კაბადონზე ხედავს სიყვარულით ამალღებულ მეზობლებს, ნათესავებს.

სხვანაირი იყო, ძალიან განსხვავებული და ამიტომაც ვერ იგუა რუსულმა ფერწერამ. მოგვიანებით პარიზში რომ ჩავიდა და იქ გამოფენებს, ლუერს გაეცნო, მაშინ მიხვდა: რუსულ ფერწერას ვერც შეერწყოდა. ბაბუაც სხვანაირი იყო, ცხოვრების სრულიად სხვაგვარი წესი ჰქონდა და შვილიშვილსაც ამას ჩააგონებდა.

„ხოლო რაც შემეხება მე, ფროიდის გარეშეც მშვიდად მეძინა“.

შაგალი ამას წერს 1911 წელს, ეს ის დროა, როცა ფროიდის მოძღვრება, ინტელექტუალთა გულსა და გონებას იპყრობს. თუმცა შაგალი არაცნობიერსაც აღიარებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ „ხელოვნებაში ყველაფერი უნდა პასუხობდეს ჩვენი სისხლის, ჩვენი არსების მოძრაობას, არაცნობიერის ჩათვლით“.

სად უნდა ვეძებოთ ფროიდის ასე ირონიულად მოხსენიების, ფაქტობრივად ფროიდის იგნორირების მიზეზი?

ეს მეტად საინტერესოა, რადგან ერთი ეპოქის ორი ებრაელი მოაზროვნე ურთიერთსაპირისპირო ტენდენციას ავლენს.

მიზეზი მარკ შაგალის რელიგიურ სულისკვეთებაში — იუდაიზმისადმი ერთგულებაში — უნდა ვეძებოთ. ხომ წერს: „ვიტებსკის ქუჩებში დავედიოდი და ღმერთს ვემუდარებოდი, სამყარო ახლებურად დამანახებ-მეთქი“.

უფრო კონკრეტულად: მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ევროპის ებრაელობაში თავი იჩინა ახალმა რელიგიურ-მისტიკურმა მიმდინარეობამ — ხასიდობამ.

ხასიდი ქართულად ითარგმნება, როგორც ღვთისმოყვარული (გასული საუკუნის 90-იან წლებში ზურაბ კიკნაძემ და როსტომ ჩხეიძემ ჩინებულად თარგმნეს ხასიდური მოთხრობები). კაბალის მემკვიდრე ხასიდები გარკვეულწილად უპირისპირდებიან ძველ იუდეველთა შორის გავრცელებულ უსასობის, უნუგეშობის სულისკვეთებას, რომელიც გაფანტულობის ტიკვილოში იღებს სათავეს. ხასიდიზმი ღვთაებრიობის, ადამიანებთან დაახლოების, სიხარულის, სიყვარულის პრიმატს აღიარებს. ამდენად, ხასიდები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სიმღერას, ცეკვას, მუსიკას, ე.ი. იმას, რაც ადამიანს სიხარულს მოგვრის. იქნებ სიხარულის გზით რელიგიური ექსტაზისაკენაც კი მიდიოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ლოცვას კარნავალური ხასიათიც კი მიანიჭეს.

ვინც ისრაელში, ევროპისა თუ ამერიკის ქალაქებში ხასიდთა ქორწილს ან რაიმე მიზეზით გამართულ პურობას შესწრებია, დამეთანხმება, რომ ეს არის ერთობ წარმატცი სანახაობა, რადგან ადამიანის ლაღობა, სიხარულის ჟამს გამოვლენილი უშუალოდ ყოველთვის საამო საცქერია.

XVIII საუკუნის დასასრულისათვის — სულ რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში — ვიტებსკი, სადაც შავალი დაიბადა და იზრდებოდა, რუსეთის იმპერიაში ხასიდიზმის ერთ-ერთ ცენტრად იქცა. ასე რომ, შავალი გაიზარდა ხასიდურ გარემოცვაში. აქ უნდა ვეძებოთ სათავე იმისა, რომ მისი პერსონაჟები ცაში დაფრინავენ, ისინი სიხარულით, სიყვარულით არიან გარემოსილი, ღვთის სიყვარული სიხარულის სათავეა, სიხარულმა ცაში ფრენაც იცის. შავალის ტილოებზე ძროხებიც კი ცაში ფრენენ.

აი, აქედან გამომდინარე, ვიტებსკელი ებრაელი ვერ გაიზიარებდა, ვერ შეიმეცნებდა ფროიდის, ხოლო რაც შეეხება არაცნობიერს, რომელსაც შავალს ალიარებს, იგი ფროიდის მიგნება არ გახლავთ. არაცნობიერს მეცნიერებაში ადრეც იცნობდნენ.

**ქართველები**

საბჭოეთში ასეთი წესი იყო: კომუნისტური პარტიის წევრი ებრაელი კაცი ისრაელში რეპატრაციას თუ გადაწყვეტდა, მისი საკითხი პარტიულ ორგანიზაციას კრებაზე უნდა განეხილა. ეს კრება ლამის ინკვიზიტორთა სამსჯავროს ემსგავსებოდა. რეპატრაციის მსურველ ებრაელს საბჭოთა სამშობლოს მოლაღატედ აცხადებდნენ, იმ ადამიანად შეასახელებდნენ, რომელიც კაპიტალისტების ანკესზე წამოეგო — აჰყვა სიონისტურ პროპაგანდას, თავი მშვიდობისმოყვარე არაბი ხალხის წინააღმდეგ ომების საზარბაზნე ხორცად გამოაცხადა და ამიტომ პარტიიდან რიცხავდნენ. პარტიიდან გასვლა კი არ ფიქსირდებოდა, უნდა გაერიცხათ.

ყოველი პარტიული ებრაელი ვადიოდა ამ „ალაიაში“, საშინელი იყო, ძალიან მძიმე, მაგრამ ამ მტანჯველ პროცესს ვერავინ ასცდებოდა.

და აი, ბორის გასის ჯერიც დადგა — მას გადაეწყვიტა ისრაელს გადასვლა.

დღევანდელ თაობას ეს სახელი და გვარი, ალბათ, ბევრს არაფერს ეუბნება, მაგრამ გასული საუკუნის 50-70-იან წლებში ყოველი ქართველი (და არა მხოლოდ ქართველი) მწერალი კარგად იცნობდა ბორის გასს და ედუარდ ელიგულაშვილს. ისინი „ლიტერატურნაია გრუზია“ თანამშრომლები იყვნენ — რედაქტორის მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი. საუკუნის ამ მონაკვეთში „ლიტერატურნაია გრუზია“ თავს იდო უზარმაზარი მისია, განეგრძო ქართული მწერლობის დიდი, ტრაგიკული თაობის — პაოლო იაშვილის, ტიცვიან ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანისა და სხვათა ტრადიცია, რუსულ მწერლობასთან მეგობრობის, დაახლოების გზით ფართო ასპარეზზე გაეტანათ ქართული მწერლობა, მკითხველთა დიდი აუდიტორიისათვის გაეცნოთ ქართული პროზის, პოეზიის დიდებული ნიმუშები. „ლიტერატურნაია გრუზია“ რუსეთში შერისხულ რუს პოეტებსაც უღებდა კარს — სისტემატურად ბეჭდავდა. მეგობრობდა მათთან. იმ წლების ლიტერატურული ცხოვრების მიხედვით, საქართველოში ბოლშევიზმი არც ისე ღონიერი იყო. შერისხულ რუს პოეტებთან მეგობრულ, შემოქმედებით ურთიერთობას კი ის შედეგი მოჰქონდა, რომ „ლიტერატურნაია გრუზია“ მათთვის ამზადებდა ქართული პოეზიის პნკარედებს, ისინი კი ხალხით თარგმნიდნენ. ჟურნალის ასეთი პოზიციის განმსაზღვრელი, რასაკვირველია, ქართული დაუმორჩილებელი სულით ნასაზრდოები მისი რედაქტორები იყვნენ, თუმცა თავის როლს თამაშობდა ბორის გასისა და ედუარდ ელიგულაშვილის რუს მწერლობასთან მეგობრული დამოკიდებულება. ისინი თვითონაც თარგმნიდნენ — ქართული პროზის ნიმუშებს რუსულად გარდათქვამდნენ და ჩვენს მწერლობას ამითაც დიდ სამსახურს უწევდნენ.

და აი, როგორც უკვე გითხარით, ბორის გასმა გადაწყვიტა ისრაელს რეპატრაცია, ამიტომ მასაც უნდა გაეგლო ის საშინელი პროცედურა, ურომლისოდაც ისრაელს ვერ ელირსებოდა — ლანძღვა, ანათემა.

მწერალთა კავშირის დარბაზი ხალხით გაივსო და პარტიული კრებაც დაიწყო. ქართველი მწერლები შუბლშეკრულნი იხდნენ. ეს ჯერ კიდევ ის დრო გახლდათ — 1975 წელი — ბოლშევიკური იდეოლოგიის ადეპტები საკმაოდ ყინიად რომ დააბიჯებდნენ, ბასტიონი იმდენად მტკიცე იყო, ვინმე რომ წამომდგარიყო და ეთქვა, რა მოხდა, ხალხო, რას ჩამოგიშვიათ ცხვირი — ეგ საბჭოთა კავშირი 15 წელიწადში დაიშლება, დაიგრევა, აღარ იქნებაო, ისეთ ხარხარს ასტეხდნენ, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარეზე“ ჯდომა მონაგონი იქნებოდა. ამიტომ არაფერი უცნაურობა არ ყოფილა, რომ პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ერთობ საქმიანად დაიწყო საუბარი. კრებას მოახსენა შექმნილი სიტუაცია, აუხსნა, თუ რატომ არის პარტიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი ბორის გასის გადაწყვეტილება, და აუწყა, რომ „...არის აზრი, ამხანაგი ბორის გასი გაირიცხოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან“.

მერე მდივანმა იკითხა: „რას იტყვი, ამხანაგებო?“

— აბა, რა უნდა ვთქვათ, ნასვლა უნდა კაცს და მიდის! — ჩაილაპარაკა ვილაცამ. ვერ დავინახე, ვინ თქვა. ვგონებ, არც თვითონ უცდია თავის გამოჩენა.

სათქმელი ამოთქვა და გაჩუმდა — ახალგაზრდა არ უნდა ყოფილიყო.

ამ ანონიმურმა რეპლიკამ პარტორგანიზაციის მდივანი გაამხნევა: „ბრძანეთ, ამხანაგებო, გამოთქვით თქვენი აზრი!“ მოუწოდა დარბაზს. მას ძალიან სწადია, ვინმე გამოვიდეს, ვინმე თქვას პარტიის სათქმელი, რადგან კრების შემდეგ ოქმი უნდა დაწეროს, ეს ოქმი რაიკომში უნდა გაიგზავნოს. ოქმში მკაცრად უნდა იყოს დამგობილი კომპარტიის ყოფილი წევრის ამხ. ბ. გასის ანტისაბჭოთა საქციელი. მაგრამ მთავარი სხვა რამეც არის: ისეთი მწერლები უნდა გამოვიდნენ, რომლებსაც ავტორიტეტი აქვთ, ხალხი ანგარიშს უწევს. მდივანი პირველ რიგში მსხდომთ მიმართავს.

— გთხოვთ, ბრძანეთ!

პირველ რიგში არავინ იძვრის. ისე სხედან, თითქოს არც რამ სმენიათ.

იქით ვილაცა ალაპარაკდა, ეს კაცი პარტიის ყოველ კრებაზე გამოდის: პარტიის კურსს ისეთ მხარდაჭერას უცხადებს, როგორც ჩანს, შიში აქამდე მოჰყვა, ან იქნებ ასე მტკიცედ სწამს პარტიისა? კიდევ ვილაც გამოდის. ასე როგორ შეიძლება ამხანაგო ბორის, საბჭოეთს ლალატობ, სიონისტებს აჰყვირო.

ერთი სიტყვით, პარტორგანიზაციის მდივანს სადარდებელი არაფერი აქვს — რაიკომში გასაგზავნად კარგ ოქმს შეადგენს.

— ამხანაგო ბორის, იქნებ, თქვენ ისაუბროთ, როგორ მოხდა, რომ... — ყოველი შემთხვევისათვის კითხულობს პარტორგი.

ბორისი იწყებს საუბარს. სევდიანია, სიტყვას ლეჭავს. ლაპარაკობს საქართველოზე, ქართულ მწერლობაზე, იმ სიყვარულიან გარემოცვაზე, რომელსაც საქართველოში ვერცერთი ადამიანი ვერ აუვლის გვერდს. საუბარს წყვეტს. პარტორგანიზაციის მდივანი, კრებას მიმართავს, კიდევ ხომ არავის გნებავთ აზრის გამოთქმაო.

და იწყება გამოსვლები. გვარებს არ ჩამოვთვლი. ოქმს არ ვწერ. მას შემდეგ ლამის ორმოცი წელი გავიდა, რალა მნიშვნელობა აქვს, რა გვარის კაცი გამოვიდა და საუბრობს, თუ როგორ სწყდება გული ბოზა გასთან განშორების გამო, ყველა ქართველი კაცი იყო — ლაპარაკობდა ქართული მწერლობა. ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რაოდენი სამსახური გაუწია ბოზა გასმა ქართულ ლიტერატურას, რამდენი ჭეშმარიტი რუსი მწერალი დაუმეგობრა ქართულ პოეზიას, ათარგმნიდნენ, ეწეოდა ქართული ლიტერატურის პროპაგანდას. ტრიბუნასთან ლამის რიგი დადგეს.

მე კუთხეში ვზივარ და პარტორგანიზაციის მდივანს შეეყურებ: მშვენიერი პოეტია, ძალიან კარგი პიროვნება. ახლა, ამ წუთებში ძალიან მებრალებს. მძიმე დღეშია. კრების შემდეგ ოქმი ხომ უნდა დაწეროს?! ოქმში ხომ მკაფიოდ უნდა აისახოს, ქართველმა მწერლებმა როგორ დაგმეს ამხ. ბორის გასის გადაწყვეტი. თავზე ცა დაამხეს იმის გამო, რომ სიო-

ნისტა ანკესზე ნამოევო. აჰყვა იმპერიალისტთა ხრიკებს — საზარბაზნე ხორცად იქცია თავი. ამ კრების ამბავი რაიკომს მანამ ეცოდინება, სანამ ეს ოქმს დასწერს. ვიცი, კარგად ვიცი, პარტორგანიზაციის მდივანიც იმას ფიქრობს, რასაც ახლა მისი მეგობრები, კოლეგები ლაპარაკობენ, მაგრამ... იგი პარტორგანიზაციის მდივანია, რა ჰქნას? რას იზამს? ოქმს როგორ შეადგენს? კი, რამდენიმე კომუნისტური გამოსვლა იყო, მაგრამ ამათ ის გამოსვლები გადაფარეს. ფაქტობრივად ქართველმა მწერლებმა ბოზა გასი გულში ჩაიკრეს, მან კი უნდა დაწეროს, თუ როდენ შეუდრეკელი იყვნენ ქართველი მწერლები — და პარტიიდან ერთხმად გარიცხეს ამხ. ბ. გასი.

კრება ასეც დამთავრდა — ბ. გასისადმი დიდი თანადგომის, პატივისცემის გამოცხადებით. პარტორგანიზაციის მდივანმა კი კრების გადაწყვეტილება აუწყა ხალხს: მოქალაქე ბორის გასი გაირიცხოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან, მაგრამ ამ გადაწყვეტილებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. არ ეცალათ, ბობას ემშვიდობებოდნენ, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ. ის კი იდგა თვალცრემლიანი.

— ნეტავი მართლა გაელანძღათ, — ვფიქრობ მე, — ნეტავი მართლა გაეტარებინათ ალაიაში, ეს წასვლას გაუიოლებდა. იტყოდა: ერთი თქვენიცო, და... წავიდოდა. ახლა? ამათი მიტოვება არ გინდა? როგორ გინდა, ამ ხალხს გაეცალო!

და წავიდა ბობა!

გურამ ფანჯიკიძემ აეროპორტში გააცილა და რამდენიმე ბოთლ შამპანურს სულ ბათქაბუთი აუტეხაო, ამბობდნენ.

მას შემდეგ ლამის ორმოცი წელი გავიდა. ისრაელში ბობას დაუნერია მშვენიერი წიგნი: „მიყვარს ჩემი ამხანაგები“. ეს არის წიგნი საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორი ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობდა საქართველო, როგორი ურთიერთობა იყო ქვეყნის ქართველ და რუს პოეტებს შორის.

ამ წიგნში ასეთი ინფორმაცია ამოვიკითხე — კრების მსვლელობისას ჯანსუღ ჩარკვიანი მომიჯდა და ჩამჩურჩულა: შენთან აუცილებელი საქმე მაქვს, კრების შემდეგ არ დამეკარგო.

კრება როგორც დამთავრდა, უკვე ვიცი.

და აი, როდესაც ბობა გასი გასვლელისაკენ გაეშურა, იქ „ბიჭები“ (აღბათ, ხვდებით, რომ ეს „ბიჭები“ ქართველი მწერლები იყვნენ)დახვდნენ და ბობა საქეიფოდ გააქანეს.

წარმომიდგენია, რა სუფრა იქნებოდა, რა ქეიფი, როგორ იმღერებდა იმ ღამეს ჯანსუღ ჩარკვიანი.

არ დაგიმაღავთ: ეს სტრიქონები რომ წავიკითხე, ის სუფრაც რომ წარმოვიდგინე, ბრაზი მომერია. ჩემს თანატომელებს ვუბრაზნებოდი — იმ ებრაელ „მოღვაწეებს“, ხალხში რომ სისინებდნენ: „რა ვალი გვაქვს ებრაელებს ქართველებს“ (მე ხომ პიესა „ვალი“ ქართველთა და ებრაელთა იმ ურთიერთობამ დამაწერინა, რომელიც ბორის გასის რეპატრაციის დღეებმაც გამოავლინა). „ეს რა ვალი დავადო ბათიაშვილმა ებრაელობასაო“. ცნობად სახეებზე ვამბობ — იმათზე, „ვალის“ პოპულარობა ყელში რომ ეჩხირებოდა.

ისევ ბობა გასის რეპატრაციის მივუბრუნდეთ: მამ წავიდა და მის ცხოვრებაში საქართველოც დამთავრდა? უკან აღარ იყურებოდა? საქართველოში დატრიალებული ამბები არც არაფრად ენალეულობდა?

მის ზემოხსენებულ, ისრაელში გამოცემულ წიგნში ნაწილობრივ წერილს, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის დღეებში ისრაელიდან მოსკოვს მიუწერია თავისი მეგობარი, ცნობილი რუსი პოეტის ევგენი ევტუშენკოსადმი.

„ძვირფასო ჟენია!

ამ წერილს გულგასიებული გწერ. ორი დღის წინათ პროგრამა „ვზგლიადს“ ვუყურე. ბ. ვასილიევით აღფრთოვანებას გულისტკენის გრძნობა სცვლიდა. სხვა ვინ, თუ არა საქართველოს დიდი ხნის მეგობარი და რუსეთის სინდისი, ევგენი ევ-

ტუშენკო პირველი უნდა გამოსულიყო ქართველი კაცის, რუსებისა და „პერესტროიკის“ დასაცავად?

დილით ჯვრის მონასტერში წავედი, რათა ამ სისხლიანი კვირის მსხვერპლთა სულების მოსახსენებლად სანთელი ამენთო.

იერუსალიმში მიმავალს გზაში მაგონდებოდა ჩვენი საუბრები საქართველოზე, ქართულ საქმეებზე. ადრე გელაპარაკებოდი, თქვენს გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებულ უგუნურ პუბლიკაციებზე. ამ სტატიების ავტორები ცდილობენ სტალინის ცოდვები ქართველ ხალხზე გადაიტანონ. რასაკვირველია, მე მაშინ ვერც კი წარმოვიდგინე, თუ ყველაფერი ასეთ სახეს მიიღებდა. თუმცაღა მტკიცედ მჯეროდა, ხალხის სულში ჩაფურთხება, „გენებზე“ ცილისწამება საშიშია და უზნეობა. ყველაფერ ამასთან ერთად, ამასწინათ ერთ-ერთ საბჭოთა ჟურნალში გამოჩნდა მოთხრობა („პოვესტ“), რომელშიც უარყოფით გმირებს არც მეტი, არც ნაკლები, რუსთაველი და „გეგზისტყაოსნის“ პერსონაჟების სახელები ჰქვიათ, ამაზეც ქართული პრესის საპროტესტო წერილებიდან შევითქვე. ასეთმა ხელყოფამ ჩემი მოთმინების ფიალაც კი აავსო და გადავწყვიტე გამოემქვეყნებინა გურამ ფანჯიკიძის ღია წერილის მოკლე ვარიანტი (აქამდე ვყოყმანობდი — ეს ღია წერილი რამდენიმე თვე მედო სანერი მაგიდის უჯრაში).

საქართველოდან ჩამოსული ტურისტები ჩვენს შიშს ადასტურებენ: გვიამბობენ, მედესანტეები ქალებს თავში ნიჩბებს რომ ურტყამდნენ, დასძახოდნენ: „ეს თქვენ სტალინისათვის!“ „ეს თქვენ ბერიასათვისაო!“ აი, შედეგი იმ სტატიებისა, რომლებსაც ისინი დაეწაფნენ. ამაზე წერს გურამი.

ძვირფასო ჟენია, ძალიან გთხოვ, გემუდარები: ყველა შენი კაცური საქმეების სახელით, შენი პოეტური მიღწევების, საქართველოსადმი შენი სიყვარულის და რუსული სულის ტრადიციისადმი ერთგულების სახელით, გთხოვ, გემუდარები: თქვი შენი სიტყვა, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღანთე ადამიანთა გულები, მიეშველე დაჩაგრულებს, დღეს დაჩაგრული მხოლოდ ქართველი როდია, რუსიც. ტანკები ყოველი ჩვენგანის გულზე გადადის“.

### ელიზა

ელიზბარ ჯაველიძე ჩემი კურსელია. 1956 წლის პირველ სექტემბერს ერთად მივუსხედით მერხს თბილისის უნივერსიტეტში, ერთად დავინყეთ თურქული ენისა და ლიტერატურის შესწავლა. მრავალი კონსპექტი გვინერია ერთად, გამოცდების შედეგის მოლოდინში მრავალგზის ვდგავართ უნივერსიტეტის დერეფნებში, მრავალი სადღევრძელოც გვითქვამს, მის მშვენიერ ოჯახში არაერთი საათი გამიტარებია, ღამეც გამითევია. არ ვიცი, ეს სახელი ვინ შეარქვა — სიყვარულით, აღერსით ელიზოს ეძახდნენ, ეს სახელი, მოფერება თაობებში გადავიდა — წლების მერე თავისივე სტუდენტებიც ელიზოდ მოიხსენიებდნენ.

ერთხელ ვოროშილოვის კლუბის რესტორნიდან (იყო ასეთი რესტორანი, იქ, სადაც დღეს გრიბოედოვის თეატრი დგას. აქ რომ „ჩიჟი-პიჟის“ აკეთებდნენ, იმნაირს თბილისში ვერსად შეჭამდი) რუსთაველზე გამოსული ჩხუბშიც კი აღმოვჩნდი. უნივერსიტეტის წლების შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა.

ელიზო, ანუ ელიზბარი ჩინებული მეცნიერი გახდა — პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (სტუდენტობაშივე ეტყობოდა: ეს აუჩქარებელი, გამქირდავი მზერის ჭაბუკი სიტყვას რომ არავის შეარჩენდა, შორს წავიდოდა.) მინისტრიც იყო, რედაქტორიც, მერე პოლიტიკაში ჩაება. აქაც ეგერა: პირდაპირ მთქმელი, დაუხანებლად მოპასუხე, ტალღასავით ყალყზე შემდგარი, მაგრამ ტალღა მინაზე დაცემისთანავე იმსხვრევა, წვეთებად იშლება, ელიზბარი კი კვლავ, მყისვე ზვირთად იკვრება. ისეთი შეუპოვარია, ვერც იფიქრებ, მეგობრობაში თუ ასეთი რბილია და თბილი.

ამოდენა გზა გამოიარა, მაგრამ მეგობრობის კოდექსისთვის ზურგი არასოდეს უქცევია. უწინარესად კაცი იყო.

დღევანდელი გადასახედიდან უფრო მკაფიოდ ვარჩევ: პირველი ქართული

ოჯახი, სადაც ფეხი შევდგი და შინაურად მაგრძნობინეს თავი, სადაც ქართულ ადათ-წესს თვალი მოვაველე, ელიზბარ ჯაველიძის, უფრო სწორად, მისი დიდებული მშობლების ოჯახი გახლდათ. დედა წერეთლის ქალი- საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების ოჯახის ნაგრამი- დიდებული ქალბატონი. მამა, ძმა - მეღვინეები - შორს გახედული, გონიერი კაცები. ამათ მიმიღეს, გამიშინაურეს. რომ არა მათი ზნეკეთილობა, სულიერება, კეთილშობილება, რა რჯიდათ, ამ პროვინციიდან ჩამოსულ ებრაელ ყმანვილკაცთან, რომელმაც ბევრი, ძალიან ბევრი რამ არ იცოდა ცხოვრებისა და ღრუბლებში ყავარჯენებით დააბოტებდა, რა აკავშირებდათ!

ერთ ღამეს გვიანობამდე შევყევით, როგორც ჩანს, ერთობ შეთვრებით და ამიტომ აღარ გამიშვეს ჩემს თავგის კუდსოფლიდან ოთახში, ჰაზირას ჩიხში - რაიმე ხიფათს არ გადაეყაროსო. დილით რომ გავვიღვიძეთ, დიდ ოთახში კარგა მოზრდილი სუფრა იყო გაშლილი. მალე სტუმრებიც მობრძანდნენ. თურმე რატომ იყო გაშლილი ამოდენა სუფრა? ოჯახი ერთობ ახლო ნათესავს, თავის სისხლსა და ხორცს - გამოჩენილ მეცნიერს, რომის ისტორიის დიდებულ სპეციალისტს, გადასახლებიდან ამასწინათ დაბრუნებულ ალექსანდრე წერეთელს (1957 წლის გაზაფხული იყო) ეგებებოდა.

და კიდევ... კიდევ ერთი უცნაურობა იმ დილისა: ღვინით სავეჯ ქიქას ასწევდნენ და ერთმანეთს ომახიანად შესძახებდნენ: „ქრისტე აღსდგა!“ ჩემთვის, ქრისტიანულ სამყაროში გაუცნობიერებელი ყმანვილი კაცისთვის, ასეთი რამ სრულიად გაუგებარი იყო (მაშინ არა მხოლოდ ქრისტიანული, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი ვიყავი, იუდაიზმიც ერთობ ზედაპირულად ვიცოდი. რაბი ლოცვანს ივრითულად გვასწავლიდა. ვლოცულობდით, ე.ი. თორას ვკითხულობდით, მაგრამ არ ვიცოდით, რას ვკითხულობდით) კიდევ უფრო უცნაური იყო ის, რაც ამ შეძახილს მოსდევდა: „ჭეშმარიტად!“

ამიტომ ძლიერ დავიბენი. არ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი. ქრისტეს ამბავი, ცხადია, ვამეგო, მაგრამ ამას აქ შეკრებილ ხალხთან დღეს, გაზაფხულის ამ მშვენიერ დილას, რა კავშირი უნდა ჰქონოდა? არაფერი მესმოდა, კომკავშირული რამე-რუმეები, გიყვარდეს, ვიცოდი, ეს ალდგომის ამბები კი... ყველაფერი გაუგებარი იყო, ვერა და ვერ ვხვდებოდი, თუ რატომ იყვნენ ეს ადამიანები ესოდენ მხიარულნი, ან ამ ნითელ-ნითელ კვერცხებს რატომ ამტვრევდნენ, ალბათ უნდა ავმდგარიყავ და ნავსულიყავ, მაგრამ ამ ადამიანებთან განშორება, ნასვლა არ მენადა - ძალზე საინტერესოდ საუბრობდნენ.

მაგრამ მე დღე დღემის წინაშე აღმოვჩნდი: ცხადი იყო, შეკრების მიზეზი დღესასწაული გახლდათ, არსი ის, რასაც შესძახებდნენ: „ქრისტე აღსდგა!“ მე კი არ ვიცოდი, ამ ჩინებული საკრებულოს შეძახილზე როგორ უნდა მოვექცეულიყავი: უნდა შემეძახნა თუ არა „ჭეშმარიტად!“ ალბათ, ძალიან უმწეოდ გამოვიყურებოდი: ებრაელი ვიყავი, ებრაული ტრადიციებით გაზრდილი და არ მენადა ჩემი შეძახილით, გნებავთ, დუმილით, ებრაელი კაცის, ან თუნდაც აქ შეკრებილი ძვირფასი ადამიანებისათვის მიუღებელი, შეუფერებელი საქციელი ჩამეძინა. თუ შევძახებდი „ჭეშმარიტად!“, ვაითუ, ჩემი - იუდეველი კაცის ღირსება - შემეღაბა. ისიც ხომ შეიძლება, სტუმრებთან ვინმეს ეთქვა, „შენ ხომ იუდეველი ხარ, შენ რატომ შესძახი „ჭეშმარიტად!“ ან იქნებ ვინმე მოლრიტინე კაცი გამოერიოს და თქვას: „დაგვცინის, ნამდვილად დაგვცინის, ამათ ხომ ქრისტეს ღვთიურობა არა სწამთ!“ რა ვქნა, როგორ მოვიქცევა, მაშინ გამიელვა ერთმა აზრმა: საქართველოში რომ ანტისემიტიზმი არ ყოფილა, ქართველნი და ებრაელნი ურთიერთგაგებით, მეგობრულადაც რომ ცხოვრობდნენ ამ მიწაზე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იუდეველნი ქრისტიანებად მოიქცნენ, ან ქრისტიანნი გაიუდეველდნენ, არა, ორივემ იმით შეი-

ნარჩუნა თავისი რწმენა, ღირსება, რომ ზღვარს არ გადადიოდნენ, თავთავიანთ ღმერთს მიაგებდნენ პატივს. ამიტომ მე...

უხმოდ უნდა იჯდე, უხმოდ... უხმოდ...

იმდენად გაურკვეველ სიტუაციაში ვიყავი, წესით უნდა ავმდგარიყავ და ნამოვსულიყავ, მაგრამ ეს ადამიანები, სუფრას რომ ამშვენებდნენ, იმდენად საინტერესოდ საუბრობდნენ, გონებასა და გულში იმდენ ჩასამწყვდევ ამბებს ჰყვებოდნენ, სუფრას ვერ მოვშორდი.

თანაც ეს ნასვლაც რაღაც...

ალბათ, ერთობ საბრალობლად გამოვიყურებოდი. ელიზბარი ჩემს დაბნეულობას, ვაგლან მდგომარეობას გრძნობდა და სახეზე ცელქი, ონავარი ბავშვის ღიმილი დასთამაშებდა. მოსწონდა მე რომ ასე ვწვალობდი.

მერე მესხიერებაში წამოტივტივდა ებრაული სენტენცია „თიხით ჰამეთიმ“ მკვდრეთით ალდგომის თაობაზე და ვცდილობდი უფრო ჩავწვდომოდი ამ ადამიანებისაგან მოსმენილს, ასე საამოდ რომ უზნობდნენ თანამედროვე ქართულ რეალობასა თუ შორეულ წარსულზე იმ „თიხით ჰამეთიმის“ ეპოქას რომ აცოცხლებდა.

სალამო ხანი იყო, სოლოლაკიდან რომ დავეშვი. რამდენი საინტერესო რამ გავიგე დღეს, რა კეთილშობილი ადამიანები იყვნენ. ხვალ დილით საჯაროში უნდა წავიდე.

მოვდიოდი და ელიზბარის ონავრული ღიმილი თან მომდევდა.

### დროთა კავშირი, ანუ მილიარდერი ლაუდერი და იოჰანან ბნე ზაქანია

მსოფლიოს ებრაულ სამყაროში რონალდ ლაუდერს კარგად იცნობენ. ებრაულ სამყაროში-მეთქი, ვამბობ, თორემ კოსმეტიკის იმპერიის შემქმნელის - ესთი ლაუდერის - შვილი, რომელმაც მშობლებისაგან მილიარდობით შემკვიდრება მიიღო, ცხადია, საკმაოდ ცნობილი, ანგარიშგასანვეი პიროვნებაა, თუნდაც იმის გამო, რომ იგი გახლავთ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი. გასული საუკუნის 80-იან წლებში ავსტრიაში აშშ ელჩი იყო. ელჩობისას მამაცური აქტი ჩაიღვინა: გამოააშკარავა ავსტრიის იმდროინდელი პრეზიდენტის ნამდვილი სახე - აშშ ელჩმა ისე შეისწავლა ავსტრიის პრეზიდენტის ცხოვრების ყოველი მონაკვეთი, რომ მსოფლიოს დაანახა: პრეზიდენტი ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობდა, ამიტომაც არ ჰქონდა უფლება პრეზიდენტი ყოფილიყო. ლაუდერმა მიზანს მიაღწია - ფაშისტს შეამხანაგებული პრეზიდენტი გადადგა თუ გადააყენეს კიდევ.

ასე რომ, მილიარდერობა მისი ერთადერთი ღირსება არ გახლავთ. მამაცია, გამჭრიახი. ალბათ, გასაგებია, რატომაც მივიჩნევ მას საკმაოდ ანგარიშგასანვე პიროვნებად.

მაგრამ მე ამ ადამიანისა სულ სხვა რამ მშურს:

1987 წელს მშობლების მშობლიურ ქალაქ ბუდაპეშტში ებრაული სკოლა-გიმნაზია შექმნა. მერე ასეთი სკოლა-გიმნაზიები მსოფლიოს სხვა ქალაქებშიც ჩამოაყალიბა. 25 წელიწადზე მეტია ბუდაპეშტში ამ უზარმაზარ სკოლას ინახავს, ასაზრდოებს. დღეს ამ სკოლა-გიმნაზიაში 600 ბავშვი სწავლობს. „ლაუდერი-იანე. ბუდაპეშტი“ ასე ჰქვია მას, ასევეა სხვა ქალაქებშიც „ლაუდერი-იანე. ვენა“ და ა.შ. ამ სკოლა-გიმნაზიებში აღზრდილნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რეფორმისტ და ორთოდოქს რაბინებად, მეცნიერებად, პედაგოგებად გვევლინებიან.

ჩემი ყურადღება ამ სკოლის ემბლემა მიიქცია: ემბლემა სხვადასხვა, ორ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ განზომილებაშია გააზრებული. ამ ორ განზომილებას ერთმანეთისაგან აცალკევებს (შესაძლოა, აერთიანებდეს კიდევც). წარწერა: „ლაუდერი-იანე. ბუდაპეშტი“. ერთი განზომილება მიწისქვეშეთია, უფრო სწორად, მიწის სიღრმისაკენ მიქცეული ხის ფესვები. მეორე - მიწის ზემოთაა: მოდელირებული მენორა - ებრაული შანდალი, შვიდი სასანთლე. მენორა შუქს, სხივს ნიშნავს. მე-

ნორაც ისეთივე მოდელირებულია, როგორც მინის სიღრმეში ნასული ფესვები და, მიუხედავად იმისა, რომ ორი განზომილება წარწერითაა გადაჭრილი, ერთმანეთისაგან განცალკევებული, მაინც ერთ მთლიანობაში აღიქმება. ეგ არის, რომ ზედა ნაწილი — სხივი, შუქი მაინც ნაყოფით დაზუნძლული ხის ასოციაციას ქმნის — გასაგებია, რისი თქმა ენადა ავტორს: ის, რაც ცოდნით, განათლებით საზრდოობს, დიდი ნაყოფის მომცემია.

იავნე? სიტყვა იავნე რაღა შუაშია?

აი, აქ დავინახე ლაუდერის ერთობ კეთილშობილური, შორსმომავალი მიზანი. დავინახე ის, რისთვისაც მან ეს სკოლა-გიმნაზიები შექმნა. საყოველთაოდ ცნობილია: სკოლები ახალგაზრდობის აღზრდის, ახალი თაობის განათლებისათვის იქმნება. სიტყვა იავნე რაღა შუაშია?

პანია ისტორიული ექსკურსია:

ჯერ კიდევ ჩვენს ნელთალრიცხვამდე რომმა იერუსალიმი რომ დაიპყრო, ებრაულ ეროვნულ ღირებულებათა მსხვერველი მოინადინა. მოინდომა ებრაელებს არა მხოლოდ რწმენაზე ეთქვათ უარი, ეროვნულ ტრადიციებზეც, რომელიც რწმენასთან გახლდათ დაკავშირებული. ებრაელი ხალხი ამას არ ეპუებოდა. მომხდურს ებრძოდა, იღვრებოდა სისხლი მტრისა, იღვრებოდა სისხლი სამშობლოს, რწმენის ერთგული ხალხისა. იერუსალიმსა და მის შემოგარენში — მთელს იუდეაში სწორედ ამ ეპოქაში აღიმართა ჯვრები, რომლებზეც ურჩ იუდეველთ აკრავდნენ.

და დაიწყო იუდეველთა აჯანყება, ისტორიაში იუდეველთა ომის სახელით რომ შევიდა. რომის სარდალმა — ვესპასიანემ იერუსალიმს ალყა შემოარტყა. ენადა შიმშილით, წყურვილით მოემთო ურჩი ზელოტები. ზელოტებმა კი იმისათვის, რომ ხალხს ერთიანობა, ძალა შეენარჩუნებინა, იერუსალიმის ყველა კარიბჭე ჩარაზეს, რათა ქალაქიდან არავინ გასულიყო, ყველა მტერს უნდა შეებოდა, ასე უნდა გაემარჯვებოდა, ან დახოცილიყვნენ. მიცვალებულსაც კი ქალაქის კარიბჭემდე მიაცილებდნენ, იქ ერთი ადამიანი მოიგდებდა ზურგზე, ქალაქგარეთ დაასაფლავებდა და უკან ბრუნდებოდა.

ამ დროს, ალბათ, მიხვდი, ძვირფასო მკითხველო, რომ ახალი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნეა, 40-იანი წლების მეორე ნახევარი, იერუსალიმში ცხოვრობდა მორჭმული რაბი იოჰანან ბენ ზაქაია—კაცი ფრიად განსწავლული, შორსგამხედველი, იუდაისტური ცოდნით დაყურსული. იოჰანან ბენ ზაქაია სჭვრეტდა, რომ აჯანყება ხვალ თუ ზეგ დამარცხდებოდა, იერუსალიმი დიდხანს ვერ გაუძლებდა ალყას, მითუმეტეს, ზელოტინც არ იყვნენ ერთიანნი — ხშირად ერთმანეთის სისხლსაც ღვრიდნენ.

ერთ დღეს იერუსალიმს აუწყეს, იოჰანან ბენ ზაქაია გარდაიცვალაო. ცხადია, ხალხმა დიდი რაბი, დიდი მოძღვარი იგლოვა. ნაშუადღევს კი უკანასკნელ გზას გაუყენეს. ქალაქის ერთ-ერთ კარიბჭემდე მიაცილეს. აქ კი თავისსავე ძმისშვილმა — ზელოტთა ერთ-ერთი რაზმის მეთაურმა — მხარზე მოიგდო, რათა ქალაქიდან გაეყვანა და მიწისათვის მიეზარებინა. თვალს მიეფარნენ თუ არა, „მიცვალებული“ ბენ ზაქაია ფეხზე დადგა, ძმისშვილს საიდუმლოს შენახვისათვის მადლობა მოახსენა და ჩანაფიქრის აღსასრულებლად გაემურა. ვესპასიანეს კარავი არცთუ შორს გაეშალა. რაბი მტრის სარდალს წარუდგა. ვესპასიანემ კარგად იცოდა იოჰანან ბენ ზაქაიას ფასი და ღირსეულად მიიღო, მოუსმინა. აი, რა ენადა, რისთვის მოვიდა დიდი მოძღვარი მტრის სარდალთან: ალყა თრგუნავს ქალაქს. ნება მომეცი, ნავიდე ქალაქ იავნეში, იქ გავხსნა სკოლა, სადაც ყმანვილებს ენას, ღვთის მიერ ბოძებულ მცნებებს, მათს არსს, ჩვენი რწმენის საფუძვლებს, ტრადიციებს შევასწავლი.

რომის სარდალ ვესპასიანესათვის იუდაიზმს, ებრაულ ტრადიციებს ის ფასი ედო, რაც ხიდან ჩამოვარდნილ ფოთოლს. იუდეველთა ომის ფონზე ეს საკითხი იმდენად უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა, თანაც იმდენად ღირსეული პიროვნება სთხოვდა სკოლის გახსნას, იოჰანან ბენ ზაქაია არ გაანბილა — უმალ ნება დართო ნასულიყო იავნეში და ის ეკეთებინა, რაც ასე ენადა.

იოჰანან ბენ ზაქაია იავნეს გაემურა, შექმნა სკოლა, მოიზიდა ახალგაზრდები.

იერუსალიმმა კიდევ რამდენიმე თვე გაუძლო ალყას — ზელოტთა შორის განხეთქილებამ, უწყობობამ, შიმშილმა ქალაქს ძალა გამოაცალა. რომაელებს მაინც თავგანწირვით ებრძოდნენ. ზელოტთა მამაცობით, თავდაუზოგავობით გამხეცებულმა რომაელებმა სწორედ ამ დროს გადაწვეს სოლომონისეული ტაძარი ღვთისა. იერუსალიმი კი გააცამტვერეს. ისტორიკოსი ნერს, იერუსალიმი გადახსნეს, ნაქალაქარზე ტურა ჩხაოდაო. სახელიც კი წარიხოცა მისი.

იავნეში რა ხდებოდა?

რაბი იოჰანან ბენ ზაქაიამ იავნე ცოდნის სავანედ აქცია. ამ სკოლაში დიდი სწავლულები აღიზარდნენ. მისმა მოწაფეებმა შეინახეს ენა, ტრადიციები, კულტურა. ამით დავგანახეს: თუ არის ცოდნა, კულტურა, ტრადიციები, არის ერი. ე.ი. არსებობს ხალხი — რაბის მიერ დაარსებულმა სკოლამ ნაღვერდლამო მოქცეული მუგუზალივით შეინახა ერის სულიერება — გადაარჩინა ერის მომავალი.

ალბათ, ხვდები, ძვირფასო მკითხველო, ლაუდერმა თუ რა ფუნქცია დააკისრა სიტყვას იავნე. ამ სკოლა-გიმნაზიამ დიასპორის ებრაელობაში უნდა ააღორძინოს ეროვნული ცნობიერება. ეროვნულ ცნობიერებას კი ვერაფრით ვერ ეზიარები, თუ კარგად არ შეისწავლი იმას, რაც წინაპრებს უკეთებიათ.

აი, ეს მშურს ამ მაღალ-მაღალი, დინჯად, თავის თავში დარწმუნებული კაცის ნაბიჯებით მოსიარულე მილიარდერი როლანდ ლაუდერისა, რომელიც ჩემი დროის იოჰანან ბენ ზაქაიად მივიჩნევი. არის კიდევ.

„აი, ჩვენი ეს არის!“

კარგა ორმოცი წლის წინანდელ ამბავს ვიამბობთ: ქართველ მწერალთა ჯგუფი თურქეთს გაემგზავრა. ახალგაზრდა ვიყავი, თურქ მწერალთა მოთხრობებს ვთარგმნიდი. სწორედ ამიტომ ჩინებულ ქართველ მწერალთა გვერდით — ტურისტთა ჯგუფში მეც მოვხვდი. იოსებ ნონეშვილი, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, ფრიდონ ხალვაში, კარლო კალაძე, ბესო ჟღენტი — ზოგი ამათვანი მეუღლესთან ერთად. სხვებიც იყვნენ. იმ სხვათა შორის მეც გახლდით.

ერთ მშვენიერ დღეს ეროვნულ მუზეუმში „თოფ ქაფიში“ მიგვიყვანეს. გიდი სიამაყით გვიამბობდა ოსმალთა სამხედრო ძლიერებაზე, იმაზე, თუ რა დიდებას მიაღწია ოსმალეთის არმიამ, როგორ მოინადირა სახელმწიფოები. გვაჩვენებდა სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილ სამხედრო ხელოვნების ძვირფას ნიმუშებს. ოსმალთა მიერ დათარგუნულ ქვეყნებს შორის, ცხადია, საქართველოც მოიაზრებოდა, ამიტომ გიდის საუბარი გვაღიზიანებდა, თუმცაღა საქართველოდან მიტაცებული არაფერი უჩვენებია.

კარლო კალაძის მეუღლემ — ხელოვნებათმცოდნე გულნარა ჯაფარიძემ — ეს გაღიზიანება ვერ დამალა და გიდს გამომწვევად ჰკითხა:

— თქვენ აქ სულ მიტაცებულ, ჩამოტანილ ნიმუშებს გვაჩვენებთ. თქვენი? თქვენი რა გაქვთ ისეთი, რომ გვაჩვენოთ?

გიდმა ქ-ნ გულნარას გადახედა, აათვალთვალა და ხმადაბლა თქვა, ცოტა ხანი მადროკეთო.

მუზეუმის დათვალაიერება გაგრძელდა. რამდენიმე დარბაზი რომ მოვიხილეთ, გიდმა მიმოიხედა: „ვიღაც მეკითხებოდა, თქვენი, თურქული რა გაქვთ, რას გვაჩვენებთო“.

მე გკითხეთო, გამომწვევად ბრძანა ქ-მა გულნარა ჯაფარიძემ.

— აი, ჩვენი ეს არის! — ხმადაბლა თქვა გიდმა და შუშის კარადაში ყვითლად მოელვარე უზარმაზარ ხმაღზე მიგვითითა. უკვე გითხარით, მას შემდეგ ორმოც წელზე მეტი გავიდა, იმ ხმლის ელვარება დღესაც თვალს მჭრის.



**უანოობა და ღიმილი**

ერთი თვის განმავლობაში ორმა ბიუსტმა სხვადასხვა გრძნობა აღმიძრა. ერთმა წამიერი აღშფოთება მომგვარა, მეორემ — ღიმილი. აღშფოთება უმაღლესი უმწეობის გრძნობამ შეცვალა:

მწერალთა სახლის ჩარაზული კარი მწერლებისთვის რომ გააღეს, მისი მონატრებული დარბაზები აუჩქარებლად, ნება-ნება მოვიარე. ამ მოხილვისას ვისი ხმა არ ჩამესმოდა ყურში, რა სურათი არ დამიდგა თვალწინ. ცხადია, ეს წუთები მღელვარე გახლდათ.

მერე ბალისაკენ გავეშურე. ბალამდე კი აივანია თუ მოზაიკური ფილებით მოფენილი ბანი. წვიმდა. ბაღში გასვლამდე მოაჯირთან, კუთხეში ქვის დიდი მასა ეგდო. მივუახლოვდი. კარგად დავაკვირდი და ქვაში გამოკვეთილი გალაკტიონი შევიცანი. ეს ბიუსტი ხომ ყოფილი კომკავშირის ცეკას ეზოში იდგა, გალაკტიონი აქედან გაჰყურებდა ახმაურებულ თბილისს. გადმოუგდიათ. „წართმეულია, ჩამორთმეული თუ რა-ღაც ამგვარი, — მწერალთა სახლი მაინც ეგ არი, გალაკტიონი აქ იყო, მსახურობდა კიდეც, მოუვლიანო“ — და აქ მოუტანიათ. კართან კი დაცვა იდგა, არ უშვებდნენ, ეგ კაცი ვინ არის, აქ რა ესაქმებაო.

აჰა, ახლა აქ არის. მგოსანი მოზაიკურ ფილაზე თავქვე გდია და რაღაცას ბუტბუტებს. აწვიმს. გადმოვაბრუნო? ვინმეს მოვიხმარ, გადმოვაბრუნებ, შემსვლელ-გამომსვლელს მაინც მოავლემს თვალს. მაგრამ ვაითუ გადმოვბრუნებისას რაღაც შემოვამსხვრიოთ, რაღაც დავაზიანოთ. არა, ეგრე ხელის ხლება არ იქნება. ვაითუ, ვაითუ...

უმწეობის გრძნობა დამეუფლა: მწერალთა სახლის ეზოში, მოზაიკის ფილაქანზე გალაკტიონი პირდაღმა გდია... ასე მგონია, გალაკტიონის მოჭრილი თავი გდია ... გალაკტიონის მოჭრილი თავი დასცქერის მოზაიკურ ფილებს, დასცქერის და ბუტბუტებს. ნეტავ რას ამბობს? ნეტავ რას... არაფერი მესმის მაგრამ... ჩვენზე, ჩვენს დროზე, აი, ამ ადამიანებზე, ვინც აქ ტრიალებენ, კარგს რომ არ იტყვის, ცხადია... არც უნდა თქვას. ალბათ, არა, არ იტყვის...

პირქვე დამხოზილი გალაკტიონის თავი...

სულ რაღაც ორი-სამი კვირის შემდეგ ბუდაპეშტის ქუჩებში ხეტილისას ძველმანების მალაზიას გადავანყდი. შევედი. სოციალისტური უნგრეთისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები გასაყიდად გახლდათ გამოფენილი. სოციალისტური უნგრეთი დღევანდელი უნგრეთისათვის უკვე ძველმანია. მწკრივში ვ. ი. ლენინის ბიუსტი იდგა. გამყიდველს გვითხე რა ღირს-მეთქი (მაინტერესებდა, რა ფასი ედო ამ ძველმანს). ხელი აიქნია, რას მეკითხები, მაინც არ იყიდო. რატომღაც ლენინს თავზე თითი მოვუსვი. მტვერი არ ედო. როგორც ჩანს, ხშირად წმენდნენ. არადა, რა ყინჩად დგას ეს სულწაყმედილი, თითქოს სულ რძე და თაფლი ამოსდიოდა პირიდან. თავსაც კარგად გრძნობს. არც აწვიმს, არც მზე აწუხებს.

ის იქ პირდაღმა გდია, მოზაიკას დასცქერის და რაღაცას ბუტბუტებს... აწვიმს.

ამას კი, ასე ყინჩად რომ დგას, კვირაში სამჯერ მაინც უსვამენ სუფთა ტილოს, მტვერიც კი არ დასდებია.

ყველაფერს ბედი უნდა!

**მტრადევი და ტინტორეტო**

ვენეციაში, წმინდა მარკოზის მოედანზე, უამრავი მტრედი დაგოგმანობს. უამრავი-მეთქი, რომ ვამბობ, განა ორასი, გინა ხუთასი მყავს მხედველობაში, ათასობით. სწორედ ასეა: დოჟების სასახლის ქონგურები, კარნიზები... სვეტები მტრედებითაა სავსე. ხალხის გნასს მტრედების ლულუნიც ერთვის... ვგონებ, სჯაბნის კიდეც... მოედანზე ხომ დაგოგ-

მანებენ და დაგოგმანებენ. აფრინდებიან, ჰაერში ორ-სამ წრეს დაუვლიან, აბა, იქ რა საზრდოს იპოვიან და ისევე ქვაფენილზე ეშვებიან... ძალიან ბევრია, მეტისმეტად ბევრი... ფრთხილად უნდა იარო, რომ ამ გაზარმაცებულ მტრედებს ფეხი არ დააბიჯო. თვითონ ამოედენა ხალხს აინუნშიც არ აგდებენ. როგორც ჩანს, შიში რა არის, არც იციან. ამოედენა, ზღვა ხალხში ისე უდარდელად დააბოტებენ, არა-რა შიში არა აქვთ.

რას იქმდა ამის მხილველი ვინმე ჯოვანი თუ პაოლო? იჯდა, შეჰყურებდა ჰაერში მოფარფავთე თუ ქვაფენილზე მობატბატე მტრედებს, შეჰყურებდა ამ ზღვა ხალხს და...

იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა:

— ამ მტრედებსაც ხომ აქვთ კუჭი, ტურისტებს კი ეგზოტიკა უნდათ. საიდან არ ჩამოდიან ამ ეგზოტიკისათვის, რაოდენ ფულს არ ფლანგავენ... ყოველი ჩამოსული ჯერ წმ. მარკოზის მოედანზე მოდის... იქით — ორი-სამი გაჩერების წინ, გადმოდიან სამდინარო ტროლეიბუსიდან თუ ტრამვაიდან და აქვთ მოეშურებიან. მთავარი მიზანი ამ მოედანზე მოსვლაა, ნავშიც აქ სხდებიან.

არის! ჯოვანიმაც, პაოლომაც მოიფიქრეს მტრედების დაპურებისა თუ მტრედებისა და ტურისტების ურთიერთობის ახალი ფორმა: პატარა პარკში მოაქციეს 100-150 გრამი მოხარული სიმინდი, პარკზე წაანერეს: „გსურთ მტრედები ასადილოთ?“

როგორ არა! ისლანდიიდან თუ რუსეთიდან, პოლონეთიდან თუ საქართველოდან ჩასულ ტურისტთაგან თითქმის ყველას სურს ვენეციაში, წმ. მარკოზის მოედანზე ასადილოს მტრედები. აბა, ვინ დაიშურებს 3-4 ევროს: ყიდულობს ორიოდე პარკ მოხარულ სიმინდს, იყრის ხელისგულზე, დგება ისე, როგორც აი, ის ფრანგი, აი ის ზელანდიელი, ის ბერძენი ტურისტი დგას, ხელს მალა აიშვერს და... მტრედი მოფრინდება, უსათუოდ მოფრინდება მტრედი, ხელისგულზე დაასკუპდება და იწყებს სიმინდის კენკვას. ტურისტი კმაყოფილია, ბედნიერებამდე კი ერთი რამ აკლია, ერთი უბრალო რამ — ვილაცას თავის ფოტოაპარატს ფრთხილად, უხმაუროდ აწვდის და ჩურჩულით (სადილობით გართული მტრედი არ დააფრთხოს) ეუბნება: ძმობილო, ერთი, თუ კაცი ხარ, სურათი გადამიღე, ჩემიანებმა ნახონ, ვენეციაში მტრედს როგორ ვასადილებო.

მტრედი კი უკვე დანაყრდა და გაფრინდა. ეგ არაფერი, ის გაფრინდა, სხვა მოფრინდება! აჰა, მოფრინდა კიდეც, ამათ რა გამოლევს! შენ ოღონდ ხელისგულზე სიმინდი დაიყარე, ხელი გაიშვირე და ამათ რა გამოლევს!

თუ ვიტყვი, რომ პაოლოსა და ჯოვანის წამოწყებამ გაამართლა — წმ. პეტრეს მოედანზე ყველა მტრედი დაპურებულია-მეთქი, ერთიცა და მეორეც მართლა კეთილ ანგელოზებად წარმოვიდგებებიან, მაგრამ თუ ვიკითხავ, დღეში რამდენი კილო სიმინდი, პარკების გასაკეთებლად რამდენი მეტრი ცელოფანია საჭირო, რომ ამ ეგზოტიკის მოყვარული, ნატრული ხალხის სურვილი დააკმაყოფილო, დარწმუნდები; ჯოვანიცა და პაოლოც ჩინებული, მიხვედრილი ნვრილი მენარმეები არიან. მათ კარგი ბიზნესი მოიფიქრეს. ამიტომ გვიან საღამოს, როცა ტურისტები ნავებში ჩასხდომას ამჯობინებენ და წმ. მარკოზის მოედანზე ხალხი შეთხელდება, კმაყოფილნი მიეშურებიან შინსაკენ.

ტურისტი? მტრედები რომ დააპურა, დოჟების სასახლეში შევიდა — ისიც ხომ უნდა მიმოიხილოს, მაგრამ იმდენად კმაყოფილია მტრედების დაპურებით, სულ ფოტოაპარატში იმზირება — სურს კიდევ ერთხელ შეავლოს თვალი, თუ როგორ ასადილებს მტრედებს. ამიტომ, მხოლოდ ამიტომ ვერ შეამჩნია, დოჟების სასახლეში, სწორედ წმ. მარკოზის მოედნის მხარეს, რომ ტინტორეტოა გამოფენილი. ის რომ ტინტორეტოს მიუახლოვდა, ფოტოაპარატს ჩასცქეროდა.

გაიარა. ნავიდა. ტინტორეტო კი ადგილზე დარჩა.

ელგუჯა თავბერიძე

# ამაზონის თუთიყუში

ოთხმოც წლამდე, თითქმის იმდენივეს ცოცხლობს ამაზონის თუთიყუში, რამდენსაც ადამიანი, — საჟურნალო ინფორმაციას კითხულობს დიმიტრი უჩანეიშვილის პიესის „არჩი და ქეთ“ („ჩვენი მწერლობა“, 2013, №11) პერსონაჟი არჩი. ვეფხვი — ამდენს, ლომი — ამდენს, კატა ამდენს, ცხენი ამდენს, აგრძელებს კითხვას და ამით გვიჩვენებს სიცოცხლის ხანგრძლივობის აბსურდულობას. გამოდის, ხანიერებას სულაც არ ჰქონია მნიშვნელობა. მთავარია, იმ დროში, სანუთროს რომ დაუნესებია, რას შექმნი, რას მოასწრებ, თორემ უამისოდ უაზროა ყოველივე.



პიესაში ცხოვრების აბსურდულობა პერსონაჟთა დიალოგით იხატება. ერთი ამბობს, მეორე უდასტურებს იმავეს, მაგრამ ეს აზრობრივი თანხმობა კი არა, უფრო დაშორებაა, დაცილებაა. ვთქვათ, არჩი ეუბნება ქეთს — არ მინდა შენგან წასვლაო; ქეთი პასუხობს: არ მინდა, რომ წახვიდეო. რა გამოდის, ერთად ყოფნა კი არ სწყურიათ, უერთმანეთოდ არსებობა კომმარად კი არ გადაქცევიათ, ერთს წასვლა არ უნდა და მეორესაც არ უნდა, რომ წავიდე. თუ ამას იმისგან წასვლა არ სურს, და პირიქით, იმასაც იგივე სწადია, ერთად ყოფილან და ეგაა, მაგრამ ამ ფრაზებით საპირისპირო იხატება. ერთი და იმავეს თქმით იქმნება სანინააღმდეგოს შთაბეჭდილება, ანუ აბსურდულობა ყოფილია. უფრო თვალსაჩინოა იგივე სხვა დიალოგებში:

„არჩი: შენ ლამაზი ხარ.

ქეთ: მე შენთან ვარ.

არჩი: ყველაზე ლამაზი.

ქეთ: სულ შენთან ვიქნები“.

ერთი რასაც ამბობს, მეორე ლოგიკურად არ პასუხობს, არამარტო კითხვა მოითხოვს პასუხს, არამედ ნათქვამიც — დადასტურებას, უარყოფას ან განგრძობა-გავრცელებას, ანუ ის სხვაგანაა, ეს სხვაგან. ერთის ნათქვამის აზრობრივი გაგრძელება არ ხდება. დეტექტივთა საუბარიც გავიხსენოთ:

„პირველი დეტექტივი: აქ არ ისხდებოდნენ, ნაკვალევი არ ჩანს.

მეორე დეტექტივი: ბალახი ახალი გათიბულია, დაბალ ბალახს კი ნაკვალევი არ ემჩნევა.

პირველი დეტექტივი: (ისევ იმ ადგილზე მიანიშნებს) გეუბნები, აქ არ ისხდებოდნენ-მეთქი!

მეორე დეტექტივი: შესაძლოა, მაგრამ შეიძლება სხვაგანაც“.

ესეც აბსურდი — ბოლო ფრაზა — შეიძლება და შესაძლოა — ყველაფერს გადაუსვამს ხაზს, შეიძლება ისეც, ასეც, აქაც, იქაც მსხდარიყვნენ, იქვეც ყოფილიყვნენ და სხვაგანაც, საბოლოოდ — არასად.

დეტექტივები არჩის და ქეთის ჯერ მისდევენ, მერე არჩიმ თხუთმეტწლიანი სასჯელი რომ მოიხადა, უთვალთვალდებენ. თუმცა პიესა უსიუფეტოა, თითქმის ამბის გარეშე იხატება პერსონაჟთა აბსურდული ყოფიერება:

„პირველი დეტექტივი: (ხაზგასმით) ეს არის თვალთვალი.

მეორე დეტექტივი: შესაძლოა დანაშაული არც ჩაიდინოს.

პირველი დეტექტივი: მაგას მნიშვნელობა არ აქვს. დარწმუნებულიც რომ ვიყოთ მის მომავალ უდანაშაულობაში, მაინც უნდა ვუთვალთვალოთ.

მეორე დეტექტივი: მაშასადამე, დანაშაული ჩადენილი რომ არ ჰქონოდა, მაინც ვუთვალთვალდებით.

პირველი დეტექტივი: სწორედაც. ჩვენ ვუთვალთვალდებთ და მან ეს უნდა იცოდეს...“

პიესის დედააზრი პერსონაჟის ერთ ფრაზაში იკითხება:

თითქოს ერთხელ უკვე ვიცხოვრეთ — ამბობს იგი და ამით გვიჩვენებს, რომ ახალი არაფერი მომხდარა მათ ცხოვრებაში, ორნი იყვნენ, სამნი გახდნენ, უშინაარსოდ, უაზროდ ყოფნა გაგრძელდა. იცხოვრეს, გაიმეორეს სხვათაგან გათელილი გზა და მივიდნენ ფინიშამდე.

პიესის ფინალში პერსონაჟის მოქმედება სიმბოლურ დატვირთვას იძენს: არჩი დგება, მიდის გაჩუქურასთან, ანთებს ქურას, დგამს ჩაიდანს, მერე ჩაიდანს სტვენას რომ დაიწყებს, აქრობს, წყალს ასხამს ჭიქაში, სვამს, მერე ცივდება წყალი და ისევ იმავეს იმეორებს რამდენჯერმე. მათ ცხოვრებაც ასე გაიმეორეს, თავისი არაფერი ჰქონდათ და ამიტომაც ეჩვენებოდათ, ერთხელ თითქოს უკვე ვიცხოვრეთო.

ყოფნის უაზრობის აღმნიშვნელი ნაცრისფერიც შემთხვევით არ ჩნდება ტექსტში: „ალარაფერია ხელმოსაკიდი. ყველაფერი

განაცრისფრდა, ფოთოლი, ქვა, წყალი, მზე, ყველაფერი, რაც შეუქმნია ბუნებას ან ადამიანს. თვით ადამიანიც. ყველა. ის, ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება. ველარ ვხედავ სახეებს, განმასხვავებელ ნიშნებს, მეჭყქს ლოყაზე, მელოტ თავს ან ჩამოცვენილ კბილებს. ალარავინ არის სანდომიანი, არც ულამაზოა ვინმე. ალარ არის სიახლოვე, სითბო და თანგრძნობა. არ არსებობენ ნათესავები, ოჯახის წევრები, მეგობრები, არც თანამემამულენი, არ არიან ნაცნობები და უცნობები. ალარავინ არის. ყველა ადამიანი ერთია, ყველა ადამიანი უცხოა. მე ვარ უცხო, ნებისმიერი სხვა ადამიანი და ის უცხო არის ასევე ნებისმიერი ადამიანი და ა.შ. ალარ აქვს მნიშვნელობა, იყო, არის თუ იქნება ვინმე, იყო აქ თუ იყო შორს. ალარ აქვს ფასი სურვილებსა და ოცნებებს, ნამოქმედარსა და დაგეგმილს, რადგან ეს ყველაფერი ერთია და მასთან ერთად ერთია ადამიანიც. არა კაცთმოყვარეობა, არა ეგოიზმი. მხოლოდ ყოფა წამით.“

ის, რის გამოც ადამიანს ადამიანი ჰქვია, ცხოვრებას კიდევ ცხოვრება, მიზანს მიზანი და ასე დაუსრულებლად, ქეთისთვის უაზრობად გადაქცეულა, ყველასა და ყველაფერს დაუკარგავს საზრისი. თვითონაც უცხოა, სხვებიც უცხონი. ადამიანებს ინდივიდუალურობა, საზოგადოებას გამორჩეულობა ალარ ეტყობა. ყველა იმეორებს იმას, რაც იყო, განმასხვავებელი ალარაფერი დარჩენილა. და რა აზრი აქვს, რამდენს იცოცხლებ?! ამაზონის თუთიყუში ოთხმოც წელს, დაახლოებით იმდენივეს, რამდენსაც ადამიანი ცოცხლობს, ცოცხლობს, მაგრამ მერე რა? სხვათა ხმებს იმეორებს, ყველაზე წყალუხვი მდინარის სტეპებში ადამიანი იშვიათად იქნება (მით უფრო ისეთი, რომ იყვიროს, თუნდაც იხმაუროს), მაგრამ ფრინველნადირთა ხმების წამოძახებაში განლევს წუთისოფელს.

„არჩი და ქეთ“-ის პერსონაჟებსაც ასე დაემართათ, აბსურდული ყოფიერება მოირგეს, „ინერციით“, „დაძრული მატარებელივით“ გალიეს დრო, ქმნეს ის, რაც სხვებს უკვე მანამდე გაეკეთებინათ. ერთი სიტყვით, გაამაზონთუთიყუშდნენ, მაგარი ყოფილა ამაზონის თუთიყუში. ოთხმოცი წელი არც ისე მცირე დროა, მითუმეტეს, შენი დღე და მოსწრება სხვათა ხმებს თუ იმეორებს.

# სემინარი ბრძელდება... ამჯერად — „ღირსება“



**თონა ფანჩულიძე**  
(ბაკალავრიატი — III კურსი)

— კარგად ისტავლე ბებია, გლახას არაფერს გადაეყარო, თავი არ მოგვჭრა ხალხში, — ასე მარიგებს ბებია ხშირად.

ჩემი ბებია ოთხმოცდახუთი წლის ქალია და მისთვის ოჯახის ღირსება პირველ ადგილზე დგას. დიდი იმედი აქვს, რომ მის „ნასტავლ“ შვილიშვილს ვინმე „კარგი კაცი ნაიყვანს“ ცოლად. აი, ესაა ბებიასათვის მთავარი. პატიოსანი ოჯახის შვილი, სადაც არც ქურდი

ყოფილა ვინმე და არც უზნეო, არ უნდა, ვინმე უბირს ჩაუგდოს ხელში. ოჯახში კარგი სიძის შემოსვლის საწინდრად კი ბებიას კარგად სწავლა მიაჩნია.

მის ნათქვამზე, რა თქმა უნდა, მეღიშება, მაგრამ ამას მაინც იმდენჯერ მიმეორებს, რამდენჯერაც წნევას ვუზომავ. ანუ დაახლოებით შვიდი-რვაჯერ დღის განმავლობაში. თან აღშფოთებული მეუბნება.

— ამ ტელევიზორში სად მეიყარა ამდენმა ოხერმა ხალხმა ერთად თავი? ჩემ დროს სად იყო ასე! — და დასაძინებლად მიდის. რა თქმა უნდა, ისევე მმოდვრავს:

— ნაპირ-ნაპირ იარე ბებია, ათასი გადარეული დადის ქალაქში. არ დაგვლუპო, არაფერი დაგემართოს. — იცის, მეორე დღეს რომ მივდივარ და თავლები ცრემლით ევსება. ყოველთვის ჰგონია, რომ უკანასკნელად მხედავს, ამიტომ მიმიძიმს მასთან დამშვიდობება.

ახლაც ასე მოხდა, გულაჩუყებული დავემშვიდობე და წამოვედი. ნელა მივუყვებოდი სოფლის ტალახიან გზას დედასთან ერთად.

— ჩემი ყოჩალი მოსწავლე, — შემეგება ჩემი სკოლის მასწავლებელი.

— შენ ნამდვილად უნდა აგელო ოქროს მედალი, შენზე კარგი მოსწავლე კლასში კი არა, სკოლაში არ გვყავდა, — მითხრა დანაწებით და ნავიდა.

დედას გაელიმა.

— კარგი რა, დედი, ხომ იცი, რომ ქულა ჩემთვის არასოდეს არაფერს ნიშნავდა. თუ ასე უნდოდათ, მოეცათ ის მედალი! — გავუღიმიე მეც.

დედამ თავი გადააქნია.

— თავნება!

ჩავეხუტე და ავტობუსში ავედი, ფანჯრის მხარეს მოკვალატი მყუდროდ. მთელი სამი საათი მქონდა წინ, და ამ დროს ფუჭად რომ არ ჩაველო, გადავწყვიტე, დავფიქრებულიყავი, როგორი ვიყავი და როგორი ვარ. ვუცქერდი, ფანჯრის მიღმა როგორ მირბოდნენ ხეები, და ვფიქრობდი.

— „მე ხომ შესანიშნავად შევასრულე ჩემი როლი“. — გაიელვა მოულოდნელმა კადრმა ჩემ წინ. ვუცქერდი ხეებს და მათ მიღმა ღია სარკმელთან მდგომი ნილის სახეს ვხედავდი, ხელში გვირგვინით. მას წვიმის წვეთები ესხმებოდა და ისე მძაფრად ვიგრძენი სიცივე, გამაყრყოლა.

„მკვდარი პოეტების საზოგადოება“ — ფილმის სახელია, რომლის სათაურით იშვიათად რომ დაინტერესდეს ჩემი თაობის ახალგაზრდას. ეს ფილმი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, უახლესი ქართული ლიტერატურის სემინარზე ვნახე, 304-ე აუდიტორიაში, ბოლო მერხთან მჯდომმა.

საერთოდ საინტერესოა ადამიანის რეაქცია, ამა თუ იმ გამლიზინებელზე და მეც დიდი ინტერესით ვაკვირდები ადამიანთა ემოციებს. ფილმის მსვლელობისას კი დავინახე, რომ ნილის სიკვდილმა ბევრი ბავშვი ცრემლისღვრამდე მიიყვანა. მათ სახეებზე ისეთი გრძნობები ეხატა, ფილმის რეჟისორს რომ დაენახა კმაყოფილებას იგრძნობდა. უდავოა, სიუჟეტი ემოციური იყო, მაგრამ პრობლემა ბევრად ღრმავად, ვიდრე ერთი ადამიანის სიკვდილი. ამ ფილმში ჩანს თუ, როგორი რთულია იყო გამორჩეული. „-ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!“ მოგმართავდეს მოსწავლე და ამით ზღვარი არ ირღვეოდა. უდიდესი სითამამე სჭირდება მოსწავლეებს მოუწოდო სახელმძღვანელოდან ამოხიონ ფურცლები და ამით კმაყოფილი იყო, მაშინ როდესაც თითოეული მათგანი დატანჯულია სკოლის მკაცრი სისტემით და რამდენიმე გვერდს კი არა, მთელ წიგნს დიდი სიამოვნებით დახედა. მასწავლებელი მათ დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანებად ზრდიდა, და არა მშობლების სურვილებს დამორჩილებულ პატარა ბავშვებად.

უგუნურებას და პატივმოყვარეობას ადამიანი ზოგჯერ სავალალო შედეგამდე მიჰყავს. სწორედ ეს მოხდა ნილის მშობლებში შემთხვევაში. მამა საკუთარ შვილს ზაროვნების უფლებას არ აძლევდა, სწორედ ეს ვახდა მიზეზი ცრემლისა. ნილის სიცოცხლე, თეატრის გარეშე, ხომ ისედაც ცოცხლად სიკვდილი იქნებოდა. მან მართლაც შესანიშნავად შეასრულა თავისი როლი ცხოვრების სცენაზე. შედეგი კი ისეთივე იყო, როგორი სისტემა ცქონდათ სკოლაში. მასწავლებელს სკოლა დაატოვებინეს. მაგრამ მისი, როგორც მასწავლებლის, მისია ბოლომდე შესრულებული იყო. იმ სკოლაში უკვე სწავლობდნენ ბიჭები, რომლებსაც თამამად შეეძლოთ გამოეთქვათ თავისი აზრი და მერხზე ასულეები დამშვიდობებოდნენ თავიანთ კაპიტანს. მასწავლებელთან ერთად გატარებული დღეების შემდეგ, „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ არასოდეს დატოვებდა იმ მღვიმეს, სადაც ბნელ ღამეებში ფარნებით ხელში მიიჩქაროდნენ ხოლმე...

ლიტერატურა... ლიტერატურა... რომ ჩავალ, უნდა მოვასწრო ნიკო ლორთქიფანიძის ნოველების წაკითხვა. გამიელვა უცებ და გამახსენდა, როგორ დავინწყე წიგნებთან ურთიერთობა. არ ვიცი რატომ, მაგრამ პირველად რადიარდ კიპლინგის „ჩუბოს და გუგუცეს თავგადასავალი“ გამმოვიღე წიგნების კარადიდან და ინტერესით დავინწყე კითხვა. მახსოვს რომ მომეწონა, მაგრამ წიგნი იმდენად არა, რამდენადაც კითხვის პროცესი. ამიტომ, მარტო ამ ზღაპრის წაკითხვით არ შემოვიფარგლე, ისევე მივაკითხე წიგნების კარადას და დღემდე არ მოვუშორებია.

ძალიან მიყვარს ნოდარ დუმბაძის შემოქმედება. დღემდე მახსოვს ის ემოცია „მე ვხედავ მზეს“ რომ წავიკითხე პირველად. იმ ადგილს რომ მივუახლოვდი, ბეჟანას რომ მოკლავს დათიკო, ცხარე ცრემლით ვტიროდი. ცხრა წლის ვიქნებოდი მაშინ...

— უკაცრავად, გოგონა, ეს ადგილი თავისუფალია? — ფიქრიდან გამომარკვია ვიღაცის ხმამ.

— დიას, დაბრძანდი.

იქნებ ლექციასაც მივუსწრო! ანისაც წიგნის მიტანას დავპირდი. გამახსენდა და ისე ბავშვობას დავუბრუნდი.

— რეუული მათხოვე რა, დავალბას გადავწერ!

ყოველდღიური ფრაზა სკოლის ცხოვრებაში, რომლითაც მე მომმართავდნენ და მეც უარს არ ვამბობდი.

— ვინ გატეხა მინა?

— მე გავტეხე, — ნამოდგა ჩემი კლასელი.

— ეს უკვე მეტისმეტია, გაგრიცხავ სკოლიდან! — ხმა გაუმკაცრდა დირექტორს.

კლასი დუმდა.

— მე გავტეხე! — ნამოვდექი და ყველამ ამოისუნთქა.

დღემდე ჰგონია ჩემი სკოლის დირექტორს, რომ მე მეგობრის დასაცავად დავიბრაღე მინის ჩამსხვრევა. არადა, სიმართლე ვთქვი.

\* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მხრეობა“ № 13

გამეღიმა. ფიქრი კი მეგობართან გაფრინდა. მეხუთე კლასში რომ გადავედი, პირველ დღეს სკოლაში მისულა დამაგვიანდა. რომ მივედი, მერხთან იდგა და მელოდა. 2003 წლის პირველი სექტემბრიდან ერთ მერხთან ვისხედით.

ასე იყო ახლაც, სექტემბრის მიწურულს, ერთად მივდიოდით ხალხის დინების საპირისპიროდ. ნამდვილად რთული იყო, მარტო ჩვენ ორნი მივდიოდით უნივერსიტეტიდან, სხვა დანარჩენი კი იქეთ მიემართებოდა. ხელჩაკიდებულები მივდიოდით, ხმას არ ვიღებდით, ასე ვიარეთ თავისუფლების მოედნამდე. სკამზე დავსხედით და დუმდით არ ვარდევდით. რამდენიმე წუთის მერე საპროტესტო აქციის მონაწილეებიც გამოჩნდნენ. წინ ჭადარაპერეული მოხუცი მოუძლოდათ, რომელსაც პრეზიდენტის კარიკატურა ეჭირა ხელში და ხმამაღლა გაიძახოდა: — წინ, თავისუფლებისაკენ! მას გვერდით ცოცხებშემართული ახალგაზრდები მიყვებოდნენ და მოხუცს მხარს აძლევდნენ, შემოგვიერთდითო. ქუჩაში მოძრაობა შეჩერდა.

— წელან ერთს ვკითხვ, — რას ითხოვ-მეთქი? — სისტემის დანგრევასო. — რომელი სისტემის-მეთქი? — კარგი რა, ახლა ლაპარაკის დრო არის? გული თუ შეგტკივა ქვეყნისათვის, შემოგვიერთდითო. — მე მაინც ვფიქრობ, რომ ცოცხებშემართული ახალგაზრდობა ვერ შეცვლის ქვეყნის მდგომარეობას კარგისაკენ.

— ნავიდეთ აქედან.

— უკაცრავად, გოგონა, მგზავრობა რა ღირს? — ისევ გამომარკვია ფიქრებიდან ჩემ გვერდით მჯდომმა.

— ათი ლარი.

— წინათაც ასე არ იყო?

— დიახ.

— რა ვიცი, ივანიშვილი მოვაო და...

რა მეთქვა, გავუღიმე. ალბათ, ამ ადამიანისთვის ქვეყნის კეთილდღეობა მგზავრობის გაიაფებით განისაზღვრებოდა.

ვუახლოვდებოდი თბილისს. ისევ ძველებური ფუსფუსი იდგა ქალაქში. საკრიტიკო თემაც უცვლელი დამხვდა, რა თქმა უნდა დიდი და პატარა ისევ პოლიტიკაზე საუბრობდა. მაგრამ ობიექტი შეცვლილიყო.

სწრაფად გავნეი უნივერსიტეტისაკენ. ვჩქარობდი, მაგრამ მაინც დამაგვიანდა. ლექცია დაწყებული იყო და აღარ შევედი.

### თინათინ ჯიქურაშვილი

(ბაკალავრიატი — III კურსი)

ღირსების გრძნობა მხოლოდ იმ ადამიანებს აქვთ, რომელნიც რაღაცას აკეთებენ არა იმისთვის, რომ მათ ამ საქციელს სხვები მოიწონებენ, არამედ — ასე კარნახობთ ღირსება, სინდისი, პასუხისმგებლობა, შეგნება... რაც გნებავთ, ის დავარქვათ, თუმცა ღირსება ამოსავალი ცნებაა.

ღირსებასა და ამ გრძნობის სხვადასხვაგვარ გამოვლინებაზე არაერთი ნაწარმოებია შექმნილი: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გამზრდელი“, „ჰაკი აძბა“, „სახრჩობელას წინაშე“ და ასე შემდეგ. ყველგან ღირსება სხვადასხვა კუთხითაა ნაწარმოებული. „არ დაწერილა უფლება დამარცხებულისა“ (ჭ. ლომთათიძე, „სახრჩობელას წინაშე“), თუმცა ღირსება ის გრძნობაა, რომელიც ტიტულისგან დამოუკიდებელია. ამიტომ გვაქვს გამონათქვამები: „ღირსეული დამარცხება“ ან „უღირსი გამარჯვება“.

უაღრესად ღირსეულია ლევანის სახე გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულში“. ახალგაზრდის, რომელიც ნაწარმოების დასაწყისშივე უპირისპირდება ბერზინს და მისი სახით — არსებულ რეალობას — საბჭოთა კავშირს. „ქართულ რასასა მასში ნამდვილი ვაჟკაცის სახე გამოუხატა“, — ამით ნათქვამია ყველაფერი და ამის შემდეგ არაა მოულოდნელი ლევანის გაბრძოლება ციხის ეპიზოდში. ასევე ღირსეული პერსონაჟია ოლგა ბალაშოვა („გველის პერანგი“). მან, შეიძლება ითქვას, თავი განირა ვამეხისა და არჩიბალდისთვის. შემდეგ კი თავი მოკლა. და თუ კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟს, ტაგუს დავესესხებით, „თავის მოკლა, ჩემო კარგო, ყოველ კაცს როდი შეუძლია“ (კ. გამსახურდია, „ქოსა გახუ“).

ცალკე თემაა ოჯახი და ღირსება. ოჯახის ღირსების შეურაცხყოფის მოტივით სჯიან მარიტას (გიორგი ლეონიძე, „ნატვრის ხე“), ამავე მიზეზით ემდურება ქვრივი ფეფენა მარინეს და ცდილობს, რძალი ხალხთან კონტაქტს მოარიდოს (დავით კლდიაშვილი „მსხვერპლი“). ეს ნაწარმოებები ტრაგედიით სრულდება.

თანამოძმეთა, თემისა და გუგუას შეურაცხყოფის გარდა ონისემ უღირსი საქციელი ჩაიდინა მამის — ხევისბერის, საკუთარი ოჯახის წინაშე. „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“ სხვა არაფერია, თუ არა „გახსოვდეს შენი ოჯახის, წინაპრების ღირსება“. როცა ონისემ ეს დაივიწყა, ტრაგედიაც მოხდა. მაგალითებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოჯახის ღირსების შეურაცხყოფა, იქნება ეს რეალური (ონისეს შემთხვევა) თუ გამოგონილი (მარინეს და მარინეს შემთხვევა), იწვევს კონფლიქტს, რომელიც არცთუ იშვიათად ტრაგედიით სრულდება.

ტრაგედიით დასრულდა ნილის ამბავიც ფილმიდან „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. ნილმა, რომელსაც სურდა მსახიობობა, თავი მოიკლა ოჯახის (მამის) წინააღმდეგობის გამო. მისი ღირსება შელახა მამის დაჟინებულმა მოთხოვნამ, საყვარელ საქმეზე უარი ეთქვა, მშობლის უემოციობამ, როცა ნილს კარგად შესრულებული როლის გამო აღფრთოვანებული დარბაზი უკრავდა ტაშს. ღირსება შეელახა და მან ამას ვერ გაუძლო — მამის რევოლვერით მოიკლა თავი.

ღირსების აღდგენას ყველა სხვადასხვანაირად ცდილობს. მარიტას შემთხვევაში საზოგადოება აქტიურად ჩაერია ამ საქმეში, რადგან მარიტას „ღალატი“ სოფლის შეურაცხყოფად მიიღო და განაჩენიც თვითონ გამოუტანა. ხევისბერმა თავად მიიღო გადანივრები და ონისე საკუთარი ხელით მოკლა. ამ აქტით, გარკვეულწილად, მან ღირსება აღუდგინა შვილს.

ზემოთ ვისაუბრეთ, თუ როგორ რეაგირებს საზოგადოება ღირსების შელახვაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ხდება მხოლოდ ნაწარმოებებში. მხატვრული ლიტერატურა ხომ რეალური ცხოვრების ასახვაა და, შესაბამისად, ჩვენს სინამდვილეში მრავლად მოიხიბნება ღირსების შემლახავი და მასზე რეაგირების ფაქტები. მაგალითად, 1978 წლის 14 აპრილი. ქართული ენის სტატუსი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და სახელმწიფო ენად რუსულის გამოცხადების საფრთხე შეიქმნა. საზოგადოებაში ღირსების გრძნობით გამოწვეული პროტესტი უშედეგო არ აღმოჩნდა — ქართულმა ენამ სტატუსი შეინარჩუნა.

ბოლოს, სულ ახლახან ციხის კადრებმა გამოიწვია მძაფრი პროტესტი, რაც ასევე ღირსების გრძნობასთანაა კავშირში. არც ამას ჩაუვლია უშედეგოდ, თუმცა ამაზე არ ვისაუბრებთ. ვთქვათ მხოლოდ ის, რომ არსებობს თემები, რომლებზეც საზოგადოება ნამდვილად რეაგირებს. შეიძლება ზოგჯერ დავგვიანებულადაც, მაგრამ სწორად შეუნიშნავს ქართველ კაცს: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“. ჩვენც ამით ვავიშაროთო თავი და პასუხი გავცეთ აბეზარ შეკითხვას (თუ შინაგან ხმას) „აქამდე სად იყავითო?“

დაბოლოს, ღირსების გრძნობა შესანიშნავადაა გადმოცემული ყოლა ლომთათიძის ნაწარმოებში „სახრჩობელას წინაშე“, სადაც სიკვდილმისჯილი ჯვირან ვარდოსანიძე ამბობს: „ბედს კი არ ვემდური, განა! ის კი არა, ხელახლა თავიდან რომ დავიწყო სიცოცხლე ისე, რომ ყოველივე ეს მახსოვდეს, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ისევ აქ მოვიდოდი“... ამით ყველაფერი ნათქვამია.



გურამ პეტრიაშვილი

# ირინეს პავშოვა

**17 ივლისი, 1985 წ.**

გმუშაობდი (ანუ ვწერდი რაღაცას).  
 შემოვიდა ირინე.  
 — შენ ხო მითხარი საღებავი და წყალიო (დავპირდი აკვა-  
 რელით ვხატოთ-მეთქი).  
 — ჰო, შვილო, ახლავე. ჯერ წადი, იქნავე.  
 დგას.  
 ცოტა ხნის შემდეგ მეუბნება:  
 — მე მინდა გაკოცო.  
 მაკოცა.  
 მომიშვირა ლოყა:  
 — ახლა შენ მაკოცე.

**22 ივლისი, 1985 წ.**

ლამდება.  
 ვზივარ ფოლკლორის ტაძრის დირექციაში დივანზე.  
 ვისვენებ.  
 დღეს მთელი დღე ვიღებთ ფოლკლორის ტაძარში.  
 რეზო ჩხეიძე მიღებს „დონ კინოტში“. ვთამაშობ სანჩო-  
 გუბერნატორის ექიმს.  
 ახლა მინდა ჩავიწერო ირინეს ამბები.

გუშინწინ შინ რომ დავბრუნდი, სწორედ ძილის დრო იყო.  
 ჩავაწვინე ირინე დედამისის ლოგინში.  
 მივუწევი გვერდით, დავინწყე ღილინი და უცებ ჩაეძინა.  
 ძილ-ღვიძილში თქვა: „მამიკო“.  
 გუშინაც გვიან დავბრუნდი.  
 დედამისმა დაუწყო დაძინება.  
 ამ დროს მე შევედი ოთახში.  
 ბნელში თქვა:  
 — მამიკო, მამიკო, დამაძინე.  
 დედამისი ნავიდა ტელევიზორის საყურებლად.  
 ირინემ მითხრა, წყალი მინდაო.  
 ჰო, მანამდე მკითხა, მთვარე და ვარსკვლავები ხომ არიანო.  
 და გამახედა ფანჯარაში.  
 ნავიყვანე, დავალევიწე წყალი.  
 მერე ცოტა ხანს დამყავდა ჩახუტებული.  
 ჩავაწვინე ალას ლოგინში.  
 ვუმღეროდი და ძილი მოერია. მაგრამ უცებ ოთხზე დადგა,  
 შემომხედა და მითხრა: „მამიკო, შენ ჯუჯო ხარ“ (ასე ხშირად  
 მეუბნება, ჯუჯო ხარო).  
 ვუთხარი, შენ ირინუჯო ხარ-მეთქი.  
 ძილ-ღვიძილში კიდევ თქვა: „მამიკო“.  
 თითქოს უხაროდა, რომ გვერდით ვყავდი.  
 მეგონა რომ დაეძინა და წამოდგომა დავაპირე. ხელზე  
 მომიკიდა ხელი და კვლავ მითხრა: „მამიკო“.

ამ ცოტა ხნის წინ დავრეკე აქედან.  
 ალას ვკითხე, როგორ არის ირინე-მეთქი.  
 ცოტა-ცოტას ჭამს ხილსო, მითხრა ალამ.

**20 აგვისტო, 1985 წ.**

სალამოთი ფანჯრიდან დავანახე ახალი მთვარე, გამარ-  
 ჯობა უთხარი-მეთქი.  
 — მთვარეს ხელები არა აქვს, — მითხრა ირინემ.  
 იგულისხმა, რომ მისალმებისას ხელს ართმევენ ერთმანეთს.

\* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 5, 6, 13

— არა უშავს, შენ უთხარი, „გამარჯობა, მთვარე“ და  
 ისიც გეტყვის „გამარჯობა, ირინუჩავ“-ო.  
 ირინე ერთხანს დუმდა და მერე ძლივსგასაგონი ჩურჩუ-  
 ლითა თქვა:  
 — გამარჯობა, მთვარე!

**21 აგვისტო, 1985 წ.**

სალამოთი ვუკითხავდი ლექსებს.  
 ნავუკითხე „ქორმა წინილა წაილო“.  
 — რატომ წაილო ქორმა წინილა? — მკითხა ირინემ.  
 — იმიტომ, რომ ქორი ცუდია-მეთქი.  
 — რატომაც ცუდი?  
 — რა ვიცი, ეგეთი გააჩინეს დედამ და მამამ.  
 — მერე სულ ცუდი უნდა იყოს? აღარ მოიყვანს?  
 — მოიყვანს. სხვა წიგნში ნავიკითხავთ, რომ მოიყვანს-  
 მეთქი.  
 არა სჯერა, რომ ქორი სულ ბოროტი უნდა იყოს.

**ავგისტო, 1985 წ.**

ვხატავდი ძაღლს (თუ მგელს), რომელიც გარბოდა და  
 ზურგზე გოგო ეჯდა.  
 — სად გარბიან ესენი? — მკითხა ირინემ.  
 ვუთხარი, ბაბოსთან გარბიან, რომ ღვინო დალიონ და  
 თქვან, „ირინეს გაუმარჯოს!“-მეთქი.  
 და ირინემ მითხრა:  
 — მამიკო, მე მუფინში (ალბათ „მულტფილმში“) წამიყვა-  
 ნე, სადაც არიან კლოუნები და დამალევიწე ღვინო.

**3 სექტემბერი, 1985 წ.**

დილით შემოვიდა ჩემს ძახილზე, ხელში სათამაშო მაიმუ-  
 ნი უჭირავს.  
 მეკითხება:  
 — მამიკო, აბა, რამდენი მაიმუნია?  
 — არ ვიცი, შენ მითხარი, რამდენია?  
 — ორი, აი, — ხელი დააღო მაიმუნს, — და აი, — თავთან  
 მიიტანა ხელი.  
 გამეცინა.  
 ირინე უცებ გამიბრაზდა და წაიფშუკუნა:  
 — არა ვარ მე მაიმუნი!

**5 სექტემბერი, 1985 წ.**

ირინე უკვე ისე ეთამაშება თოჯინას, როგორც დიდი გოგო.  
 მე მის სათამაშო მანქანას ვეჩხირკედელავებოდი (პედა-  
 ლებს ვუმოკლებდი). ირინე კი თავის თოჯინას ეუბნებოდა:  
 — ნე ბოისია, მამა, ნე ბოისია, სადის! (ნუ გეშინია, მამა, ნუ  
 გეშინია, ჩაჯექი!)  
 და სვამდა მანქანაში.

**8 სექტემბერი, 1985 წ.**

შეიძლება ამას ადრეც შვრებოდა ირინე, მაგრამ მე მხო-  
 ლოდ დღეს შევამჩნიე — უკვე ფანტაზიორობს.  
 იჯდა თავის მანქანაში, მე მანქანას გარედან ვაკრავდი გა-  
 დასაყვან სურათებს და ის მიყვებოდა, დღეს ნავედი ბაბოს-  
 თან, იქ აფუ იყო და წამოვიყვანეო...

რაიმეს რომ ვიტყვი და იმ ამბავში ვერ ერკვევა, ძალიან  
 სერიოზულად და მშვიდად მკითხავს ხოლმე: „რატო, მამიკო?  
 რატო ამბობ ეგრე?“

**17 სექტემბერი, 1985 წ.**

დედას უნდა დაეძინებინა.  
 მე ჩემს ოთახში ვმუშაობდი. რაღაცას ვწერდი.  
 უცებ მესმის, რომ კარს აღებს.  
 გაალო და დედას უთხრა: „პაპა ნე სპიტ“. (მამას არა სძინავს)

მოვიდა ჩემთან და მითხრა, ნახვამდისო, თან ხელს მიქნევდა. მე გახარებულმა ვუთხარი, მოდი გაკოცო-მეთქი. სანოვარა გამოიღო პირიდან, ლოყასთან მომიახლოვა ტუჩები და გამოსცა „მ“-სა და „პ“-ს ნაერთი ბგერა „მპ“. მეორედაც ქნა ასე. მესამედ კი მართლა მაკოცა. მეც ვაკოცე თავზე. ნავიდა და ისევ დამიქნია ხელი.

**21 სექტემბერი, 1985 წ.**

— შენ ჩემი ბარტყი ხარ, მე კი ჩიტი. გააღე პირი, — ვეუბნები ირინეს და პირში ვუდებ ლუკმას.  
— შენ რო ფრთები არა გაქვს? — მეკითხება ირინე.

წიგნში ნახა თეთრი კურდღელი და თქვა, თოვლიანიაო. მერე კი განმარტა:  
— თოვლი ხო მოდის ხეებიდან და ბაჭია სველდება. და...

**22 სექტემბერი, 1985 წ.**

გუშინდინ დილით რომ ვეთამაშებოდი, მითხრა:  
— მე მაიმუნი ვარ.  
და ხელში აიღო სათამაშო მაიმუნი.  
— ახლა აქ რამდენი მაიმუნია? — ვკითხე მე.  
— სამი.  
— აბა, ვინ და ვინ?  
— მამიკო... — დაიწყო ირინემ ჩემით.  
(როცა რაიმე თამაშს ვეთამაშობთ, სულ ძმაცალები ვართ იმ თამაშში. ამიტომაც, თუკი თქვა, მაიმუნი ვარო, ესე იგი, მამიკოც მაიმუნი უნდა იყოს).

**26 სექტემბერი, 1985 წ.**

წუხელის ვნახეთ შოთა მანგაძის ფილმი „კეთილი ადამიანები“.  
იქ ასეთი კადრები იყო.  
ქალი იჯდა მანქანაში. მანქანა მოდიოდა.  
გზაჯვარედინზე მდგარ კაცს სწრაფად და დიდხანს შორდებოდა გადამღები კამერა (ესე იგი, ქალი უცქეროდა კაცს და შორდებოდა მას).  
ირინემ მკითხა:  
— ატა სად ნავიდა, მამიკო?  
„ატა“-ს ეძახის ყველაფერს, რაც სახლს გარეთაა.  
მან ისე აღიქვა, რომ ჩვენ კი არ დავმორდით გზაჯვარედინს, არამედ გზაჯვარედინი დავმორდა და შორს ნავიდა.

**28 სექტემბერი, 1985 წ.**

ამ ერთი კვირის წინ ვკითხე:  
— აბა, რამდენი ფეხი აქვს ირინეს?  
მიპასუხა: ორი.  
— მამიკოს?  
დამხედა ფეხებზე და დამითვალა:  
— ერთი... ორი...  
— სკამს?  
შეჰხედა სკამს და მითხრა:  
— ბევრი.

**30 სექტემბერი, 1985 წ.**

უკვე ისე ეთამაშება თოჯინას, როგორც ცოცხალს. მოვიდა და მეუბნება:  
— თოჯინა ავათ არი!  
და დაამატა:  
— არა ჭამს არაფერს.

**სექტემბერი, 1985 წ.**

როცა უნდა რაღაც გამაკეთებინოს, მეუბნება ხოლმე:  
— ქნე, მამიკო, ქნე!

ესე იგი, ქნისო.  
აი, რუსთაველს უწერია:  
„დავითის ქნანი ვითა ვთქვენე...“

**1 ოქტომბერი, 1985 წ.**

— მოდი ჩემთან, წინილა! შენ ჩემი წინილა ხარ, — ვეუბნები ირინეს.  
— მოიცადე, მოიცადე, ქათამო, — მპასუხობს. მოდის და ჯდება ჩემთან.  
აქ გაზეთი იდო.  
— უი, დავაჯექი. ბოდიში, — მითხრა ირინემ.  
(„წინილა“ და „ქათამი“ ჩვენს საუბარში იქიდან გაჩნდა, რომ ვეუბნები ხოლმე, ისე შემომიჯდება ილიაში, როგორც წინილა ქათამს-მეთქი).  
— რამდენი მაიმუნი მყავს? — ვეკითხები ირინეს და მერე ვამბობ, — ორი მყავს: ოლიკო მაიმუნი და ირინე მაიმუნი.  
— შენ მამიკო-მაიმუნი ხარ, — მეუბნება ირინე.  
განა იმისთვის, რომ გამლანძლოს. მისთვის ჰარმონიულია სამყარო და მშვიდად იკვლევს მას: მაიმუნ გოგოებს ხომ მამაც მაიმუნი უნდა ჰყავდეთ.

**3 ოქტომბერი, 1985 წ.**

სასეირნოდა მყავდა.  
შემეკითხა:  
— მამიკო, რატომ არ წამოვიღეთ ფინი?  
— ფინი?  
— ჰო, რო დავიფინოთ და დავსხდეთ.  
აი, ასე:  
ხომ არის სიტყვა „დავიფინე“. ჰოდა, აქედან გააკეთა „ფინი“.

უკვე ნახევარ წელზე მეტია, წვერს რომ გავიპარსავ, ვეკითხები:  
— რა ქნა მამიკომ?  
— გაიპარსა.  
— რატომ?  
— რო ირინემ აკოცოს, — მეტყვის ირინე.  
მე მივუშვერ ლოყას და მაკოცებს.

**17 ოქტომბერი, 1985 წ.**

გარედან გაიგო ძაღლის ყეფა და მითხრა:  
— მამიკო, დავცადადოს ჯესმა (ჯესი — ნაცნობი ძაღლია), რა უნდა, ჩვენ ხომ უნდა სვეტაფორი დავხატოთ.

დაუხატია ბეჰემოთი.  
აღრეც ხატავდა ხოლმე.  
მეუბნება:  
— მამიკო, ეს მე დავხატე თვითონ, მე დავხატე.  
გააცნობიერა, რომ ახლა უკეთ დახატა და წინ გადადგა ნაბიჯი.

გუშინ შარვალს რომ ვუნევედი (ფიშინების მერე), დამიწყო თამაში.  
ჩაცუცქულს ჩაჩი თვალეზე ჩამომოფხატა და გაიცინა.  
მერე ჩაჩი ამინია, სახე სახესთან მომიტანა, მიყურა, მიყურა და ცხვირი მომადლო ცხვირზე.  
ასე მიყურებდა და თან მეუბნებოდა:  
— მამიკო, შენ ჯუჯო ხარ?  
არ ვიცო, ვინაა ან რაა ეს „ჯუჯო“, ოღონდ როცა ირინეს უნდა რომ სიყვარული გამოხატოს, ყოველთვის ასე მეკითხება: — მამიკო, შენ ჯუჯო ხარ?

**20 ოქტომბერი, 1985 წ.**

დღეს მკითხა:  
— მამიკო, შენ რომელი უფრო გიყვარს ზოობარკში?

— მე მიყვარს სელაპი. შენ?  
— მე — მაიმუნი. — მითხრა და სერიოზულად გააბიჯა.

რომ ვაძინებდი, დღეს პირველად დაიწყო ასეთი თამაში: დახუჭა თვალები, ძალიან-ძალიან მოხუჭა. ვითომ დაიძინა. მერე გაახილა. მერე ისევ მოხუჭა. ასე თამაშობდა.

ოლიკოს ნაქონ სკოლის ჩანთაში ირინეს უწყვია ფანქრები, რალაც სათამაშოები, ოლიკოს მიერ შეგროვილი საღებავი რეზინების ქაღალდები და სხვა რალაც-რალაცები ანუ, როგორც ირინე ამბობს, რალაც-ბულაცები.

დღეს ჩანთა გადმოაპირქევა ჩემს ლოგინზე და ყველაფერი საბანზე დაახვავა.

მერე იმ გროვამი რალაცამ დააინტერესა. აილო, ნაილო და ჩადო ოლიკოს უჯრაში.

როგორც მივხვდი, ჭიკარტი იყო.

იცის, რომ უჯრამია ჭიკარტის ადგილი.

**23 ოქტომბერი, 1985 წ.**

თოჯინას ეთამაშებოდა და უთხრა:

„ტი შე ნე ჩელოვეკ, ტი შე კუკლა!“ ( შენ ხომ ადამიანი არა ხარ, შენ ხომ თოჯინა ხარ! )

**24 ოქტომბერი, 1985 წ.**

თავის მიერ დახატულს შლიდა საშლელით და თან მეუბნებოდა:  
— ეს უნდა ნავშალო, იმიტომ, რომ თვალი ცხვირზე დავხატე და ვილაცა-ბულაცები იტყვიან, ცუდად დახატაო.

მერე უჯრიდან რალაცებს ალაგებდა და ვითომ გაბუტულმა ხუმრობით მითხრა:

— მე უნდა დავალაგო და შენ რატომ არ გინდა, რომ დავალაგო?

**31 ოქტომბერი, 1985 წ.**

გუშინდინ ჩამოვედი მოსკოვიდან. იქ ხუთი დღე ვიყავი ჩემი ფილმის გულისთვის.

ირინე ამ რამდენიმე დღეში თითქოს უფრო გაზრდილა.

ნიგნს ვათვალისწინებდით.

ლოგინში ვინეტი ბალიშებს მიყუდებული და ნიგნი მუხლებზე მედო.

ირინე ჩემს გვერდით იდგა. იდაყვით იყო ჩემს მხარს ჩამოყრდნობილი და ხელისგულზე ედო ლოყა.

ასე უყურებდა ნიგნს.

სამზარეულოში ვიდექი ონკანთან და ჭურჭელს ვრეცხავდი. მოვიდა და უკანიდან თავით მომეყრდნო ფეხებზე.

ასე გამოხატავდა სიხარულს, რომ ჩამოვედი.

დედამ უთხრა თურმე, როცა აძინებდა, გაიღვიძებ და მამა ჩამოსული იქნებო.

ირინეს ძილღვიძილში უთქვამს, მამას ოთახში იატაკი მორცხეო.

დარცხვენა იცის. თუ ვინმესთანა დგას ახლოს, დაღუნავს და იმას მიადებს თავს.

დღეს დილით მივიდა კართან, რომელიც სულ აუჭრელეზია სხვადასხვა ფერის ხაზებით. ნითელ ხაზებს დაადო ხელი და მითხრა: — მაიკო, ეს მე დავხატე ნითელი დახით („დახა“-ს ეძახის ფანქრებს, ფლომასტერებს და კალმისტერებს. ეს სიტყვა „დახატვა“-დან შექმნა).

უყურა, უყურა თავის „ნახატს“, მერე მომიბრუნდა და, თვალის თვალში გაყრით, ძალიან სერიოზულად მკითხა:

— მოგწონს?

ვუთხარი, მომწონს-მეთქი.

მერე მწვანე ხაზებს დაადო ხელი:

— ესეც მოგწონს?

— მომწონს!

ახლა სხვა ხაზები ნახა:

— ესეც?

ვუთხარი, ეგენიც მომწონს-მეთქი და გაბაკუნდა ბათინკების ბაკუნით.

ეს ბათინკები ახლა ჩამოვუტანე მოსკოვიდან და თუმცა დიდი აქვს, მაინც ამეებს იცვამს.

**12 ნოემბერი, 1985 წ.**

ამ სამი-ოთხი დღის წინ, აი, რა ქნა.

კედელთან იდგა დივანზე და ხელში თოჯინა ეჭირა.

კედელზე ხატია წვიმა და ქოლგიანი კაცი.

ირინე ხელს უსვამდა დახატულ წვიმის წვეთებს და მერე თოჯინას უსვამდა თავზე. ვითომ წვიმის წვეთებით ჰბანდა თავს.

ნიგნს რომ ათვალისწინებდა და რალაცას ვერ გაიგებს, იმას კი არ მეკითხება, ეს რას აკეთებს, აქ რა ხდებაო, არამედ მკითხავს-ხოლმე:

— ამას რა უნდა, მაიკო?

**15 ნოემბერი, 1985 წ.**

— აბა, რამე მიაძებ-მეთქი.

— შენ მიაძებ. რა, იცი?... ჩემზე. როგორ ვუშველე კლოუნს მე — მითხრა ირინემ.

**17 ნოემბერი, 1985 წ.**

ალაგებს თავის ნივთებს აქეთ-იქით.

და მღერის:

„კომუ ეტო ნადო, კომუ ეტო ნუჟნო?

ნიკომუ ნე ნადო, ნიკომუ ნე ნუჟნო!“

მეგონა, რომ ეს ლექსი თვითონ მოიგონა ირინემ.

შემშლია თურმე. ალამა თქვა, მე ვუმღერევიარ ხოლმე ასეო.

ჰო, მაგრამ ლექსი ისე ნელ-ნელა და ბუნებრივად გამოიყვანა თამაშში, რომ მართლაც იმასა ჰგავდა, თითქოს ახლა მოიგონაო.

**30 ნოემბერი, 1985 წ.**

ვარ მოსკოვში კინოსცენარის დასამტკიცებლად.

ნუხელის ირინეს ველაპარაკე ტელეფონით.

ეს იყო ნამდვილი დიალოგი. ადრე, როცა ველაპარაკებოდი, მხოლოდ მისმენდა და იღიმებოდა ხოლმე. ახლა კი ნამდვილად ვილაპარაკეთ.

ვკითხე, ჩვენ ხომ ვართ ძმაკაცები-მეთქი.

მითხრა, ჰოო.

— კიდევ ვინა ვართ?

— კლოუნები...

— კიდევ ვინაა ჩვენი ძმაკაცი. ჟირაფი არის?

— ჰო...

— ბეჭემოთი?

— ჰო...

სხვა კითხვებზეც მიპასუხა. და არა მარტო „ჰო“-თი.

ეტყობა, იმიტომ გაბედა ლაპარაკი, ჩემი პირველი კითხვით მიხვდა, რომ ნამდვილად მე ველაპარაკებოდი. სხვა ხომ არავინ ეუბნებოდა მას, ძმაკაცები ვართო.

**11 დეკემბერი, 1985 წ.**

ნუხელის ძილის მითხრა, დავნვეთ და მიმღერეო.

ვუმღეროდი. ჯერ რუსთაველის „ამა მამისა სწავლასა“

ვუმღერე ჩვენი მთის სიმღერების ჰანგზე, მერე მთისავე „აის ღრუბელან მიყვარან“ ვუმღერე.

ჰოდა, რომ ვუმღეროდი, უცებ მესმის: ჩუმად ამყვან და თვითონაც მღერის, იმეორებს სიტყვებსაც და მელოდიასაც...

**25 დეკემბერი, 1985 წ.**

გოდერძი ჩოხელი მიღებს ფილმში. ფასანაურში ვცხოვრობთ სასტუმროში.

გუშინ დილით ირინე ჩოხეში წავიყვანე გადაღებაზე. უფრო სწორად კი, გამომეტირა და, სხვა რალა გზა მქონდა, უნდა წამეყვანა.

ვერ გადავიღეთ და დავბრუნდით.

მერე მე თბილისში წამიყვანეს წვერის დასამოკლებლად.

სალამოს, რომ დავბრუნდი, ირინემ მითხრა, მე დედიკოს

მოვუყვები ყველაფერიო.

ჩოხში ცხვრები ვაჩვენე და ვაშ-

ლის ნაფცქვენები ვაჭამეთ მათ.

ციგით ვასეირნე.

მთებზე სოფლები დავანახვე...

**27 დეკემბერი, 1985 წ.**

რომ ვკითხავ, რამხელა ხარ-მეთქი, უცებ ასწევს ორივე ხელს მაღლა და იტყვის:

— ეხლა დიდი ვარ!

**30 დეკემბერი, 1985 წ.**

დავბეჭდე ზღაპარი „ირინეს ბალიშები“. ეს სხვანაირია, არა ჰგავს ჩემს ადრინდელ ზღაპრებს.

ალბათ დავწერ ზღაპრების სერიას, სადაც სულ ირინე იქნება მთავარი მოქმედი პირი. ეს განზრახვა ჩამავიწყდა ირინეს ხასიათმა და მისმა პიროვნებამ.

დიახ, არ შემშლია, მისმა პიროვნებამ.

ასე მჯერა, ბავშვი დაბადებიდანვე პიროვნებაა. მერე მისი პიროვნულობა ვლინდება და ცხადდება ცხოვრებაში.

**30-31 დეკემბერი, 1985 წ.**

დავრეკე „ნაკადულში“. მითხრეს, წიგნი უკვე დაბეჭდილია და გადატანილია „საქნიგნში“. ესე იგი, გასაყიდადო.

ირინეს ვუთხარი, მალე ბევრი ფული გვექნება, რომ ირინეს ვუყიდოთ, რაც უნდა-მეთქი.

მითხრა, არაფერი არ მინდა, მარტო შენთან მინდა, რომ შენ გეთამაშო.

წყალი მინდაო.

დედამ უთხრა, ახლავე მოგიტანო.

— არა, მამიკომ მომცეს, მამიკო მომეცი წყალიო, — მითხრა. მოვუტანე წყალი და მითხრა:

— თუ გვექნება ხორთუმი მე და შენ, მივასხამთ ყველას: პუმ-პუმ-პუმ!

პლასტმასის ნაძვის ხეს ვუდგამდი.

ირინე მეხმარებოდა.

ნაძვის ხის კენწერო ქუდს შეადარა.

ტოტებზე თქვა, ფარშავანგიაო.

ჩუმად ლაპარაკობდა თავისთვის და თქვა: „მამა ხოჩეც მისას“. გართობა, ესე იგი.

მამას უნდა ხორციო. ( მამა მისი თოჯინა ).

წიგნში ვაჩვენე ფარშავანგი, რომელსაც კუდზე ხალები ჰქონდა.

რასა ჰგავს-მეთქი.

წვიმასო — მითხრა.

ესე იგი, ის ხალები წვიმის წვეთებს მიაგვანა.

**8 იანვარი, 1986 წ.**

ვთქვი:

„— ტარიელი, ტარიელი... ჯიბე ჰქონდა ცარიელი...“

ირინემ გააგრძელა:

„— ტარიელი, ტარიელი... მტვერსასრუტში ჩამძვრალელი...“

**13 იანვარი, 1986 წ.**

ირინემ თქვა:

— ბაბა-იაგას ცხვირი აქვს, როგორც კლოუნის ტუფლები.

**17 იანვარი 1986 წ.**

ჯერ ალას უთხრა და მერე მეც მითხრა ქართულად:

— ბაბა იაგამ — ოჩოკოჩის დედამ ჩაიხედა ცუდი ოჩოკოჩის თავში და იქ ბევრი კარგი ოჩოკოჩები ნახა. იმას ეგონა, რო ოჩოკოჩი ცუდი იყო, მაგრამ თურმე კარგია... აი, საოცრება!

შევეკითები ხოლმე:

— შენ დიდი ხარ?

— ჰო, — მპასუხობს.

— რამხელა?

— აი, — მეტყვის და ხელებს ასწევს თავს ზემოთ.

**18 იანვარი, 1986 წ.**

ვიღებდით სოფელ ჩოხის ახლოს, თუ როგორ დგება ამოთხრილ ორმოში გოდერძის ფილმის გმირი ბერი, რათა ხედ გადაიქცეს.

იყო ღამე, მოდიოდა თოვლი, ირგვლივ იყო სითეთრე... მე ვიდე-

ქი ორმოში, ხელში მეჭირა სანთელი, მხარზე ნაძვის ხე მქონდა „ამოსული“.

უცებ გადამღები ჯგუფის წევრები ახმაურდნენ, პეპელა, პეპელაო.

მე ვერ დავინახე, მაგრამ მითხრეს, ჭრელი იყო და ღამაზიო. რა უნდოდა იქ პეპელას, ან საიდან გაჩნდა ყინვაში?

სასტუმროში კიდეც ერთი უცნაურობა მითხრეს ირინემ და ალაშ.

აქ, ფასანაურში ირინეს ვუყიდე სათამაშო სპილო, რომელსაც „მელოდიური სპილო“ ჰქვია (ლითონის ფირფიტებს ურტყამენ პატარა ფოხები).

ჰოდა, ამ სპილოდან ჭიამაია გამომძვრალა.

ალამა თქვა, კარადაზე ავსვითო.

იქნებ ვინმემ იკითხოს, რა შუაშია ეს ყველაფერი ირინეს ცხოვრების ამბებთანო.


დიახაც რომ შუაშია.

შეიძლება ირინემ თვითონაც არ იცის, რომ პატარა ჯადოქარია.

უშისოდ აქ ვერ გაჩნდებოდნენ ვერც პეპელა და ვერც ჭიამაია.

**21 იანვარი, 1986 წ.**

ამ წუთას აღმოაჩინა, რომ ენაში არის რალაც კავშირები. ჯერა თქვა: „ხელო“ — „უხელო“... მერე მოაყოლა: „ფეხო“ —



მხატვარი ინა ჭელიძე



„უფეხო“, „პირო“ — „უპირო“, „ტანო“ — „უტანო“, „ტანსაც-  
მელო“ — „უტანსაცმელო“... და ასე შემდეგ.  
ამბობს და თვითონვე უხარია.

**7 თებერვალი, 1986 წ.**

ამ ოთხი დღის წინ ბორჯომში ვიყავით გოდერძი ჩოხელის  
ფილმის გადაღებაზე.  
ლამით, რომ ვაძინებდი, მითხრა, თინათინის ლექსი მიმღერეო.  
დავინყე მღერა: „ამა მამისა სწავლასა...“  
ირინე ამყვა და ჩემთან ერთად მღეროდა.  
მერე კიდევ ორი დაძინების დროს ვიმღერეთ თინათინის  
ლექსი.

გუშინ პირველად დახატა მთლიანი ადამიანი.  
ხატავდა „ტარიელს“, „ავთანდილს“, „ნესტან-დარეჯანს“...  
ტანს დახატავდა როგორც სწორკუთხედს და გამოაბამდა  
თავის, ფეხებისა და ხელების მსგავს რამეებს.

გუშინწინ ღამით ისეთი დიდი სიციხე მისცა, რომ სასწრა-  
ფოს გამოვუძახეთ.  
რალაც ძალიან მწარე ნემსი გაუკეთეს. საშინლად ემწვავა.  
ატირდა და დიდხანს ტიროდა.  
მეორე დღით ვაკვირებულმა მკითხა:  
— მამიკო, შენ ხო ჩემი ხარ, რატო გაუშვი, რო ეტკინათ  
ჩემთვის?  
ავუხსენი, რომ წამალია, ოღონდ უფრო კარგად არჩენს,  
ვიდრე აბი, რომელსაც ვყლაპავთ-მეთქი.  
მშვიდად და სერიოზულად მომისმინა.

დღეს ქალაქიდან დავურეკე.  
ვკითხე, მისმენ-მეთქი?  
— ჰოო — მითხრა.  
მერე ვკითხე, როგორა ხარ-მეთქი.  
კარგადო.  
მერე კი დაამატა: „მამიკო, მალე მოდი...“

**15 თებერვალი, 1986 წ.**

აილო რალაც ჯოხი და თქვა:  
— გამომაქ ხმალი, ნესტანი უნდა გამოვიყვანო.  
გაირჭო ჯოხი ქამარში და წაცუნცულდა ლოჯიისაკენ.  
დედაჩემმა ჰკითხა:  
— ეგ რა ჯოხია, ირინე?  
ირინემ უპასუხა:  
— ჯოხი კი არა, ხმალია!

აილო ყურმილი და ნესტან-დარეჯანს „დაურეკა“.  
ელაპარაკა:  
— სადა ხარ? ბორჯომში? ციხე-კოშკი ბორჯომშია?  
მერე მოვიდა და მიამბო, ნესტანს ველაპარაკე, ბორჯომ-  
შია, კოშკშიო.  
მივიდა ისევ ტელეფონთან:  
— ტარიელ ისევ ტირიხარ? მოვალ. კარადაში ზიხარ?  
დადო ყურმილი და მეუბნება:  
— ტარიელს ველაპარაკე. ტიროდა.

**23 თებერვალი, 1986 წ.**

დღისით ირინე და მე წავედით აეროპორტში ოლიკოსა და  
ალას დასახვედრად (ალას მოსკოველ ექიმებთან ჰყავდა,  
რადგან ოლიკოს ხშირად აძლევდა სიციხეს).  
არ ჩამოვიდნენ და დავბრუნდით სახლში.  
ირინე გზაში მეკითხებოდა:  
„მამიკო, ეს რა რკინებია?“ ან „მამიკო ეს რკინები რა არი?“  
ასე მკითხა ჯერ რადიოანძებზე, აეროპორტის გადასახ-  
ვევთან რომ დგას. მერე ამწებებზე „პეპელასთან“ რომ დგას.

(„პეპელა“ ხალხმა დაარქვა უცნაური არქიტექტურის მქონე  
კაფეს).

სალამოს ჩამოვიდნენ.  
ირინემ საოცრად გაიხარა.  
ბოჩოლასავით ურქენდა და ერჩოლებოდა ოლიკოს (ასე  
იცის, როცა ვინმე ძალიან უყვარს და უნდა, რომ ეთამამოს).

ძილის წინ დივანი გაეშალეთ ოლიკოსთვის, რადგან დედა-  
ჩემიც ჩვენთანაა და სანოლები არ გვეყო.  
ირინემ დივანის ყუთით სათავსი რომ დაინახა, მაშინვე  
აიყვანა თავისი სათამაშო დიდი ძაღლი და ჩაანვინა შიგ.  
დედამისმა დაუშალა, ნუ შვრები, არ შეიძლებაო.  
ირინე ატირდა.  
ამაზე ალა და მე შევკამათდით. ვუთხარი, თამაშობს და  
ითამაშოს, თამაში უნდა გაუფოთ-მეთქი.  
დილით, ირინემ გაიღვიძა თუ არა, ჩემი აზრის დასტურად  
მითხრა:

— დედიკომ არ იცის, რო იქ აფუს პატარა შვილები ჰყავს.  
ეს დედიკო კაჟია თუ ლაჟი? (იცის მაყვალა მრეველიშვილის  
ლექსი ლაჟოზე და განსაკუთრებით უყვარს ლექსის ბოლო:  
„რა ყოფილხარ, ვაჟო, კაჟი ხარ თუ ლაჟო?“ ჰოდა ირინემ და მე  
ასეთი თამაში მოვიგონეთ: როცა ვინმეს საქციელი უცნაური  
ან არასწორი გვეგონია, ვამბობთ, ვინაა ეს, კაჟია თუ ლაჟიო).

ჰო, ირინე ალგ ზნებული იყო, ვიდრე დაიძინებდა. და დიდ-  
ხანს თამაშობდა.  
ძილის წინ ტანსაცმელი გაიხადა და საცვლებიანი დარბო-  
და ჩემს ლოჯინზე.  
მერე ეს ტანსაცმელი აიღო და მე მომჩეჩა, აქ კუნძულია,  
დასველდებაო (კუნძული ალბათ იმიტომ გაახსენდა, რომ  
დღისით ვაჩვენებდი რომელიღაც ფრანგი თუ ამერიკელი  
იუმორისტის ნახატების ალბომს, სადაც ბევრი ნახატი იყო  
რობიზონისა კუნძულის თემაზე).

**24 თებერვალი, 1986 წ.**

დილით თავისი ნახატი მაჩვენა.  
დაუხატია რალაცა, რომელიც ჰგავს ადამიანს და არცა ჰგავს.  
რა არის-მეთქი.  
ვირდავარიო.  
ეს ვირდავარი თვითონ გამოიგონა.  
დავარი არ მოსწონს, რადგან ნესტან-დარეჯანს სცემა.  
ვირია-მეთქი, ვთქვი ერთხელ დავარზე. მერე სხვა ქაჯებ-  
ზეცა ვთქვი, ვირებია-მეთქი.  
ჰოდა, ირინემ გამოიგონა ვირდავარი და ვირქაჯები.

**28 თებერვალი, 1986 წ.**

გუშინ სალამოს, სამუშაოდან რომ დავბრუნდი, ირინე ინვა  
თავის სანოლში და სლუკუნებდა.  
ოლიკო თავზე ადგა და სანოლს ურწევდა.  
ვკითხე:  
რატომ ტირიხარ, მამიკო?  
— შენ რომ არ მოხვედი, — მითხრა ჩუმად.  
მერე აღარ მომცილდა.  
ჯერ ერთად ვათვალიერეთ წიგნები. მერე დიდხანს მახატ-  
ვინებდა სხვადასხვა რამეებს.

ალა რომ მოვიდა სამუშაოდან, ირინე საქმელად წაიყვანა  
სამზარეულოში.  
მე დივანზე წამოვნიქი, ცოტას ჩავთვლემ-მეთქი.  
ცოტა ხნის შემდეგ მესმის, ირინე ფეხების ტყაპუნით გარ-  
ბის იქითა ოთახში, მამიკო, მამიკოო, იქ რომ ვერა მნახა, ახლა  
აქეთ გამოიქცა. შემოალო კარი და მომვარდა.  
რა არის, შვილო-მეთქი.

მითხრა, მე მეგონა, სადმე გაიქეციო.  
მერე კი დაამატა:  
— ნამოდი, ჭამე, ნამოდი, ერთად ვჭამოთ!

ახლა ვინეკი და ვწერდი რალაცას.  
შემოვიდა და მითხრა:  
— მე შენ გიპოვე, გიპოვე!  
ვერცხლის ქალაქისგან გაკეთებული, ნაძვის ხის გირ-  
ლიანდა მომცა, აათამაშეო.  
ავათამაშე და ირინემ კიდევ ერთხელ მითხრა: — გიპოვე  
მე შენ!

**5 მარტი, 1986 წ.**  
ირინე მეუბნება:  
— შენ იცი, რა სულელები არიან დედიკოს სტუდენტები?  
— რატომ?  
— იმიტომ, რომ სადღაც წავიდნენ და დედიკომ ვერ იპოვა.

**ირინეს ბავშვობის მეოთხე წელიწადი**

**10 მარტი**

ძილის წინ თავისი ორი თოჯინა ჩაანვინა სათამაშო სა-  
ნოლში, გვერდით მიუჯდა სკამზე, ისე, მე რომ მივუჯდები  
ხოლმე მას. და „აძინებდა“.

**11 მარტი — 21 მარტი.**

ირინეს დედამისმა უთხრა ჩემზე, ხვალ ჩამოვაო.  
„ხვალ“ უთქვამს ქართულად, თითქოს მე ვთქვი ასე.  
ირინემ კი რატომღაც იცის, რომ სამი დღის შემდეგ უნდა  
ჩავიდე („ჩერეზ ტრი დნია“).  
დედაჩემისთვის უთქვამს, მამამ რუსული არ იცისო.

ველაპარაკე ტელეფონით.

მაშინვე მითხრა:  
— მამიკო, ნესტან-დარეჯანი ზის კომკში და ტარიელმა უნ-  
და გამოიყვანოს. ასმათი ეტყვის ფრიდონს და ის დაეხმარება.

უკვე თბილისში ვარ.  
ვეთამაშებოდი, რალაცას ველაპარაკებოდი.  
ირინე ქოთანზე იჯდა.

რალაცა თქვა და გამეცინა.  
მითხრა, რატომ იცინი ჩემზეო.  
ვუთხარი, შენზე კი არ ვიცინი, მიხარია, რომ კარგი გოგო  
მყავხარ-მეთქი.  
და მითხრა ზუსტად ასე:  
— რა გავაკეთე ეგეთი კარგი?  
აი, ეგ გავაკეთე, ეგეთი ჭკვიანი რომა ხარ-მეთქი.

**22 მარტი, 1986 წ.**

სალამოა.  
ვსაუბრობთ:  
— ირინე, ჭკუა გაქვს?  
— ჰოო.  
— აბა, მაჩვენე, სადა გაქვს.  
— არა ჩანს. შენ რო შეუბერავ პერანგს, ხო არა ჩანს. ტელე-  
ვიზორში დენი როა, ხო არა ჩანს. არა ჩანს ჭკუა. აბა, სად არი.  
მერე ვკითხე, რითი ვფიქრობ-მეთქი და თავზე დაიდო  
თითი.

**26 მარტი, 1986 წ.**

დილაა.  
ირინე და მე ვართ ოთახში.  
მივიდა და კარს აღებს.  
— რას აკეთებ, ირინე?

— კარი უნდა გავაღო. აბა, როგორ გავიდე, ნახვრეტიდან?  
როგორ გავძვრები, თავი ხომ არა ვარ.

**4 აპრილი, 1986 წ.**

ამ რამდენიმე დღის წინ, რომ გაიღვიძა, მითხრა:  
— სიზმარში გნახე, მამიკო!  
— როგორა მნახე?  
— როგორ და, ჩემს ლოგინში ინეკი. შენ ხო კუდი არა  
გაქვს, რომ კურდღელი იყო, რა გინდოდა ჩემს ლოგინში?  
(ასე იმიტომ მითხრა, რომ კურდღელს იწვევს ხოლმე სა-  
ნოლში).

დილაადრიან გაიღვიძებს ხოლმე და მეტყვის:

— მამიკო, შენთან მინდა!  
ავიყვან ნახევრად მძინარი და ჩავინვენ ლოგინში. მერე მე  
ძილს განვაგრძობ, ის კი თამაშობს.

**5 აპრილი, 1986 წ.**

უკვე რამდენიმე დღეა ირინე ხატავს ადამიანის ფიგურებს  
უკვე მთლად გამოკვეთილი ნაწილებით. ცალკეა თავი, ზედატა-  
ნი, თეძო, ფეხები, ხელები, გუშინწინ ყვავილების ხატვა დაიწყო.  
დღეს დილას უცქეროდა ტელევიზორს. მერე თავისი ნახატი  
მაჩვენა, ეს ის ქალებია, ტელევიზორში რომ მღეროდნენო.

დილას რალაც სურათი მაჩვენა ჟურნალიდან ამოხეული.  
ეს რა არისო. ვუთხარი, ფლამინგოა-მეთქი.

კარგია თუ ცუდიო.

ვუთხარი, კარგია-მეთქი.

„მამ ფეხები რატომა აქვს, როგორც ცუდს?“ — მკითხა.  
ეტყობა, მტაცებელი ფრინველების ბრჭყალებს მიაგვანა.

**26 აპრილი, 1986 წ.**

უნივერსიტეტის კიბეებზე ჩამომყავდა.  
უცებ სკუპ-სკუპით დაიწყო ჩამოხტომა.

**27 აპრილი, 1986 წ.**

დედამისმა პლასტილინი უყიდა.  
ვაჩვენებ, თუ როგორ უნდა ძერწოს.  
თვითონაც რალაცას ფუსფუსებს.  
გავუკეთე ბაჭია, ფისო, ყანჩა, ზღარბი...  
ეს ყველაფერი პატარა კუბზე შეაყენა და თქვა, ეს ქვაა და  
ზედ ქვის რალაცეები დგასო.  
ძეგლები-მეთქი?  
ჰო, ძეგლებიაო.

ნავიყვანე თბილისის ზღვაზე.  
ჯერ ჩავედით უნივერსიტეტთან.  
ვდგავართ, ველოდებით ტრამვაის.  
და უცებ დაიწყო ჩემს ირგვლივ სიარული.

ზღვაზე ქარი ქროდა და მაშინვე უკან ნამოვედით (მერე  
დედამისს უამბო, იქ ერთი გემი იყო დაბმული და სხვა გემები  
არ იყო).

ზღვიდან რომ ნამოვედით, შევედით ნაძვების ნარგავებში,  
როგორც ტყეში.

იქ ბაბუაწვერები ვნახეთ.

გავახსენე „გაფყვავილები“-მეთქი (წლი-ნახევრის რომ  
იყო, ბაბუაწვერას „გაფყვავილს“ ეძახდა, იმიტომ, რომ სულის  
შებენვისას გაფრინდება და ღეროლა შეგრჩება ხელში. „გაფ-  
რინდა ყვავილია“ ანუ „გაფყვავილი“).

სულს უბერავდა.

მერე ყვავილზე მჯდარი პეპელა დავანახე.  
დაიხარა და იმასაც შეუბერა სული.

**19 მაისი.**

ფასანაურის სასტუმროში ვართ.  
ამ სამიოდე დღის წინ (როგორც მე ვიცი) ირინემ ასე ქნა:  
ძილის წინ დედაჩემი ეწვა გვერდით და იმის მაგიერ, რომ  
დედაჩემს ეამბნა რამე, ირინემ დაუნყო რაღაც ამბის მოყოლა.

დღეს პირველად დაიწყო ჩამოხტომა პატარა სიმაღლიდან  
(ალბათ ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლისა იყო რაღაცა).

დღეს დახატა, თუ გოგონა როგორ რწყავს ყვავილს.

**23 მაისი, 1986 წ.**

დილით თავისი სიმღერა იმღერა:  
რაღაც სიტყვებს ამბობდა მღერით და შიგადაშიგ რითმავ-  
და კიდევ.

**31 მაისი, 1986 წ.**

იცვამს ფაჩუჩებს, რომლებიც შევუკერე, სულ პატარა  
რომ იყო.

ცხადია, ვერ ეტყევა.

ამბობს:

— კიდევ თუ დავპატარავდები, მაშინ ჩავიცვამ.

**31 მაისი — 9 ივნისი, 1986 წ.**

ირინე მღერის:

იასამნის ხე...

სამიანის ხე...

ია ყვავილი...

ნუ დაჯდებით, მოგწყვიტავენ

დაგწყვიტავენ სულაც, ია...

რა ეგონათ, აფერია...

ყვავილებო, იგზაუროთ...

ყვავილო, იასამანო!

აი, კიდევ სიმღერა:

ირინე, ჩემო ციციანათელა...

სამი გზა და გოგო მე...

გოგოზე და ირინე...

მეე... გოგოსი სიხარულია...

ყვავი უკბო სამატი რა...

ჩემი უკბო სამატი რა...

(ამბობს რაღაც გაუგებარ სიტყვებს, ოღონდ რიტმს იცავს).

არაგვის პირას ვსხედვართ ირინე და მე, უფრო სწორად,  
მე ვზივარ, ის კი იქვე დაფუსფუსებს.

პატარა ქვებსა პოულობს და ზვირთებში ისვრის.

ვაძინებდი.

თავის სანოლში თამაშობდა.

გადმომიყვანეო.

დადგა სკამზე სანოლის გვერდით და დაიწყო ვარჯიში (ეტყო-  
ბა, ტელევიზორში აერობიკას რომ უცქერის, იმის გავლენით).

თვითონ აკეთებდა მოძრაობებს და მეც მაიძულებდა, რომ  
იგივე გამეკეთებინა.

დიდხანს თამაშობდა ასე.

მამონებდა, იგივეს ვაკეთებდი თუ არა.

მისწორებდა, ასე და ასე უნდაო.

**9 ივნისი, 1986 წ.**

ძილის წინ ვუთხარი, მოდი „ბითლზებს“ მოვუსმინოთ-  
მეთქი.

არა, იმას მოვუსმინოთ, მე როგორ ვლაპარაკობ პატარაო.

მოვასმენინე.

გაოცებული სახე ჰქონდა და შემკრთალი. თითქოს ვერ გა-  
ეგო, როგორაა, რომ ეს ვილაც ბავშვი, რომელიც ძლივას ლა-  
პარაკობს, თვითონაა.

მერე მითხრა, „ბითლზებს“ მოვუსმინოთ.

მოვასმენინე „პაპალაგელ“, „მაინ გიტარ“, კიდევ რაღაც  
სიმღერა და „ჯულია“.

„ჯულიას“ წინ მითხრა, ვიცეკვოთო.

ავიყვანე და ვაცეკვე.

ძალიან მშვიდი იყო...

მერე მომთხოვა, მაჭამეო.

ვაჭამე. ჯერ მზესუმზირა, მერე ქათმის ხორცი.

და ძალიან მშვიდად ჩაეძინა ერთ ნუთში.

ჰო, პეპელას სიმღერა ვუმღერე.

პირველ ორ სტრიქონზე ამყვა. მერე გაჩუმდა და დაეძინა.

**14 ივნისი, 1986 წ.**

უკვე თვე-ნახევარზეც მეტია, ირინეს ძილის წინ რომ ვუმ-  
ღერი ხოლმე სიმღერას პეპელაზე, ჩემთან ერთად მღერის.  
უკვე მთლიანად იცის ტექსტი.

ადრე სხვა სიმღერებზეც ამყვებოდა ხოლმე.

მაგალითად „თინათინის“ სიმღერის სტრიქონების ბოლო  
ბგერებს ამაყოლებდა. „მოისმინებდა“, „მოიწყინებდა“, „მო-  
ილხინებდა“ ვმღეროდი, ირინე კი ამაყოლებდა „ინებდა“. ხო-  
ლო „თინათინებდა“-ს სრულად ამბობდა.

**15 ივნისი, 1986 წ.**

გორაკზე ბალახებში მივდიოდით.

ქუხდა.

ვთქვი, განვიმდება-მეთქი.

ირინემ მითხრა:

— აბა, რა, ყვავილებმა არ უნდა დალიონ წყალი?

რაღაც ფილმს ვუყურებდით ტელევიზორში.

ექიმებზე იყო.

ის ექიმი რა იქნაო, მკითხა ირინემ.

აგერ ისაა-მეთქი.

— მერე, ექიმებს ხომ თეთრები აცვიათ?

ძილის წინ ვუმღეროდი „ავთანდილის“ სიმღერას („რა გინ-  
და მომცეთ, რას ვაქნევ, მე ვარ და ჩემი ცხენია“).

მეგონა, რომ ჩაეძინა და გავჩუმდი.

ცოტა ხნის შემდეგ თვითონ დაიწყო მღერა.

მესმის:

— არ მინდა არაფერიო, მე ვარ და ჩემი ცხენიო...

თავისებურად გადააკეთა და გარითმა კიდევ.

იმღერა ცოტა ხანს და დაიძინა მშვიდად.

**26 ივნისი, 1986 წ.**

ირინეს მოვუყევი „ბონიფაციის არდადეგების“ სიუჟეტი.

ხელში უჭირავს ფილმის პროსპექტი თუ რეკლამა, რო-  
მელზეც ხატია ბონიფაცი და ზანგი ბავშვები.

ამბობს:

ბონიფაციის ჰყავდა პატარა ლომები და მერე გადაიქცნენ

ბავშვებად... ჰქონდათ ძაფი... ესენი ხომ ნამდვილები არ იყვ-  
ნენ... ნამდვილი ადამიანები... არც კაცები, არც ქალები, არც

გოგოები, არც ბიჭები...

ჰყვება შესტიკულაციით, ენერგიულად...

ირინემ მითხრა:

— დედიკომ წამიყვანა პოლიკლინიკაში და იქ ყველა ქა-  
ლები ავად იყვნენ.

გაოცებულია ამით.

აღმოაჩინა, რომ თურმე დიდებიც ხდებიან ავად...

**28 ივნისი, 1986 წ.**

ირინე მღერის:  
— მივდივარ... მივდივარ... მივდივარ...  
მივდივარ... მივდივარ... მივდივარ...  
ეს ერთი სიტყვაა მთელი სიმღერა.

**30 ივნისი, 1986 წ.**

სალამოა.  
ირინემ უცებ დაიძახა:  
— ალლი-ბუღლი... მაგამო (თუ რაღაც მსგავსი სიტყვაა)!  
ალლი-ბუღლიი!  
ყვიროდა ხმამაღლა. აჯავრებდა იმ კაცს, ვისაც ალლი-  
ბუღლი დააქვს.  
მე მგონი, ეს პირველად გამოაჯავრა ვილაცის ძახილს.

**12 ივლისი, 1986 წ.**

სალამოა.  
პურზე მივდივართ ირინე და მე.  
რუსული სკოლის ეზოში ბიჭები ხეს შესევნიან. თან პირნ-  
მინდად ლოჭავენ, თან ტოტებს ლუნავენ და ამტვრევენ.  
ირინემ მკითხა:  
— რასა შვრებიან, მამიკო?  
— სულელები არიან. თუ ნუშა კრეფენ, თან რაღას ამტვ-  
რევენ — ვთქვი მე.  
მივდივართ.  
ერთხანს ჩუმად ირინე და მერე მეუბნება:  
— ხე მოტეხეს და ტიროდა. შენ ხო იცი, ხე როგორ ტირის.  
ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაიმეორა:  
— დაამტვრიეს და ტიროდა. შენ ხო იცი, როგორ ტირის ხე.  
პური რომ ვიყიდეთ და ვბრუნდებოდით, მითხრა:  
— ამ გზით წავიდეთ, აი, ამ გზით.  
ალბათ უნდოდა ნუშის ხისთვის შეეხედა.

**19 ივლისი, 1986 წ.**

ირინე დგას აივანზე და ყვირის:  
— ნესტანოო!.. ასმათოო!..  
მერე ჩუმად ამბობს:  
— ტარიელო, უშველე ნესტანს, რა.  
ისევ „დაუძახა“:  
— ნესტანო!  
მერე ჩაილაპარაკა, გადარიდა ეს ქალი, და მე მომმართა:  
— მამიკო, ნესტანი გადარიდა?  
— რა ქნა ეგეთი?  
— რა ქნა და აღარ მოვიდა აქ. თავის სახლში წავიდა და  
აღარ მოვიდა აქ.

**22 ივლისი, 1986 წ.**

ირინეს ვაძინებდი და მთხოვა, მიაშვე ტარიელის ზღაპარ-  
რიო.  
ვუამბე.  
მერე ვუმღეროდი:  
„სხვაგან ჰქრის მისი გონება...“  
თვითონაც დაიწყო სიმღერა.  
მე გავჩუმდი.  
მღეროდა და თავისებურად ჰყვებოდა ტარიელისა და ნეს-  
ტანის ამბავს.  
ცოტ-ცოტა დავიხსომე:  
„საით წავიდა ნესტანიი...“  
„გაქუსლა, გაქუსლა, გაქუსლა“ (ეს ტარიელზე თქვა).  
რაღაცა თქვა ცუდ კაცზე, რომელიც ნესტანის ძმაცატი  
უნდა ყოფილიყო რატომღაც.  
ყველა სტრიქონს თანაბარმარცვლიანს მღეროდა და ზო-  
გან რითმაც იყო.  
იმღერა.

მერე ცოტა ხანს ინრიალა ლოგინში.  
და დაიძინა.

**27 ივლისი, 1986 წ.**

ვიჯექი სავარძელში.  
ირინე მოვიდა, მომეყუდა და მუხლებზე ხელები დამანყო.  
თვალეში შემომაჩერდა ეშმაკური ღიმილით და მითხრა:  
— მამიკო... მამიკო... მამიკო...

**2 აგვისტო, 1986 წ.**

ვუთხარი, წადი, ოლიკოს დაუძახე-მეთქი.  
მიადგა კარს და დაუნყო ძახილი:  
— ოლიო, გამოდი.  
თვითონ გამოიგონა „ოლიო“.

**3 აგვისტო, 1986 წ.**

— რამე რო დამივარდება, ფეხით ვიღებ, როგორც მაიმუ-  
ნი, — მითხრა ირინემ.  
თავის საწოლში იდგა.  
მაჩვენა:  
დააგდო თავისი საწოვარა და დასწვდა ფეხის თითებით.

**27 აგვისტო, 1986 წ.**

ვართ ლენინგრადში. ვიღებ „ელისა და რარუს თავგადასა-  
ვალს“.  
საავადმყოფოში ვიყავი. ვნახე ავარიში მოყოლილი ღულუ-  
სასტუმროში არაქათგამოცლილი დავბრუნდი.  
დასაძინებლად დავნექი.  
ირინე საწოლის გვერდით თამაშობდა.  
მერე დაანება თამაშს თავი, ამოვიდა ლოგინზე და წყნა-  
რად მომიწვა გვერდით. ბალიშზე დამიდო თავი და ჩემთან ერ-  
თად დაიძინა.  
საერთოდ კი სულაც არაა წყნარი.  
ყაჩაღს ვეძახი და თვითონაც არ ამბობს უარს.

**2-28 აგვისტო, 1986 წ.**

სულ თან დამდეგს გადალებებზე.  
ახლა ლამეა.  
ძილის წინ მოვიდა, ლოგინში ჩამინვა, თავი მკლავზე დამა-  
დო და სიბნელეში მეკითხება:  
— წამიყვან დღეს გადალებაზე?  
— დღეს კი არა, ხვალ, — ვუსწორებ მე.  
— ჰო, ხვალ წამიყვან?  
— წაგიყვან.  
და მოულოდნელად მკითხა:  
— გჭირდები?  
ადრე გადალების მოედანზე ვუთხარი, ჩემი თანაშემწე  
ხარ-მეთქი.

**29 აგვისტო, 1986 წ.**

წუხანდელი სიზმარი გვიამბო ალას და მე.  
სიზმარში თოჯინები ვნახეო. აქ თოკები ჰქონდათო —  
თმებზე წაივლო ხელი. ასე დადიოდნენო, ფეხის ტერფები ერ-  
თმანეთისკენ შეაბრუნა ფეხისგულებით. კარგად კი არა, ასე  
დადიოდნენო. ბურატინო იყო და მალვინაო.

მომიყვა, თუ როგორ ნახა, გიგო რომ არემონტებდა მანქანას.  
მანქანასთან იწვავო. საბანი არა ჰქონდაო.

ირინე წამოწოლილია საწოლზე და მღერის, ღმერთის გოგო  
იყო იმ სახლშიო...

ოლიკომ მკითხა, როდის უნდა მომცენ ხელფასიო. და წა-  
ვიდა.

ირინე მეუბნება:

— მე არ უნდა მომცენ ხელფასი? რალაცა მინდა ვიყიდო.

ცოტა ხნის შემდეგ მითხრა:

— ლიპები მინდა რო გავიკეთო. მიყიდე ლიპები.

თან მხრებზე იდებს ხელს.

ოთახიდან გადიოდა და მითხრა:

— შენ ვინი პუხი ხარ, იმიტომ რო ტკბილი გიყვარს.

**11-12 სექტემბერი, 1986 წ.**

ძალიან უყვარს ხელში რომ ავიყვან ხოლმე.

ყოველ წუთს მეუბნებოდა, მამი, ამიყვანეო.

ჰოდა, ბოლოს გამოიგონა:

— მამი — ამი!

თან სიტყვა შეამოკლა, თან გართობა.

**12 სექტემბერი, 1986 წ.**

გაგვიცივდა და რამდენიმე დღეს ავად იყო.

გუშინ საღამოს გამოჯანმრთელება დაეტყო.

საღამოს ვინეჩი და რალაცას ვწერდი.

ერთ მუხლს მოვლუნავ და ზედ მივაყუდებ ხოლმე საქალაქს.

ირინე სანოლზე ამოვიდა. გაშლილ ფეხზე დამაჯდა, მუხლზე მომეყუდა და როგორღაც მშვიდად და სევდიანად მითხრა:

— ეხლა ვნახე, ცისარტყელა ჩავიდა ღრუბელში, ესეთი იყო... მწვანე ფერის.

უფრო სწორად, კი არ ჩავიდა, ამოვიდა.

მერე გაჩუმდა და მშვიდადვე გაყუჩდა ჩემს მუხლს შემოხვეული.

სამუშაოზე არ გამიშვა.

ჩემს გვერდით დარბის.

აილო ჰულა-ჰუპის რგოლი და მღერის:

მივდივარ ჰულა-ჰუპით საბანაოდ,

მივდივარ... ჩიკ-ჩირიკ, ჩიკ-ჩირიკ...

გამიშვით... გამიშვით...

მოვედი ჰულა-ჰუპით საცურაოდ,

მოვედი... ჩიკ-ჩირიკ, ჩიკ-ჩირიკ...

ამოცოცდა ჩემს ლოგინზე და დაწვა რგოლიანად.

ესე იგი, ეს რგოლი მაშველ რგოლად წარმოიდგინა.

ბოტანიკურ ბაღში მყავდა.

ახლოს ნახა „ქართვის დედა“.

შემეკითხა:

— ამ ქალს არა აქვს ნახვრეტი, რო დაქოქონ და იმოძრაოს?

მერე მივხვდი, თუ რატომ მკითხა ასე.

რადგან ძეგლი ლითონისაა, მიაშვანა თუნუქის დიდ სათამაშოს (ჩიტები რომ არიან ხოლმე დასაქოქი).

**14 სექტემბერი, 1986 წ.**

უცებ წამოიძახა:

— სოსები, ჩქარა!

გალაკტიონის „დროშები ჩქარა“ ნამდვილად არ მოუსმენია.

თვითონ აღმოაჩინა შეძახილის რიტმი.

„სოსას“ ეძახის სანოვარა-სატყუარას.

უყვარს „სოსა“ და ამ სიყვარულმა წამოაძახებინა, სოსები ჩქარაო.

**18 სექტემბერი, 1986 წ.**

კინოსტუდიაში მყავდა.

სტუდიის წინ ავთო გველესიანი ვნახე და ვისაუბრეთ.

ირინე იქვე თამაშობდა.

ავთომ მკითხა, რა უნდა გამოიყვანოო.

რაც თვითონ უნდა, ის გამოვიდეს-მეთქი.

რომ წამოვედით, ვკითხე, რა უნდა გამოიხვედეს-მეთქი.

მიპასუხა, მე მინდა, რო შვილები მყავდესო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**გი დე მოპასანი**

**ჩემი ცოლი**

სადილი უკვე მთავრდებოდა. ასე ერთად მხოლოდ მამაკაცები, ძველი მეგობრები იკრიბებოდნენ ხანგამოშვებით, ცოლების გარეშე, ისე, როგორც ადრე, დაოჯახებამდე სჩვეოდათ. ამჯერად სუფრას დიდხანს შემორჩნენ, ჭამეს და სვეს უზომოდ, მერე მოგონებათა სკივრსაც ახადეს თავი და რალა არ გაიხსენეს, ისეთი თავგადასავლებიც, კარგ გუნებაზე რომ დაგაყენებდათ და გულსაც ავითრთოლებდათ.

შიგადაშიგ გაისმოდა:

— გახსოვს, ჟორჟ, სენ-ჟერმენში რომ გავისიერეთ, მოტმარტრიდან ორი ქალიშვილის თანხლებით?

— ეშმაკმა დალახვროს! როგორ არ მახსოვს... — და გონებაში ამოუტივტივდათ ათასი რამ წარსულიდან, რის მოგონებაც ხალისიან განწყობას უქმნიდათ.

საუბარი ქორწინებაზე ჩამოვარდა და თითოეულმა გულლიად ამოალაგა ყველაფერი, რის მოყოლაც სურდა. „ო, რომ შეიძლებოდა ცხოვრების ხელახლა დაწყება...“

ჟორჟ დიუპორტენმა დასძინა:

— ძნელი დასაჯერებელია, რა იოლად ებმები მახეში მაშინ, როცა მტკიცედ გაქვს გადწყვეტილი, არასდროს შეირთო ცოლი, მაგრამ გაზაფხულზე სოფლისკენ მიგინევს გული, მერე ცხელი ზაფხულიც მოდის, მინდვრად ხასხასა, მწვანე ბალახი ბიბინებს, ირგვლივ ყვავილების ზეიმი. ჰოდა, მეგობრების წრეში ახალგაზრდა ქალიშვილს ეცნობი, მალე ყველაფერი ბედნიერი დასასრულისკენ მიდის და შენც იქიდან დაწყვილებული ბრუნდები...

— დაახლოებით მეც ასე დამემართა, მაგრამ ჩემი ამბავი მაინც განსხვავებულია, — წამოიძახა პიერ ლეტულამა.

— მეგობარო, ბედის სამედურავი ნამდვილად არ გეთქმის, რადგან ლამაზი და მომხიბვლელი, კარგად აღზრდილი, სრულქმნილი არსება გიმშვენებს გვერდს. პირდაპირ გეტყვი, ჩვენ შორის ყველაზე ბედნიერი მამაკაცი ხარ.

— ისე, რომ იცოდეთ, ეს ჩემი შეცდომით არ მომხდარა.

— ეს როგორ გავიგოთ?

— ახლავე მოგახსენებთ. ბედით უკმაყოფილო ნამდვილად არა ვარ. შესანიშნავი მეუღლე მყავს, მაგრამ მე ჩემი ნებით არ შემირთავს.

— აბა, რანაირად? — იკითხეს დანიტერესებულბმა.

— აი, რა გადამხდა თავს. მაშინ ოცდათხუთმეტი წლისა ვიყავი და ცოლის მოყვანაზე ისევე არ ვფიქრობდი, როგორც თავის ჩამოხრჩობაზე. ყმანვილქალები მოსაწყენად მიმაჩნდა და მათკენ არც კი ვიხედებოდი. ქალებთან დროსტარება უფრო მიზიდავდა.

მაისი იდგა. ჩემი ბიძაშვილის სიმონ დ'ერაბულის ქორნილი ვიყავი მინვეული, ნორმანდიაში. ეს იყო ნაღდი ნორმანდიული ქორნილი. სტუმრები საზეიმო სუფრას ხუთ საათზე შემოუსხდნენ და თერთმეტზე ქეიფს ისევ განაგრძობდნენ. შემთხვევით სუფრაზე მადმუაზელ დიუმელენის გვერდით მოვხვდი. ის იყო გადამდგარი პოლკოვნიკის ქალიშვილი, ქორფა, ქერათმიანი, კოხტა აგებულების, განებივრებული, თამამი გოგონა. იგი ერთი წუთითაც არ მომშორებია და ენაც არ გაუჩრებია. მერე პარკში წამიყვანა, ჩემდაუნებურად მაცეკვებდა, ერთი სიტყვით, საშინლად მომაბზურა თავი. „მორჩა, — ვფიქრობდი ჩემთვის, — ერთი ამ დღემ ჩაიაროს და ხვალდან აქ ველარავინ დამლანდავს მეთქი“.

სალამოს თერთმეტი საათისათვის ქალები თავიანთი ოთახებისკენ გაემართნენ. მამაკაცები სუფრაზე დარჩნენ. სვამდნენ და ენოდნენ, თუგინდ ენოდნენ და სვამდნენ, როგორც გერჩივნოთ.

გაღებული ფანჯრიდან კარგად მოჩანდა სოფლის წვეულება, გლეხის ქალები და მამაკაცები ფერხულში ჩაბმულნი, ულაზათოდ და გიჟურად ხტოდნენ და ღრიალებდნენ ველური ცეკვის აკორდზე, რასაც აკომპანირებას უწევდა ესტრადისავეთი მოწყობილ სამზარეულოს მოზრდილ მაგიდაზე დადგმული კლარნეტი და ორი მევიოლინე. ხმაურიანი სიმღერა, ინსტრუმენტთა ბგერებს მთლიანად ნთქავდა, სუსტი მუსიკა, თავანყვეტილი ხმების ფონზე, თითქოს ზეციდან ფრაგმენტებად და ნოტებად ცვიოდა.

ორი ვეებერთელა კასრიდან, რომლის ირგვლივაც ჩირაღდნები გიზგიზებდა, სასმელს ასხამდნენ. აქვე, ორი მამაკაცი წყლიან როფში ავლებდა ჭიქებსა და ფიალებს და მერე ონკანის ქვეშ ათავსებდა, საიდანაც წითელი ღვინის ან ოქროსფერი წმინდა სიდრის ჭავლი მიედნებოდა. ბაზუსს მოწყურებული ახალგაზრდა მოცეკვავენი, დარბაისელი მოხუცები, გაოფლილი ქალიშვილები აქეთკენ აწყდებოდნენ, ხელებს ინვდიდნენ, რათა დაეველოთ ხელი რომელიმე ფიალაზე, როცა მათი ჯერი დადგებოდა, რათა თავგადანულებს ყელში მძლავრ ნაკადად ჩაეშვათ საყვარელი სითხე. მაგიდაზე ეწყო პური, ყველი, კარაქი და ძხვები, რასაც სტუმრები დროდადრო შეექცეოდნენ. საამო საცქერი იყო ეს მზიარული და ცოცხალი ნადიმი ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ. ისე ძლიერ მომინდა გაბერანი კასრიდან მეც მომესვა და ზედ კარაქიანი პური და მწვანილ ხახვი დამეყოლებინა.

უცბად გიჟური სურვილი დამეფულა საერთო მზიარულეხას შევერთებოდი. თანამოსაუბრეებს გამოვეყვი და იქეთკენ გავემართე, ცოტათი შეზარხოშებული შესაძლოა აქამდეც ვიყავი, მაგრამ მალე, მთლად გამოვთვერი. მერე ერთ აქომინებულ, ჯანმავარ გოგონას დავავლე ხელი და ქანცის განყვეტამდე ვაცეკვე, ვიდრე თვითონ შემიგუბდებოდა სული. შემდეგ ერთი ჭიქა ღვინო კიდევ გამოვცალე და ახლა სხვა ქალი გამოვინვიე საცეკვაოდ, ცოტათი რომ გავგრილებულიყავი, ერთი ფიალა სიდრი კიდევ შევსვი და, აზარტში შესულმა, ცეკვა განვაგრძე.

ძალიან სხარტად ვცეკვავდი, ყმანვილკაცები აღტაცებით მომჩერებოდნენ, ცდილობდნენ ჩემთვის მოეხადათ. ქალიშვილებს, უკლებლივ, ჩემთან ცეკვა სურდათ, თვითონ კი ტლანქად და მოუქნელად, დათვებით დაბაჯბაჯებდნენ. ცეკვას ცეკვას ცვლიდა, კათხით ღვინოს — კათხით სიდრი, და ორი საათისათვის მე ისე გაღებოდა ვიყავი, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი.

კარგად გავითვიცნობიერე, რაც მჭირდა, საღი გონება არ დამიკარგავს და ოთახისკენ გავეჩქარე, როგორმე რომ მიმელნია. ციხე-კოშკში სიბნელე და სიმყუდროვე გამეფებულყო. სანთებელაც არ მქონდა. ვესტიბულში როგორც კი შევედი, თავბრუ დამესხა. ხელისცეცებით ძლივს ვიპოვე მოაჯირი და კიბის პირველ საფეხურზე ჩამოვჯექი, შევეცადე აზრები დამელაგებინა.

საბედნიეროდ, მახსოვდა ჩემი ოთახი, მესამე სართულზე იყო, მარცხნიდან — მესამე კარი. ღმერთს მადლობა, არ დამეინყებოდა. ძლივძლივობით წამოვდექი და საფეხურებზე ასვლა დავინყე, თან რკინის მოაჯირს მაგრად ჩავეჭიდე, რათა არ დავცემულიყავი და ხმაური არ გამომენვია, სამოთხჯერ საფეხურზე ფეხი დამიცდა და მუხლებზე დავეცი, მაგრამ მკლავებისა და ნებისყოფის ძალით კიბიდან დაცურება ავიცდინე.



ბოლოს და ბოლოს მივალწიე მესამე სართულს, ერთხანს დერეფანში დავბოდილობდი, ხელებით მივეყვებოდი კედელს. აი, კარიც. დათვლა დავინყე: „პირველი“, მაგრამ უეცრად დავტრიალდი და რალაც ძალამ მოპირდაპირე კედლისკენ გამიქნია. შევეცადე ისევ მარჯვენა მხარეს დაებრუნებულიყავი. დიდხანს მივიკვლევდი წინ მძიმე ნაბიჯებით. როგორც იქნა, კედლის ნაპირი ვიპოვე და მას გავყვი დიდი სიფრთხილით, მერე მეორე კარიც გამოჩნდა. ახლა უკვე ხმამაღლა ვთქვი „მეორე“ და სვლა განვაგრძე. მალე მესამე კარსაც მივაგენი. ეს „მესამე“ ჩემი უნდა იყოს-მეთქი, გამიელვა და საკეტში გასაღები დავატრიალე. კარი გაიღო, „რა კარგია, ესე იგი შინ ვარ, რაკი გაიღო“. კარი წყნარად მივხურე და სიბნელეში ოთახის სიღრმისკენ წავიწიე. ანაზღად რალაც რბილ საგანს შევეხე. ეს ჩემი შეზღონი იყო ცხადია, მეც აღარ დავაყოვნე და სიგარდზე გავიშხლართე. ჩემს მდგომარეობაში მყოფს, არც მიცდია პატარა შანდალი და ასანთი მომეძებნა, ალბათ, ორ საათს მაინც მოუუნდებოდი და კიდევ მეტ დროს წამართმევდა. ტანზე გახდა შეიძლება არც გამომსვლოდა. ამიტომ გახდა გადავიფიქრე, მხოლოდ ჩექმები გავიძვრე და ჟილეტის ფოლაქები გავიხსენი, რადგან ყელთან მაგრად მიჭერდა, მერე შარვლის ბალთაც შევიხსენი და იმწამსვე მკვდარივით ჩამეძინა.

უეჭველია, დიდხანს მეძინა. მოულოდნელად ვიღაცის ძლიერმა ხმამ გამომავლია. ის ჩემგან სულ ახლოს გაისმა. „ზარმაცო გოგონავ, შენ კიდევ გძინავს? შეხედე, ათი საათია უკვე“. ამ ხმას მეორე ქალის ხმა გამოეპასუხა — „ახლავე ავდგები, გუშინ ისე დავილაღე“.

გაოცებული ჩემს თავს ვეკითხებოდი: „რას უნდა ნიშნავდეს ეს დიალოგი, სად ვარ, რა მემართება-მეთქი?“ ნისლეტში გახვეული ჩემი გონება აქეთ-იქეთ დაფრინავდა.

პირველმა ხმამ განაგრძო: „ფარდებს გადაწვე“ — და შემომესმა ნაბიჯების ხმა, რომელიც მიახლოვდებოდა. ის იყო მთლად გაოგნებული ნამოვჯექი, რომ ვიღაცის ხელი თავზე შემეხო. უეცრად შემოვტრიალდი. ვინ არის აქ? დაიყვირა გაჯავრებულმა ხმამ. პასუხისაგან თავი შევიკავე. მერე ორმა ძლიერმა ხელმა დამტაცა და მეც უტნობს მკლავები მოვხვიე და ხელდახელ შევები. გაშმაგებული ჭიდილი გაიმართა ჩვენ ორს შორის, მივგორავდით ძირს, ვეჯახებოდით კედლებს, მთელი ავეჯი გადავავირავეთ.

უცბად ქალის საშინელმა კვილმა სიჩუმე დაარღვია: მოგვეშველეთ, მოგვეშველეთ! სასწრაფოდ მოიბრინეს შინამოსამსახურებმა, მეზობლებმა, დაზაფრულმა ქალებმა. მათ დარაბები გამოადღეს და ფარდები გადასწიეს. თურმე პოლკოვნიკთან ვყოფილვარ ორთაბრძოლაში.

მე მისი ქალიშვილის საწოლის ახლოს მეძინა. ერთმანეთს რომ დავგავშორეს მე და პოლკოვნიკი, სასწრაფოდ ჩემი ოთახისკენ მოვკურცხლე, სულმთლად გამოთავყვანებულმა ყოვე-

ლივეთი, რაც მოხდა. კარი ჩავიკეტე, მერე დავჯექი და ფეხები სკამზე შემოვანყვე, რადგან ჩექმები იმ ოთახში დამრჩა.

ნახევარი საათის შემდეგ კარებზე დამიკაკუნეს. „ვინ არის?“ — დავიყვირე. ეს ბიძაჩემი იყო, წინა ღამის ნეფის მამა. მე გავუღე. ფერწასული ჩანდა, სიბრაზეს ვერ მალავდა და უხეში ტონით მომმართა:

— ჩემს სახლში ისე მოიქეცი, როგორც ხეპრე და იდიოტი, გესმის, რა ჩაიღინე?

შემდეგ ხმა შეარბილა და დაუმატა:

— ასეთი სუსტი ჭკუის როგორა ხარ? დილის ათ საათზე კუნძივით გდიხარ და თავს აჭერიხარ ოთახში იმის ნაცვლად, რომ გაიქცე.

— არა, ბიძაჩემო, ასე არაა. გარნმუნებ, არაფერი მომხდარა. მთვრალი ვიყავი და კარი შემემშალა. ეს იყო და ეს.

მან მხრები აიჩეჩა:

— კარგი ერთი, რა სისულელეებს რომე...  
მე ხელი ავნიე.

— გეფიცები პატიოსნებას, მართალს ვამბობ.

— კარგი, კარგი. სხვანაირად არც უნდა ილაპარაკო, — დასძინა მან.

ამაზე გავცხარდი და თავიდან ბოლომდე მოვუყევი რა ფათურაკიც გადამხდა. იგი გაფართოებული თვალებით მიყურებდა და არ იცოდა, დაეჯერებინა თუ არა მოწყობილი.

ამის მერე ბიძაჩემი პოლკოვნიკთან მოსალაპარაკებლად გაემართა.

მაღე ჩემთვის ისიც ვახდა ცნობილი, რომ დედებს რაღაც ტრიბუნალის მსგავსი სამსჯავრო ჩამოეყალიბებინათ, რათა შექმნილ მდგომარეობის სხვადასხვა ვარიანტებზე ემსჯულათ.

ერთი საათის მოგვიანებით ბიძაჩემი დაბრუნდა. სკამზე მოსამართლესავით მოიკალათა და წამოინიყო:

— როგორც უნდა ყოფილიყო, ჩემო ბიჭო, ამ დავიდარაბიდან თავის დაღწევის მხოლოდ ერთი გზა არსებობს. მადამუაზელ დიუმელენი ცოლად უნდა შეირთო.

ამ სიტყვების გაგონებაზე თავზარი დამეცა.

— ქორწინებაზე, არ იფიქრო დაგეთანხმო. ეგლა მაკლია. მერე სერიოზულად ჩამეკითხა:

— აბა, რის გაკეთებას აპირებ ყმანვილო?

— ჩექმებს როცა დავიბრუნებ, აქედან გავქრები, — მიაბიტად ვუპასუხე მე.

ბიძაჩემმა განაგრძო:

— სახუმაროდ სულაც არ გაქვს საქმე, ჩემო ბიჭო. პოლკოვნიკმა დაიფიცა, შუბლში ტყვიას დავახლი, სადმე თუ შემხვდებაო. დარწმუნებული ბრძანდებოდე, ტყვილი მუქარა არ სჩვევია. მე დუელზე ჩამოვუგდე ლაპარაკი, მაგრამ უარი მივიღე და მიპასუხა, ტვინს გავუხვრეტო. მოდი ახლა, მეორე მხრიდან შევხედოთ ამ ამბავს. ვთქვათ, შენ აცდუნე ქალიშვილი, ეს შენთვის უარესია, რადგან წესიერი ახალგაზრდები ასე არ იქცევიან. ან მართლა შეგეშალა კარი, როგორც ამბობ. ეს უარესია. ასეა თუ ისე, საცოდავ გოგოს სახელი მაინც უტყდება, რადგან მთვრალი კაცის ნაბოღიალებს დაიჯერებს ვინმე? ერთადერთი მსხვერპლი, ის არის. დაფიქრდი ამაზე!

და იგი გავიდა. მე ზურგში მივაძახე:

— რაც გინდათ, ის თქვით. არ შევირთავ, არა!

მე კიდევ ერთი საათი დავგრძედი ოთახში.

ახლა ბიცოლაჩემი გამოჩნდა. ტიროდა. მან თავისი მოსაზრებები გადმოალაგა. არავის სჯეროდა ჩემი შეცდომის. წარმოუდგენლად მიაჩნდათ, ქალიშვილს ოთახის ჩაკეტვა და ვინცებოდეს მამის, როცა სახლში ამდენი ხალხი ირეოდა. პოლკოვნიკმა ქალიშვილი სცემა. იგი დილიდან ტიროდა. რაც მოხდა, საშინელი სკანდალი იყო, რასაც არაფერი ეშველებოდა.

ჩემმა კეთილმა ბიცოლამ ბოლოს თავისი აზრი გამოთქვა:

— ნადი და ახლავე ხელი სთხოვე. შესაძლოა ამ დავიდან რაბიდან გამოძვრე, თუ საქორწინო ხელშეკრულების პირობების განხილვამდე მივა საქმე.

ერთ საათში პარიზს გავემგზავრე.

მეორე დღესვე შემატყობინეს თავიანთი თანხმობა. ჰოდა, სამი კვირის შემდეგ, ვიდრე რაიმე ეშმაკობას მოვიფიქრებდი ან გადავთქვამდი, შეთანხმება მოხდა, მოსაწვევი ბარათები დაეგზავნა ყველას, ვისაც ჯვრისწერაზე ინვესტირებდნენ. მხარეებს შორის საქორწინო კონტრაქტიც გაფორმდა და მე ორშაბათ დილას, ქოროს თანხლებით, გაჩახახახებულ ეკლესიაში აღმოვჩნდი ქალიშვილის გვერდით, როცა მერს განვუცხადე, რომ თანახმა ვიყავი იგი ჩემი ცხოვრების თანამგზავრად გამეხადა და ერთად ვყოფილიყავით, ვიდრე სიკვდილი არ დავაშორებდა. ქალიშვილი ცრემლებად დაიღვარა. მას ჩემთვის თვალეში არცერთხელ არ შემოუხედავს და სიტყვაც არ დასცდენია. იმ დღის შემდეგ არ მინახავს და ახლა გვერდიდან არაკეთილმოსურნედ განცვიფრებული შევყურებდი. პოლკოვნიკის ქალიშვილს თვალტანადობას ვერ დაუნუნებდი.

და მე ჩემთვის ვავიფიქრე: „საბრალო, ჩემს ხელში დაღვინებულ ცხოვრებას არ უნდა ელოდოს“...

შუალამისას საქორწინო ოთახში

შევედი იმ განზრახვით, რომ მისთვის თანაცხოვრების გეგმები გამეცნო, რადგან ახლა მე ვიყავი ბატონ-პატრონი. იგი სავარძელში იჯდა იმავე ტანსაცმელში დღისით რომ ემოსა, ფერწასული და თვალმდებარეობით. ჩემ შესვლაზე წამოდგა, ჩემკენ მძიმე ნაბიჯებით წამოვიდა და განმიცხადა:

— ბატონო, მზად ვარ თქვენი მონა-მორჩილი ვიყო, თუ მოისურვებთ, თავსაც მოვიკლავ.

ოო, რომ იცოდეთ, რა საყვარელი იყო თავის ჰეროიკულ როლში. მოვეხვიე. მე ხომ ამის სრული უფლება მქონდა. მოკლე ხანში ვირწმუნე, რომ არავის გავუცურებოვარ. აი, უკვე ხუთი წელი მამორებს იმ დღეს, როცა დავქორწინდი და გულწრფელად ვაღიარებ, არა ვნანობ.

პიერ ლეტუალი გაჩუმდა. მისი თანამოსაუბრეები ისევ სიცილის გუნებაზე იყვნენ.

ერთ-ერთმა წარმოთქვა:

— ქორწინება ლატარიასავითაა, ჩემო ძმაო. ნომრების ამორჩევა არ ამართლებს, შემთხვევით ამოდებული კი უფრო ილბლიანია.

— კარგად დაიმახსოვრეთ, მეგობრებო, ეს ის შემთხვევაა, როცა ბახუსის ღმერთმა პიერს დაადგა მონყალე თვალი.

ფრანგულიდან თარგმანა  
ნანა ასალაძე



მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

### ხელმოცარული კაცი

სიკვდილამდე ატარებდა „ხელმოცარული კაცის“ დას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ხელმოცარული პოლიტიკოსისას, „რომელსაც არ დაუპატიმრებია ლენინი“. ბედმა უწყალობა უნიკალური შანსი, მილიონებში ერთს რომ ერგება ხოლმე, შანსი იმისა, რომ შეეტრიალებინა მსოფლიო ისტორიის მსვლელობა და საუბედუროდ, მისდა და კაცობრიობის საუბედუროდ, მან ხელიდან გაუშვა ოქროს თევზი.

ოქტომბრის რევოლუციიდან ლამის ნახევარი საუკუნე იყო გასული და ხანმოკლე დემოკრატიული რუსეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ალექსანდრ ფიოდოროვიჩ კერენსკის ისევ და ისევ, დაჟინებითა და ნიშნისმოგებით, ეკითხებოდნენ: რატომ არ დააპატიმრეთ და არ დახვრიტეთ ლენინი? ძალაუფლება ხომ თქვენს ხელთ იყო...

და ხელმოცარული კაცი გულწრფელად პასუხობდა: ლენინს მნიშვნელოვან ფიგურად არ მივიჩნევდით.

ხელის გასვრა არ ენადა. მონსტრი ჭიკაძეადა შერაცხა. აბა ახლა ლევ ტროცკის ჰკითხეთ, ვინ იყო და რას წარმოადგენდა ლენინი. ტროცკი, მთავარი ორგანიზატორი ოქტომბრის რევოლუციისა, ისტორიაში პიროვნების როლზე მსჯელობისას, აღნიშნავდა: 1917 წლის მარტში ლენინს თავში, ვთქვათ, აგური რომ დასცემოდა, ოქტომბრის რევოლუცია აღარ მოხდებოდა არც იმ წელს და არც მრავალი მომდევნო წლების განმავლობაში.

აი, ასე განსაზღვრავდა მამალი რევოლუციონერი პიროვნების როლს ისტორიაში. ასე აფასებდა ოქტომბრის მთავარი შემოქმედისა და სულისჩამდგმელის მნიშვნელობას. ხელმოცარული კაცი კი — მნიშვნელოვან ფიგურად არ მივიჩნევდით.

ყოფილ პრემიერს ზემოთქმულ შეკითხვაზე არანაკლებ სტანჯავდა საქვეყნოდ გავრცელებული ლეგენდა — თითქოსდა კერენსკი 1917 წლის ოქტომბერში, ქალის სამოსელში გადაცმული, გაიქცა ზამთრის სასახლიდან.

1917-ის პათეტიკურ-ტრაგიკულ მოვლენათა ფონზე, ცოტა არ იყოს, კომიკურად გამოიყურება ქალის სამოსელს თავმჯდომარეული პრემიერი უზარმაზარი ქვეყნისა — მაღალქუსლიანი ტუფლებითა და ქერათმიანი პარიკით.

ამასაც მოურიდებლად და დაჟინებით ეკითხებოდნენ: ეს სიმართლეს შეესაბამება?

არა, სიცრუე არისო, კატეგორიულად პასუხობდა. როდესაც ბოლშევიკები ზამთრის სასახლეს იღებდნენ, მე კრონშტადტის კომენდანტთან ვიყავი და შეუძლებელია, რომ ადამიანი ერთდროულად ორ სხვადასხვა ადგილზე იმყოფებოდესო.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ლეგენდები ცარიელ ადგილზე როდი იბადებიან.

თურმე მართლაც მომხდარა გადაცმული გაქცევა, ოღონდ ორი დღით ადრე ზამთრის სასახლის აღებამდე ანუ 23 ოქტომბერს. ბოლშევიკებს უკვე აეღოთ ტელეგრაფი, არსენალი, რკინიგზის სადგურები. უკანასკნელი იმედი კერენსკისა და რუსული დემოკრატიისა იყო არმია. პრემიერი პოლკებსა და ბატალიონებში გზავნის დეპეშებს: „დაიცავით დროებითი მთავრობა!“ არავითარი პასუხი.

როგორ უნდა გააღწიოს პრემიერმა სამშვიდობოზე? ქუჩებში უკვე ნითელი პატრულები დააბიჯებენ.

კერენსკი იცვამს მეზღვაურის ბუმლატს, თავზე იხურავს მეზღვაურისავე „ბესკოზირკას“, იკეთებს შოფრის სათვალეს და ამერიკის საელჩოს ავტომობილით, ამერიკული დროშის საფარქვეშ, ასე შენიღბული გარბის პეტროგრადიდან. დროებით თავშესაფარს პოულობს რაზლივში (სადაც, რამდენიმე თვის წინათ, ლენინი ემალებოდა კერენსკის!), ხოლო 1918 წლის ივნისში, ამჯერად სერბი ოფიცრის მუნდირით, სამუდამოდ ტოვებს სამშობლოს.

შემდგომი ეტაპები ხელმოცარული კაცის ცხოვრებისა: ბერლინი. პარიზი. შვეიცარიის შტატები.

1953 წელს ჰუვერის ინსტიტუტი (აშშ) აცხადებს კონკურსს კერენსკის თარჯიმნის პოსტზე. კონკურსში იმარჯვებს ელენა პეტროვნა ივანოვა — მომხიბვლელი ქალბატონი, პოლიტოლოგი, ჟურნალისტი, მოჭადრაკე (მის სპორტულ ბიოგრაფიას ამშვენებს საპატიო ყაიმი თვით ბობი ფიშერთან!).

კერენსკიზე ორჯერ უმცროს ალიონუშკას (ასე შეარქვა ხან-

დაზმულმა მიჯნურმა) თავისებურად უყვარდა მთელი მსოფლიოს ხელმოცარულთა შორის ყველაზე პოპულარული კაცი. ის კი ეჭვიანობის სცენებს

უწყობს სატრფოს.

1967 წლის ნოემბერში 86 წლის კერენსკი მძიმედ დასნეულდა. უფულობის გამო წესიერ საავადმყოფოში ვერ მოუხერხდა დანოლა. ვილაც უცნობი კეთილისმყოფლები დაეხმარნენ, მიაგნეს კლინიკას, სადაც უფულო ქალები აბორტს იკეთებდნენ. კერენსკი მაშინვე ვერ მიმხვდარა, თუ სად ამოყო ბედმაგი თავი. როდესაც შეიტყო, ისტერია დაემართა. ამასობაში გამოჩნდა ალიონუშკა. კერენსკი უყვიროდა: რა საშინელებაა! წარმოგიდგენია, სტალია ენციკლოპედიაში — რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი გარდაიცვალა აბორტის კლინიკაში...

ისევ ისტორიაზე ფიქრობდა! მე შენს პოლიტიკურ არქივს გაგვიდით, სთავაზობს ალიონუშკა. იქ ინახებოდა დოკუმენტები, რომლებიც ნათელს მოჰფენდნენ რუსეთის რევოლუციების არაერთ საიდუმლოს.

ალიონუშკა ბეჯითად რეკავდა აშშ უნივერსიტეტებში და აუწყებდა: იყიდება ალექსანდრ კერენსკის არქივი, რომელიც დღემდე კაცისთვის არ უნახავს!

უპასუხა ტეხასის უნივერსიტეტმა. ფასი — 100 ათასი დოლარი. გადახდა — ხუთი წლის განმავლობაში.

კერენსკი გადაბარდებდა ნიუ-იორკში. შიმშილით სიკვდილი აღარ ეშუქრება, მაგრამ ამქვეყნად აღარავის აინტერესებს ხელმოცარული კაცი, რომელიც იყო პრემიერი და ვერ გახდა დიქტატორი. მატარებელმა კარგა ხანა ჩაიარა.

მარტოდმარტოდ შთენილი ისევ და ისევ ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე, ცდილობდა მიმხვდარიყო, თუ რატომ მოჰყვა თვალმიუწვდომელ აღზევებას — უშნო და ლამის სასაცილო დაცემა...

უკვე ოთხმოცდაათს უკაკუნებდა. ერთხელაც წაიქცა და ბარძაყის ძვალი მოიტეხა.

სიბერის ჩვეულებრივი ტრაგედია მოითხოვდა დაუყოვნებლივ არჩევანს — ან მწარე სიცოცხლე (ცოცხალ მუშიად გადაქცევა!) ანდა ტკბილი სიკვდილი.

„სიკვდილი მინდა, — უბნებდა ალიონუშკას. — მიმოვე სანამ-ღავი!“

ალიონუშკა უარობს. კერენსკი იწყებს ბრძოლას... სიცოცხლესთან! უარს აცხადებს ჭამაზე. ღვედებით აბამენ სანოლში და ხელოვნურ კვებას უნიშნავენ. ორგანიზმი წინააღმდეგობას უწევს სიცოცხლეს იმ ძალით, რომლითაც ებრძვიან ხოლმე სიკვდილს. ექიმებს რომ დაინახავდა, იღურებოდა, იფურთხებოდა, ლაპარაკიც არ სურდა მათთან. მაგრამ ვერა და ვერ კვდებოდა! როგორც აღნიშნავენ, ექიმებმა აღიარეს უცნაური ფენომენი — კონცენტრაცია მთელი ძალ-ლოცისა სიკვდილის წაიღებლად პაციენტს ანიჭებდა შეუცნობელ სასიცოცხლო ძალებს.

სიცოცხლეში ხელმოცარული კაცი სიკვდილშიც ხელმოცარული გამოდგა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გაუგონარი ტანჯვა-წვალებით მაინც მიაღწია სანადელს, რომელსაც ერქვა სიკვდილი.

ასე გასრულდა ცხოვრება პატარა კაცისა, გიგანტთა (მეფის რუსეთი და ნითელი რუსეთი) არნახული შეჯახების შუაში რომ მოექცა და გაიჭყლიტა.

ხელმოცარული პოლიტიკოსი ყოველგვარი სუბიექტურობისა და ტენდენციურობის გარეშე მსჯელობდა მსოფლიო ისტორიის ქარტეხილებზე და ასე აფასებდა თავის ილბლიან ანტიპოდს: „სტალინი დიდი ადამიანი იყო, ისევე როგორც პეტრე პირველი. მათ გადააქციეს რუსეთი სუპერდერჟავად. მხოლოდ დესპოტიზმი წარმოშობს ნამდვილ სიდიადეს ქაოსიდან და უბადრუკობიდან. სიკეთით ვერაფერს გაანყობს პოლიტიკაში. მე ძალზე გვიან მივხვდი ამას. დიას, საქართველო და რკინის დისციპლინა, ვინაიდან მაღალი მიზანი ამართლებს მარტვილობას. რუსეთი ძილად იყო მივარდნილი. სტალინიმა გამოაღვიძა. შექმნა ინდუსტრიული გიგანტი! შექმნა სამხედრო კოლოსი! დაუნდობლად გაატარა ხალხი ჯოჯოხეთში და დაუბრუნა საკუთარი ღირსების შეგრძნება“.

ნუთუ არავის უკითხავს ხელმოცარული კაცისათვის: ამხანა-



აზვიყოლია სიყრმიდან...

რადე, ზ. ჭიჭინაძე და უზუსტობის შემთხვევაში ილია, ალბათ, გამოეხმაურებოდა ამ ფაქტს.

ასეთი თავზარდამცემი და შავბნე-ლი დღე ბევრი როდი ყოფილა საქართველოს ისტორიაში. ყველაზე მრუმე ეპითეტები რომც შევარჩიოთ, ალბათ, ვერც ერთი ვერ გამოდგება არნახული და არგაგონილი ტრაგედისათვის.

1226 წლის 9 მარტს ჯალალედინმა აიღო თბილისი. ქართველი ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ცრემლთა, ყვირილთა, ზახილთა და ვაებათა საზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრაველი უმრავლესი ერი ვითა ცხოვარი შეკრიბეს, და კვალად ხედვიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა, ზოგნი — ძმათა და მამათა, ცოლნი — ქმართა და ქმარნი ცოლთა უპატიოდ მკვდარ მდებარეთა, ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა, და არცათუ დაფლვასა მიწასა შინა ღირსჰყოფდეს“.

ჩვენს თავზე იმგვარი ჭირი მოინია, არცა გვსმენია და არცა რომელიმე წიგნში წაგვიკითხავსო. წარბშეუხრელად ჩამოთვლის ყველაფერს: სიონის ტაძრის გუმბათის შემუსრვას, ზედ ჯალალედინის საჯდომი ტახტის დადგმას, ქრისტიანთა მიპატიჟებას იესო ქრისტესა და წმიდა ღვთისმშობლის ხატების გასაქელად... და უეცრად ნაიბორძიკებს თხრობა, გულისტკივილი თრგუნავს, კალამი აუკანკალდება და ძლივძლივობით გვაუწყებს: „ამასთან არავე დამშვიდნა ცუდრჯული იგი და ბილნი, მოიგონა სხვაცა სობოროტე, რომლისა ხსენება სირცხვილ-მიჩნს“.

ასეთი რალა იყო, უფრო შემადრწუნებელი, ვიდრე ზემოთქმული სისასტიკე-მკრეხელობანი, ასე რომ შეაცბუნა ათასი ჭირისა და ვაების აღმწერელი, მხარე ჭეშმარიტებათა მეტყველი მემატთანე?

აი, რას წერდა ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი: „ეროვნულ სახელმწიფოებრივ თავმოყვარეობის გარდა ჩვენს ავტორს ამასთანავე სარწმუნოებრივიც მეტად მგრძნობიარე აქვს, როცა იგი მოგვითხრობს, თუ როგორ შეურაცხჰყვეს მაჰმადიანებმა ქრისტიანობა“.

დიდი ქართველი მეცნიერი არ განმარტავს, სახელდობრ რა სობოროტე ჩაუდენიათ ხვარაზმელებს, სიონის გუმბათის შემუსრვაზე აღმამოფოთებელი, რის ხსენებასაც ერიდება მგრძნობიარე მემატთანე.

მაგრამ ქართველ მკითხველს გაცილებით ადრე შეეძლო შეეტყო ჟამთააღმწერლის თხზულებაში მიჩქმალული „სობოროტე“. ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის მე-9 ნომერში დაიბეჭდა სომეხი მემატანის კირაკოს განძაკეცის თხზულებიდან თარგმნილი რამდენიმე თავი, სადაც გადმოცემულია ძალზე საყურადღებო ამბები XIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. ნაშრომი ხელმოწერილი იყო ინიციალებით „ბ.ვ.“.

ალ. კალანდაძის სიტყვით, „სხვადასხვა წყაროებიდან დამოუკიდებლად მომდინარე ცნობების შეჯერება ცხადყოფს, რომ „ბ.ვ.“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმია“.

მკვლევარი დასძენს, რომ იმავე ჟურნალში, იმავე წელს, იმავე ინიციალებით გამოქვეყნებულია შემდეგი თარგმანები: ჰიუგოს „სიკვდილით დასჯის საქმეზე“, ბასტიას „მძარცველების ფსიქოლოგია“ და პრუდონის „სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“.

ალ. კალანდაძე აღნიშნავს, რომ ეს ნაშრომები, ჯერ კიდევ ილიას სიცოცხლეში, აღიარებულ იქნა მის საკუთრებად (დ. ბაქ-

თხზულების ფრაგმენტები ქართულ ენაზე ითარგმნა ჟურნალში „რუსეთი სლოვო“ 1860 წელს გამოქვეყნებული რუსული თარგმანიდან.

კირაკოს განძაკეცის თხზულებაში დაწვრილებით არის მოთხრობილი მონღოლთა პირველი გამოჩენა ამიერკავკასიაში, გარნისის ომი, ჯალალედინის მიერ თბილისის აღება, მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევები და დაპყრობა ამიერკავკასიის ქვეყნებისა.

რაც შეეხება იმ ეპიზოდს, რომელმაც ქართველი ჟამთააღმწერლის შეცბუნება გამოიწვია, სომეხი მემატანის ტექსტის ილიასეულ თარგმანში ვკითხულობთ:

„ამის შემდეგ სულთანმა ბრძანება გასცა, რომ უნდათ თუ არ უნდათ მაჰმადიანობა, ყველა განურჩევლად წარჰსცვიოთ. ამ სახით ორი კაცი ერთს დაუჭერდნენ ხელებსა, მათარევდნენ მოედანზედ, საცა მესამე კაცი წარსცმევდა ხოლმე“.

თურმე იძულებითი წინადაცვეთის პროცედურას შეუძრწუნებია ჟამთააღმწერელი და მისი რელიგიური თავმოყვარეობა.

ახლა ისიც ვკითხოთ, რით უნდა მიეზიდა კირაკოს განძაკეცის თხზულებას ილიას ყურადღება? იქ ხომ არსად წერია, რომ მზე ჩვენი ქვეყნიდან ამოდის მთელი ქვეყნიერების გასაჩახჩახებლადო. და პირიქით — ისეთი რალაც-რულაცები წერია, ქართველ მკითხველს რომ არ ეამება და გულს დაუკოდავს (ასე მაგალითად: ქართული ლაშქრის პანიკური გამოქცევა ბრძოლის ველიდან გარნისის საბედისწერო ომში; ივანე მხარგრძელის გეგმა „ქართულ რჯულზე“ სომეხთა იძულებითი მოქცევისა; რუსუდან დედოფლის გარყვნილების აღნიშვნა).

მაგრამ ეს იყო თხზულება, რომელიც ახალი ცნობებით ავსებდა ქართველი მკითხველის წარმოდგენას საქართველოს ისტორიის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ტრაგიკულ მონაკვეთზე, როდესაც აყვავებული და ძლივამოსილი სამეფო ხანგრძლივ წყვედადმო გადაიჩეხა.

ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობიდანვე არ ერიდებოდა აუგისათვის თვალის გასწორებას. ოცდაოთხი წლისამ დაწერა ის ლექსი, მის შემოქმედებით კრედიო რომ უნდა მივიჩნიოთ, სადაც თავის სულისკვეთებას ასე განმარტავდა: „ჩემზედ ამბობენ: „ის სიავს ქართველისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“ ბრიყვი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს — ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.

დასასრულ, დავიმოწმოთ ორიოდ ნიმუში ილიას დალოცვილი ქართულისა ზემოხსენებულ თარგმანში: „თავი გაიზვიადეს ქართველებმა... ივანე და ლაშა ზვიადობდნენ... თათრების მშიერ მსუნავობას გაძლომ არ ეკიდებოდა... მიწაც არა ჰფარავდა იმათ, ვინც კი თავის შესაფარებელს ადგილს მიწაში ეძებდა... თათრებს გარეგანი სახე საზარელი სიძულდათ და შინაგანი კი დაუნდობელი... უფალმა დაქცია ჩვენზედ თავისი რისხვის ფალა ჩვენის ცოდვების სამაგიეროდ“.

ესეც გამოდგება დამატებით საბუთად იმისა, რომ ფრაგმენტები კირაკოს განძაკეცის თხზულებიდან ნამდვილად ილია ჭავჭავაძეს უთარგმნია.

ილიასეულ თარგმანს თუკი შეგუდარებთ რუსული თარგმანის აკადემიურ გამოცემას (მოსკოვი, 1976), მის უაღრეს სიზუსტეშიც დავრწმუნდებით.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციასთან არსებულმა პრემიების მიმნიჭებელმა კომისიამ ლაურეატთა ახალი სახელები გამოავლინა, რომლებიც კაფე „ნიკალაში“ შეკრებილ საზოგადოებას აჭარის მწერალთა თავკაცმა დავით თედორაძემ წარუდგინა.

აბუსერისძე ტბელის სახელობის ლიტერატურული პრემია ცნობილ პროზაიკოსს, ლიტერატურათმცოდნეს, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის დირექტორს, მრავალი პრემიის ლაურეატს, ქუთაისელ ელგუჯა თავბერიძეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ გადასცა, — მემედ აბაშიძის

პრემია კი მწერალ ანა დუნდუას — მემედ აბაშიძის შვილიშვილმა ნარგიზ აბაშიძემ.

კრიტიკული წერილებისათვის ჰაიდარ აბაშიძის პრემიით დაჯილდოვდა ზურაბ ზოიძე.

ფრიდონ ხალვაშის პრემია ორმა შემოქმედმა გაიყო — ჯემალ ინჯიამ — პოეზიაში და ზურაბ თორიამ — პროზაში. ასევე ორი ლაურეატი ჰყავს ზურაბ გორგილაძის პრემიას — ახალგაზრდა პოეტი როინ აბუსელიძე (ლექსების კრებულისათვის) და ფარმაცევტული კომპანია „ჰეკატეს“ ხელმძღვანელი ვლადიმერ მახარაძე, რომელსაც პრემია დიდი პოეტის ლექსების პოპულარიზაციისთვის გადაეცა.